საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია

საბაზო სანაზორიუმი „ლიკანი“

ემანუელ დვალიშვილი

სიცოცხლის კანონზომიერება და მედიცინის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები

თბილისი, 2001

ნაშრომში გამოკვლეულია თეორიული მედიცინის, ბიოლოგიისა და პრაქტიკული მედიცინის აქტუალური პრობლემები;

წიგნის ძირითადი კონცეფციები და დებულებანი ავტორის ხანგრძლივი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგების განზოგადებას წარმოადგენს.

ნავარაუდევია მედიცინისა და ბიოლოგიის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების მკვლევარების, პრაქტიკოსი ექიმების, სამედიცინო და ბიოლოგიური დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

რედაქტორი **სერგი ავალიანი**
პროფესორი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

რეცენზენტები: **ზურაბ ტაბიძე**,
პროფესორი, ნიუ-იორკის აკადემიის ნამდვილი წევრი
ნიკოლოზ კაჭარავა
პროფესორი, ნიუ-იორკის აკადემიის ნამდვილი წევრი

© ემანუელ დვალიშვილი, 2001

სარჩევი

შესავალი

პრობლემის დასმა 7

თავი პირველი
ადამიანი, როგორც სამყაროს მოდელი

§1. სამყარო, როგორც ერთიანი ცოცხალი სისტემა და ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა 16
§2. ადამიანის ორგანიზმის თვითმართვის იერარქია 21
§3. სამყაროს უზენაესი კანონები და გლობალური ცნობიერება 22
§4. გარე სამყაროს და ორგანიზმის მიკრო და მაკროსტრუქტურების გარდამავალი ზღვარი 24
§5. ორგანიზმის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობის მექანიზმი 26
§6. სამყაროს ზოგადი (უზენაესი) კანონზომიერება და მედიცინა .. 28
§7. სიცოცხლე, როგორც უზენაესი კანონების მოდელი და ყველა მეცნიერების საფუძველი. 30

თავი მეორე
ადამიანის ორგანიზმი, როგორც ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობა

§1. შინაგანი და გარეგანი გარემო, როგორც ინდივიდუალური ნიშანთვისებების საფუძველი. 37
§2. ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური ერთიანობა და მისი ევოლუცია 41
§3. ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობის მნიშვნელობა. 46
§4. სტრუქტურის სივრცობრივი პოზიციურობა და ორგანიზმის ფსიქოფიზიკური წონასწორობა. 49
§5. ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი თავისუფლება, როგორც ბიოლოგიურ და სოციალურ სფეროთა ურთიერთწონასწორობა .. 53
§6. მეორე თავის რეზიუმე 55

თავი მესამე
სიცოცხლის ცხოველმყოფელობა, როგორც ენერგოინფორმაციის მართვისა და თვითმართვის პროცესი

§1. მკურნალობა, როგორც ორგანიზმის ბიოენერგო-ინფორმაციის მართვითი ზემოქმედება 57
§2. ბიოველი, როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის გარეგანი ელექტრული ველი 61
§3. მკურნალობა, როგორც ინტრა და ექსტრასენსორული ზემოქმედებით ფსიქოფიზიკური განნყობის ჩამოყალიბება 67
§4. მესამე თავის რეზიუმე 70

თავი მეოთხე
რენესანსი და მედიცინა

§1. უძველესი ქართული მედიცინა და რენესანსი 72
§2. რენესანსი, როგორც ზოგადი მოვლენა 73
§3. ბიოლოგიური რენესანსი 77
§4. ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა, აზროვნება და რენესანსი 79
§5. ენერგია-ინფორმაცია, როგორც ბიოლოგიური სტრუქტურის ევოლუციური განვითარების რენესანსი, გენი და საფუძველი 83
§6. მეოთხე თავის რეზიუმე 86

თავი მეხუთე
ადამიანი – გონიერების, ცნობიერებისა და აზროვნების უნივერსალური ფენომენი დედამიწაზე

§1. სიცოცხლის (ბიოლოგიური სისტემის) ზოგადი და სპეციფიკური ნიშანთვისებები 88
§2. სიცოცხლის ენციკლოპედიურ-მეცნიერულ-ფილოსოფიური განმარტების განხილვა 90
§3. სიცოცხლის თვითრეგულაცია, როგორც აზროვნების პროცესი 95
§4. სიცოცხლის თვითრეგულაციის არსი 101
§5. ევოლუციური განვითარება, როგორც აზროვნების განვითარების შედეგი 104

§6. აზროვნების ცენტრის ჩამოყალიბების ჰიპოთეზა 107
§7. აზროვნების ფუნქციის დანიშნულება, ანუ რისთვის შეიქმნა აზროვნება? 110
§8. აზროვნება, როგორც სიცოცხლის ძირითადი 113
ნიშან-თვისება 113
§9. ცოცხალ არსებათა ფუნქციური მოძრაობა და ცხოველმყოფელობა ინსტინქტია თუ აზროვნება? 119
§10.ცნობიერებისა და აზროვნების მეცნიერულ – ენციკლოპედიურ – ფილოსოფიური განმარტებები და მათი ანალიზი 122
§11. აზროვნება, როგორც მიზნობრივი ფსიქოფიზიკური განწყობის შემოქმედება 125
§12. აზროვნება და ორგანიზმის თვითრეგულაცია 129
§13. აზროვნება, როგორც ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობა 132
§14. მეტყველება, როგორც აზროვნების რეალიზაციის (მოძრაობის) ერთ-ერთი ფორმა 134
§15. მეხუთე თავის ანალიზი 136
§16. მეხუთე თავის დასკვნები და ჰიპოთეზები 140

თავი მეექვსე
აზროვნება, როგორც სიკეთისა და ბოროტების საფუძველი

§1. ენერგოინფორმაციული ზემოქმედება, როგორც პროგრესის – რენესანსის (განვითარების) – და დეგრადაციის – (გენოციდის) – ფაქტორი 145
§2. ჯანმრთელი ადამიანის სიცოცხლის კანონზომიერება, როგორც უზენაესი კანონების მოდელი; პათოლოგია, როგორც უზენაესი კანონების დარღვევის მოდელი 146
§3. სოციალური და ბიოლოგიური კანონზომიერების უგულველყოფა, როგორც უზენაესი კანონების დარღვევა 148
§4. დემოკრატია და მედიცინა 150
§5. ადამიანზე უარყოფითი ენერგოინფორმაციული ზემოქმედების გენოციდის ფორმები 154
§6. საქართველოში ინფორმაციული გენოციდის ანალიზი და მისი შედეგების აღკვეთის გზები 156
§7. კომპლექსური გენოციდის პროფილაქტიკა, როგორც გაჯანსაღების და ეროვნული სულიერების აღდგენის ფაქტორი 166

§8. ეროვნული ადათ-წესები და სახალხო დღესასწაულები, როგორც გაჯანსაღების ენერგოინფორმაციული (ანტიგენოციდური) ფაქტორი 168
§9. გარემოს როლი ადამიანთა ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში და მისი გამაჯანსაღებელი მოქმედების მექანიზმი 173
§10. კომპლექსური გენოციდური ფაქტორები და ჰეროსტრატები – კურორტის მართვის სისტემაში 176
§11 Homo sapiens, homo dei, homo homini lupus est. 194
§12. სიკეთისა და ბოროტების იდეის ჩამოყალიბების რეალიზაციის მექანიზმი და ჰომეოსტაზი 199
§13. ეგოისტური სინდრომის პიროვნება მართვის სისტემაში 203
§14. ეგოისტური სინდრომის მოქმედების მექანიზმი 206
§15. ეგოისტური სინდრომის მკურნალობის შესახებ 207
§16. აზროვნების ლეგალიზაციის მექანიზმის შესახებ 211
§17. საჭიროა თუ არა აზროვნების ლეგალიზაცია 214
§18. არის თუ არა აზროვნების ლეგალიზაცია ადამიანის უფლებათა შეზღუდვა? 217
§19. აზროვნების პირდაპირი კონტაქტური და დისტანციური რეგისტრაცია, როგორც ადამიანთა გაპუმანურების, გაკეთილშობილების, გაცივილიზირების საშუალება 219
§20. მეექვსე თავის ლოგიკური ანალიზი 223
§21. პრობლემის ზოგადი განხილვა-განსჯა 228

დასკვნა 243

Закономерность жизни и теоретические и практические вопросы медицины 247

Problems of medicine, biology, and medical practice 250

ლიტერატურა 253

ავტორის შესახებ 260

ეუძღვნი უძველეს ქართულ საგვარეულოს: დვალებს, დვალიშვილებს, დვალაძეებს, დვალიძეებს, დვალაშვილებს

შესავალი

პრობლემის დასმა

როგორც ცნობილია, მედიცინის ძირითადი დანიშნულებაა ადამიანის გაჯანსაღება და აქტიური სიცოცხლის გახანგრძლივება, მაგრამ რამდენადაც მედიცინა ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზით, იმდენად იგი სიცოცხლის შენარჩუნების მედიცინა ხდება და არა აქტიური სიცოცხლის ხანდაზმულობის გახანგრძლივებისა.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ მკურნალობა-დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების ფორმებისა და ტექნოლოგიების დამუშავებისა და პრაქტიკული გამოყენების პარალელურად ზოგიერთი დაავადებები კი არ მცირდება, არამედ მატების ტენდენციით ხასიათდება, რაც თეორიული და პრაქტიკული მედიცინის არასრულყოფილებაზე მიუთითებს.

ისმის კითხვა: რომელი წამლით ან მკურნალობის რომელი მეთოდით შეიძლება გაჯანსაღება და სიცოცხლის გახანგრძლივება? ეს საკაცობრიო პრობლემა ჯერ პანაცეის მიგნებით არ დაგვირგვინდა. ამავე დროს გაჯანსაღებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების პოტენციური რეზერვი თვით ორგანიზმში უნდა ვეძებოთ. ადამიანი ამ რეზერვის მხოლოდ 5%-15% იყენებს, ამავე დროს იგი უსასრულოა და ადამიანი ოდესმე დაეუფლება ორგანიზმის გენოფონდის პროგრამის მართვის ცნობიერებას იმ დონეზე რომ პერიოდულად განაახლოს ორგანიზმის „გაცვეთილი" ან „დაზიანებული" სტრუქტურები ფარმაკოქიმიის, კლონირებისა და ქირურგიული ჩარევის გარეშე.

ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმის ტემპერატურას მასში შემავალი მიკრო ნანილაკების მოძრაობის სიჩქარე განაპირობე-

ბს, ხოლო სხეულის ტემპერატურის დაწევა ორი-სამი გრადუსით უდიდეს ფიზიოლოგიურ ძვრებს იწვევს ორგანიზმში და 8-10-ჯერ ადიდებს სიცოცხლის ხანგრძლივობას, რომელიც გაჯანსაღებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების პოტენციური რეზერვია.

ორთოდოქსული და პარადოქსული მედიცინის სხვადასხვა კლანების, პროფესიონალ და არაპროფესიონალ მკურნალებმა „შარლატანიზმისა და მისტიციზმის" მიმდევრებმა, გარკვეული ქაოსი შეიტანეს მედიცინაში; ყველა მკურნალია და ყველა მკურნალობს. ეფექტურობის კონტროლი და სტატისტიკა კი არ არსებობს. ამიტომ დღის წესრიგში დგება სამედიცინო დახმარების, რეფორმის აუცილებლობა, მომავალი ცივილიზაციის შესაბამისი ახალი დოქტრინის საფუძველზე.

სამედიცინო დახმარების, გაჯანსაღების, სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ჭეშმარიტი მეცნიერული მედიცინის მეთოდოლოგიური საფუძველი სიცოცხლის ცხოველმყოფელობის თვითმართვის კანონზომიერებაა, რომელიც სამყაროს უზენაეს კანონებს ემყარება. ამ კანონზომიერებათა შესაბამისად ადამიანის ორგანიზმის სისტემები და სტრუქტურები ურთიერთშეთანხმებულად და ურთიერთ-სოლიდარულად „სიმართლის ცნობიერებით" ფუნქციონირებს. დაავადება (ასევე არასწორი მკურნალობის გვერდითი მოქმედება) იწვევს ორგანიზმის თვითმართვის დამახინჯებას. ირღვევა სიცოცხლის უნივერსალური სიმართლის კანონზომიერება. ორგანიზმის სტრუქტურათა ურთიერთობაში ყალიბდება „ეგოიზმი", „სიცრუე", „თვითნებობა", „სიძულვილი", „კორუფცია", „ვოლუნტარიზმი". დაავადებული ორგანო არ ექვემდებარება ორგანიზმის თვითმართვის იერარქიას, იგი სტრუქტურულად, ფუნქციურად და სივრცობრივად დეფორმირებულ მდგომარეობაშია ორგანიზმის ასიმეტრიულ ჰარმონიულობასთან, რომელიც ორგანიზმის სტრუქტურათა ფიზიოლოგიურ სივრცობრივ პოზიციურობის დეფორმაციასა და ფუნქციის შესრულების არასრულფასოვანებას პირობადებს და დაავადების სიმპტომებით ვლინდება.

ბიოლოგიური სისტემების და, კერძოდ, ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობას აზროვნება მართავს. ეს პროცესი ევოლუციური განვითარების სპირალის ერთი რგოლის სხვადასხვა ფაზასა და ეტაპზე სხვადასხვა დროის და სივრცობრივი

პოზიციურობის განზომილებით ხასიათდება, ანუ დედამინის ბრუნვის სადღეღამისო რგოლის სხვადასხვა პერიოდში, ფაზასა და ეტაპზე ორგანიზმის ცხოველმყოფელობის თვითმართვის პროცესი და სტრუქტურათა სივრცობრივი პოზიციურობა სხვადასხვა ხარისხისა და აქტივობისაა, ანუ ცირკადიული რიტმების სპირალის ერთი რგოლის ფაზასა და ეტაპზე არ მეორდება სპირალის წინა რგოლისა და ფაზის პარამეტრები. დოგმატური აზროვნება კი წინა რგოლის ყველა ფაზასა და ეტაპს იმეორებს და იგი ეწინააღმდეგება სიცოცხლისა და სამყაროს ევოლუციური განვითარების კანონზომიერებას (სამყაროს უზენაეს კანონებს). ამიტომ დოგმატური აზროვნება და მეთოდოლოგია, საერთოდ, კერძოდ, მედიცინაში (დიაგნოსტიკა-მკურნალობის პროცესში) ეწინააღმდეგება სამყაროს უზენაეს კანონებს და ორგანიზმის სტრუქტურათა დინამიკური, ევოლუციური განვითარების კანონზომიერებას. იგი სამყაროს მუდმივი მოძრაობის სვლის საწინააღმდეგო სვლაა, საზოგადოებასა და ადამიანთა აზროვნებას უკან ექაჩება. **ექიმის მოღვაწეობა უდიდესი შემოქმედებითი პროცესია, რომელსაც ამუხრუჭებს კონსტიტუციალიზმი, ინსტრუქციალიზმი და დოგმატიზმი, როგორც ტრადიციული სამედიცინო აზროვნების ქრონიკული დაავადება.**

დაავადება, როგორც ბუნებრივი შერჩევისა და ორგანიზმის დაცვითი მექანიზმების ორ დაპირისპირებულთაგან ერთ-ერთი მდგომარეობა, ევოლუციური განვითარებისა და ბუნებრივი შერჩევის მასტიმულირებელი ფაქტორია; დაავადების აგენტები ორგანიზმში შეჭრის პირველ ეტაპზე, იღებს რა მაკროორგანიზმის გენეტიკურ ინფორმაციას, აყალიბებს საკუთარი პოპულაციის განვითარების ნიადაგს გამრავლების, კვებისა და შეგუების მოთხოვნილებათა საფუძველზე. ამიტომ თუ ორგანიზმში არ იქნება პათოლოგიური აგენტების „კომფორტული პლაცდარმი", იგი „ვერ მოიკიდებს ფეხს"; ამრიგად, მკურნალობის პროცესში **ორგანიზმის სპეციფიკური და არასპეციფიკური იმუნიტეტის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიზნობრივი, ცნობიერი და ქვეცნობიერი აზროვნებითი ფსიქოფიზიკური განწყობის ჩამოყალიბებას თვითშთაგონების გზით,** რომელიც ორგანიზმის შინაგან მოთხოვნილებად გა-

დაიქცევა და თვითრეგულაციის იერარქია თვით არეგულირებს ორგანიზმის სასიცოცხლო პრობლემებს.

ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა, როგორც სამყაროს შემადგენელი თვითმართვადი, ცოცხალი სისტემა, გეომეტრიული ფორმების – კონფიგურაციის შემადგენელი მიკრო და მაკროსტრუქტურების, ფუნქციების, პროცესების, მოვლენების, მრავალსაფეხურიანი, მრავალშრიანი, მრავალპოლუსიანი და მრავალსტრუქტურიანი ურთიერთდაპირისპირებულთა დინამიკურ-ასიმეტრიული ერთიანობაა და აერთიანებს სამყაროს მოდელებს, მოვლენებსა და პროცესებს, ფიზიკურ, ბიოლოგიურ, ქიმიურ, მექანიკურ, ფერმენტაციულ, ჰორმონალურ, ოპტიკურ, აკუსტიკურ, სპექტრალურ, კვანტურ, პლაზმურ, ელექტრომაგნიტურ, ჰიდროდინამიკურ, თერმოდინამიკურ, გრავიტაციულ და ფსიქოენერგეტიკულ, ინფორმაციულ პროცესებს, ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მოთხოვნილებების, რაოდენობრიობა-თვისებრიობების შესაბამისად ულტრა, მაკრო და მიკროფორმებში. ამავე დროს ორგანიზმი შინაგანი და გარეგანი გარემოს დადებითი და უარყოფითი ფაქტორების მუდმივ მართვით ზემოქმედებაშია.

გარე სამყაროს ზემოქმედება ადამიანზე დედამიწის, მზის სისტემისა და გალაქტიკის ზემოქმედებაა და იგი მართვადი და მიმართულებითი ევოლუციური განვითარების მაორგანიზებელი ზემოქმედებაა. ორგანიზმი, როგორც ურთიერთდაპირისპირებულ სტრუქტურათა და ფუნქციათა ე.წ. „ბინალური" სისტემების ერთიანობა, გარე სამყაროს ვირტუალურ სივრცეში სამთა ერთიანობაა და ამ პროცესთა „ფინალში" ვირტუალურ ზონას – გარე სამყაროს წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება, მასში დევს მკურნალობა-გაჯანსაღებისა და რეაბილიტაციის ეფექტურობის გასაღები.

დღეს, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო სამეცნიერო კვლევითი და სამედიცინო დახმარების დანესებულებების მუშაობა პარალიზებულია და ნაკლებად არის დაკავებული დაავადების არიდებისა და ადრეული მკურნალობა-დიაგნოსტიკის საკითხებით. ფარმაკოლოგიური ფირმების ბუმმა ყველაფერი გადაფარა. აფთიაქების რიცხვმა ზღაპრულ რაოდენობას მიაღწია, იგი გასცდა ყველა ნორმასა და საზღვარს. ამიტომ კომპლექსური ფარ-

მაკოლოგიური მეთოდებით მკურნალობის იდეა ზენიტშია თავისი ეგზისტენციური ეფექტურობით. ამავე დროს ყველაზე სრულყოფილი უნივერსალური ბიოლოგიური „ფარმაკოლოგიური ქარხანა" თვით ორგანიზმშია, რომელიც უფრო ეფექტურ „წამლებს" ამზადებს საკუთარი ორგანიზმისათვის, გვერდითი მოქმედების გარეშე. ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციური მოთხოვნილებების გაცნობიერებით, შთაგონებით, შემეცნებით და დაავადებულ ორგანოზე ფსიქოფიზიკური თვითშთაგონებითი ზემოქმედებით აქტიურდება ფუნქციის განვითარება-გაძლიერება და ორგანიზმის ზოგადი რეაქციის ჩამოყალიბება იმ სუბსტრატის გამომუშავებისათვის, რომელიც ორგანიზმის (კონკრეტული შემთხვევის) შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენს; კერძოდ, აქტიურდება პათოლოგიის საწინააღმდეგო და ორგანიზმის გაჯანსაღებისა და განვითარების მიზნობრივი სუბსტრატი, რომელიც კი არ თრგუნავს, არამედ აძლიერებს იმუნურ თვისებებს.

საზოგადოებაში — როგორც პოლიტიკაში, ასევე მედიცინაში — ხშირად აიტაცებენ ამა თუ იმ იდეას, ან ცნებას, თავს მოახვევენ საზოგადოებას და სწორია თუ არა, საჭიროა თუ არა, იგი ხდება ადამიანთა ფსიქოფიზიკური სტრუქტურების დომინანტი. მისი კონტროლი აღარ ხერხდება, რადგან ყველა სხვა ცნება და მიზანი იჩრდილება, იფარება, მუხრუჭდება და გადადის დავიწყებაში. იმ ერთი იდეით მიმდინარეობს ადამიანთა ურთიერთობა, რომელიც ამუხრუჭებს საზოგადოებისა და პიროვნების ბიოლოგიურსა და სოციალურ განვითარებას.

ჩვენ შორს ვართ იმ გაგებისაგან, რომ არ გამოვიყენოთ თანამედროვე სამკურნალო არსენალი, რომელიც კაცობრიობის სიბრძნის მონაპოვარია (განსაკუთრებით მწვავე და ინფექციურ დაავადებათა მკურნალობაში), მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ 35 წლის წინ შეიქმნა წამლების გვერდითი მოქმედების (რომელმაც ათასობით ადამიანთა მძიმე დაინვალიდება გამოიწვია — 124,125) შემსწავლელი მსოფლიო ცენტრი და ჩამოყალიბდა წამლების გვერდითი მოქმედების კლასიფიკაცია, რომელიც 13 კლასისაგან შესდგება: ფარმაკოლოგიური, ტოქსიკური, კანცეროგენური,

ტერატოგენური, მუტაგენური, ალერგიული, იმუნური რეაქციის დაქვეითების და სხვა. ოფიციალური სტატისტიკით წამლების გვერდითი მოქმედება 5-დან 85 %-ს შეადგენს (126,127,128). დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ მოწინავე ქვეყნები საკუთარი წარმოების წამლების 95% რეალიზაციას ექსპორტის სახით სხვა ქვეყნებში ანარმოებენ (უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოში არაერთხელ იყო შემოტანილი ვადაგასული, ფალსიფიცირებული წამლები).

დღეს დაგროვდა მეცნიერული მონაცემები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი საფირმო წამლებით მკურნალობის გვერდითი მოქმედების პარალელურად იკვეთება სანოგენეზური პრინციპების ბაზაზე ბუნებრივი და ფსიქოფიზიკური მკურნალობის ეფექტურობა არაგართულებულ დაავადებათა პროფილაქტიკა-მკურნალობა-რეაბილიტაციის კომპლექსში, ორგანიზმის იმუნური თვისების გააქტიურების გზით.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ბრძენი და სწავლული ერთსა და იმავე სიბრძნეს ქადაგებს სხვადასხვა ეპოქებსა და სხვადასხვა დროში, სხვადასხვა ენით და სხვადასხვა სიტყვებით, თუმცა შინაარსი ამ სიბრძნისა ერთი და იგივეა. ამიტომ საზოგადოებასა და სამედიცინო სფეროში არსებობს გამოთქმა „ყველა სიახლე დიდიხნის დავიწყებული სიძველეა".

უნდა გავიცნობიეროთთ, რომ სამედიცინო დახმარების დანიშნულება, პირველ ყოვლისა, არის დაავადების არიდება — პროფილაქტიკა, მოსახლეობის გაჯანსაღება და სიცოცხლის გახანგრძლივება ადრეული უჯრედის დონეზე დიაგნოსტიკა-მკურნალობა პროფილაქტიკის განხორციელებით. რადგან ბუნება მუდმივმოძრავი და განვითარებადი ცოცხალი სისტემაა, დროის სხვადასხვა მონაკვეთში ყველა სტრუქტურა, საგანი, მოვლენა, პროცესი, ფუნქცია სხვადასხვა სივრცობრივ-პოზიციურობას იძენს. სხვადასხვა სივრცობრივი-პოზიციურობა სხვადასხვა რაოდენობრიობა-თვისებრიობაა; ამგვარად, ორგანიზმის სტრუქტურათა და ფუნქციათა დეტერმინიზმი განვითარებადი ცნებაა და თვითრეგულაციის ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენათა ანსამბლში იგი ახალ პოზიციურობასა და ფუნქციას იძენს, რაც ევოლუციური განვითარების ფენომენი და მედიცინის მაგისტრალური მსოფლმხედველობა და მეთოდოლოგიაა.

სამედიცინო პრაქტიკაში გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველგვარი სიახლე მეცნიერება არ არის და ყოველგვარი მეცნიერული სიახლეც არ არის ჭეშმარიტება და სიკეთე; ასევე მკურნალობა-დიაგნოსტიკის ახალ მეთოდს, ხერხს და მეცნიერულ შრომას, როგორც ნატურალურ ღვინოს, ჭეშმარიტი და ღირსეული შემფასებელი სჭირდება; ჭეშმარიტ მეცნიერებასა და ნატურალურ ღვინოს განუმეორებელი ღირსება, თვისება და დანიშნულება გააჩნია, მისი შემეცნება და შეფასება ნიჭი, ღირსება და მოწოდებაა, ხოლო სიმართლის, ღირსებისა და ჭეშმარიტების აღიარებას სიმამაცე და ვაუკაცობა სჭირდება. ასეთები კი ერთეულებია ("ჭეშმარიტებას შეიცნობენ ერთეულები, ღირსეულები, ყველას ხვედრი იგი არ არის" — დ. დიდრო). ამავე დროს ჭეშმარიტი მეცნიერული ნაშრომის, აზროვნების, იდეის და მეთოდის უგულველყოფა დანაშაულია;

მედიცინის, როგორც საერთო საკაცობრიო გლობალური პრობლემის, ჭეშმარიტი პროგრესის ახალი პარადიგმისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, გაცნობიერებას, აღქმას და პრაქტიკულ რეალიზაციას ღირსება, სიმამაცე, შემართება, მოწოდება და საზოგადოების კანონიზირებული ფსიქოლოგიური დოგმების შეცვლა და ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება სჭირდება. ეს გზა არის სიმართლის და პროგრესის გზა. ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა (ჯანმრთელი საზოგადოება ერის სულიერი და ფიზიკური სიძლიერეა) პირველ რიგში ცოდნის, ზნეობის და კულტურის დონით განისაზღვრება. მოსახლეობის გაჯანსაღების ახალი სტრატეგია ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტეგრაციის ერთიან დოქტრინას, როგორც კეთილდღეობის, სიკეთის, სიმართლის, გაჯანსაღების და სიცოცხლის გახანგრძლივების ბრძოლის ფრონტი და ვინც ამ მიზნისათვის იბრძვის და გვერდით დგება, კეთილშობილი, გონიერი, შემართებული, უმწიკვლო ადამიანებია, რომელთა მოწოდებაა ჭეშმარიტი ჰუმანიზმი. სამედიცინო მომსახურეობის პრაქტიკული გაუმჯობესებისათვის საჭიროა დამკვიდრდეს ჰუმანიზმი, იგი ხომ სიმართლისა და სიკეთის მწვერვალი და ჯანსაღი, გონიერი მომავალი თაობის ჩამოყალიბების საფუძველია.

ცნობილია, რომ მკურნალი თვით ორგანიზმის თვითმართვის იერარქიაა, გარემოს ზემოქმედების არეალში, ექიმი კი დაავადე-

ბასთან ადამიანის ორგანიზმის ბრძოლის ფრონტის მთავარსარდალი, სულიერი მამა და მასწავლებელია (გაჯანსაღების ეფექტურობა დამოკიდებულია მოსახლეობის გაცნობიერებაზე და პიროვნების აქტიური პოზიციის ჩამოყალიბებაზე მკურნალობა-დიაგნოსტიკა-პროფილაქტიკის საკითხებში). იგი გროსმაისტერია — სულიერი რაინდი — ნიჭით, ცოდნით, სიბრძნით და ჰუმანიზმით ამაღლებული ხელოვნებამდე, ხოლო ხელოვნებიდან მეცნიერების გზით ვირტუოზობამდე.

სამედიცინო დახმარების თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ადამიანის ჯანმრთელობა კომერციის ობიექტი გახდა; ექიმობა ხელოვნებიდან მერკანტილიზმისაკენ მიექანება, ფეხს იკიდებს არაპროფესიონალიზმი, შარლატანიზმი და ზოგიერთი ფუნდამენტური პრინციპის დევალვაცია.

დღეს საზოგადოება ცხოვრობს რთული პოლიტიკური ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმების ეპოქაში. ბოროტებამ სიკეთის დახშობა განიზრახა. მორალი და ღირსება დამამცირებელი ქიმერა გახდა. პატიოსნება უნიჭობის საზომად გამოცხადდა. საზოგადოების და სახელმწიფოს სიმდიდრეს ისაკუთრებენ ისინი, ვისაც ის არ შეუქმნია. ამ კასტებისა და კლანების შემწყნარებლობით ქვეყანაში პათოლოგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებით უსასიზღრესად მახინჯდება ეროვნული სულიერება — ცნობიერება. ფული იკავებს ღმერთების ადგილს. კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა, მასმედია, რადიო-ტელევიზია, რევანშიზმის, ბანდიტიზმის, კორუფციის, ვოლუნტარიზმის სადემონსტრაციო პოლიგონი გახდა. მომავალი თაობის აღზრდის პრობლემა მოლიპულ გზაზე მიაბიჯებს. ეროვნული ღირსების და თვითმყოფობის ფსიქოლოგია შიმშილისა და სიღატაკის ჟრუანტელმა დაიპყრო და უცხოური სულისკვეთების „მაენსიპირებელ“ ზემოქმედებას განიცდის. ყოველივე ზემოაღნიშნული ტოტალური გენოციდისა და დაავადებათა მატების დომინანტური ფაქტორია, რომლის პროფილაქტიკა დღეს „გადაუდებელ დახმარების“ პრობლემად მიმაჩნია. ამიტომ ძნელია დაიჯეროს კაცმა, რომ სიახლესა და ახალ პარადიგმას აიტაცებს დღეს საზოგადოება. მაგრამ სამედიცინო დახმარების არსებული სტრატეგიის შეცვლა გარდაუვალია. მას მომზადება სჭირდება და რამდენად ადრე დაიწყება, იმდენად ადრე განხორციელდება. სამედიცინო დახმარების

დღევანდელი მეთოდოლოგია და მუშაობის სტრუქტურა მისი შინაგანი და გარეგანი დრამატული ფორმებისა და სახელწოდებების შეცვლა გარდაუვალია. სამკურნალო, სადიაგნოსტიკო, სარეაბილიტაციო დაწესებულება უნდა აერთიანებდეს მეცნიერების და შემოქმედების ყველა ფორმას*.

წინამდებარე შრომის ძირითადი კონცეპცია ჩამოყალიბდა 1962-68 წლებში, რომლის პრაქტიკულმა რეალიზაციამ გამოიწვია ფუნქციონერთა ნეგატიური დამოკიდებულება, რომელმაც მიწასთან გაასნორა საბაზო სანატორიუმი „ლიკანი" და ახალი კონცეფციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ადამიანის გაჯანსაღებისა და სამედიცინო დახმარების ახალი პარადიგმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, „სკოლა-უნივერსიტეტი". ეს შრომაც, რომლის ჩანაწერი დამთავრდა 1992 წელს, ნეგატივიზმის მსხვერპლი გახდა. დარბეული იქნა არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაჩანაგდა უნიკალური ბუნებრივი ტყე-პარკი, არამედ სამეცნიერო მეთოდური კაბინეტებიც და არქივიც, სადაც ინახებოდა სანატორიუმ „ლიკანის" 55 წლის სამეცნიერო მეთოდური მუშაობის მასალები, რომლის ნაწილობრივი აღდგენა მოხერხდა.

დასასრულ გვინდა დიდი მადლობა მოვახსენოთ წიგნის რედაქტორს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, მეცნიერების ფილოსოფიის საერთაშორისო ასოციაციის წევრს, აკადემიკოსს სერგი ავალიანს წიგნის რედაქტორობისა და საფუძვლიანი შენიშვნებისათვის და რეცენზენტებს: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ნიუ-იორკის აკადემიის წევრს ზურაბ ტაბიძეს და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ნიუ-იორკის აკადემიის წევრს ნიკოლოზ კაჭარავას.

ავტორი უდიდესი მადლიერების გრძნობით და მოწიწებით მიმართავს ყველა ოპონენტს ალტერნატიული წინადადებებისა და შენიშვნებისათვის პირდაპირი დიალოგით, წერილობით, დისპუტით, სიმპოზიუმებით და ტელეფონით (267)2-26-59; 2-17-28 ან ოპონენტთა სასურველ სხვა ფორმებით.

---

*განხილულია მეორე წიგნში

თავი პირველი

„ადამიანის არსება თავისთაებში
სამყაროს ხატს ატარებს“
ეძ ვოუბარი.

ადამიანი, როგორც სამყაროს მოდელი

§ 1. სამყარო, როგორც ერთიანი ცოცხალი სისტემა და ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა

თანამედროვე მეცნიერული შეხედულებით სამყარო, როგორც ერთიანი ცოცხალი სისტემა, უსასრულო, მარადიული, ცვალებადი, მოძრავი, განვითარებადი, მიკრო, მაკრო და მეგა მატერიის ერთობლიობის სუპერგიგანტური სისტემაა. მასში შემავალი მატერიის ყველა ფორმა სხვადასხვა პარამეტრებისა და პოტენციალების ორმხრივი ურთიერთზემოქმედებითა და კავშირით, პოლარობით, ენერგოინფორმაციის მიღების, გაცვლისა და ფიქსირების უნივერსალური თვისებით ხასიათდება, რაც სამყაროში მუდმივ მოძრაობას განაპირობებს.

ადამიანის ორგანიზმი, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილი, სამყაროსთან ორმხრივი ენერგო-ინფორმაციული ცვლის განუწყვეტელი ერთიანობაა და ეს ერთიანობა სიცოცხლის საფუძველია. ორგანიზმის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობა გარე სამყაროსთან ერთიანობის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ იმის გათვალისწინებით, რომ ერთიანი ენერგოინფორმაცია აერთიანებს და „ანათესავებს“ ადამიანს გარე სამყაროსთან.

რადგან ყოველი მთელი ნაწილებისაგან შედგება, ეს ნაწილები საკუთარი რაოდენობის შესატყვისი მთელის თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს და, პირიქით (რა უმცირეს ნაწილაკებადაც არ უნდა

დავყოთ სხეული, ნაწილაკი მაინც ინარჩუნებს მთელის თვისებებს, ამბობდა არისტოტელე — 14); შესაბამისად სამყაროს „ცნობიერება", ანუ ინფორმაციულობა შემადგენელი ნაწილების ინფორმაციულობის, „ცნობიერების" ერთიანობას წარმოადგენს და, პირიქით; ამავე დროს სამყაროს შემადგენელი ნაწილები არ შეიძლება სამყაროზე უფრო მაღალი და დიდი „ცნობიერებით", ინფორმაციულობით და მასით ხასიათდებოდეს და ინფორმაცია, რომელიც სამყაროში არ არსებობს, მისი შემადგენელი მას არ შეიძლება შეიცავდეს, ანუ ინფორმაცია, რომელიც სამყაროში არ არსებობს, ადამიანი მას ვერ მიიღებს და, ალბათ, ვერც გამოიგონებს; ადამიანი მხოლოდ სამყაროში არსებული მოვლენებისა და პროცესების, ინფორმაციების მიღებას, გაცნობიერებას და აღმოჩენას ახდენს; ასევე უსასრულობას, მარადიულობას, მრავალგანზომილებიანობას (4-ზე მეტ განზომილებას) ადამიანი განვითარების ამ ეტაპზე ვერ აღიქვამს და მის შესატყვის მოდელს ვერ შექმნის; მაგრამ ადამიანი უსასრულოდ განვითარებადი და შემოქმედებითია (რამდენად მეტად შეიცნობს ადამიანი გარესამყაროს, იმდენად მეტად ვითარდება მისი გონება და ცნობიერება ამბობდა ციცერონი -32). ამავე დროს, ადამიანის ორგანიზმი და ყველა ცოცხალ არსებათა ორგანო-სისტემები და აზროვნების სტრუქტურები სასრულიცაა და განსაზღვრულიც ინდივიდუალური რაოდენობრივ-თვისებრიობის განსაზღვრულობის ფარგლებში; ამიტომ ყველა ცოცხალ სტრუქტურასა და ადამიანს შეუძლია მიიღოს გარემოს ინფორმაციები, მაგრამ ყველა ცოცხალი სისტემა და ყველა ადამიანი მას ვერ აღიქვამს და მის ინტეგრალურ ანალიზს, ტრანსფორმაციას და სინთეზს ვერ გააკეთებს. იგი დამოკიდებულია აზროვნების სტრუქტურათა ინდივიდუალური (რაოდენობრიობის, დრო-სივრცობრივ განზომილებათა) განსაზღვრულობის პარამეტრებზე; ამიტომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და აზროვნების სხვადასხვა დონე. ამავე დროს ზოგჯერ ადამიანები ერთსა და იმავე ინფორმაციას ერთდროულად ღებულობენ და აკეთებენ მის ანალიზს, ტრანსფორმაციასა და სინთეზს. მაგალითად, სხვადასხვა პიროვნებები ერთდროულად აკეთებენ ერთსა და იმავე აღმოჩენას, აყალიბებენ ერთსა და იმავე თეორიას, იდეას, გამოგონებას.

ინფორმაციის მიმღები ტექნიკური აპარატები ინფორმაციას იღებს და გადმოგვცემს, მაგრამ მის ანალიზს ვერ აკეთებს (თუ იგი

არ არის ჩართული სათანადოდ დაპროგრამებულ მანქანაში). ადამიანის გონებას კი შეუძლია ერთი ინფორმაციიდან მრავალი (უსასრულო) ვარიანტის ანალიზი და სინთეზი გააკეთოს (ისევე, როგორც სათანადოდ დაპროგრამებულ კომპიუტერს). მაგალითად, ერთი სტატია, ან ერთი შრომა გარკვეული დროის მონაკვეთში სისტემატურად რომ შევისწავლოთ და გავაანალიზოთ, შესაძლებელია მასში ახალი აზრის დამატება და უსასრულოდ განვითარება; იგი შეიძლება გახდეს გლობალური აღმოჩენისა და მრავალმხრივი ცნობიერებისა და იდეების საფუძველი.

ამდენად, ადამიანის აზროვნება უსასრულოდ განვითარებადია, რაც მას სამყაროს უსასრულობასთან აერთიანებს, ანუ „ანათესავებს"; მაგრამ რადგან არსებობს გარემოსთან ორმხრივი ურთიერთკავშირი, ადამიანთა აზროვნების ინფორმაციებიც, ისევ სამყაროს გლობალური „ცნობიერების ყულაბაში", ანუ „სამყაროს ბანკში" ერთიანდება.

რადგან ცალკეული ნაწილები ქმნის სამყაროს ერთიანობას, ხოლო სამყარო აერთიანებს ყველაფერს, იგი ამ ერთიანობის სრულყოფილებაა, რომელიც მის შემადგენელ ელემენტებში ნაწილდება.ეს ნიშნავს, რომ იდეალურად სრულყოფილი არ შეიძლება იყოს სამყაროს შემადგენელი ნაწილები და სამყარო, როგორც სისტემა, აერთიანებს არასრულყოფილ მრავალსახეობებსა და მრავალფეროვნებებს ერთ სრულყოფილებად და მხოლოდ მასში გაერთიანებული ყველაფერი სრულყოფილი ხდება ("სამყაროში არაფერი სრულყოფილი არ არის, გარდა ერთიანობისა" ამბობდა ჰეგელი -21). აქედან გამომდინარე, სამყაროს ერთიანობის სრულყოფილებას საფუძვლად ერთიანი, ანუ ზოგადი კანონი უნდა ედოს; „ყველაფრის ერთიანობის იდეა გაადამიანების საწყისია" (ლ. ნემიროვსკაია -27). ადამიანის ორგანიზმის ცალკეული ნაწილებიც ორგანიზმის მთლიანობის გარეშე არასრულფასოვნებით ხასიათდება და მხოლოდ ორგანიზმში ერთიანდება ერთ სრულყოფილებაში.

ადამიანის ორგანიზმი, როგორც მარადმოძრავი სამყაროს შემადგენელი ნაწილი და ევოლუციის უმაღლესი ფორმის თვითმართვადი სისტემის ცხოველმყოფელობა, სამყაროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს აერთიანებს ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების მაქსიმალური ფუნქციონირების,

შესრულების მოთხოვნილებათა შესაბამისად, ამიტომ მისი შეაწავლა სამყაროს ზოგადი კანონების ერთიანობისა და დინამიკურობის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს.

მკურნალობა ან დიაგნოსტიკის მეთოდები, რომელიც არ ითვალისწინებს ზოგად კანონზომიერებას, ანუ ორგანიზმის ფსიქიკურსა და ფიზიკურ ერთიანობას (ფსიქოლოგიაში, გერონტოლოგიაში, ფსიქოთერაპიაში, ბაქტერიოლოგიაში, ფსიქიატრიაში, ფიზიოთერაპიაში და სხვა) არ შეიძლება სრულფასოვანი იყოს. მაგალითად, ფსიქოლოგიურ განწყობას (ფსიქოლოგიური განწყობა ფუნქციის შესრულების ფენომენია და მას ფიზიკური სტრუქტურა ასრულებს) არავითარი ეფექტი არ შეიძლება ჰქონდეს „ფიზიკური განწყობის" გარეშე, რადგან ფიზიკური სტრუქტურების განწყობის გარეშე არავითარი იდეა არ სრულდება; ფსიქოლოგიური განწყობა კი შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიკურ სფეროზე ინფორმაციის ზემოქმედებით. აქედან გამომდინარე, ფსიქიკურ დაავადებათა მკურნალობა არ შეიძლება იყოს სრულფასოვანი მხოლოდ ფსიქიკურ სფეროზე ზემოქმედებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მხოლოდ ფროიდიზმისა და ნეოფროიდიზმის მეთოდოლოგიით ფსიქიკურ დაავადებათა განკურნება შეუძლებელია.

რადგან სამყარო უსასრულოდ მოძრავი, განვითარებადი და დინამიკურია, მასში განუწყვეტლივ მიმდინარეობს თვითწმენდა, ევოლუციური და რევოლუციური პროცესები და ადამიანის ცნობიერებაც, როგორც განვითარებადი, იცვლება დროისა და სივრცის ცვალებადობის შესატყვისად ახალი, უფრო განვითარებული აზროვნებით და სამყაროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შესწავლაც უსასრულო და დინამიკურია.

ამდენად, **ყველა დროის თეორიები და კონცეფციები შეფარდებითია და იგი სამყაროს შემეცნების ერთიან ზოგად თეორიაში ერთიანდება, როგორც უსასრულო სამყაროს ცნობიერებისა და გლობალური კანონზომიერების შემეცნების მწვერვალზე მიმავალი კიბის საფეხურები.** „ადამიანის ცოდნის ნებისმიერი სფერო რელატიურია და ეს მის უსასრულო განვითარებას განაპირობებს", ს. ავალიანი – 3) მეცნიერების განვითარებას მისი დარგების გაერთიანებასთან მივყავართ, რომელიც გაამთლიანებს ყველა ცალკეული დარგის მეცნიერულ

თეორიებს ერთიან ზოგად თეორიაში, სამყაროს უზენაესი კანონების ერთ განზოგადებულ თეორიაში, რომელიც ადამიანს მიიყვანს სამყაროს გლობალურ ცნობიერებამდე.

დღესაც კი ცალკეული მეცნიერებების — ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ანატომიის, ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, თერმოდინამიკის, „ოპტიკის" (ორგანიზმის სტრუქტურების ფუნქციონირება ხასიათდება რიტმული ბგერებით და ოპტიკური თვისებებით, რომლებიც იცვლება პათოლოგიური და ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესატყვისად) — მონაცემები ორგანიზმის რომელიმე ფუნქციის ან რაიმე პროცესის შესახებ მათემატიკის ენაზე — რიცხობრივ მაჩვენებლებში რომ გადავიყვანოთ, ისინი ერთმანეთს დაემთხვევა; ყველა მეცნიერება სწავლობს საგნებს, მოვლენებს, პროცესებს, ელექტრომაგნიტური ტალღების „შუამავლობის" სხვადასხვა მეთოდებით, გრძნობათა ორგანოების გზით.

თუ სამყარო იქნებოდა სასრული, განსაზღვრული, მაშინ მას უნდა ჰქონდეს საზღვრები და ერთი ცენტრი, მაგრამ რადგან სამყარო უსასრულოა (უსაზღვროა) და მრავალგანზომილებიანობითა და დინამიკურობით ხასიათდება, მასში იმდენი ცენტრი უნდა იყოს, რამდენიც შემადგენელი ნაწილია გაერთიანებული; ე.ი. ცენტრი და პერიფერია შეფარდებითი ცნებაა და სამყაროს ყველა რეგიონი, საიდანაც დავიწყებთ ათვლას, ცენტრი იქნება სამყაროს მიმართებაში (რეგიონების დაყოფა „ცენტრად" და „პერიფერიად" ადამიანების უზურპაციის, პროვინციებში მცხოვრებ ადამიანთა დამონებისა და ექსპლუატაციის დაკანონების ხერხია და, მაშასადამე, იგი უსამართლობას წარმოადგენს).

რადგან სამყარო უსასრულო და მრავალგანზომილებიანია, მასში შემავალი მატერიის ცალკეული სტრუქტურები სამყაროს ზოგადი თვისებებით — უსასრულობის და მრავალგანზომილებიანობის თვისებებით — უნდა ხასიათდებოდეს (1). ამავე დროს, სამყაროს ცალკეული სტრუქტურები სასრულობით ხასიათდება — აქვს საკუთარი ფორმა, თვისებები, ფუნქციები, განზომილებები და ცენტრი.

თუ სამყარო გლობალური და უსასრულოა, მაშინ მისი თვითმართვის პროცესი ერთიანი გლობალური მატერია-ენერგია-ინფორმაციის მოძრაობის შედეგია; ასევე მატერიის ცალკეული

ფორმები, მოძრაობის გარკვეული განზომილებების ფარგლებში თვითმართვადია; ამავე დროს იგი მართვადიცაა, რამდენადაც იგი სამყაროს შემადგენელი ნაწილია და სამყაროში მიმდინარე პროცესების ინფორმაციასაც ექვემდებარება. მაგალითად, უჯრედის ბირთვი მართვის ცენტრია, მაგრამ მისი მართვადი მოქმედება განპირობებულია ე.წ. უჯრედის „გარეთა მატრიქსებზე", პროტოპლაზმასა და გარემოზეც (19,20),ამიტომ უჯრედის (ასევე ორგანიზმის) თვითმართვა შეფარდებითია და გარკვეულ ეტაპზე იგი სამყაროს ზოგადი თვითმართვის იერარქიული კანონზომიერების შესაბამისობაში მართვადიც და თვითმართვადიცაა.

§2. ადამიანის ორგანიზმის თვითმართვის იერარქია

ადამიანის ორგანიზმი, როგორც უსასრულო სამყაროს ნაწილი, საკუთარი — კონკრეტული და ზოგადი — თვისებების მატარებელია; იგი თვითმართვადიცაა და მართვადიც, ხოლო ორგანიზმის თვითმართვის იერარქია მასში შემავალი იმ სტრუქტურების ფუნქციონირების მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს, რომელიც ორგანიზმის ცხოველმყოფელობას უძევს საფუძვლად. ამავე დროს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესები, ფუნქციები და ამ ფუნქციათა შესრულების ფიზიკური სტრუქტურები გეომეტრიული კონფიგურაციითა და ზუსტი მათემატიკური განზომილებებით ხასიათდება; ხოლო ცალკეული ფუნქციები და სტრუქტურები ინდივიდური განზომილებებითა და ფუნქციური მოძრაობით არის განპირობებული დროსა და სივრცეში (ადამიანის ორგანიზმში ფუნქციები, მოვლენები და პროცესები სამყაროში მიმდინარე მოვლენათა და პროცესთა ალტერნატივაა);

ადამიანის ორგანიზმის თვითმართვის იერარქია, როგორც ფსიქოფიზიკურ სფეროთა ურთიერთობის უპრეცენდენტო სოლიდარობა, სამყაროს უზენაესი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს და უნივერსალური ფორმის „დემოკრატიული სახელმწიფოს" კანონმდებლობის საფუძველია. აქედან გამომდინარე, რომ **ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესთა კანონზომიერება მისი სოციალური კანონმდებლობის საფუძველი უნდა იყოს.** ორგანიზმის თვითმართვა იმდენად სრუ-

ლყოფილია, რამდენადაც სრულყოფილად ემთხვევა მისი თვითმართვის რიტმი სამყაროს ერთიანი და იერარქიული თვითმართვის ზოგად რიტმებს, ე.ი. რამდენადაც სრულყოფილია ადამიანის ურთიერთობა სამყაროს მოვლენებსა და პროცესებთან, „ინფორმაციულობასთან", იმდენად სრულყოფილია მისი აზროვნება და სიცოცხლის ხარისხი (აკლიმატიზაციის, ადაპტაციის და მეტეოტროპიზმის საფუძველი გარემოსა და ორგანიზმში მიმდინარე მოვლენათა და პროცესთა შეუთავსებლობაა).

ადამიანის აზროვნება დაკავშირებულია შინაგან და გარეგან ინფორმაციასთან; ინფორმაციის საფუძველზე ყალიბდება აზროვნების სტრუქტურა და იგი ფსიქიკურ სფეროდან გადადის ფიზიკურ სფეროში და მოხდება თუ არა რეალიზაცია, მისი ჰოლოგრამის ასლი – ფანტომი, შაბლონი – მაინც გადადის გარე სამყაროში, ვრცელდება გარკვეული განზომილებების, ტალღების სახით და აღიქმება მოაზროვნე სტრუქტურებში. **ამრიგად, ინფორმაცია სამყაროში არავის საკუთრება არ არის, იგი დისკრეტულია და ვრცელდება ისე, როგორც ენერგია-ინფორმაცია; ამიტომ საიდუმლოება არ არსებობს, მისი აღქმა – ჩაწვდომა შესაძლებელია მიზნობრივი ცნობიერი და ქვეცნობიერი აზროვნებით.**

სამყაროსა და ადამიანებს შორის სხვადასხვა ხელოვნური ენერგო– ინფორმაციის, შლეიფების ჩამოყალიბებამ ანტროპოგენური ფაქტორებით, გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევამ შეასუსტა ადამიანის კავშირები სამყაროს, როგორც სისტემის „ინფორმაციულობასთან", **მოხდა სამყაროში ადამიანის დრო-სივრცობრივი განზომილებების შეცვლა, ცთომა, სამყაროსა და ადამიანის ურთიერთობის დეფორმაცია.**

§3. სამყაროს უზენაესი კანონები და გლობალური ცნობიერება

რადგან სამყარო უსასრულო, მრავალგანზომილებიანი და მუდმივმოძრავია, მის შემეცნებას მრავალგანზომილებიანი, მუდმივად განვითარებადი, გლობალური აზროვ-ნება სჭირდება (თანამედროვე შეხედულებით, ადამიანი საკუთარი ფიზიკური და

ინტელექტუალური, პოტენციალური შესაძლებლობის 5-15%-ზე მეტს ვერ იყენებს – ვერ ხარჯავს); ამდენად ადამიანის დღევანდელი ფსიქოფიზიკური შესაძლებლობა მეფარდებითია, ამავე დროს „იგი უსასრულოდ განვითარებადია", რომელსაც მივყავართ სამყაროს ჭეშმარიტების შემეცნებამდე, გლობალურ ცნობიერებამდე.

ზემოაღნიშნულიდან იბადება კითხვა: რა არის გლობალური ცნობიერება? როგორც ავღნიშნეთ, სამყარო სხვადასხვა ფორმის, მასის, თვისებების, პოტენციალების (პოლარობის), განზომილების, მუდმივმოძრავი მატერიის ერთობლიობაა; მასში შემავალი მატერიის ცალკეული ნაწილების ურთიერთზემოქმედება (დაპირისპირება, პოლარობა, განზიდულობა, მიზიდულობა, მოძრაობა ერთი ფორმიდან მეორეში, ცალკეულიდან ერთიანობაში და ერთიანობიდან ცალკეულში გადასვლა) პირობადებს მოვლენებსა და პროცესებს, რომლის გენეზისი და განზომილებები სამყაროს ზოგადი, ერთიანი უზენაესი კანონზომიერების გამოვლინებაა, ხოლო მისი შემეცნება გლობალური ცნობიერებაა, ანუ ჭეშმარიტების კრიტერიუმია (გლობალური ცნობიერება ჭეშმარიტების კრიტერიუმად მიმაჩნია). ამავე დროს იგი, როგორც სამყაროს ერთიანი, ზოგადი თეორიის საფუძველი, აერთიანებს ყველა ცალკეულ მეცნიერებას, თეორიებს, დებულებებს (ფიზიკურს, ბიოლოგიურს, სოციალურს);. ყველა მეცნიერების სპეციალურ თეორიებსა და დებულებებს საფუძვლად უძევს და უნდა გამომდინარეობდეს სამყაროს ზოგადი, ერთიანი თეორიის პრინციპებიდან (ე.ი. არა მარტო ცოცხალ არსებებს, არამედ სამყაროში ყველაფერს უნდა ჰქონდეს გენეტიკური კოდი და ტრანსკრიფცია – ე.დ.).

რადგან ენერგია-ინფორმაცია ყველაფერში – მატერიის ყველა ფორმაში – ვრცელდება (თვით მატერია ენერგო-ინფორმაციის ბაზაა), მატერიის კონკრეტულ ფორმებში იგი სამყაროს გლობალური ინფორმაციულობის ("ცნობიერების") ნაწილია. ეს ნიშნავს, რომ ენერგია-ინფორმაცია აერთიანებს მატერიის ყველა ფორმას, ყველა პროცესსა და მოვლენას სამყაროში. ამ ერთიანობაში მატერიის ყველა სახე საკუთარი, გარეგანი ფორმისა და თვისებების ენერგია-ინფორმაციული „ცნობიერებით" ანუ სამყაროს ერთიანი გენეტიკური თვისებებით ხასიათდება (46) და სამყაროში

მატერიის ერთი ნაწილი ინფორმაციით დაკავშირებულია ყველაფ-ერთან და ყველაფერი ერთ ნაწილთან და მათი „ცნობიერების" ურთიერთკავშირი გარეგანი ფორმის „ანტენებით" ხორციელდე-ბა ("გრავიტაცია სამყაროს ერთ წერტილში განპირობებულია მთელი სამყაროს მონაწილეობით"— ამბობდა ჰოილი).

§4. გარე სამყაროს და ორგანიზმის მიკრო და მაკროსტრუქტურების გარდამავალი ზღვარი

რადგან მატერიის კონკრეტული ფორმები ერთიმეორეში გა-დადის, კონკრეტულისა და ზოგადის ერთიანობის შეფარდებითი ზღვარი (არსებობს გარკვეული ზღვარი, სადაც მაკრო და მიკრო სამყარო ერთიანდება, უერთდება ერთმანეთს და იქმნება სამყარ-ოს ერთიანი სისტემა, წერს მ.ა. მარკოვი (26)) მიკრონაწილებისა და მათ დისკრეტულ, კვანტურ პროცესებში უნდა იყოს, რომლებიც ანიჰილაციის შედეგად (იშლებიან რა ულტრა, მიკრო ნაწილაკე-ბად) ისევ მთელში გადადის (სამყარო უმცირესი ნაწილაკებისაგან შედგება, რომლებიც ერთიანდება და ცალკევდება, როგორც ამ-ტკიცებდნენ ემპედოკლე, ანაქსაგორი, დემოკრიტე, ეპიკური და სხვა). ეს ნიშნავს, რომ სამყაროს განვითარება წარმოქმნისა და ნგრევის უწყვეტი ჯაჭვია. რადგან რაოდენობრიობა თვისებრიო-ბასთან კავშირშია, ნაწილაკები უნდა ხასიათდებოდეს, როგორც საკუთარი, კონკრეტული თვისებებით, ასევე გლობალური, უსა-სრულო სამყაროს თვისებებითაც (სხეული, მცირე და უმცირეს ნაწილაკებად დაყოფის დროსაც ინარჩუნებს მთელის თვისებებს, ამბობდა არისტოტელე). „მაკრო და მიკრო სამყაროს პირობით ზღვართან ერთი და იგივე მოვლენები ერთდროულად ექვემდე-ბარება როგორც კვანტურ მექანიკას, ასევე ფარდობითობის თე-ორიას" (ვ.ი. დიომინი — 25).

გარე სამყაროსთან ორგანიზმის ერთიანობის გარდამავალი, შუალედური, ანუ ურთიერთდაპირისპირებული ერთიანობის „ზონა" ამავე დროს მიკრო და **მაკროსამყაროს ურთიერთობის ჭიშკარია და მძიმე დაავადების კრიტიკულ— კრიზისული მდგომარეობის დროს პათოლოგიისა და ორგანიზმის ენერგო-ინფორმაციული დაპირისპირების „ბრძოლის ფრონტის", „ნეიტრალური", გარდამავალი, შუალედური, ვირტუალური**

ზონაა ანუ სიკვდილ-სიცოცხლის ჭიშკარი (ზღვარი), სამყაროსთან ორგანიზმის ორმხრივი ენერგო-ინფორმაციული კავშირების პულსი და ბარომეტრია. ამავე დროს იგი (სამყაროსთან ორგანიზმის ერთიანობის ზღვარი) სამყაროს უზენაესი კანონებისა და ორგანიზმის ცხოველმყოფელობის კანონზომიერებათა დაუფლების გასაღებია, სადაც მატერიის სხვადასხვა ფორმების ურთიერთგადასვლა აერთიანებს გრავიტაციას, ელექტრომაგნეტიზმს, თერმოდინამიკას, კვანტურ მექანიკას, ენტროპიას, ანიჰილაციას, ჰარმონიას, აგზნება-შეკავებას, განზიდულობა-მიზიდულობას, დისკრეტიულობას, ფლუქტუაციას და ენერგოინფორმაციის შემოდინება-გადინებასთან დაკავშირებული ყველა პროცესების და მოვლენების რიტმს. დაავადების დროს ორგანიზმის ყველა მიკრო და მაკროსტრუქტურა ერთიანი დრო — სივრცული განზომილებების ერთ ტალღაზე, ერთიან ველშია გაერთიანებული და ორგანიზმის სტრუქტურები უკიდურესი პოტენციური შესაძლებლობების ტოტალური დატვირთვით ფუნქციონირებს ე.ნ. „პათოლოგიური დეფორმაციის ზონაში"; ვირტუალური, ანუ შუალედური ზონის, ველის რიტმი და დიაპაზონი ორგანიზმის ცხოველმყოფელობის (ფუნქციონირების) ბიოლოგიური რიტმის დიაპაზონს შეესაბამება, მაგრამ, ამავე დროს, გარე სამყაროს ციკლურობა და რიტმების ცვალებადობა ორგანიზმის ბიორიტმებზე მართვად ზემოქმედებას ახდენს.

გარე სამყაროს მართვადი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე მიკრო და მაკროსამყაროს ერთიანობის გარდამავალ ზონაში იწყება და ვრცელდება მთელ ორგანიზმში გარეგანი და შინაგანი რეცეპტორების გზით; ორგანო-სისტემები გარე სამყაროსთან მჭიდრო კავშირშია და ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების დრამატიზმის განვითარების პროფილაქტიკა უნდა ითვალისწინებდეს ორგანიზმის თვითმართვის აღდგენისა და მასზე გარემოს მართვადი ზემოქმედების კორექტირებას; ამიტომ სამკურნალო ზემოქმედების მეთოდოლოგია მოითხოვს ადამიანისა და გარე სამყაროს ერთიანობის უზენაესი კანონების გაცნობიერებას, რომელიც მიკრო და მაკროსამყაროს გარდამავალი, შუალედური, ვირტუალური ზღვარის, ზონის დიაპაზონის ველშია კონცენტრირებული.

რადგან სამყაროში ყველაფერი ერთი და იგივე ფუნდამენტური ნაწილაკებისაგან შედგება (მიკროსამყარო მაკრო და მეგასამყაროს მიკრომატრიცაა), ყველაფრისაგან ყველაფერი შეიქმნება; „ყველაფერი წამალია და ყველაფერი საწამლავია" და მიკროსამყაროს შესწავლით შესაძლებელია მაკრო და მეგასამყაროს გლობალური პროცესების შესწავლა და პირიქით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მოვლენები, პროცესები და ფუნქციები მიკრონაწილაკების კვანტური პროცესებით იწყება და დაავადების განვითარების რთული, **მრავალსაფეხურიანი მექანიზმის პირველადი რგოლი — რაოდენობრივი ცვლილებები, „სიჭარბე და დეფიციტი" — უჯრედის ფუნდამენტური მიკრონაწილაკების დონეზე რიცხობრივი მაჩვენებლებით ხასიათდება** და იგი ადრეული დიაგნოსტიკა-მკურნალობის საწინდარია (ყველა პროცესი, არისტოტელეს აზრით, მიმდინარეობს მარტივიდან რთულისაკენ).

გარე სამყაროსთან ადამიანის ორგანიზმის ენერგო-ინფორმაციის ცვლა, როგორც სიცოცხლის საფუძველი, გრძნობათა ორგანოების „ანტენებით" და „დეტექტორებით" ხორციელდება და ორგანიზმისათვის აუცილებელი ფუნქციების შესრულების პროცესში შინაგანი და გარეგანი, დადებითი და უარყოფითი მუხტების ურთიერთმოქმედების წრედის შეკვრით (ველის შექმნით) გამოიხატება, რომელიც ენერგიის შემოდინებისა და გადინების წონასწორობის ხარისხს განაპირობებს. ამ წონასწორობის დარღვევა ორგანიზმში სიჭარბისა და დეფიციტის ჩამოყალიბების მიზეზია და ორგანიზმის კარდინალური ფუნქციის ბიოლოგიური თვითწმენდის ხარისხს განაპირობებს; ეს უკანასკნელი კი სიცოცხლის ხარისხს, ანუ ორგანიზმის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობის ხარისხს — ორგანიზმის ბიოლოგიური თვითწმენდის ფუნქციის ხარისხი — განაპირობებს.

§5. ორგანიზმის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობის მექანიზმი

ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობა, მისი ფუნქციონირება უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მისი სტრუქტურების სამგანზომილებიანი რაოდენობრიობის მოძრაობა, ფუნქციონირება

დროსა და სივრცეში გენეტიკურად დაპროგრამებული განსაზღვრულობის ფარგლებში, რაც სტრუქტურის შინაგანი წონასწორობისა და ფუნქციის შესრულებაში გამოიხატება. ამავე დროს ყველა სტრუქტურათა შორის არსებობს შინაგანი და გარეგანი ურთიერთობის წონასწორობა, რომელიც ორგანიზმის ერთიანი წონასწორობის, ანუ ფსიქოფიზიკურ სფეროთა ერთიანობასა და წონასწორობას ("ადამიანი სხეულისა და სულის ერთიანობაა"— წერდა ლ. ფოიერბახი — 13) განაპირობებს და ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების — ცხოველმყოფელობის — საფუძველია; ე.ი. ორგანიზმის ცხოველმყოფელობა, მოძრაობის სხვადასხვა ფორმების სოლიდარული ერთიანობის შედეგია.

პათოლოგია, როგორც მოძრაობის დარღვევა, იწვევს სტრუქტურის ("სტრუქტურის დანიშნულებაა ფუნქციის შესრულება", წერდა არისტოტელე — 15) შინაგანი და გარეგანი წონასწორობის დარღვევას, რომელიც რაოდენობრივი ცვლილებების **გამო სტრუქტურის დრო-სივრცობრივი მდგომარეობის ცთომაა, დეფორმაციაა საკუთარი განსაზღვრულობის ფარგლებიდან, რაც დეფორმირებულ, დასახიჩრებულ მოძრაობას, ანუ ფუნქციას განაპირობებს და პათოლოგიური სიმპტომებით** — კლინიკური სურათით — ვლინდება.

ადრეული მკურნალობის მეთოდოლოგია ითვალისწინებს დარღვეული ფუნქციის, სტრუქტურის რაოდენობრიობის ნიველირებას საკუთარი დრო-სივრცული განსაზღვრულობის ფარგლებში, ანუ სტრუქტურის შინაგანი დეფორმაციის აღდგენას; მაგრამ სტრუქტურის რაოდენობრიობის, ანუ შინაგანი დეფორმაციის აღდგენის შემდეგ სტრუქტურათა შორის წონასწორობის ე.წ. გარეგანი დეფორმაციის აღდგენას გარკვეული დრო სჭირდება იმისათვის, რომ მოხდეს როგორც „მეზობელი" რეგიონული სტრუქტურის, ფუნქციის, ასევე ორგანიზმის ზოგადი ფუნქციების აღდგენა; ამდენად ფიზიკური განკურნება (როდესაც ცალკეული პათოლოგიური სტრუქტურის რაოდენობრიობა უბრუნდება საწყის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას) არ ნიშნავს გაჯანსაღებას, სანამ პათოლოგიური ინფორმაციები არ გამოიდევნება ორგანიზმის ყველა „დეფორმირებული სტრუქტურებიდან" და სფეროებიდან და არ მოხდება დეფორმირებული, დასახიჩრებული ფუნქციების შინაგანი და გარეგანი მრავალსაფეხურიანი და მრავალშრიანი კავშირების

აღდგენა. ყველა ეს პროცესი გარემოსთან ურთიერთობის ზოგად, ანუ უზენაეს კანონზომიერებას ეფუძნება. როდესაც ლაპარაკია სამყაროს ზოგადი კანონზომიერების შესახებ, იბადება კითხვა: რა არის სამყაროს ზოგადი კანონზომიერება?

§6. სამყაროს ზოგადი (უზენაესი) კანონზომიერება და მედიცინა

სამყაროს ზოგადი კანონზომიერების ცნებაში იმას ვგულისხმობთ, რომ მატერიის ყველა ფორმა, საგნები, სტრუქტურები, მოვლენები და პროცესები, როგორც სამყაროს ერთიანი ენერგო-ინფორმაციის ნაწილი, ხასიათდება სამყაროს ერთიანი „გენეტიკური" კოდით, საკუთარი ფორმით, გეომეტრიული კონფიგურაციის სამგანზომილებიანი რაოდენობრიობის მოძრაობით დროში, შედგება ერთი და იგივე ფუნდამენტური ნაწილაკებისაგან, მოიცავს ერთიან ენერგია-ინფორმაციის ნაწილს, აქვს საკუთარი სტრუქტურა და ფუნქცია; იგი ხასიათდება დისკრეტულობით, კვანტური თვისებებით, მოძრაობის საკუთარი და ზოგადი თვისებებით, ინფორმაციის მიცემა-გაცემის, გაცვლის ფიქსირებით, ევოლუციური ცვალებადობითა და მარადმოძრაობით, პოლარობით, განზიდულობა-მიზიდულობით, მართვითა და თვითმართვით, საკუთარი ოპტიმალური თვისებების პიკით განსაზღვრულ დროსა და სივრცეში, ერთი ფორმიდან მეორეში, ცალკეულიდან ერთიანობაში და ერთიანობიდან ცალკეულში გადასვლით. **რადგან სამყაროში ყველაფერი (ბიოლოგიური, ფიზიკური, სოციალური) სამყაროს ერთიანობის უზენაეს კანონებს ეფუძნება, ყველაფერი, რაც ამ კანონზომიერებიდან არ გამომდინარეობს და მას არ ეფუძნება არაკანონზომიერია და არა აქვს არსებობის ფუნდამენტური და გენეტიკური საფუძველი,** რადგან იგი დეფორმირებულ მდგომარეობაშია სამყაროს ერთიანობასთან (ჰარმონიასთან), ასიმეტრიულ წონასწორობასთან.

თუ ყველაფერს აქვს გენეტიკური საფუძველი, მაშინ სამყარო და მისი „ცნობიერება" პირველადია; შემდეგ შეიქმნა ადამიანი, მისი აზროვნება, ცნობიერება, სოციოლოგია, მედიცინა, მეცნიერების სხვადასხვა დარგი და ა.შ.. „სიცოცხლის ყველა გამოვლინე-

ბათა შორის გონება ერთადერთია გარე სამყაროდან შემოსული" (არისტოტელე"- 14, 15). იგი გარემოს ენერგოინფორმაციაა, რადგან ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა და ცნობიერება სამყაროს (ბუნების) ე.წ. გლობალური „ცნობიერებიდან", ანუ ინფორმაციულობიდან გამომდინარეობს, იგი მოიცავს და აერთიანებს სამყაროს მოვლენებსა და პროცესებს, თვისებებს. იგი ადამიანმა შეითვისა და განავითარა სამყაროს შემადგენელი მატერიის სხვადასხვა ფორმისა და მათი ურთიერთქმედებით გამოწვეული მოვლენების და პროცესების ზემოქმედებით; გარე სამყაროს მოვლენებისა და პროცესების „ზემოქმედებათა" შორის ყველაზე შთამბეჭდავი, შეუცნობელი და გრანდიოზული იყო პლანეტები, ვარსკვლავები, მზე, სინათლე, სიბნელე, ფერები, ბგერები, მთვარე, ელვა, ჭექა-ქუხილი, სეტყვა, წვიმა, თოვა, ყინვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, მიწისძვრა; ყოველივე ეს ზეციდან ხდება და ამიტომ ადამიანის ყურადღება, ცნობიერება და ინტერესი მიმართული იყო ზეცისაკენ, ღმერთის სამყაროში. ღმერთისაგან ადამიანი მოელოდა დახმარებას, შველას, წყალობას, პატიებას, შეცნობას. ყოველივე ეს იყო სინამდვილის ასახვა, რომელიც ამდიდრებდა და აფართოებდა ადამიანის ცნობიერებას, იქმნებოდა ცნებები და მითები, რომელიც მოუწოდებდა ადამიანს იყოს კეთილი, მორწმუნე, მოყვარული, გაავრცელოს სიკეთე, მოსპოს ბოროტება (ეს იყო და იქნება ნორმალური ადამიანის მარადიული ოცნება და შინაგანი მოწოდება), რომელიც „ასე სჭირდება უბრალო ადამიანებს მიწაზე", როგორც სიმართლის, სიცოცხლის, სილამაზის, მშვენიერების, სიყვარულის და ადამიანის ძირითადი მიზნის ბედნიერების ბაზა. ამავე დროს ადამიანი თანდათანობით სწავლობდა და ეუფლებოდა გარე სამყაროს მოვლენებსა და პროცესებს, აყალიბებდა მის ამსახველ სახელწოდებებსა და კატეგორიებს, ქმნიდა მეცნიერების სხვადასხვა დარგს.

ამის შედეგად ადამიანი, როგორც სიცოცხლის განვითარების უმაღლესი სტადია, უფრო სრულყოფილი გახდა და სამყაროს მოვლენები, პროცესები და თვისებები ოპტიმალურად აისახა მისი ცხოველმყოფელობის სტრუქტურებში, ფუნქციების შესრულების მოთხოვნილებათა რაოდენობრიობის შესაბამისად; ისევე, როგორც ორგანიზმი აღიქვამს და ითვისებს ფერს, ბგერას, არომატს, რიტმებს, ასევე ითვისებს საკვებ პროდუქტებს, წყალს, ჰაე-

რს, სითბოს, სინათლეს და სხვა ელემენტებსა და პროცესებს, ენერგო-ინფორმაციის სხვადასხვა ფორმებში ორგანიზმის ფუნქციონირების მოთხოვნილებათა რაოდენობრიობის შესაბამისად; ბიოლოგიური სტრუქტურების რაოდენობრიობასა და ფუნქციონირებას სამყაროს უზენაესი კანონზომიერება, სიმართლე, ჭეშმარიტება უძევს საფუძვლად; ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურის სივრცობრივი წყობა უნიკალური არქიტექტურული შედევრების ტოლფასია, ხოლო მისი მიკრო და ულტრა სტრუქტურები გარემოს რელიეფის ასლებს ეფარდება (ორგანიზმის სხვადასხვა მიკრო და მაკროსტრუქტურები გარესამყაროს რელიეფის მოდელებია), ხოლო ორგანიზმის სტრუქტურათა ფუნქციონირება ფიზიკის, ქიმიის, მექანიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკის და სხვა პროცესთა და მოვლენათა ერთიანობის ფენომენია და ლოგიკისა და ფილოსოფიის კანონზომიერებითაა განპირობებული, ხოლო მისი რეალიზაცია მთელი ორგანიზმის ცხოველმყოფელობას განაპირობებს. ამავე დროს ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ყველა სტრუქტურა და ფუნქცია ფერებითა და ბგერებით ხასიათდება.

§7. სიცოცხლე, როგორც უზენაესი კანონების მოდელი და ყველა მეცნიერების საფუძველი.

სიცოცხლის ფენომენი და ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა აერთიანებს თავისთავში ყველა მეცნიერების საფუძველს, ხოლო ყველა მეცნიერება, სამყაროს უზენაეს კანონებს ეფუძნება. ამავე დროს, ყველა მეცნიერება სწავლობს სამყაროს კანონებს, მოვლენებს, პროცესებს და თვისებებს. ამიტომ, გვინდა ჩვენ თუ არა, ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის, ანუ სიცოცხლის კანონზომიერებათა შემსწავლელი მეცნიერება ყველა მეცნიერების საფუძვლებს აერთიანებს, ხოლო სიცოცხლის კანონზომიერება ყველა მეცნიერების საფუძველია. ამიტომ, მედიცინას – მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს ყველა მეცნიერებასთან, ანუ ჭეშმარიტი მედიცინა სხვა მეცნიერებათა მონაცემების გარეშე ვერ გადაწყვეტს ადამიანის გაჯანსაღების და სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემას. ორგანიზმის ცხოველმყოფელობა უნდა გავიცნობიეროთ, როგორც პიროვნების ფიზიკური,

ბიოლოგიური, ფსიქიკური, სექსუალური, სოციალური და ენერგო-ინფორმაციული სფეროებისა და მოვლენების, პროცესების, ფუნქციების ერთობლივი და ურთიერთ სოლიდარული ერთიანობის თვითმართვადი სისტემა. რადგან გარე სამყაროს მატერია, ენერგია-ინფორმაცია და მისი ცვლა დისკრეტულია, იგი სამყაროს და მასში შემავალი, მათ შორის ცოცხალი სტრუქტურების მოძრაობის რიტმული წყვეტილობის საფუძველია, რომლის ცხოველმყოფელობას გარე სამყაროსთან ენერგო-ინფორმაციული ცვლა განაპირობებს და რამდენად აქტიურია გარემოსთან ენერგია-ინფორმაციის ცვლა, იმდენად აქტიურია რიტმების მდგომარეობა. სტრუქტურის ფუნქციონირება, ინფორმაციულობა და სიცოცხლის ხარისხი (სიცოცხლის პროცესთა აქტიურობა).

ადამიანის ფსიქოფიზიკური მოქმედების ყველა აქტი ცნობიერი და ქვეცნობიერია,* ენერგო-ინფორმაციის კონცენტრაციაა სათანადო ორგანო-სისტემებში მიზნობრივი ფუნქციონირებისათვის და იგი ორგანიზმის თვითმართვის ფუნქციით ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ორგანიზმის თვითმართვის ფუნქციის ხარისხი ენერგია– ინფორმაციის „შემოდინებისა" და „გადინების" ხარისხთანაა დაკავშირებული და მისი ცნობიერი და ქვეცნობიერი **მართვა და თვითმართვა აზროვნების კომპეტენციაა, ხოლო აზროვნება ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სფეროების ურთიერთსოლიდარული ფუნქციონირების ერთიანი ნაყოფია; გარე სამყაროდან ინფორმაცია ორგანიზმში ყველა ორგანო-სისტემის და ყველა გრძნობათა** ორგანოების გზით შემოდის, ასევე – საჭმელით, წყლით, ჰაერით, ბგერებით, ფერებით, სინათლით შემოედინება.

ორგანიზმი, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდუუმი, ზოგადია მასში შემავალი ნაწილებისათვის; ამავე დროს, ორგანი-

---

(*) ცნობიერი, ქვეცნობიერი და ზეცნობიერი თუ სხვადასხვა სტრუქტურებია, მათი ერთდროული ფუნქციონირება შესაძლებელია ერთი განზომილების სივრცობრივი პოზიციურობით და თუ ერთი და იგივე სტრუქტურებია, მაშინ ან ერთდროულად ფუნქციონირებს ანდა ერთი ნაწილი ფუნქციონირებს, დანარჩენი შეფარდებით შეკავებაშია. თუ ცნობიერი, ქვეცნობიერი და ზეცნობიერი, ერთი და იგივე სტრუქტურის სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობაა, ცალკეული მათი ფუნქციონირება თანამიმდევრობით უნდა ხდებოდეს მაკორდინირებელი დომინანტური ფუნქციის - ცნობიერის - ზემოქმედებით.

ზმში შემავალი მიკრო და მაკრო ნაწილების ფუნქციონირების ერთიანობა განაპირობებს მთელი ორგანიზმის ცხოველმყოფელობას და ორგანიზმის თვითმართვა-თვითრეგულაცია მასში შემავალი

ყველა უჯრედებისა და ნაწილაკების ენერგია-ინფორმაციულობის შემოქმედებითი ერთიანობის შედეგია. ჯანმრთელი ორგანიზმის ყველა შემადგენელ ნაწილს და წერტილს შორის არსებობს ურთიერთშეთანხმებული, ორმხრივი ინფორმაციული კავშირის და უკუკავშირის კორექტული სოლიდარობის ჰარმონია (ორგანიზმში იმდენი ცენტრია, რამდენი შემადგენელი ნაწილი და ფუნქციაა).

ორგანიზმის შემადგენელი ყველა ნაწილი და წერტილი უნივერსალური **თვისებებით ხასიათდება და ორგანიზმის ნებისმიერი წერტილიდან (თვითოეული ორგანიზმის დონეზე იგი ინდივიდუალურია) და რეგიონიდან შეიძლება ზემოქმედება ნებისმიერ ორგანო-სისტემების ფუნქციებზე და არა მარტო ე.წ. აკუპუნქტურის წერტილებიდან.** ***აქედან გამომდინარე, დაავადებათა კლინიკური სურათის პოლიმორფიზმი-მრავალსახეობა, მაგალითად, რომელიმე ორგანოს პათოლოგიურით გამოწვეული სიმპტომები*** შეიძლება გამოვლინდეს ორგანიზმის ნებისმიერ რეგიონსა და წერტილებში.

ადამიანის ორგანიზმი, როგორც განვითარებული და განვითარებადი მატერიის უმაღლესი შედეგრი და მასში შემავალი ყველა უჯრედი და ატომი, შინაგანი და გარეგანი ინფორმაციის მიღების, გაცემის, რეალიზაციის და ფიქსირების ანუ „ცნობიერების" მატარებელია და გენეტიკური ან შეძენილი ინფორმაციების „მახსოვრობა", „ფიქსირება" და „შენახვა" ორგანიზმის ყველა უჯრედის კომპეტენციაა (და არა მარტო ცენტრალური ნერვული სისტემის) და იგი ორგანიზმის ცნობიერების ერთიანობის საფუძველია. მაგალითად, უჯრედის შემადგენელმა ატომებმა, მოლეკულებმა, მიკრონაწილაკებმა „იციან" თავისი მოძრაობის ორბიტა, ტალღების სიხშირე და ამპლიტუდა, ასრულებენ მოძრაობას, განზიდულობისა და მიზიდულობის ზუსტი მათემატიკური განზომილების ფარგლებში გენეტიკურად „კოდირებული" ფუნქციის შესრულების შესაბამისობაში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ უჯრედი, მისი

შემადგენელი მიკრონანილაკები საკუთარი მოძრაობის განზომილებების ფარგლებში სინამდვილის ინფორმაციის „ცნობიერებით" არიან „განსწავლულ-გაცნობიერებული" და ასრულებს მას ორგანიზმის საერთო იერარქიული მართვის სოლიდარობის პრინციპების შესაბამისობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზმში მიმდინარე პროცესების შემეცნებით ადამიანს შეუძლია გარე სამყაროს შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის მოპოვება და საკუთარი ორგანიზმის თვითრეგულაციის, თვითმართვის კორექცია ყველა ორგანო-სისტემის დონეზე.

სამყაროს ერთიანი იერარქიული კანონზომიერებიდან გამომდინარე, მასში შემავალი მიკრო, მაკრო და მეგა მატერიის ნაწილები და ადამიანიც სამყაროს ერთიანი თვითმართვის პროცესების ზემოქმედების გარემოში თვითმართვის ინდივიდუალური თვისებით ხასიათდება და ცალკეული ორგანო-სისტემების თვითრეგულაცია — ავტონომიური ფუნქციონირება — მთელი ორგანიზმის თვითრეგულაციასთან ისეთსავე იერარქიულ ურთიერთობაშია, როგორც ადამიანის ორგანიზმი სამყაროს თვითმართვის სისტემასთან.

რადგან ავტონომიური თვითრეგულაცია გარკვეული ენერგია-ინფორმაციის (როგორც ერთიანი ენერგია-ინფორმაციის შემადგენელი ნაწილი) შედეგია, ინფორმაციის მიღება, გადაცემა, ფიქსირება, ანალიზი და ტრანსფორმაცია ცნობიერების ტიპის ელემენტებით ხასიათდება. ადამიანის აზროვნება ორგანიზმის ყველა სტრუქტურაში ინფორმაციის მიღების, რეგისტრაციის (ორგანიზმი და მისი სტრუქტურები, ინფორმაციის მიმღები, ცოცხალი ანტენაა), ანალიზის და სინთეზის პროცესია ტვინის უჯრედებში, რომელიც აყალიბებს ადამიანის ცნობიერებას, ხოლო ცნობიერი, ქვეცნობიერი, ზეცნობიერი (ინტუიცია) აზროვნების ერთიანი სტრუქტურის კონკრეტული რაოდენობრიობის სხვადასხვა განზომილების პოზიციურობაა გარკვეულ დროსა და სივრცეში.

ინსტინქტი მცდარი ცნებაა და იგი გარკვეული განზომილების ფარგლებში ცნობიერებაა, ანუ გარკვეული „დონის" აზროვნებაა, გენეტიკური ტრანსკრიფციის, ანუ შეძენილი ინფორმაციის შესაბამისად, ფუნქციის შესრულებაა გარკვეული განზომილებების ფარგლებში; ინსტინქტის განმარტება როგორც

„გაუცნობიერებელი მიზანდასახული მოქმედება“ (ენციკლოპედიური ლექსიკონი, მოსკოვი 1989 წ.) არასწორია, რადგან გაუცნობიერებელი მიზანდასახული მოქმედება არ შეიძლება იყოს; იგი ან გენეტიკურად კოდირებული ტრანსკრიფციაა შესაბამისი ფუნქციის შესრულებით, ან „მწვავე“ ინფორმაციის ადეკვატური საპასუხო რეაქციაა, რეალიზაციაა ფუნქციის შესრულების სახით, რაც უკვე აზროვნებაა. ამის მაგალითია ცხოველთა ყოფა-ცხოვრება (მგლების გონივრული ქცევა, ორგანიზებულობა, სოციალიზაცია და იერარქიული ურთიერთობა (31), ასევე ფუტკრების, ჭიანჭველების და სხვა.

რადგან ინფორმაციის მიღება, ანალიზი, სინთეზი, ტრანსფორმაცია, რეალიზაცია ცნობიერებაა (აზროვნებაც და მისი შედეგი ფიზიკურ მოძრაობაში გამოიხატება), ამიტომ გარე სამყაროში, როგორც ერთიან სისტემაში, მიმდინარე მოვლენები და პროცესები, ენერგია-ინფორმაციის მიღების შედეგად გამოწვეულ მოძრაობას — ცნობიერების ელემენტებს უნდა შეიცავდეს; ე.ი. რადგან სამყაროში ყველაფერი მოძრაობის პარამეტრებითა და რიტმებით ხასიათდება, მოძრაობა კი — გარკვეული ფუნქციის შესრულებაა, სამყაროს მრავალგანზომილებიანი მოძრაობა მრავალგანზომილებიანი ენერგია-ინფორმაციების შედეგია და ამ ინფორმაციულობას, ანუ სამყაროს ინფორმაციულობას შეიძლება სამყაროს „ცნობიერება“ ეწოდოს.

სამყაროს მოვლენები და პროცესები, როგორც მოძრაობის შედეგები და ინფორმაციის წყარო, კვლავ ვრცელდება გარე სამყაროში, მათ შორის ადამიანის ორგანიზმშიც. ადამიანის აზროვნების სფერო ღებულობს რა გარემოდან (სამყაროდან) ინფორმაციას, აყალიბებს გარკვეულ იდეას, რომელიც მოიცავს მოძრაობის პროგრამას და სრულდება ფიზიკური სფეროს მიერ, ხოლო მისი ასლები — ფანტომები — ისევ სამყაროში ვრცელდება, როგორც გარკვეული განზომილების, ინფორმაციის ფიზიკური სტრუქტურა და ამდიდრებს სამყაროს ინფორმაციულობას. სამყაროში მატერიის ყველა ფიზიკურ სტრუქტურას შორის არსებობს ინფორმაციის მუდმივი ცვლა, მოძრავი ენერგო-ინფორმაციული კავშირები და უკუკავშირები, რაც ფუნქციის შესრულებას ნიშნავს.

რადგან ფსიქიკური პროცესები ერთიან საკოორდინაციო იერარქიულ ცენტრს — ორგანიზმის ნებისყოფას — ექვემდებარე-

ბა, ფსიქიკურის იერარქიულ მართვაში ცნობიერი მაკორდინირებელია, ხოლო ქვეცნობიერი და ზეცნობიერი ინფორმაციის ავტომატური რეალიზაციაა ცნობიერების ზოგადი ინფორმაციის „პროგრამის" საფუძველზე. **ამდენად ადამიანის აზროვნება, როგორც სამყაროს „გლობალური ცნობიერების" (ინფორმაციულობის) ნაწილი, ყველაფრის საწყისი და საზომია ადამიანის მოქმედების სფეროში. იგი უნივერსალური ხელოვნებაა და მისი ფიზიკური და სულიერი სფეროს ყველა შესაძლებლობების მართვა, ანუ ორგანიზმის თვითმართვა აზროვნების (ცნობიერი, ქვეცნობიერი და ზეცნობიერი) კომპეტენციაა;** ამავე დროს აზროვნება ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთიანი და სოლიდარული შემოქმედებაა. ორგანიზმის ფსიქოფიზიკურ ერთიანობაში ცალკეული სტრუქტურების ფუნქციონირების ხარისხი ორგანიზმის ფუნქციონირების (ცხოველმყოფელობის) რიტმში სიცოცხლის და აზროვნების ხარისხის ეკვივალენტური საფუძველია.

სიცოცხლის ხარისხი და ხანგრძლივობა აზროვნების ცნობიერი და ქვეცნობიერი სტრუქტურების ფუნქციონირების ხარისხითაა განპირობებული და ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედება-აზროვნება ასევე ორგანო-სისტემათა ფიზიკური სტრუქტურების მოქმედება-ფუნქციონირება (ჰორმონები, ფერმენტები, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სინთეზი და გამოყოფა მეორადი პროცესია) მთელი ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მოთხოვნილებათა შედეგია, როგორც სიცოცხლის ფენომენის ფუნქციონირების საფუძველი.

რადგან ადამიანი ერთიანი ენერგო-ინფორმაციით დაკავშირებულია გარე სამყაროსთან, შესაძლებელია გარემოდან ენერგია-ინფორმაციის მიღება ორგანიზმის მიზნობრივი საჭიროებისა და მოთხოვნილების შესაბამისად. **ორგანიზმს შეუძლია ისეთი სუბსტრატის სინთეზირება, რომელიც აუცილებელია სიცოცხლის შენარჩუნებისა და გახანგრძლივებისათვის.** მაგალითად, იმუნური თვისებები, სპერმატოგენეზი და სხვა, როგორც ორგანიზმის ყველა ნაწილის და უჯრედის ინფორმაციის შენადედი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ორგანიზმის ყველა უჯრედი არის ერთი ნიშნის (კოდის) და განზომილების ენერგია-

ინფორმაციის გენეტიკური ბაზა, რომლის ორმხრივი ურთიერთობისა და ურთიერთკავშირის, „სოლიდარობა" ორგანო-სისტემათა სახით წარმოადგენს ორგანიზმის ავტონომიურ „სახელმნიფოს", ცხოველმყოფელობას სამყაროში; ორგანო-სისტემებს გააჩნიათ სპეციალური, ზოგადი რეგიონალური და ცენტრალური სარეგულაციო ანსამბლი ნერვული სისტემის ბლოკების სახით; აზროვნების, ნებისყოფის დირიჟორობით „ინტელექტით შეცნობადობა მართავს ნებისყოფას" (თომა აკვინელი), რომელიც, როგორც ორგანიზმის შემადგენელი ყველა ნაწილების ერთიანი ნება, მას აერთიანებს სამყაროს ერთიანობის სისტემაში.

ამრიგად, სიცოცხლე ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი სამყაროს ურთიერთზემოქმედებით მრავალგანზომილებიანი მარტივი და რთული მოძრაობაა დროსა და სივრცეში, რომელიც ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთობლივ შემოქმედებაში გამოიხატება.

გარე სამყარო (ბუნება), როგორც „გლობალური ცნობიერების" (ინფორმაციულობის) თვითმართვადი სისტემა, ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალური სტრუქტურების მართვისა და თვითმართვის მატრიცაა.

თავი მეორე

ადამიანის ორგანიზმი, როგორც ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობა

§1. შინაგანი და გარეგანი გარემო, როგორც ინდივიდუალური ნიშანთვისებების საფუძველი.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ეროვნებისა და მოდგმის ადამიანები თავიანთი განსაკუთრებული, განუმეორებელი, განსხვავებული ნიშან-თვისებებით, ფიზიკური და ფსიქიკური სფეროების თავისებურებებით ხასიათდებიან, რაც მათ გარეგნობასა და მოქმედებაში აისახება და გამოიხატება ენაში, ადათწესებში, ტემპერამენტში, გრაციაში, ტრანსაქციებში; ამიტომ თითეული ერის, სახელმწიფოს, რეგიონის, სოფლის, ქალაქისა და კუთხის მოსახლეობა და პიროვნებები განუმეორებელი, ზოგადი და სპეციფიკური ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან. ამ პრინციპზეა აგებული და შედგენილი ადამიანთა სხვადასხვა ფსიქოფიზიკური ტიპობრიობის კლასიფიკაცია.

ამავე დროს, სხვადასხვა ერის, ფერის, ზნეობის, ენისა და სხვადასხვა გეოგრაფიული ზონის მცხოვრებნი ერთნაირი, ზოგადი ადამიანური ნიშან-თვისებებით და ანატომიურ-მორფოლოგიური, ტოპოგრაფიული სტრუქტურებით ხასიათდებიან. სხვა სიტყვებით, ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიკური სტრუქტურები, ორგანოები, სისტემები მოლეკულები, ატომები, ანატომიურად და მორფოლოგიურად იდენტურია; მაგრამ ამ ობიექტური მონაცემებით ვერ დავადგენთ ადამიანის ეროვნებას, ენას, პროფესიას, გეოგრაფიულ წარმოშობას და სხვა. მაგრამ მიუხედავად ანატომიური, მორფოლოგიური, ტოპოგრაფიული იდენტურობისა, ადამიანები, ცოცხალი არსებები და მათი ცალკეული სტრუქტურები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან სპეციფიკური ნიშან-თვისებებით.

ისმება კითხვა, რაში მდგომარეობს ადამიანთა ინდივიდუალური, განმასხვავებელი ნიშნები და თვისებები?

ამისათვის საჭიროა განვიხილოთ ბიოლოგიური და ფიზიკური სტრუქტურების ზოგადი და კერძო თვისებები გარე სამყაროსთან ერთიანობაში.

როგორც ცნობილია, ცალკეული საგნები, მოვლენები და პროცესები, როგორც ფიზიკური სტრუქტურები, რაოდენობრიობისა და თვისებრიობის გარკვეული ზღვარით ხასიათდება, რომელიც საფუძვლად უძევს მათ ნიშან-თვისებებს და რომელთანაც დაკავშირებულია მათი სახელწოდებები.

რადგან ბიოლოგიური და ფიზიკური სტრუქტურების თვისებრიობა მოძრაობაში გამოიხატება, მათი სტრუქტურების „გენეტიკური" რაოდენობრიობა არ შეიძლება იყოს მყარი, უძრავი, ხოლო მოძრაობის ხარისხის შესაბამისად სტრუქტურები გარკვეული ზღვრის „დინამიკური დიაპაზონის ამპლიტუდით" ხასიათდება; კერძოდ, სტრუქტურის მოძრაობის დინამიკური ამპლიტუდა და რაოდენობრიობის გარკვეული ზღვრის დიაპაზონი ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, როდესაც რკინა, წყალი და სხვა საგნები თბება, მათი სტრუქტურების მოცულობა, მოძრაობის სიხშირე და ამპლიტუდა დიდდება, ე.ი. შეიცვლება რაოდენობრიობისა და მოძრაობის საწყისი განზომილებები; თუ საწყისად ავიღებთ 0-ს და მოცულობა გადიდდება 0,3 ერთეულამდე, მოძრაობის ამპლიტუდა იქნება 0,3. თუ წყლის შემდგომი 100^0-მდე გათბობით მოცულობა მოიმატებს 0,5 ერთეულამდე, მისი რაოდენობრიობის მაქსიმალური მოცულობა გახდება 0,5, ხოლო ტემპერატურის დაწევით მისი რაოდენობრიობა და მოცულობა მოიკლებს. როდესაც წყალი 0^0C-ს ქვევით გაიყინება, გადავა სხვა რაოდენობა-თვისებრიობაში; ე.ი. წყლის სტრუქტურის განსაზღვრულობის, რაოდენობრიობისა და მოძრაობის შეფარდებითი დინამიკური დიაპაზონი 0-დან 100^0-მდე იქნება 0,1-დან 0,5 ერთეულამდე. ამრიგად, წყალი ინარჩუნებს თვისებრიობას მოძრაობისა და მოცულობის ზღვრის დინამიკური დიაპაზონის ფარგლებში 0-დან 100^0-მდე, თუმცა წყლის სტრუქტურა სივრცობრივ დეფორმაციას განიცდის, რომელიც უბრუნდება საწყის მდგომარეობას (ასევეა ყველა საგანი და მოვლენა). წყლის „ზღურბლოვანი დიაპაზონი" კი ფაქტობრივად უსასრულოა,

რადგან იგი, როგორც ორთქლიდან, ისევე ყინულოვანი ფორმიდან საკუთარ რაოდენობრიობა-თვისებრიობას უბრუნდება.

ბიოლოგიური სისტემები ფუნქციური მოძრაობის დიდი ამპლიტუდით — „ლუფტით", „დინამიკური, ზღურბლის დიაპაზონით"-ხასიათდება და აქვს სტრუქტურის მოძრაობის მინიმალური და მაქსიმალური (შინაგანი და გარეგანი) საზღვრები და ამ საზღვრების ცვალებადობის ე.წ. დინამიკური დიაპაზონი, რომელიც სტრუქტურის მინიმალური და მაქსიმალური ფუნქციური შესაძლებლობის მოძრაობის დიაპაზონს განაპირობებს დროსა და სივრცეში. ფუნქციური მოძრაობის ზღვრის დიაპაზონი უნდა წარმოვიდგინოთ ციფერბლატიან სასწორზე (0-დან 10 ერთეულამდე დანაყოფით), ისრის მოძრაობის დიაპაზონის სახით, რომელზედაც სიმძიმის ეკვივალენტი „სტრუქტურის ფუნქციური მოძრაობის დიაპაზონი" იქნება.

ბიოლოგიური და ფიზიკური სტრუქტურები, მოვლენები და პროცესები, როგორც სამყაროს ერთიანი ენერგო-ინფორმაციის ნაწილი, სამყაროს ერთიანი, „გენეტიკური" თვისებებით ხასიათდება, კერძოდ, მუდმივი ცვალებადობითა და მოძრაობით. ამიტომ დედამიწის სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში მოვლენები და პროცესები (ელექტრომაგნიტური, გრავიტაციული, მზის სპექტრის აქტივობა, ატმოსფერული და მეტეოსინოპტიკური პროცესები, ასევე წყალი, ჰაერი და დედამიწის ქერქის შემადგენლობა) სხვადასხვა რაოდენობრიობით, თვისებრიობითა და ცვალებადობით ხასიათდება; ამავე დროს გარემოს ეს ფაქტორები და პროცესები, მათი რაოდენობა-თვისებრიობის ეკვივალენტურად, მიკროსტრუქტურებისა და პროცესების სახით ერთიანდება ადგილობრივ გეოგრაფიულ-ტერიტორიული რეგიონის, ზონის, პოპულაციათა ფსიქოფიზიკურ სტრუქტურებში, ინდივიდუმის ენერგო-ინფორმაციული ცვლის, ხარისხისა და სტრუქტურების ფუნქციური მოძრაობის შესრულების მოთხოვნილების შესაბამისად; ამიტომ, როგორც ფლორა და ფაუნა, ასევე ადამიანთა პოპულაცია სხვადასხვა გეოგრაფიული ზონის, გარემოს ზოგადი და სპეციფიკური, რაოდენობა— თვისებრიობით, ფუნქციური მოძრაობითა და სტრუქტურის დროსივრცული

პოზიციურობის საკუთარი განზომილებებით ხასიათდება და ბიოლოგიურ სტრუქტურებში იგი გარეგანი ფორმით და კომუნიკაციებით ვლინდება, რომელსაც საზოგადოება კუთხის, ზონის მახასიათებელი თვისებების მიხედვით აცნობიერებს. ხოლო ცალკეული ორგანიზმები და პიროვნებები, რეგიონის (კუთხის, ზონის, პოპულაციის და სახეობის) მახასიათებელ ერთიან ნიშან-თვისებებთან ერთად, საკუთარი სტრუქტურების ინდივიდუალური სამგანზომილებიანი რაოდენობა-თვისებრიობისა და ფუნქციური მოძრაობის დინამიკური დიაპაზონისა და სივრცული პოზიციურობის ფსიქოფიზიკურ ერთეულს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმები და ინდივიდუმები საკუთარი სტრუქტურების სამგანზომილებიანი რაოდენობრიობისა და ფუნქციური მოძრაობის (გენეტიკურად და შეძენილ) დინამიკური დიაპაზონის ინდივიდუალური პარამეტრების და მისი რიტმის, სიხშირის ამპლიტუდის საკუთარი ნორმით ხასიათდება დროსა და სივრცეში და იგი სტრუქტურის სხვადასხვა პოზიციურობით გამოიხატება; სტრუქტურის რაოდენობრიობის სხვადასხვა პოზიციურობა კი სხვადასხვა განზომილების „ტალღური გამოსხივებით" ვლინდება, ხოლო ინდივიდები და მათი სტრუქტურები „ტალღური გამოსხივების" ფორმის, ფერის, ბგერის, ინდივიდუალური განზომილებით აცნობიერებს თავის თავს სამყაროს მრავალფეროვნებაში.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ცალკეული პოპულაციისა და პიროვნებათა მახასიათებელი საკუთარი ნიშან-თვისებების ჩამოყალიბება შინაგანი და გარეგანი გარემოს ზემოქმედების შედეგია. „ბუნებაში ფორმათა ცვალებადობა შინაგანსა და გარეგან გარემოზეა დამოკიდებული", ამბობდა მიჩურინი. მარქსის მიხედვით, კი „გარემოს ზემოქმედება ცვლის ადამიანს". ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი შინაგანი დეტერმინაცია და გარეგანი გარემო შინაგანი გარემოს და გარე სამყაროს (ბუნების) მოვლენებისა და პროცესების ურთიერთზემოქმედება გენომისა და მისი ტრანსკრიფციის სხვადასხვა ალტერნატივაა და მისი სამგანზომილებიანი რაოდენობრიობის, სივრცობრივი პოზიციურობის ცვალებადობაა დროსა და სივრცეში.

§2. ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური ერთიანობა და მისი ევოლუცია

სამყაროს უზენაესი კანონზომიერების შესაბამისად, ევოლუციური პროცესები გარე სამყაროსა (ბუნებასა) და ორგანიზმის შიდა სამყაროში მუდმივად მიმდინარეობს. მათ შორის გენი და მისი ტრანსკრიფცია შინაგანი და გარეგანი ბიოლოგიური, სოციალური, ფიზიკური, მუტაგენური – ინფორმაციების მუდმივ ზემოქმედებაშია და სივრცობრივი პოზიციურობის ცვლადობით ხასიათდება; ამიტომ გენეტიკური ინფორმაციის აბსოლუტური ასლი შთამომავლობას არ გადაეცემა და აბსოლუტური მსგავსება, როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მონაცემებისა მემკვიდრეობით არ მეორდება; ეს ხდება თუნდაც იმიტომ, რომ ყველაფერი გარკვეულ ევოლუციურ ცვალებადობას განიცდის (იცვლება, ვითარდება), რაც იმისი საფუძველია, რომ ერთი დედ-მამის შვილებიც აბსოლუტურად იდენტურნი არ იბადებიან; ასევე სხვადასხვა პოპულაციათა და ერების, პიროვნებათა ბიოლოგიური სტრუქტურები, ინდივიდუალურ, ფიზიკურ, გარეგნულ ნიშან-თვისებებთან ერთად, განსხვავებული ფსიქიკითა და მსოფლმხედველობით ხასიათდებიან; ასევეა ერთი ოჯახის სხვადასხვა წევრებშიც ("სხვადასხვა რასას, ცალკეულ ერებს და ცალკეულ პიროვნებებს სილამაზის ესთეტიკური გრძნობა სრულიად განსხვავებული აქვთ" – ამბობდა დარვინი). არსებობს პიროვნული, კუთხური, ეროვნული, პროფესიული და სოციალური განსხვავება მსოფლმხედველობითი და ფსიქოლოგიური.

ბიოლოგიური სტრუქტურების რაოდენობრიობა, სივრცობრივი პოზიციურობა პიროვნებების ფსიქოლოგიისა და მისი მსოფლმხედველობის ბაზაა, ხოლო მისი გამოვლინება სოციალურია. ამავე დროს, ბიოლოგიური და სოციალური ურთიერთდაპირისპირებული ერთიანობაა, რომელიც განპირობებულია შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთზემოქმედებით გენისა და მისი ტრანსკრიფციის სივრცობრივი პოზიციურობის ცვალებადობით. გარე სამყაროს (ბუნების) „სიბრძნე", მშვენიერება და საოცრება იმაში მდგომარეობს, რომ აბსოლუტური იდენტურობა არ არსებობს და არც შეიძლება იყოს, რადგან ცალკეული მიკრო და მაკრო ობიექტები, მოვლენები და ცოცხალი არსებები ინდივი-

დუალური, განუმეორებელი ნიშან-თვისებებით, რაოდენობრიობით, ფორმითა და განზომილებებით ხასიათდება დროსა და სივრცეში.

რადგან ბიოლოგიური და სოციალური ურთიერთდაპირისპირებული ერთიანობაა, ამიტომ არ არსებობს ადამიანის ბიოლოგიური ცვლილებები სოციალურის გარეშე და, პირიქით, სოციალური — ბიოლოგიურის გარეშე. ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობაზე ჯერ კიდევ არისტოტელე, ალკმეონი, დემოკრიტე მიუთითებდნენ, რასაც თანამედროვე მკვლევარებიც იზიარებენ. ამავე დროს, ბიოლოგიური და სოციალური, როგორც პიროვნების ფსიქოლოგიისა და მსოფლმხედველობის საფუძველი, მოძრაობაში, მეტყველებასა და „ჰაბიტუსში" გამოიხატება და ფერებით, ბგერებით და ბიოლოგიური სტრუქტურების არომატული კომპონენტებით, სპეციფიკური სუნით — სურნელებით ვლინდება. უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების ურთიერთზემოქმედება უფრო „რელიეფურია" პიროვნების ფსიქოფიზიკური ფორმირების ასაკში 20 წლამდე. ამის მაგალითია მაუგლის ფენომენი და სხვა. ცნობილია, რომ რადიკალურად განსხვავებული ფსიქოლოგიის, მსოფლმხედველობისა და ეროვნების პიროვნებათა შეუღლებისა და ოჯახის შექმნის რამდენიმე წლის შემდეგ ისინი ზოგიერთი ფსიქოფიზიკური მონაცემებით ერთმანეთს ემსგავსებიან.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ერების, ინდივიდთა ბიოლოგიური სტრუქტურების რაოდენობრიობა და სივრცობრივი პოზიციურობა სხვადასხვა განზომილებითა და პარამეტრებით ხასიათდება, რომელიც შესატყვისი ფიზიკური ტრანსაქციებით და კომუნიკაციებით ვლინდება და სპეციფიკური „გრაციით" და „ჰაბიტუსით" წარმოსდგება. ეს ნიშნავს, რომ ისინი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა აზროვნების სტრუქტურების სხვადასხვა „მოდელებით" ხასიათდებიან და მათი გამოსახვის ბიოლოგიური სტრუქტურები სხვადასხვა „კონსტრუქციის" პოზიციურობის მატარებელია დროსა და სივრცეში.

ზემოაღნიშნული ფსიქოფიზიკური, ზოგადი და სპეციფიკური თავისებურებები და ნიშან-თვისებები ენისა და აზროვნების სტრუქტურის თავისებურებაში ვლინდება. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი, აზროვნების სხვადასხვა სტრუქტურის მქონეა. ისინი კონკრეტული

ინდივიდუუმის აზროვნების განსხვავებული „მოდელით“ (სიტყვის წყობა, წინადადების შედგენა და სხვა) გამოირჩევიან და „აცნობიერებენ“ თავის თავს სამყაროს მრავალფეროვნებაში, ინდივიდუალობის განუმეორებლობის ნიშან-თვისებებით ანუ სიცოცხლის ხარისხის საკუთარი „ხელწერით“.

აქედან ცხადია, რომ რაოდენობრივი ცვლილებები განაპირობებს ბიოლოგიური სტრუქტურის სივრცობრივ მდგომარეობას ანუ სივრცობრივ პოზიციურობას და ორგანიზმის ორგანო-სისტემათა ფუნქციების შესრულება მათი სტრუქტურის სხვადასხვა რაოდენობრიობაში, სხვადასხვა განზომილებიან სივრცობრივ პოზიციურობაში გამოიხატება. ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა ფუნქციის შესრულება არა მარტო სტრუქტურის სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობაა, არამედ სტრუქტურის სხვადასხვა რაოდენობრიობის სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობა. სტრუქტურის რაოდენობრიობის ერთი ნაწილი შეიძლება იყოს ერთ განზომილებაში, მეორე ნაწილი — მეორე განზომილებაში, მესამე და მეოთხე ნაწილი კი მესამე განზომილებაში ან პირიქით; იგი ბიოლოგიურ სტრუქტურათა განსაკუთრებული თვისებაა. ამავე დროს სტრუქტურის რაოდენობრიობის სხვადასხვა სივრცობრივი მდგომარეობა-პოზიციურობა განაპირობებს ფსიქოფიზიკური სფეროების სხვადასხვა ფუნქციურ მდგომარეობას ანუ განწყობას, ანუ ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობა სხვადასხვა ფიზიკურ განწყობაში გამოიხატება; აქედან გამომდინარეობს ის, რომ სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, ინდივიდუალობა, ტემპერამენტი, გარეგნობა, გრაცია, ტრანსაქციები, ფერი, ფორმა, ბუნება, განწყობა, ხასიათი, თვისებები, ფუნქციური მოძრაობის ხარისხი და სხვა განპირობებულია პიროვნების ბიოლოგიური, ფიზიკური სტრუქტურების სხვადასხვა რაოდენობრიობისა და სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობის (დინამიკური დიაპაზონის) ცვალებადობით დროსა და სივრცეში.

ამრიგად, გარე სამყაროსა და ორგანიზმის შინაგანი სამყაროს (გენეტიკური კოდის) ურთიერთზემოქმედება აყალიბებს პოპულაციათა მახასიათებელ ზოგადსა და სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, რომლის გასაღები ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ბიოლოგიურ რაოდენობრიობა-თვისებრიობაში ძევს. ამავე დროს, იგი პიროვნ-

ების ფსიქიკისა და მსოფლმხედველობის ბაზაა. ადამიანის ფსიქოლოგია და მსოფლმხედველობა გრძნობათა ორგანოების ფიზიკური სტრუქტურების ფუნქციური აქტივობის გზით (მოძრაობით) სოციალურში ვლინდება; იგი ბიოლოგიური, ფიზიკური სტრუქტურების ფუნქციური მდგომარეობის გარეგანი გამოვლენაა. პიროვნების ყოველგვარი ქცევა (აზროვნება, მეტყველება, წერა, ხატვა, ძერწვა, სიკეთე, მშვენიერება, ბოროტება, სიძულვილი, სიყვარული და სხვ.) სოციალური ფენომენია, ბიოლოგიური, ფიზიკური სტრუქტურების სამგანზომილებიანი რაოდენობრიობის სივრცობრივი პოზიციურობის „ანაბეჭდი", „ანალოგი", „ასლია". ისინი ისეთივე სივრცობრივი სამგანზომილებიანი რაოდენობრიობის ფიზიკური კონფიგურაციის სტრუქტურებია, როგორც მისი ბიოლოგიური სტრუქტურის „ბაზა". არსის, სიტყვის, აზრის, სტრუქტურის შინაგანსა და გარეგან ფორმებს ვერ ვხედავთ, მაგრამ იგი ჩვენს გრძნობათა ორგანოებსა და აზროვნების სფეროში (ისევე როგორც საგნები) „პროგრამული მოდელების" ფორმებით აღიქმება; მისი „ფანტომები" კი ვრცელდება (გადადის) ფიზიკურ სფეროში და ხდება ბიოლოგიური, ფიზიკური სტრუქტურების სივრცობრივი პოზიციურობის ჩამოყალიბება და მისი წარმოსახვა ფუნქციური მოძრაობით ისევ სოციალურ სფეროში. ეს ნიშნავს, რომ პიროვნების ქცევა არა მარტო აზროვნებაზეა დამოკიდებული, არამედ მის შედეგზეც. ამიტომ განუმეორებელია სხვადასხვა პიროვნების მოქმედების ან შემოქმედების შესრულების ფორმა და „პროდუქტი". ასევეა ერთი და იმავე პიროვნების მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული შემოქმედება; რადგან ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა ბუნების, გარესამყაროს უზენაესი კანონზომიერების ბაზაზეა „დაპროგრამებული" და შექმნილი, იგი მშვენიერების ნამდვილი გენეტიკური „შედევრია". ყველაფერი, რაც შექმნილია გარეგანი და შინაგანი სინამდვილის კანონზომიერების მიხედვით, არა მარტო ნამდვილია, არამედ მშვენიერიც.

ამიტომ ჯანმრთელი ადამიანის ფუნქციური მოქმედება — ქცევა — ბუნების, გარე სამყაროს მშვენიერების განმეორებაა. ბუნების კანონები განსაზღვრავს ადამიანის ქცევას. ბუნება — გარე სამყარო — მშვენიერების სიმბოლიკაა და ადამიანი, რომელიც ამ სიმბოლიკაში იბადება და ცხოვრობს, ითვისებს მას და ორგანიზმის ფუნქციონირებაში გამოხატავს; ამიტომ ცი-

ვილიზებული და სრულყოფილი ადამიანის იმიტაცია დადებითად მოქმედებს გარემოზე – ადამიანსა და ცხოველებზე ("სილამაზის გრძნობა ცხოველებსაც ახასიათებთ" – წერდა დარვინი; „ცხოველებს აქვთ უნარი განიცადონ ესთეტიკური ტკბობა" – ამბობდა პლეხანოვი). იგი, როგორც სოციალური გამოვლენა, საზოგადოებაში აღიარებულ მსოფლმხედველობას, ფსიქოლოგიასა და ზნეობაზეა ორიენტირებული, ბიოლოგიურ ჭრილში კი იგი ფსიქოფიზიკურ სფეროთა წონასწორობაა, ანუ სიჯანსაღის საფუძველია და ორგანიზმის სხვადასხვა სფეროს (ფიზიკური, ბიოლოგიური, ნეიროფსიქიკური, ენდოკრინო-სექსუალური, საზოგადოებრივ-სოციალური და ენერგოინფორმაციული) განუყოფელი ერთიანობის სოლიდარულ ფუნქციონირებას (ორგანიზმის სრულყოფილ ცხოველმყოფელობას) წარმოადგენს. გარემოსთან ადამიანის ორგანიზმის ენერგო-ინფორმაციული ცვლის ხარისხი სიცოცხლის ხარისხს განაპირობებს, რომელიც სამყაროს ერთიანობაში მოძრაობის სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ამიტომ ადამიანის ორგანიზმში, ისევე როგორც სამყაროში, ყველაფერი ისეა ურთიერთდაკავშირებული, რომ როდესაც ვცდილობთ ამ ერთიანობიდან ცალკეული პროცესი გამოვყოთ, ამ პროცესის არასრულყოფილებას ვიღებთ, რაც იმდენად მისაღებია, რამდენადაც მიუღებელი. აქედან გამომდინარე იბადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა გარე სამყაროს (ბუნების) და ადამიანის სიცოცხლის მოვლენებისა და პროცესების ჭეშმარიტი შემეცნება ერთი თეორიის საფუძველზე? თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა მოვლენა და პროცესი მრავალგანზომილებიანი, მრავალსტრუქტურიანი, მრავალთვისებრიობიანი და მრავალგზის ცვალებადია, მაშინ ცხადი გახდება, რომ „ერთგანზომილებიანი" ანუ ერთი მსოფლმხედველობრივი თეორიის – მატერიალისტურის ან იდეალისტურის – საფუძველზე ჭეშმარიტების შემეცნება და დადგენა არ ხერხდება, რადგან შემეცნებისა და ცოდნის ნებისმიერი ფორმა უნივერსალურ მეთოდოლოგიურ პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ადამიანის უზენაესი არსის ჭეშმარიტების გაგებამდე მხოლოდ უნივერსალურ მეთოდოლოგიას მივყავართ. ეს ნიშნავს, რომ გარე სამყაროს (ბუნების) და ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური ერთიანობის შესწავლა „უნივერსალური მეთოდოლოგიის" პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.

დედამიწის სხვადასხვა რეგიონის, კუთხის, ზონის, ლანდშაფტური, კლიმატური, გეოლოგიური, გეოქიმიური, მრავალგანზომილებიანი გეომეტრიული სივრცობრივი მრავალფეროვნება, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ, როგორც ბუნების სილამაზესა და მშვენიერებას, პლანეტის ეკოლოგიური წონასწორობის გენეტიკური საფუძველი და რეგიონის პოპულაციაზე გარეგანი ზემოქმედების ფაქტორია, ხოლო სხვადასხვა ზონის, რეგიონისა და კუთხის ადამიანთა (ბუნებრივი) ნიშანთვისებრიობა ეროვნული, კუთხური ინდივიდუალობა, კაცობრიობის მოდგმის მრავალსახეობა და მშვენიერების წარმოსახვის საფუძველია. ამავე დროს იგი ადამიანთა მოდგმის უსასრულო სრულყოფისა და განვითარების გენეტიკური საფუძველია, რადგან ერთფეროვნებასა და ერთგვაროვან გენოფონდს პოპულაცია დეგრადაციამდე მიჰყავს.

§3. ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობის მნიშვნელობა.

როგორც აღვნიშნეთ, ორგანიზმის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობა, ფსიქოფიზიკური სფეროების სტრუქტურათა ურთიერთობის ერთიანი სივრცობრივი პოზიციურობის ცვალებადობაა, სტრუქტურის სივრცობრივი პოზიციურობა კი მისი რაოდენობრიობის ფლუქტუაციაა, მოძრაობაა დროსა და სივრცეში, ხოლო სტრუქტურის სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობა სხვადასხვა ფუნქციური მოძრაობის შესრულებაა; სხვადასხვა სახის ფუნქციის შესრულება სტრუქტურის სხვადასხვა სიჩქარის, სიხშირის, ამპლიტუდის, დიაპაზონის მოძრაობაა დროსა და სივრცეში; ცალკეული ფუნქციური მოძრაობის შესრულებას კი (ორგანიზმის მოთხოვნილებებისა და „საჭიროების" მიხედვით) ხანგრძლივობა, მოცულობა, სიჩქარე, დრო, სივრცე და ვექტორი გააჩნია; ე.ი. სტრუქტურის სხვადასხვა ფუნქციის შესრულებას მოძრაობის სხვადასხვა საზღვრები და ზომები აქვს. ამიტომ სტრუქტურის მოძრაობის საზღვარი — ზღურბლი — თვითმოძრავია, დინამიკურია, „მცოცავია" ანუ ამ მოძრაობის დიაპაზონი (ამპლიტუდა) დინამიკურია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სტრუქტურის ფუნქციური მოძრაობის ზღვარის დინამიკური ზღურბლოვანი დიაპაზონი. სივრცობრივი დეფორმაციის ხარისხი

კი ადამიანის ფუნქციური შესაძლებლობის საზომია. ამდენად არსებობს სტრუქტურის ფუნქციური მოძრაობის შესატყვისი სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობა, რომელიც სტრუქტურის „სტაციონარული" სივრცობრივი მდგომარეობის მიმართ სტრუქტურის დეფორმაციაა; დეფორმაციის ხარისხის მიხედვით ანუ ზღურბლოვანი დიაპაზონის სივრცობრივი ხარისხის მიხედვით სტრუქტურა შეიძლება იყოს ფიზიოლოგიური და პათოლოგიური დეფორმაციის მდგომარეობაში.

ფიზიოლოგიური, ანუ ფუნქციური სივრცობრივი დეფორმაცია არის ორგანოსისტემების, სფეროების (ფიზიკური, ბიოლოგიური, ნეიროფსიქიკური, ენდოკრინო-სექსუალური, სოციალური, ენერგო-ინფორმაციული) ფუნქციის შესრულებით გამოწვეული სტრუქტურის რაოდენობრობის დინამიკური, სივრცობრივი დეფორმაცია ("ლუფტი", „გაბარიტი", „დიაპაზონი") ანუ იგი არის ფუნქციის შესრულება, სტრუქტურის სამგანზომილებიანი რაოდენობრიობის მოძრაობის ხარისხი, რომელიც ფუნქციის შესრულების შემდეგ საწყის მდგომარეობას – პოზიციურობას – უბრუნდება.

ფიზიოლოგიური დეფორმაციის, ანუ სტრუქტურის ფუნქციური „სივრცობრივი დეფორმაციის" ზღვრის ინდივიდუალური ნორმის მიხედვით, ორგანიზმები და მათი ყველა სტრუქტურა, ორგანო-სისტემები ფუნქციის შესრულების „შესაძლებლობის" მინიმალური და მაქსიმალური ზღვრით, დიაპაზონით ხასიათდება, რადგან ცალკეული სტრუქტურები და მთელი ორგანიზმი რაოდენობრიობის და თვისებრიობის (ფუნქციის) გენეტიკური განსაზღვრულობის მატარებელია. ამ განსაზღვრულობის პარამეტრები დროსა და სივრცეში სტრუქტურის მაქსიმალური და მინიმალური, ფუნქციური მოძრაობისა და მისი ხარისხის საფუძველია. ამავე დროს ფუნქციის შესრულების პროცესი გარე სამყაროსთან ენერგო-ინფორმაციული ცვლის მიკრო და მაკრო სტრუქტურათა ურთიერთგარდამავალ ვირტუალურ ზონაში ერთიანდება და სტრუქტურის ფუნქციის შესრულების სივრცობრივი განზომილების ტალღების შესატყვისი ფერებითა და ბგერებით ვლინდება, როგორც ბიოლოგიური ველი ანუ ფუნქციის შესრულების გარეგანი ბრწყინვალება (შარავანდედი). ამავე დროს პიროვნების ინდივიდუალური ფუნქციური რიტმები ანუ

დინამიკური ზღურბლოვანი დიაპაზონის მოძრაობის რიტმი, „ბიოლოგიური ველის“ (ელექტრული ველის) მოძრაობის (პულსირებად) რიტმს შეესაბამება; იგი, როგორც ბიოლოგიური სისტემების ფუნქციური შესაძლებლობის დადგენის საზომი ანუ ინდივიდუუმის ბიოლოგიური და სოციალური სიცოცხლის ხარისხის საზომი და ობიექტური კრიტერიუმი, უსასრულო სამყაროში პიროვნების განუმეორებელი ნიშან-თვისებების ბიოლოგიურ-სოციალური „პასპორტის პრეროგატივით“ გენეტიკურ კოდს შეესატყვისება.

როდესაც სტრუქტურა ფუნქციური დატვირთვის, ანუ ფუნქციის შესრულების შემდეგ არ უბრუნდება საწყის მდგომარეობას, იგი სტრუქტურის „პათოლოგიური-ორგანული დეფორმაციაა“, რომელიც დეფორმირებულ, დასახიჩრებულ ფუნქციას პირობადებს; რამდენადაც მეტადაა დაზიანებული სტრუქტურის რაოდენობრიობა, იმდენად მეტია მისი სივრცობრივი დეფორმაცია, დასახიჩრება და იმდენად მეტადაა დაქვეითებული ფუნქცია.

პათოლოგიური პროცესი ფიზიკური სტრუქტურის, რაოდენობრიობის სივრცობრივი ფუნქციური პათოლოგიური დეფორმაციით (მორფოლოგიურ — ორგანული ცვლილებები) ზემოქმედებას ახდენს ნეირო-ფსიქიკურ სფეროზე და იწვევს ფსიქოფიზიკური სფეროების ურთიერთობის წონასწორობის დარღვევას, აყალიბებს მანკიერ წრეს, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს პათოლოგიის ინფორმაციის გავრცელებას მთელ ორგანიზმში.

ფიზიკური და ფსიქიკური (ინტელექტუალური) გადაღლილობის შედეგად ტკივილების შეგრძნება და პოზიციურობის (ერთ პოზიციაში ჯდომის, წოლის, მუშაობის) შეცვლის მოთხოვნილება სტრუქტურათა ხანგრძლივი, სივრცობრივი დეფორმაციის (ფიზიოლოგიური დეფორმაციის) გამო, სტრუქტურის რაოდენობრიობის დაზიანების, ანუ პათოლოგიური დეფორმაციის ზონაში გადასვლის თავიდან „აცილების“, თვითდაცვის, თვითრეგულაციის რეაქციაა, ანუ ფსიქოფიზიკურ სფეროთა წონასწორობის შენარჩუნება, როგორც შინაგან (ბიოლოგიურ), ასევე გარეგან სოციალურ გარემოში გაჯანსაღების ძირითადი პრინციპია.

§4. სტრუქტურის სივრცობრივი პოზიციურობა და ორგანიზმის ფსიქოფიზიკური წონასწორობა.

როგორ შეიძლება ავხსნათ ეს მდგომარეობა? საქმე იმაშია, რომ ფსიქოფიზიკური სფეროების სტრუქტურათა რაოდენობრიობის სივრცობრივი წონასწორობის დროს ენერგო-ინფორმაციის შემოდინება და გადინება, ანუ გარესამყაროსთან ენერგო-ინფორმაციის ცვლა შეუფერხებლად, ოპტიმალურად მიმდინარეობს და ორგანიზმის თვითმართვა, თვითრეგულაცია ოპტიმალურ პარამეტრებში მიმდინარეობს. ფსიქოფიზიკურ სფეროთა სივრცობრივი წონასწორობის დარღვევის დროს კი გარემოსთან ენერგო-ინფორმაციის ცვლა და ორგანიზმის თვითმართვის პროცესი შეფერხებულია. იგი სტრუქტურა-დეფორმირებულ, ანუ არასრულფასოვან დასახიჩრებულ ფუნქციას პირობადებს, რასაც სიცოცხლის არასრულფასოვნებასთან მივყავართ.

ამიტომ ყველა სახის უარყოფითი ინფორმაცია – პოლიტიკური, ეკონომიკური, ბიოლოგიური, სოციალური (ადამიანის უფლებებისა და ღირსების შელახვის ყველა ფორმა) და სხვა პირველ რიგში, გრძნობათა ორგანოების გზით იწვევს ფსიქიკური სტრუქტურებისა და ფუნქციების სივრცობრივ დეფორმაციას, ცთომილებას, რომელიც ფიზიკური სფეროს სტრუქტურათა და ფუნქციათა დეფორმაციით (დასახიჩრებით) განაპირობებს ორგანიზმის ფსიქოფიზიკური წონასწორობის დარღვევას; როდესაც ორგანიზმის სტრუქტურები და ფუნქციები დეფორმირებულია (დასახიჩრებულია), მაშინ ფსიქოფიზიკური სფეროების თანაფარდობა და მათი სტრუქტურები და ფუნქციები არასრულფასოვანია, ეს იმას ნიშნავს, რომ გარემოსთან ენერგო-ინფორმაციის ცვლის ბალანსი დარღვეულია და ორგანიზმში ყალიბდება სიჭარბე და დეფიციტი და იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროში დომინირებს სიჭარბე და დეფიციტი, ვლინდება იმ სფეროს პათოლოგიის სახით; რადგან ორგანიზმის თვითმართვის წონასწორობა ფსიქოფიზიკურ სფეროთა ურთიერთწონასწორობაში გამოიხატება, ფსიქიკური პროცესების განხილვა ფიზიკურის გარეშე არაგამიზანშეწონილია როგორც მედიცინაში, ასევე სოციოლოგიაში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ფროიდიზმმა და „ნეოფროიდიზმმა" ბურუსი შეიტანა ფსიქოლოგიაში, რის გამოც

მთელი რიგი სოციალური საკითხების შეფასება არაობიექტური და არარაციონალურია; „ფროიდი აკადემიური ფილოსოფიური თვალსაზრისიდან არ მოდიოდა; იგი გაუგებარია აზრით, მნიშვნელობით და ასევე გაუგებარი და ბუნდოვანი დარჩა ჩვენთვისაც“; „ხოლო იუნგის ცნებები აკავშირებენ ადამიანებს არა თავების მეშვეობით, არამედ მათი ქვედა ნანილების მიხედვით“ – წერდა მ. მამარდაშვილი (10).

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური, ინტელექტუალური და სხვა სახის შრომითი საქმიანობა, როგორც ფუნქციის შესრულება და გარე სამყაროსთან ენერგო-ინფორმაციის აქტიური ცვლა, ადამიანს სიამოვნებას, სიხარულს, სიმშვიდეს, სიმხნევეს და თავისუფლებას ანიჭებს. ფიზიკური და ინტელექტუალური შრომის დადებით ღირებულებაზე მიუთითებდნენ: ჰიპოკრატე, ავიცენა, ციცერონი, კანტი, დიდრო და სხვები. შრომა არა მარტო სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, არამედ აგრეთვე სიხარულის, ბედნიერების, ტკბობის წყაროა.

ორგანიზმში შემოდინება-გადინების პროცესთანაა დაკავშირებული საჭმლის, წყლის, სითბოს, სინათლის, „სუფთა ჰაერის“ და ინფორმაციის მიღება, ასევე შარდვა, დეფეკაცია, ეაკულაცია, ოფლიანობა და სხვა. ეს აქტები გრძნობათა ორგანოების შინაგანი და გარეგანი რეცეპტორების შეგრძნებისა და რეაგირების გზით ასევე სიმშვიდეს, სიამოვნებას, თავისუფლებას ანიჭებს პიროვნებას; როდესაც ადამიანი რაიმეს გასცემს ან იღებს ორგანიზმის ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად (ჩუქება, ურთიერთდახმარება ფიზიკურად, ან მორალურად, კეთილი სიტყვა, სოლიდარობა, სასმელისა და საჭმელის მიწოდება და სხვა კეთილშობილური საქციელი), მაშინ ეს აქტები არა მარტო ყურადღება და დახმარებაა, არამედ აგრეთვე ენერგო-ინფორმაციის შემოდინება-გადინებასთან ანუ ენერგო-ინფორმაციის მიღება-გადაცემასთანაა დაკავშირებული და იწვევს ენერგიის ცვლის გააქტიურებას (ახალი სახის ენერგიის შემოდინება სასიცოცხლო პროცესების გააქტიურებას იწვევს). იგი, როგორც აღვნიშნეთ, სიამოვნებას, კმაყოფილებას, ბედნიერებას, სიმხნევეს ანიჭებს ადამიანს და პირობადებს შინაგანსა და გარეგან ფსიქოფიზიკურ თავისუფლებას და იგი ადამიანის სასიცოცხლო პროცესების გააქტიურების შემადგენელი ნანილი ხდება, („კმაყოფილება, სიამოვნება და

ბედნიერება – არაა გარყვნილება, არამედ სხეულისა და სულის წონასწორობაა"– ამტკიცებდნენ ეპიკურე (92) და დიდრო (71).

ამგვარად „სხეულისა და სულის წონასწორობა", ანუ ორგანიზმის ფსიქოფიზიკური წონასწორობა პიროვნების თავისუფლებისა და ბედნიერების ობიექტური საფუძველია, რომელსაც სამყაროში გააჩნია თავისი სივრცობრივი პოზიციურობის პარამეტრები და განზომილებები; ბიოლოგიურად იგი გამოიხატება გარე სამყაროსთან შემოდინება-გადინების ანუ ენერგია-ინფორმაციის ცვლის ოპტიმალური ბალანსით. იგი ორგანიზმის ინდივიდუალურ-ფიზიოლოგიური ფუნქციონირებით გაერთიანებულია გარე სამყაროს „ინფორმაციულობასთან" ("ცნობიერებასთან") და პიროვნების ამაღლებული, ზომიერად ემოციური ელფერის შეუზღუდველი ფუნქციონირებით სოციალურ „ფოკუსში" ვლინდება, როგორც ორგანიზმის ბიოლოგიური და სოციალური ერთიანობა. ამ შემთხვევაში პიროვნების ფსიქოფიზიკური სტრუქტურები განთავისუფლებულია ყოველგვარი უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებისაგან და პიროვნებას ამაღლებული, შეუზღუდველი ცნობიერება ეუფლება. „შეუზღუდველი და თავისუფალი ადამიანი ბედნიერია და ყოველმხრივ ძლიერია – ღმერთია"– ამბობდა ლ. ფოიერბახი (13). ამიტომ შინაგანი და გარეგანი (სრულყოფილი) თავისუფლების დროს ადამიანი თავის თავის პატრონიცაა და მფლობელიც, პასუხისმგებელიცაა, ბედნიერების გარემოცვაშია და კეთილშობილი ადამიანის თვისებები ეუფლება. იგი თვითონ განაგებს საკუთარ თავს, საკუთარ ქცევას და საზოგადოებრივ ურთიერთობას დიდი პასუხისმგებლობითა და ღირსებით ეკიდება. ამიტომ მისი შინაგანი და გარეგანი მოქმედება ჯანსაღი პიროვნების ღირსების, მაღალი ზნეობის, სიმართლის და თავისუფლების ჭეშმარიტების ბიოლოგიური გამოვლინებაა სოციალურში. მისი საფუძველი გარე სამყაროსთან (ბუნებასთან) ურთიერთობაში ენერგო-ინფორმაციული ცვლის გენეტიკური ერთიანობის შედეგია. ამიტომ სიმართლე და თავისუფლება ჰუმანიზმისა და მშვენიერების საფუძველია.

ბუნებაში ყველა მოვლენის, ყველა არსის განვითარება ერთი და იგივე უზენაესი კანონებით არის განპირობებული; არაკანონზომიერი ბუნებაში სტიქიაც კი არ შეიძლება იყოს, რადგან მისი გენეზისი დროსა და სივრცეში რაოდენობრიობის მუდმივი

გარდაუვალი ცვლილებებით — მოძრაობითაა — განპირობებული; ყველა თვითმართვადი პროცესი, როგორც ბუნებაში, ისე ადამიანის ორგანიზმში, მათემატიკური განზომილებებითაა „დაპროგრამებული", რომელიც ადამიანის გენიამ აიღო ბუნებიდან და იგი ცხოვრების პროცესში გამოიყენა. ამიტომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ღირსეული ადამიანები ყოველთვის იღწვოდნენ, იბრძოდნენ ბუნების კანონზომიერების გამოყენებისათვის საზოგადოებაში. ამ ვითარებას კი ადამიანის თავისუფლება და ბედნიერება მოაქვს. **თავისუფლება ბედნიერების საფუძველია, ბედნიერება — ჰუმანიზმის, ჰუმანიზმი — მშვენიერების, მშვენიერება კი პიროვნების ბიოლოგიური და სოციალური ფუნქციონირების გვირგვინია;** ბუნების კანონები, როგორც ჭეშმარიტების ეტალონი, ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური ყოფის საფუძველია.

როდესაც ადამიანი — პიროვნება — აწყდება უსამართლობას, ღირსების შელახვას, დაკნინებას, შეურაცხყოფას იგი დამანგრეველად მოქმედებს მის ფსიქოფიზიკურ სფეროზე და ადამიანი ფიზიკურად, ბიოლოგიურად, ფსიქიკურად და სოციალურად დეფორმირდება, მახინჯდება და ავადდება. ამიტომ თავისუფლებას მაღალზნეობისაკენ მივყავართ, როგორც მაღალ ზნეობას — თავისუფალი აზროვნებისაკენ. ყოველივე ეს კი თავისუფალი ადამიანის შინაგანი მოწოდება და მრწამსია. თავისუფლებას მოკლებული პიროვნება, როგორც ფსიქოფიზიკურად დეფორმირებული, პასუხისმგებლობას არ გრძნობს თავის მოქმედებაზე საზოგადოების წინაშე.

ამიტომ თავისუფალი, ბედნიერი ადამიანის კეთილშობილური და ღირსეული მოქმედების ყველა აქტი სიკეთის და სილამაზის განზომილებებში გამოიხატება და როდესაც სილამაზის გარეგანი გამოვლინება შეესატყვისება ორგანიზმის შინაგან სტრუქტურათა ფუნქციონირების შესაბამის ოპტიმალურ სივრცობრივი პოზიციურობის განზომილებებს, მაშინ იგი მშვენიერების ობიექტი ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საგანს, მოვლენას, პროცესს აქვს საკუთარი რაოდენობრიობისა და ოპტიმალური თვისებრიობის დრო-სივრცული განზომილების კულმინაციური პიკი, თვისებრიობის უმაღლესი ხარისხი, ანუ ოპტიმალური თვისებრიობა (ასევე — აზროვნებას, სოციალურ პროცესებს, დაავადების განვითარე-

ბას, დღის, წლის, თვის პერიოდების მიხედვით). ორგანიზმი გარემოს ყველა პროცესს, მოვლენას, სოციალურ ფაქტორებს ადვილად აერთიანებს და თავის თავში ითვისებს, თუ იგი შეესატყვისება მისი სტრუქტურების მოთხოვნილებათა დრო-სივრცული განზომილებების ოპტიმალურ ფუნქციურ პარამეტრებს, რომელიც პიროვნების ორგანიზმის შინაგანსა და გარეგან თავისუფლებას აპირობადებს; ეს უკანასკნელი კი შინაგანი და გარეგანი სტრუქტურების ნორმალურ ფიზიოლოგიურ სივრცობრივ პოზიციურობაში გამოიხატება. ადამიანის სრულყოფილ თავისუფლებას შინაგანი (ბიოლოგიური) და გარეგანი (სოციალური) ვითარება განაპირობებს.

§5. ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი თავისუფლება, როგორც ბიოლოგიურ და სოციალურ სფეროთა ურთიერთწონასწორობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ბუნებისა და საზოგადოების ყველა სფეროს ურთიერთობა, სოციალური და ბიოლოგიური ეკოლოგია ყველა სპეციალობისა და პროფესიის ადამიანთა შორის სამართლიანი, სინდისიერი, ჰუმანური და კანონზომიერი ურთიერთობა ენერგო-ინფორმაციის შემოდინება-გადინების წონასწორობას, ანუ შინაგანსა და გარეგან თავისუფლებას განაპირობებს და სამკურნალო გამაჯანსაღებელი მოქმედების ფენომენი ხდება. რადგან ადამიანის ორგანიზმი მათემატიკური სიზუსტითაა „დაპროგრამებული" და რადგან იგი სამყაროს, ბუნების უზენაეს კანონებს შეესაბამება, ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის თვითმართვის **კანონზომიერება სოციალური კანონმდებლობის საფუძველი და ობიექტური კრიტერიუმია. მაგრამ, რადგან ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა თვითმართვადია,** ადამიანთა საზოგადოების სოციალური პროცესებიც თვითმართვადია. რამდენადაც სრულყოფილია სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, იმდენად იგი მიახლოებულია ჰუმანიზმსა და სიმართლის პრინციპებთან და შეესაბამება საზოგადოების ჭეშმარიტ ინტერესებსა და ადამიანის ცხოვრების საბოლოო მიზანს — თავისუფლებასა და ბედნიერებას. ხოლო რამდენადაც დაცილებულია

სახელმწიფოს კანონმდებლობა ამ კრიტერიუმს, იმდენად იგი უსაფუძვლო და არამდგრადია; ასეთ ვითარებაში სახელმწიფოებრივი წყობა დამყარებულია უსამართლობაზე, უზურპაციაზე, ძალადობაზე, მონური ფსიქოლოგიის დამკვიდრებაზე, დეფორმირებულია ურთიერთობა საზოგადოებასა და მმართველ ორგანოებს შორის (რაც სოციალური აფეთქებების, რევოლუციების, დაპირისპირებების, პოლიტიკური და სოციალური ქაოსის საბაბია). ეს გარემოება კი ადამიანთა ბიოლოგიური და ფსიქიკური სტრუქტურების პათოლოგიურ დეფორმაციას იწვევს და დაავადებათა მატების, გავრცელების და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირების ფაქტორია. სოციალური თანასწორობა, როგორც ჰუმანიზმისა და ცივილიზაციის აუცილებელი საფუძველი და პირობა, ბუნების უზენაესი კანონების რეალიზაციაა სოციალურ სფეროში და იგი საზოგადოების გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა. მომავალი საზოგადოებრივი ფორმაცია ბიოლოგიური პროცესების თვითმართვისა და თვითრეგულაციის კანონზომიერებაზე იქნება დაფუძნებული. სანამ საზოგადოება არ დაეუფლება სამყაროს უზენაეს კანონებს, რომელიც აერთიანებს და რომელზეც ეფუძნება ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა, ყოველთვის იქნება ძალადობა, უზურპაცია, ავანტიურიზმი, დიქტატურა, ექსპლოატაცია, ადამიანის უფლებათა შელახვა, მისი მატერიალური, მორალური, სოციალური დაკნინება, მონური ფსიქოლოგიის ზეიმი და ამის შედეგად დაავადებები, მათ შორის გულსისხლძარღვთა, ენდოკრინული, ონკოლოგიური, ნეიროფსიქიკური და სიბერის დაავადებები, რომელთა რაოდენობა არ შემცირდება. ადამიანი თვითონ აზიანებს თავის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ადამიანთა სულიერი და ფიზიკური დაკნინებითა და დეგრადაციით გამოწვეული მავნე შედეგების ინფორმაცია, გვინდა ჩვენ თუ არა, ვრცელდება გარე სამყაროში და როგორც ავტოგამონაბოლქვი, ისე აზიანებს, აჭუჭყიანებს გარემოსა და ადამიანის ფსიქოფიზიკურ სტრუქტურებს, განსაკუთრებით მოზარდ თაობას. ამიტომ სოციალური სამართლიანობა ადამიანს ისე სჭირდება, როგორც სუფთა ჰაერი; ამის შემეცნება განსაზღვრავს და განაპირობებს საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრების დონესა და მომავალი სოციალური ფორმაციის ჩამოყალიბების ქრონომეტრიას. ამავე დროს, ადამიანის გაჯა-

ნსაღების ახალი კონცეფციის პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების „სანოლოგიზმის“ ცნობიერებისა და ჰუმანიზმის — როგორც ცივილიზაციის საფუძვლის-მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ბაზაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფსიქიკურსა და ფიზიკურ სფეროთა, ანუ ორგანიზმის ყველა სტრუქტურათა ურთიერთ-სოლიდარული ფსიქოფიზიკური წონასწორობა განაპირობებს ორგანიზმის სრულყოფილ შინაგანსა და გარეგან თვისებურებას, რომელიც სიჯანსაღის საფუძველია, ხოლო სიჯანსაღე არა მარტო შრომისა და შემოქმედების უნარიანობის აუცილებელი პირობაა, არამედ იგი ადამიანთა საზოგადოების, ზნეობის, ჰუმანიზმის და სამართლიანობის, მისი უფლებათა და ღირსებათა დაცვის ბაზაა. სხვა სიტყვებით, ფსიქოფიზიკურად გაწონასწორებული პიროვნება რაინდული სინდისითა და სიქველით, სიმხნევით, კეთილშობილებითა და ჰუმანიურობით ხასიათდება, რომელიც მთლიანად გაცნობიერებული და აყვანილია ადამიანის თვისებათა და ღირსებათა უმაღლეს რანგში რუსთაველის მიერ.

ამგვარად, ადამიანთა საზოგადოების ფსიქოფიზიკური გაჯანსაღება სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ერთადერთი გზა, საფუძველი და გარანტიაა. როგორც აღვნიშნეთ, ჯანსაღი ადამიანის ორგანიზმის თვითმართვის, თვითრეგულაციის ბიოლოგიურ პროცესებს გარე სამყაროს უზენაესი კანონები უძევს საფუძვლად და იგი ჰუმანიზმისა და ცივილიზაციის შესატყვისი სოციალური კანონმდებლობის ობიექტურ საფუძვლად მიგვაჩნია. სოციალურ კანონმდებლობას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის კანონზომიერებას, სხვა ობიექტური კრიტერიუმი და საფუძველი არ გააჩნია.

§6. მეორე თავის რეზიუმე

XXI საუკუნე გარკვეულ მოთხოვნილებებს უყენებს საზოგადოებასა და სახელმწიფოებრივ მართვის სტრუქტურებს; პირველ რიგში ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების, სამედიცინო დახმარებისა და გაჯანსაღების არსებული პრინციპები საჭიროებს

რეორგანიზაციას „ინფორმაციის საუკუნის“ მოთხოვნილებათა შესაბამისად, რათა საზოგადოება და თითოეული პიროვნება შრომისა და დასვენების პროცესში დაცულ იქნას გარემოს „არასასურველი“, „არაადეკვატური“ ინფორმაციის უარყოფითი ზემოქმედებისაგან. აქედან გამომდინარე, გაჯანსაღებისა და სამედიცინო დახმარების პრობლემა, როგორც გლობალური ანთროპოლოგიური პრობლემა, საერთო საკაცობრიო პრობლემაა და დროის მოთხოვნილებათა დონეზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის (კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების) მართვის, ყველა რანგისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროზე და ყველა დონის, შინაგანი და გარეგანი ეკოლოგიისა და გარე სამყაროსთან (ბუნებასთან) ურთიერთობის მეცნიერულ ინტეგრაციაზე დამყარებულ ახალ მსოფლმხედველობას საჭიროებს, რომელშიც გაერთიანდება მთელი სინამდვილის უზენაესი კანონები.

ადამიანის ორგანიზმი, როგორც ფიზიკური, ბიოლოგიური, სოციალური ფაქტორების ერთიანობა, მირიადი ცოცხალი უჯრედების, მოლეკულების, სტრუქტურების, სისტემების ურთიერთშეთანხმებული და სოლიდარული, „დემოკრატიული“ ერთიანობის დამოუკიდებელი, უნიკალური ბიოლოგიურ-სოციალური „სახელმწიფოა“. მისი ფუნქციონირების რიტმული მოძრაობა შემადგენელი სტრუქტურების ფუნქციონირების სივრცობრივი პოზიციურობის ტალღების შესატყვის ფერებისა და ბგერების ჰარმონიაში ვლინდება. ამავე დროს ადამიანის ბიოლოგიურ-ფიზიკური სტრუქტურების ფუნქციონირება, რომელიც სივრცობრივი პოზიციურობის განზომილებებით გამოიხატება, სოციალურ სფეროში სხვადასხვა გეოგრაფიული ზონის, რეგიონის, პოპულაციისა და ეროვნების ადამიანთა ფსიქოლოგიურ ორიენტაციაში ვლინდება. იგი, როგორც ადამიანთა მრავალსაუკუნოვანი განვითარებისა და სრულყოფის სულიერი ნაყოფი, მათ სოციალურ ფორმაში, ყოფიერებაში, ფოლკლორში, ადათ-წესებში და მუსიკალურობაში გამოიხატება.

ამ მხრივ ქართული ხალხური სიმღერა, ფოლკლორი და ადათ-წესები ჭეშმარიტი, დემოკრატიული სულისკვეთების ციტადელია, რომლის ისტორია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, მრავალეროვანი და ყველა სარწმუნოების მიმართ შემწყნარებლური სოლიდარული სახელმწიფოებრიობის დადასტურებაა.

თავი მესამე

სიცოცხლის ცხოველმყოფელობა, როგორც ენერგოინფორმაციის მართვისა და თვითმართვის პროცესი

§1. მკურნალობა, როგორც ორგანიზმის ბიოენერგო-ინფორმაციის მართვითი ზემოქმედება

ცნობილია, რომ სამყარო მიკრო, მაკრო და მეგამატერიის ერთიანობის სუპერგიგანტურ უსასრულო სისტემას ნარმოადგენს; ეს ერთიანობა ხასიათდება მატერიის ყველა ფორმისა და მათი ენერგო-ინფორმაციის ურთიერთქმედებით, ორმხრივი კავშირით, რაც განაპირობებს მოვლენებისა და პროცესების არსებობას. მოვლენები და პროცესები მატერიის პოლარული ძალების ურთიერთზემოქმედებით გამოწვეული მოძრაობის შედეგია. ამავე დროს, მატერიის ყველა ფორმა ხასიათდება სტრუქტურის ინდივიდუალურ-გეომეტრიული კონფიგურაციის და სამგანზომილებიანი სივრცითი სიდიდეების მაჩვენებლებით და დროსა და სივრცეში მოძრაობის დიაპაზონით, რომელიც განსაზღვრავს თვისებრიობის ხარისხს; პოლარობა მატერიის ყველა ფორმის უნივერსალური თვისებაა, რაც აპირობებს სამყაროში მუდმივ მოძრაობასა და ცვალებადობას.

ამრიგად, მოძრაობა ურთიერთმოქმედების, ზემოქმედების, ურთიერთგამორიცხვის, ჩანაცვლების, შთანთქმის, გარდაქმნის, შეერთების, ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლის, განზიდულობისა და მიზიდულობის ურთიერთობაა და მოძრაობის გამომხატველი უსასრულო, მრავალმიმართულებიანი პროცესები და საგნები ცვალებადობის, „თვითშენარჩუნების", „თვითდაცვის", „თვითგაწმენდის", „თვითაღდგენის", „თვითგანვითარების", „თვითმართვის" კანონებს ეფუძნება და სამყაროს უნივერსალური კანონზომიერების შემადგენელი ნაწილია; ამავე დროს სამყაროში

მატერიის ცალკეული ფორმების ენერგია-ინფორმაცია სამყაროს ერთიანი ენერგო-ინფორმაციის ნაწილია, ანუ სამყაროს ერთიანი ენერგო-ინფორმაცია აერთიანებს მატერიის ყველა ფორმას და მის ენერგია-ინფორმაციას. მატერიის ერთი ფორმის ინფორმაცია მთელ სამყაროში ვრცელდება და პირიქით; მატერიის ყველა ფორმა, მისი პოლარობა, მოძრაობა, მოვლენები და პროცესები მათი ენერგო-ინფორმაციის ურთიერთზემოქმედება და ორმხრივი კავშირები განაპირობებს სამყაროს ერთიან, უნივერსალურ კანონზომიერებას. სამყაროში ყველაფერი ამ კანონზომიერებას ექვემდებარება, ვინაიდან იგი უნივერსალური კანონია, როგორც ფიზიკური, ასევე ბიოლოგიური და სოციალური სფეროებისათვის.

ამგვარად, **მატერიალურობა, რაოდენობრიობა, თვისებრიობა, ენერგია, ინფორმაცია, მოძრაობა, სამყაროს გლობალური ფენომენებია და მიკრო, მაკრო და მეგასამყაროს უნივერსალური** თვისებაა.

სამყაროსა და ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესები და მოვლენები, ერთი შეხედვით, თვითმართვადია, მაგრამ ამავე დროს, გარკვეულ დროსა და სივრცეში იგი მართვადია, როგორც მატერიის სხვადასხვა ფორმის ურთიერთზემოქმედებით. ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებაში ყველაფერი ექვემდებარება ენერგია-ინფორმაციის მართვისა და „თვითმართვის" ზოგად კანონზომიერებას. არ არსებობს მართვა და თვითმართვა მატერიის ენერგო-ინფორმაციისა და მისი გაცვლის გარეშე, ისევე როგორც არ არსებობს მატერია და ენერგოინფორმაცია — მართვისა და „თვითმართვის" გარეშე; ამიტომ იგი, როგორც სამყაროს უნივერსალური კანონი, ადამიანის ყოფიერების გლობალური კანონიცაა და იგი აქტუალურია მეცნიერების ყველა დარგისათვის; ამასთანავე იგი ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივების თეორიისა და პრაქტიკის საფუძველია.

ამ პრობლემებიდან ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს ადამიანის ენერგო-ინფორმაციის მართვისა და თვითმართვის კანონზომიერება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიისა და მედიცინისათვის.

ადამიანის ორგანიზმი, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილი და სამყაროსთან ურთიერთქმედების ენერგო-ინფორმაციის „შემოდინება-გამოდინების", კავშირების და უკუკავშირების

ურთულესი თვითმართვადი სისტემა, მის შემადგენელ მიკრო და მაკრო სტრუქტურებთან განუწყვეტელი ენერგო-ინფორმაციის მატარებელი ავტონომიური ფენომენია, რომლის შემადგენელი მოლეკულები, ატომები, მიკრონაწილაკები ელექტრო ველის (ბიოველის) ტალღური სპექტრით (ფერებით და ბგერებით) ხასიათდება. მათი ჰოლოგრამები უჯრედის ენერგეტიკული ცვლის ხარისხის მაჩვენებელია; ასევე მასში აღინიშნება პათოლოგიის პირველი ინფორმაციები, როგორც ამ სტრუქტურების რაოდენობრიობის ცთომა და თვისებრივი ცვლილებები დროსა და სივრცეში. ამდენად, ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის ადრეული რეგისტრაცია-დიაგნოსტიკა და მასზე ზემოქმედება-მკურნალობა შესაძლებელია გრძნობათა ორგანოების (რეცეპტორთა) ყველა დონეზე, მათ შორის კანის საფარველის ყველა წერტილებიდან და არა მხოლოდ აღმოსავლური მედიცინის დაკანონებულ წერტილებსა და ზონებიდან. აქედან გამომდინარე, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე თვითმართვადი პროცესების დარღვევის ადრეული გამოვლინება-დიაგნოსტიკა სტრუქტურის ტალღური სპექტრის რეგისტრაციით, ხოლო ადრეული მკურნალობა-პროფილაქტიკა ორგანიზმის დარღვეული ფუნქციის გენომაზე შესატყვის ენერგო-ინფორმაციულ ფაქტორებსა და აგენტების (ვირუსები, მიკრობები) ჰოლოგრამათა ფანტომების ზემოქმედებით უნდა ხდებოდეს. ამგვარად „ყველაფერი წამალია და ყველაფერი საწამლავია", ხოლო ყველაფრის წამლობას ან „საწამლავობას" განაპირობებს ფაქტორის ან აგენტის სხვადასხვა რაოდენობრიობა და სივრცობრივი პოზიციურობა და იგი მედიცინის თეორიული და პრაქტიკული საფუძველია.

ამავე დროს, ყველა სამკურნალო ფაქტორისა და საშუალების მოქმედება ორგანიზმზე ინტრა და ექსტრასენსორული (შინაგანი და გარეგანი) ზემოქმედებაა ენერგია-ინფორმაციის საშუალებით, რომელიც იწვევს სტრუქტურის და მისი „ბიოველის" ცვლილებებს. „ბიოველი", ანუ ელექტრონული ველი, როგორც ფიზიკური მოვლენა, ორგანიზმის ცხოველმყოფელობის გამოვლინებაა და იგი, როგორც მთელი ორგანიზმის თვითრეგულაციის შედეგი, უნდა ხასიათდებოდეს მისი შემადგენელი ელემენტების — ატომების, უჯრედების, ქსოვილების და სხვა — ინდივიდუალური თავისებურებებით. თითოეულ ორგანიზმში იგი ისეთივე სპეციფიკური

ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს, როგორი ნიშნებითაც ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურა ხასიათდება. ეს ნიშნებია შინაგანი და გარეგანი ფორმა, სტრუქტურა, ნივთიერებათა კონცენტრაცია, ელექტრული და მაგნიტური ველების დაჭიმულობის კოეფიციენტი, პოლარობა, არომატული კომპონენტები, ტალღური გამოსხივების განზომილება, ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის დიაპაზონი და სხვა. ეს ნიშნები სხვადასხვა ფუნქციურ-ფიზიკური, ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობისას შესატყვისი განმასხვავებელი ატრიბუტებითა და პარამეტრებით უნდა ხასიათდებოდეს.

პათოლოგიის დროს ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურები დეფორმირებულია და „ბიოველიც" პათოლოგიის მახასიათებელი დეფორმაციით უნდა განსხვავდებოდეს ჯანსაღი ორგანიზმის „ბიოველისაგან"; რადგან „ბიოველი" ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ფიზიოლოგიური ან პათოლოგიური მდგომარეობის გამოვლინება და შედეგია, იგი მეორადია (თუ დავუშვებთ, რომ „ბიოველი" პირველადია, მაშინ იგი ორგანიზმის ფიზიკური და სულიერი სამყაროს მამოძრავებელი, ანუ ორგანიზმის თვითრეგულაციის, თვითმართვის ძალა ყოფილა და მისი მოქმედების მექანიზმის ანალიზი მისტიციზმში უნდა ვეძიოთ).

„ბიოველი", როგორც ორგანიზმის შემადგენელი სტრუქტურების — ატომების, უჯრედების, მოლეკულების, ორგანო-სისტემების — ფუნქციონირების ანარეკლი, მრავალფეროვანი ფორმისა და მრავალწახნაგოვანი კონფიგურაციული ფიზიკური სტრუქტურაა და მისი შესწავლა მეცნიერული თვალსაზრისით რთული და შრომატევადია. ამავე დროს „ბიოველის" „კორექციის" სამკურნალო გამოყენება მეცნიერული დასაბუთების გარეშე არამიზანშეწონილად უნდა კვალიფიცირდებოდეს, რადგან ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების თვითმართვის მექანიკურმა „კორექციამ" შეიძლება გამოიწვიოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები; „პათოლოგიური ბიოველი" დაავადების შედეგი უნდა იყოს და არა მიზეზი; შედეგზე ზემოქმედება დაავადების მიზეზისა და ლოკალიზაციის, მისი შესატყვისი ინდივიდუალური სტრუქტურის დადგენის გარეშე ყოველთვის სასურველ შედეგს არ მოგვცემს.

ორგანული დაავადების „ბიოველის" მექანიკური „კორექცია" და მისი ეფექტურობა, ანუ ორგანული დაავადების უკუგანვითარება

ექსტრასენსორული ზემოქმედებით მეცნიერულად ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

ისმის კითხვა: რით განსხვავდება ორგანულ და ფუნქციურ დაავადებათა ე.წ. „ბიოველი"? ამ კითხვაზე ჯერჯერობით მეცნიერული პასუხი არ არსებობს. ალბათ, ორგანული დაავადებების „ბიოველის" კორექციის სრულ გაჯანსაღებამდე მიყვანა ბევრად რთულია, ვიდრე ფუნქციური დაავადებისა.

§2. ბიოველი, როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის გარეგანი ელექტრული ველი

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ე.წ. „ბიოველი", როგორც ორგანიზმის ბიოენერგეტიკის ხარისხი და თვისებრიობა, დამოკიდებულია ორგანიზმის აქტიური ცხოველმყოფელობის, ფუნქციონირების ხარისხზე, დეტერმინებულ რაოდენობრივ-თვისებრიობის „სიჭარბის" ან „დეფიციტის" კოეფიციენტზე, ამიტომ პათოლოგიის ლოკალიზაციის გავრცელების სიმძიმისა და მიმდინარეობის მიხედვით, „ბიოველიც" დეფორმირებული უნდა იყოს და მისი კორექცია უნდა მოხდეს ენერგეტიკული ცვლის გააქტიურებით პათოლოგიის რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ ინტრა და ექსტრასენსორული ზემოქმედება ორგანიზმზე რთული კომპლექსური, თერაპიული, ბიოლოგიური, ფიზიკური, ფსიქიკური, ენერგო-ინფორმაციული ზემოქმედებაა, რომელიც თვითშთაგონების პრინციპსაც მოიცავს; ამდენად, იგი გააზრებული და მიზანდასახული, ინტელექტუალური, კოორდინირებული მოქმედება უნდა იყოს. ამ პროცესში პაციენტი და მკურნალი აზროვნებისა და შთაგონების პრინციპით თუ არ მოქმედებს, იგი არ იქნება კომპლექსური.

შთაგონებით ზემოქმედებას, ანუ პაციენტის თვითშთაგონების ჩამოყალიბებას ენერგო-ინფორმაციით, მკურნალების მეთოდების გამოყენებისას წამყვანი როლი უნდა მიენიჭოს, ე.ი. ზემოქმედება და ზემოქმედების რეალიზაცია აზროვნების ხელოვნებით უნდა ხდებოდეს.

ცნობილია, რომ ყველაზე მაღალი რანგის ხელოვნება, აზროვნების ხელოვნებაა. მაგრამ, ამავე დროს, ისევე როგორც ორგანიზმის სხვა ფუნქციები, აზროვნებაც ოპტიმალური და მინიმალური

აქტივობის პერიოდულობით ხასიათდება. შეიძლება დავუშვათ, რომ ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციური მდგომარეობა დღის, თვის და წლის სხვადასხვა პერიოდსა და დროში გამოწვეულია ორგანიზმის სივრცობრივი პოზიციურობის ცვალებადობით დედამიწის ბრუნვასთან (მზის ან საკუთარი ღერძის გარშემო) დაკავშირებით. ადამიანის ორგანიზმი, დედამიწის დიდი სიჩქარით ბრუნვასთან ერთად, დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სამყაროსა და პლანეტების ზემოქმედების სიახლოვის ან სიშორის მდგომარეობაშია, ე.ი. ადამიანის ორგანიზმი დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სიძლიერის ელექტრომაგნიტური, გრავიტაციული და სხვა ველების ზემოქმედების ზონაში იმყოფება; მაგრამ იმავე დროს იგი წონასწორობას ინარჩუნებს და კონფორმაციას არ განიცდის, თუმცა მისი ფსიქოფიზიკური აქტივობა დროის მიხედვით იცვლება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მზის სისტემის პლანეტების ბრუნვა სპირალურია, ისინი ინარჩუნებს მოძრაობის სიჩქარისა და ერთიმეორის მიმართ ბრუნვის გარკვეულ სტაბილურ პარამეტრებს, თუმცა ბრუნვის პარამეტრები აბსოლუტურად არ მეორდება და მოვლენები, პროცესები, რომლებიც მოხდა, ისეთივე სიზუსტითა და რაოდენობა-თვისებრიობით არ განმეორდება. ამიტომ ყველაფერი ძველდება და იცვლება ახლით. ჰაიზენბერგის „უზუსტობაც" დაკავშირებულია ე.წ. „სპირალურ" მოძრაობასა და გრავიტაციასთან, რაც ურთიერთდაპირისპირებულ ერთიანობათა შორის, „ვირტუალური", „შუალედური ველის" ცვალებადობითა და არამდგრადობითაა განპირობებული; მისი პოტენციალები რიტმულად იცვლება ერთ ან მეორე დაპირისპირებულ სტრუქტურაში; დროის ყველა მონაკვეთში იგი ასიმეტრიულია და არ ხდება დაპირისპირებულ ერთიანობათა სრული შერწყმა.

ამდენად ბუნებრივია, რომ წლის, თვის, დროისა და სივრცის მიხედვით ორგანიზმის სხვადასხვა ფსიქოფიზიკურ, ასევე აზროვნების სფეროს სხვადასხვა აქტიურობასთან გვაქვს საქმე, ე.ი. აზროვნების ოპტიმალური და მინიმალური განზომილებების ცვლილებები, რომლებიც მახასიათებელია პიროვნებისათვის, უნდა იყოს გათვალისწინებული მკურნალობა-დიაგნოსტიკის პროცესში.

ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმის ფუნქციები და პროცესები, რაოდენობრიობა-თვისებრიობის, დრო-სივრცის დეტერმინირებული დიაპაზონის ფარგლებში ოპტიმალური და მინიმალური აქტივობის მერყეობით ხასიათდება და დროის გარკვეულ მონაკვეთში მერყეობის დომინანტი შეიძლება იყოს რაოდენობრიობა, ან თვისებრიობა.

ექსტრა და ინტრასენსორული ზემოქმედების ეფექტურობის მექანიზმის მნიშვნელოვანი ფაქტორია რაოდენობრივ-თვისებრივი და დრო-სივრცითი მდგომარეობები, კერძოდ, რომელ დროს ტარდება და რა პოზიცია აქვს პაციენტს (პაციენტის პოზიციურობა სამკურნალო ზემოქმედების პროცესში ფსიქოფიზიკური განწყობითაა განპირობებული) ან რა ფსიქოფიზიკური განწყობაა; ამდენად ორგანიზმზე ყველა სახის ბიოენერგეტიკული ზემოქმედება შეიძლება იყოს „შინაგანი" და „გარეგანი" იმის მიხედვით, რაოდენობრიობაზე ვმოქმედებთ, თუ თვისებრიობაზე; ეს უკანასკნელი დამოკიდებულია, ფართო გაგებით, ბიოენერგეტიკული ზემოქმედების დოზის განსაზღვრაზე და პაციენტის ბიოენერგეტიკული ცვლის ხარისხის საფუძველზე.

ცნობილია, რომ ყველა მოვლენა, საგანი და პროცესი განზომილებითა და რაოდენობრივ-თვისებრიობით ხასიათდება დროსა და სივრცეში. აბსოლუტურად ერთნაირი საგნები არ არსებობს და ერთი და იგივე პროცესი აბსოლუტური სიზუსტით არ მეორდება; მიკრონანილაკებიც კი თავისი მოძრაობის სიხშირის კორდინატებით ხასიათდება; ასევე ბიოლოგიურში არ არსებობს ნორმის მტკიცე ზღვარი, ხოლო სტატისტიკური ნორმა ერთი სახის მოვლენათა ან პროცესთა საშუალო სტატისტიკური რიცხვია ამა თუ იმ პოპულაციისათვის ანუ ერთი და იგივე სახეობის სხვადასხვა ნორმათა სტატისტიკური ინდექსია. ამდენად ნორმა იმდენია, რამდენიც ინდივიდუმია. ამიტომ დოზაც იმდენია, რამდენიც ინდივიდუმი.

როგორც ცნობილია, ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობას განიხილავენ როგორც განვითარების ფაქტორს; მაგრამ იგი ერთი დაპირისპირებული სტრუქტურისათვის შეიძლება განვითარება იყოს, ხოლო მეორისათვის – დეგრადაცია. ასევეა „ორი ელექტროველის" ურთიერთზემოქმედებაც.

რადგან ბიოენერგო-ინფორმაციული ზემოქმედება ორგანიზმზე ნარმოადგენს ორი ელექტრონული ველის ურთიერთობას, ამიტომ მათ შორის ყალიბდება ე.წ. ვირტუალური, შუალედური, გარდამავალი ველი, რომლის პოტენციალები გარკვეული სიხშირისა და დიაპაზონის რიტმის ცვალებადობით ხასიათდება. საჭიროა მისი მიზნობრივი მართვა, რათა არ მოხდეს ერთი მხარის გადიდება მეორეს ხარჯზე, რასაც შეიძლება მოჰყვეს ერთი მხარის დეგრადაცია მეორეს ხარჯზე. ამ ცვალებადობის რიტმის სიხშირის დიაპაზონი განაპირობებს დონორსა და რეციპიენტს შორის პოტენციალების ცვალებადობას, რომელმაც უნდა გამოიწვიოს დაუმუხრუჭებელი „ენერგო-გენერატორის" გაშვება, ენერგეტიკის გადანაწილება პათოლოგიურ უბანში; კერძოდ, სიჭარბისა და დეფიციტის ნიველირება, რაც ფაქტობრივად ენერგიის შემოდინებისა და გადინების წონასწორობის აღდგენაა თერმოდინამიკის კანონების საფუძველზე და გაჯანსაღების თეორიული საფუძველია.

რადგან თითოეული პიროვნების ელექტროველები საკუთარი ინდივიდუალური პარამეტრებით ხასიათდება, საჭიროა პაციენტისა და „ოპერატორის", „ბიოველის" წინასწარი შესწავლა ბიოვამპირიზმის თავიდან აცილების მიზნით. ბიოენერგეტიკული ზემოქმედების, როგორც ყველა სახის სამკურნალო ენერგეტიკული ზემოქმედების დოზირების განსაზღვრა მაღალი მგრძნობელობის დეტექტორების გამოყენებასთანაა დაკავშირებული, რადგან ყველა მოვლენა და პროცესი ტალღური გამოსხივების ფერებითა და ბგერებით აღიქმება, ბიოველის დახასიათება და შესწავლა ფერის, ბგერის და არომატული კომპონენტების განსაზღვრის მნიშვნელოვან ინფორმაციულ არგუმენტებად უნდა მივიჩნიოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზმზე ყველა სახის სამკურნალო საშუალებათა მოქმედება ფაქტობრივად ექსტრა და ინტრასენსორული, ანუ შინაგანი და გარეგანი ზემოქმედებაა, რომელიც გრძნობათა ორგანოებით (რეცეპტორებით) ხორციელდება, ხოლო ბიოენერგეტიკის გარეგანი ზემოქმედება ექსტრარეცეპტორებზე გარეგანი ზემოქმედებაა, თუმცა მეორადად იგი ინტრარეცეპტორებზეც მოქმედებს ფსიქიკურ სფეროზე ზემოქმედების გზით. ეს ნიშნავს, რომ ფიზიკური ზემოქმედებით შესაძლებელია ფსიქოთერაპიული ეფექტი.

რადგან თითოეული ინდივიდის ბიოენერგეტიკა (როგორც ორგანიზმის ყველა ფუნქცია, პროცესი, მოვლენა) თვითმართვადი და მართვადია (თვითმართვადია შინაგანი ზემოქმედების მიხედვით და მართვადია – გარეგანი ზემოქმედებით), ამავე დროს ყველა ბიოლოგიურ სტრუქტურასა და ინდივიდუუმს აქვს საკუთარი რაოდენობრიობა-თვისებრიობისა და ფუნქციური მოძრაობის (მოძრაობა ყოველთვის ფუნქციურია) განზომილებები, საკუთარი დრო-სივრცული ნრე-ზონა; იგი მერყეობს დეტერმინიზმის ზღურბლოვანი დიაპაზონის ფარგლებში და განპირობებულია გარეგანი და შინაგანი პროცესებით, მოვლენებით; მისი ინდუქციური ზემოქმედება დაკავშირებულია პიროვნების საკუთარი „ბიოველის" სიდიდისა და განზომილების ცვალებადობაზე.

ე.წ. „ბიოველის" ერთ-ერთი დანიშნულებაა გარეგანი და შინაგანი ინფორმაციის მიღება-გაცემა და ტრანსფორმაცია, რომელიც განაპირობებს ორგანიზმის ბიოენერგეტიკულ წონასწორობას. როდესაც მას სხვა ველები გადაკვეთს, იგი იწვევს ინფორმაციული ველის დეფორმაციას, ინფორმაციის ცვლის შეფერხებას და უარყოფით ფსიქოფიზიკურ განწყობას, რაც პათოლოგიის საკუთარი დრო-სივრცული წრის – ზონის – დეფორმაციის შედეგი და პათოლოგიის საფუძველია. როდესაც პიროვნება საკუთარი დროისა და სივრცული ნრის ფარგლებშია, იგი ოპტიმალურ კომფორტს განიცდის და მისი გარეგანი ველი ანუ „ბიოველი" არაა დეფორმირებული გარეგანი ზემოქმედებით. აქედან გამომდინარე ე.წ. „ბიოველის" დეფორმაცია შეიძლება გამოიწვიოს როგორც შინაგანმა, ასევე გარეგანმა ფსიქოფიზიკურმა ზემოქმედებამ, ინდივიდუუმის დრო-სივრცული ნრის შეზღუდვით. ასეთია: ანომალური ზონები, ფსიქოფიზიკურად შეუთავსებელ პიროვნებათა გარემო, ძლიერი ელექტრომაგნიტური, გრავიტაციული და სხვა ველები, სამუშაო და საბინაო საყოფაცხოვრებო პირობების შეზღუდულობა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და მეტეოროლოგიური გარემო, ოქროს კვეთის განზომილებებისაგან მკვეთრად განსხვავებული შენობა-ნაგებობები, აგრეთვე უარყოფითი ზემოქმედების გარემო და ფაქტორები.

ამდენად, საკუთარი დრო-სივრცული ნრის განსაზღვრა და მისი დაცვა გაჯანსაღების და სიცოცხლის გახანგრძლივების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ე.წ. „ბიოველი", როგორც ფიზიკური სტრუქტურა, უნდა ხასიათდებოდეს სამგანზომილებიანობა-რაოდენობრიობის ფლუქტუაციით დროსა და სივრცეში. ამ განზომილებათა ცვალებადობა ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციური მდგომარეობიდან გამომდინარეობს; ამიტომ ბიოველი უნდა განვიხილოთ ორგანიზმის ცხოველმყოფელობის შესაბამისობაში.

არსებობს შეხედულება, რომ ე.წ. ექსტრასენსი თავის საკუთარ ენერგიას გადასცემს პაციენტს, რომელსაც აქვს ენერგიის უკმარისობით გამოწვეული პათოლოგია; ენერგიის გადაცემა და ათვისება, ალბათ, არასწორი გამოთქმაა, რადგან ენერგიის ცვლის ხარისხი და არა მისი რაოდენობრიობა განაპირობებს ეფექტურობას. ზედმეტი ენერგია, რომელიც აღემატება ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს, სიჭარბის (უარყოფითი ზემოქმედების) ფაქტორია. როგორც ინტრასენსორულმა, ასევე ექსტრასენსორულმა ზემოქმედებამ ორგანიზმში უნდა გამოიწვიოს დამუხრუჭებული ან დაქვეითებული ენერგოინფორმაციული ცვლის გააქტიურება და არა ენერგიით დატვირთვა და აკუმულაცია.

ასევე ექსტრასენსორული ზემოქმედებისას პაციენტსა და ე.წ. „ექსტრასენსს" შორის წრედის შეკვრა, მუხტების გაცვლით უნდა ხდებოდეს, ანუ შენელებული ან დამუხრუჭებული პროცესის, ან ფუნქციის გააქტიურება ენერგო-ინფორმაციის ცვლით და ფსიქოფიზიკურ სფეროთა შორის დარღვეული თანაფარდობის აღდგენით უნდა ხდებოდეს (ამ თანაფარდობის დარღვევა, გარემოსთან ენერგო-ინფორმაციული ცვლის დაქვეითების ერთ-ერთი საფუძველია). რადგან დაავადება ფაქტობრივად პათოლოგიური ფაქტორის, ან აგენტის ენერგო-ინფორმაციის ფიქსირებაა ორგანიზმის ფსიქოფიზიკურ სფეროში, პათოლოგიის ენერგო-ინფორმაციის გამოყვანა პათოლოგიის რეგიონიდან მკურნალისა და პაციენტის ერთობლივი მოქმედებით უნდა ხდებოდეს. ასევე უნდა იყოს სამკურნალო ენერგო-ინფორმაციის შეყვანა, რაც ინტრა და ექსტრასენსორული ზემოქმედების საფუძველია (ამიტომ ე.წ. დონორისა და პაციენტის ურთიერთსაწინააღმდეგო პოლარობა მიზნობრივი ეფექტურობის საწინდარია).

§3. მკურნალობა, როგორც ინტრა და ექსტრასენსორული ზემოქმედებით ფსიქოფიზიკური განწყობის ჩამოყალიბება

ამრიგად, ექსტრა და ინტრასენსორული (შინაგანი და გარეგანი) ზემოქმედების, ანუ მკურნალობის ტრადიციული პრინციპები და მეთოდოლოგია ვერ თავსდება დოგმატური მსოფლმხედველობის სტანდარტებში. იგი შემოქმედებითი პროცესია (არც თუ ისე იშვიათად იგი არაკვალიფიცირებულ პიროვნებათა დონეზე წყდება). თუ დავუშვებთ, რომ ე.წ. ექსტრასენსის ზემოქმედებით სხვა სამკურნალო დანიშნულებათა გარეშე ყველა დაავადება უკუგანვითარებას განიცდის, მაშინ იგი პანაცეა ყოფილა. ასეთი შეხედულება უსაფუძვლოა და მას მეცნიერული საფუძველი არა აქვს. სინამდვილეში შინაგანი და გარეგანი (ინტრა და ექსტრასენსორული) ზემოქმედება პათოლოგიური ინფორმაციის საწინააღმდეგო ფსიქოფიზიკური, სამკურნალო-ინფორმაციული ზემოქმედებაა, რომელიც აყალიბებს ორგანიზმის გაჯანსაღების ფსიქოფიზიკურ განწყობას.

განწყობა ფსიქოფიზიკური სტრუქტურების მიზნობრივი მოქმედების ინფორმაციული გაცნობიერებაა და იდეის, ან მიზნის შესრულების პროგრამის შესაბამისად, სათანადო ფსიქოფიზიკური სტრუქტურების პოზიციურობის ჩამოყალიბება და მოძრაობაა დროსა და სივრცეში, ანუ იგი ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთიანი შემოქმედებაა; ამავე დროს, ფსიქიკური სფეროს ინფორმაციული განწყობა ვრცელდება ფიზიკურ სფეროში და, პირიქით. „სამკურნალო განწყობის" ეფექტური ჩამოყალიბებისათვის საჭიროა ინფორმაციული ზემოქმედება, როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიკურ სფეროებზე. ამ დროს უფრო ეფექტურად, როგორც ცნობიერი (უპირობო, გენეტიკური, შეძენილი), ასევე ქვეცნობიერი (პირობითი, მყისეული, მწვავე და შეძენილი) განწყობა ყალიბდება. რამდენად ეფექტურად და მკვეთრად ყალიბდება მიზნობრივი მოქმედების ცნობიერი განწყობა, იმდენად ეფექტურად ხორციელდება მისი ქვეცნობიერი შესრულება (მიზნობრივი აზროვნებითი შთაგონებით განწყობის ჩამოყალიბება და მისი შესრულება, მართვა, ცნობიერისა და ქვეცნობიერის ერთდროული მოქმედებაა).

ამრიგად, ინფორმაციის მიღების, ანალიზისა და რეალიზაციის გარეშე, ანუ წინასწარი ინფორმაციული გაცნობიერების, ანუ განწყობის გარეშე განწყობის შესატყვისი ფუნქცია არ სრულდება. არც განწყობა შეიძლება იყოს ფუნქციის შესრულების გარეშე. ამ პოზიციით განწყობა და ფუნქციის შესრულება ისეთივე პროცესია, როგორც რეფლექსი. განწყობა შეიძლება იყოს პირობითი, უპირობო, გენეტიკური, შეძენილი, შემთხვევითი ინფორმაციის შედეგად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ განწყობას გააჩნია ცნობიერი და ქვეცნობიერი საფუძველი; ანუ კონკრეტულ განწყობას აქვს სტრუქტურის კონკრეტული პარამეტრები და განზომილებები, კონკრეტული ინფორმაცია და ინფორმაციის განზომილებები, მიზნობრივი მიმართულება, ვექტორი, მიზეზი და დანიშნულება, დრო, სივრცე, სივრცის კონკრეტული გარემო და განზომილებები, ფუნქცია და ფუნქციის შესრულების სტრუქტურა. ამავე დროს, განწყობის ინფორმაცია შეიძლება იყოს როგორც ცალკეული გრძნობის ორგანოებისაგან, ასევე ყველა გრძნობათა ორგანოების ერთობლივი მონაწილეობით; ამიტომ განწყობა შეიძლება იყოს: მარტივი — ერთი გრძნობის ორგანოს და ერთი ფუნქციის შესრულების სახით, ან რთული — მრავალი ფუნქციის შესრულების სახით, ორგანიზმის ყველა გრძნობათა ორგანოსა და ფუნქციის ერთდროული მონაწილეობით.

განწყობა შეიძლება იყოს ცნობიერი, ქვეცნობიერი, ან ერთდროულად ცნობიერიც და ქვეცნობიერიც. იგი, როგორც ინფორმაციის მიღებისა და ტრანსფორმაციის რეალიზაცია, მიზანმიმართულებით სრულდება, სრულყოფილი და ეფექტურია.

შთაგონება, თვითდაჯერება, თვითდარწმუნება, როგორც ფსიქოფიზიკური განწყობა, მიზნობრივი აზროვნების შედეგია და გარკვეული იდეის შესრულების ინფორმაციის ფიქსირებაა ფსიქოფიზიკურ სფეროში, რომლის შემდგომი ეტაპია მთელი ორგანიზმის მობილიზაცია იდეის, მიზნის რეალიზაციისათვის (ფსიქოთერაპიის მექანიზმი თვითშთაგონებაში გამოიხატება სხვა პიროვნების ზემოქმედებით).

აქედან გამომდინარეობს, რომ შემოქმედებითი პროცესი ანუ შემოქმედებითი განწყობა ყველა გრძნობის ორგანოს და მრავალ ფუნქციათა შეთანხმებული რთული პროცესია (რთული

მოძრაობაა) გაერთიანებული ერთი განზომილების დრო-სივრცულ პოზიციურობაში; იგი ორგანიზმის რთული ფუნქციონირებაა, რომელშიც ერთიანდება ცნობიერი და ქვეცნობიერი.

დიაგნოსტიკა-მკურნალობა, როგორც შემოქმედებითი პროცესის ეფექტურობა, დამოკიდებულია ფსიქოფიზიკურ განწყობაზე და იგი რთული პროცესია; ექსტრა და ინტრასენსორული, მიზნობრივი მკურნალობა და დიაგნოსტიკა რთული სისტემაა.

დიაგნოსტიკა შინაგანი და გარეგანი ინფორმაციის მიღება, ანალიზი და ფიქსირებაა, რომელიც ინტრა და ექსტრასენსორული შეხების გარეშე შეუძლებელია; მკურნალობა კი ინფორმაციის შეყვანაა ორგანიზმში, ან გამოყვანაა ორგანიზმიდან და იგი, როგორც ორგანიზმის თვითმართვა, ინფორმაციების მიღების, ტრანსფორმაციის და რეალიზაციის მარტივი და რთული გარდაქმნების შედეგია, რთული აზროვნების პროცესია. რამდენად იგი მარტივია, იმდენად ცალკეული პროცესების სახით სრულდება, ხოლო რამდენად რთულია, იმდენად რთული მოძრაობებით, მრავალ ფუნქციათა მონაწილეობით სრულდება. სამკურნალო საშუალებები და ფაქტორები, რამდენად ფართო სპექტრის მოქმედებით ხასიათდება, იმდენად ნაკლები გვერდითი მოქმედებით ხასიათდება. ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესი დისკრეტულია, ისევე, როგორც ანბანი, მარცვალი, სიტყვა, წინადადება და ა.შ. ასევე ორგანიზმის რთული მოძრაობები, ცალკეული, მარტივი, ერთეული პროცესების ერთიანობაა, ანუ ერთეული, მარტივი მოძრაობები გაერთიანებულია რთულ ფორმად. ამავე დროს, რთული, მრავალინფორმაციული განწყობა ორგანიზმის თვითმართვის პროცესია (გარეგანი და შინაგანი **ინფორმაციების მიღების, ტრანსფორმაციისა და რეალიზაციის, განზოგადოების შედეგად ჩამოყალიბდა ანბანი, წერა, კითხვა, ლაპარაკი, სიმღერა).**

განწყობის ყველა ფორმა მარტივ და რთულ მოძრაობათა ერთობლიობაა და შესატყვისი ბიოველით, ანუ ელექტრული ველის გარკვეული პარამეტრებით ხასიათდება, რომლის შესწავლა დიდი პერსპექტივის მქონეა.

რადგან ბიოველი ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ველია, იგი ორგანიზმსა და გარე სამყაროს შორის „შემოდინება-გადინების" და სამკურნალო საშუალებათა და ფაქტორების ინტრა და

ექსტრასენსორული ზემოქმედების საწყისი, შუალედური და გარდამავალი ველია.

ამავე დროს, „ბიოველი" ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ფუნქციონირების ხარისხია, რომლის სტრუქტურული ანალიზით შესაძლებელია პიროვნების ფიზიკური, ბიოლოგიური, ფსიქიკური, სექსუალური, ენერგო-ინფორმაციული და სოციალური სფეროების ფუნქციური მდგომარეობის დადგენა; დაავადების ადრეული განნყობისა და ჩამოყალიბების პროგნოზირება (ადრეული გამოვლინება) ასევე ადრეული მკურნალობისა და მისი ეფექტურობის შეფასების, კრიტერიუმების დადგენაა რაოდენობრივ-თვისებრივი ანალიზის რიცხობრივ მაჩვენებელში. ბიოველის სტრუქტურული ანალიზის მოდელირება, ჰოლოგრამების შექმნა და მისი გადაყვანა კიბერნეტიკის ენაზე მრავალ ახალ „სიტყვას იტყვის" ბიოლოგიაში, მედიცინაში, პოლიტიკაში, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვა სფეროებში.

§4. მესამე თავის რეზიუმე

ამდენად, ე.წ. „ბიოველის" ანალიზი, მისი მართვა და თვითმართვა, ანუ ორგანიზმის ენერგია-ინფორმაციის მართვა და თვითმართვა მოითხოვს ღრმა, მეცნიერულ შესწავლას და სპეციალური კლასიფიკაციის ჩამოყალიბებას. ხოლო მისი პრაქტიკული რეალიზაციის მეთოდოლოგია უნდა ემყარებოდეს ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობის და გარე სამყაროსთან ერთიან ენერგო-ინფორმაციული ცვლის კანონზომიერებათა თეორიულსა და პრაქტიკულ საფუძვლებს: კერძოდ, იგი უნდა ითვალისწინებდეს პაციენტისა და ოპერატორის მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური საკითხების გადაწყვეტას; სახელდობრ, „ბიოველის" ინდივიდუალური თავისებურებების დადგენას, წინასწარი დიაგნოზის, პათოლოგიის, სტადიის, ფორმის, ძირითადი და თანმხლები, ასევე კონკრენტულ დაავადებათა ხვედრითი პოტენციალების არსებობას. იგი უნდა ითვალისწინებდეს ჩვენებასა და უკუჩვენებას, პაციენტის ინდივიდუალურ სივრცობრივ პოზიციურობას და დღის, კვების, ფსიქიკური და ფიზიკური ტრენინგის რეჟიმს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ორგანიზმზე ინტრა და ექსტრასენსორული ფსიქოფიზიკური ზემოქმედება ფართო მასშტაბის პრობლემაა და მისი მეცნიერული მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებისათვის შესწავლილი უნდა იქნას ე.წ. „ბიოველის" უარყოფით და დადებით პოტენციალთა ურთიერთობის მექანიზმი, ასევე „ბიოველის" გენეზი, რისგან შედგება იგი და რა დანიშნულება აქვს ბიოველის ფორმის, ფერისა და ბგერის განზომილებებს. რა თავისებურებებით ხასიათდება ბიოველი ასაკის, სქესის, ინტელექტისა და სხვა ფიზიკური და ფსიქიკური პროცესების თანაფარდობისას, რა განაპირობებს ბიოველის ფორმას, ფერს, კონსტრუქციას, სიმკვრივეს, კონცენტრაციას, იცვლება თუ არა მისი პოლარობა, როგორ გავზომოთ ბიოველი და რა განზომილებებით ხასიათდება იგი სხეულის მასასთან შედარებით; შესწავლილ უნდა იქნას გაჯანსაღებისა და მკურნალობის შედეგების მახასიათებელი ნიშნები „ბიოველში", „ბიოველის", როგორც ფიზიკური სტრუქტურის როლი, ჯანმრთელი და დაავადებული ადამიანის ორგანიზმის ფუნქციური მართვისა და თვითმართვის მექანიზმი, რომელიც ჩვენი შემდგომი კვლევის საგანი და პროგრამაა.

თავი მეოთხე

რენესანსი და მედიცინა

§1. უძველესი ქართული მედიცინა და რენესანსი

რენესანსი* მედიცინაში დაკავშირებულია ანტიკური ელინური ეპოქის, ბიზანტიისა და რომის ისტორიასთან. თუმცა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ამ მხრივ შუმერთა, ეგვიპტის, ინდოეთის, ტიბეტის და ჩინეთის უძველესი ისტორიული ძეგლები; რენესანსი მედიცინაში დაკავშირებულია საზოგადოების პოლიტიკურ, კულტურულსა და ეკონომიკურ პრობლემებთან, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებასთან. ამავე დროს პირველი გამოჩენილი მკურნალები, მედიცინაში აღიარებული ფილოსოფოსები იყვნენ.

ქართველებს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ერს, უხსოვარი დროიდან ჰქონდა თავისი სამედიცინო ფილოსოფიური შეხედულებანი სიცოცხლეზე, მის წარმოშობაზე, ავადმყოფობაზე, მის მიზეზებზე, მათი თავიდან აცილებასა და მკურნალობაზე, რასაც ადასტურებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულით დათარიღებული კულტურის ძეგლები; ასევე პირველი კოლხი მკურნალი ქალის მედეას სახელთანაა დაკავშირებული არა ერთი სამედიცინო იდეა (რომლებიც ჯერჯერობით ბოლომდე არ არის შესწავლილი) და თვით მედიცინის სახელწოდებაც (მედეა – მედიცინა), რაზეც მიუთითებს მრავალი ავტორი.

ქართული მედიცინის ისტორიაში შემორჩენილ უძველეს ძეგლებში იმ დროისათვის საკვირველი სიზუსტითაა წარმოდგენილი სამყაროს აგებულება, ფსიქიკის ფილოსოფიური გაგების

(*) გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შევნიშნავთ, რომ რენესანსის ცნებას ჩვენ ვიყენებთ არა მისი ტრადიციული გაგებით, ე.ი. როგორც საზოგადოების ინტელექტუალურსა და კულტურულ აღმავლობას, არამედ ფართო აზრით, როგორც განვითარებას, სრულქმნას, რასაც ადგილი აქვს არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ ბუნებაშიც.

ელემენტები, ცნობიერების ბუნება, გარემოს შემეცნების ზოგადი კანონზომიერება და სხვა. საოცარი სიზუსტითაა წარმოდგენილი წამლის დამზადების ტექნოლოგია, ფიზიკური მეთოდებით მკურნალობა, შრომის, დასვენების, ტანსაცმლის ჰიგიენა, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში ასტროლოგიური პრინციპების გათვალისწინება წელიწადის დროის, თვის, რიცხვის, საათის მიხედვით და სხვა.

წიგნებში „უსწორო კარაბადინში" და „წიგნი სააქიმოი" ასახულია საქართველოს სამედიცინო აზროვნების თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რომელიც ქართველების სამედიცინო ცოდნასა და კულტურაზე მიუთითებენ. ამ საგანძურებიდან ბევრი რამაა ისეთი, რომელსაც ზოგიერთი პარამედიცინის წარმომადგენლები დღესაც ეძებენ აღმოსავლური მედიცინის ტრაქტატებში.

ქართული მედიცინის ამ უძველესი ისტორიული ძეგლების მეცნიერული შესწავლა შუქს მოფენს ეროვნული მედიცინის ისტორიას და ხელს შეუწყობს მედიცინის შემდგომ განვითარებას.

§2. რენესანსი, როგორც ზოგადი მოვლენა

როგორც ცნობილია, სამყაროში პროცესები და მოვლენები დისკრეტულობით, რიტმულობით, ციკლურობითა და პერიოდულობით ხასიათდება. იწყება, ვითარდება, აღორძინდება და მთავრდება, ანუ ხდება მისი აღმასვლა და დეგრადაცია. ყველა მოვლენა და პროცესი სამყაროსა და ადამიანის ორგანიზმში დადებითი და უარყოფითი პოტენციალების ურთიერთდაპირისპირებულ ერთიანობას წარმოადგენს, რომელიც ხდება ე.წ. ვირტუალურ გარემოში და იგი დაპირისპირებულთა ერთიანობად უნდა ვაღიაროთ, რომელშიც გარე სამყაროს წამყვანი მნიშვნელობა აქვს. დაპირისპირებულ ერთიანობაში შეიძლება განვითარდეს როგორც აღორძინება – რენესანსი– ასევე დეგრადაცია. ამავე დროს ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენათა და პროცესთა ურთიერთობა ასიმეტრიულ წონასწორობაშია, რაც განვითარების ფენომენს წარმოადგენს (აბსოლუტურ ჰარმონიას ანუ აბსოლუტურ განონასწორებას დადებით ენტროპიასთან მივყავართ). სამყაროში მოვლენები და პროცესები ფიზიკურ,

ბიოლოგიურსა და სოციალურ სფეროში სამყაროს ერთიან უზენაეს კანონებს ექვემდებარება და პერიოდულობით, ციკლურობით, ეტაპობრივობით ხასიათდება;

აქედან გამომდინარე რენესანსი და დეგრადაცია (აღმავლობა-დაცემა) სამყაროს ევოლუციური განვითარების მოდელით გარკვეული პერიოდულობითა და ციკლურობით ხასიათდება.

როგორც ყველა მოვლენა სამყაროსა და საზოგადოებაში, რენესანსი ზოგადი და კერძო, ანუ კონკრეტული და ზოგადი სახით გვევლინება.

რენესანსი, როგორც ზოგადი, გვხვდება სოციალურ, ბიოლოგიურ, ფიზიკურ სფეროში, ხოლო როგორც კონკრეტული — ყველა ცალკეულ საგნებში, მოვლენებსა და პროცესებში. რენესანსი ანუ აღორძინება აღმავალი და დაღმავალი მრუდით ხასიათდება — იწყება, ვითარდება, აღწევს განვითარების მაქსიმუმს — „კულმინაციურ პიკს" და იწყება მისი თანდათანობითი დეგრადაცია. ამდენად რენესანსი უნდა განვიხილოთ დეგრადაციასთან ერთიანობაში;

რენესანსი და დეგრადაცია ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობაა, როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ მოვლენებსა და საგნებში. ამავე დროს ორთა ურთიერთდაპირისპირებული მოვლენები და საგნები მოიცავს მესამეს — გარე სამყაროს — სივრცეს, რომელშიც მიმდინარეობს ურთიერთდაპირისპირებულთა „დუელი". ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენებს, საგნებს, პროცესებს აქვს თავისი საკუთარი სივრცე, დრო, რაოდენობა, ენერგია-ინფორმაცია, განზომილებები, ვექტორი, ფუნქცია და დანიშნულება და იგი მრავალშრიანი, მრავალგანზო-მილებიანი, მრავალსტრუქტურიანი, მრავალპოლუსიანი, მრავალიარუსიანი, მრავალ-ფაქტორიანი სხვადასხვა ხარისხისა და დონის რთული მოვლენაა;

ყველა დონის დაპირისპირებული საგნები, მოვლენები და პროცესები მრავალგანზომილებიან ურთიერთობაშია გარე სამყაროსთან. თუ წარმოვიდგენთ, რომ სამყაროში მოვლენები, პროცესები და საგნები არასწორკუთხოვანი სხვადასხვა განზომილების გეომეტრიული ფორმის სტრუქტურებია, მას 6 მხრივ აქვს ურთიერთდაპირისპირება გარემოს სხვადასხვა პროცესებთან, მოვლენებთან, საგნებთან და იგი შეიძლება პირობითად წარმოვიდგინ-

ოთ, როგორც არასნორ-კუთხოვანი „დეფორმირებული“ კუბის ფორმის სახით. ერთ მოვლენას, ერთ საგანს 6 მხრიდან აქვს სამგანზომილებიანი ურთიერთდაპირისპირებული სხვადასხვა საგანი, მოვლენა, პროცესი, რომელსაც ერთი მოვლენის ან საგნის მიმართებაში შეიძლება ვუწოდოთ პირველი შრე, ანუ ურთიერთდაპირისპირებულთა სპირალის ერთი რგოლი.

პირველ რგოლში ანუ პირველ შრეში დაპირისპირებული სტრუქტურის ერთი პოლუსის მიმართებაში საგანს, მოვლენას, დროის გარკვეულ მონაკვეთში აქვს ურთიერთობა 6x3= 18 პროცესთან, მოვლენასთან ანუ საგანთან, ხოლო მეორე შრეში ანუ მეორე რგოლში 18x6= 108 მოვლენასა და პროცესთან, ხოლო მესამე შრეში ანუ მესამე რგოლში 108x6=648 მოვლენასთან, პროცესთან, საგანთან. მეოთხე შრეში ანუ მეოთხე რგოლში 648x 18 და ასე უსასრულოდ. გეომეტრიული პროგრესიით მატულობს ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობის ევოლუციური განვითარების ჰორიზონტალური და ვერტიკალური უსასრულო სპირალი, რომლის ყველა რგოლში მიმდინარეობს დეგრადაციისა და რენესანსის მოვლენები; ამ პროცესთა და საგანთა მრავალშრიანი, მრავალპოლუსიანი, მრავალგანზომილებიანი მოვლენების, პროცესებისა და საგნების გარკვეულ რგოლსა და შრეში გარკვეულ ეტაპზე ყალიბდება ქაოსი; ერთი ხდება დომინანტი, იღებს „მართვის როლს“ და სხვა მიმართულების სპირალის სახით გრძელდება მრავალშრიანი და მრავალ-განზომილებიანი, მრავალმიმართულებრივი, მრავალპოლუსიანი, მრავალიარუსიანი ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობის განვითარების სახით, რომლის ცალკეულ რგოლსა და შრეს შორის არსებობს სხვადასხვა დონის ორმხრივი ურთიერთ-კავშირების უსასრულო ევოლუციური პროცესები (ასიმეტრიული წონასწორობის ერთიანობა), რომელიც ერთიანდება სამყაროს „დისტანციური მართვის“ სინგულარულ ცენტრში. სამყაროს სინგულარული ცენტრის ბირთვი, როგორც ურთიერთდაპირისპირებულთა ერთი რგოლის ერთი მხარე, ბრუნავს სამყაროს საპირისპიროდ (2,7,5), ხასიათდება დიდი სიჩქარით და დიდი მიზიდულობის ძალით, სადაც ხდება მასის, ენერგიის დროის შეჭმუხვნა, ტემპერატურის თანდათანობით დაწევით (ენერგია და მასა მოცულობის ერთეულში შეჭმუხვნა — უდიდესი სიჩქარითა და დიდი სიმკვრივით ხასიათდება), რომელიც

განაპირობებს მართვად ზემოქმედებას მისი იერარქიული მოქმედების სფეროში.

ამდენად სამყაროში მიმდინარე ევოლუციური მოვლენებისა და პროცესების პერიოდულობა და მისი განვითარების ბრუნვის სპირალის ყველა რგოლისა და ეტაპების ურთიერთდაპირისპირებულთა თითოეული შრე და თითოეული რგოლი ევოლუციური განვითარების ასპარეზია, რომლის გარკვეულ ეტაპზე ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობის განვითარება აღწევს ქაოსის ფაზას, სადაც შეიძლება მოხდეს პოლარობის შეცვლა, ყალიბდება ურთიერთ-დაპირისპირებულთა დუელის ფინალი. ერთი მხარე ხდება დომინანტი, იღებს განშტოების ახალ სტარტს და განვითარების სპირალის ახალ საფეხურზე ახალ რგოლში აღწევს რენესანსს, ხოლო მეორე, დაპირისპირებული — დეგრადაციას. მაგრამ მეორე დაპირისპირებულთა დეგრადაციულ მხარეს ასევე აქვს ექვსმხრივი ერთიანობა და ურთიერთობა სამგანზომილებიან მოვლენებთან, საგნებთან და იგი ევოლუციური სპირალის რომელიმე რგოლის ეტაპზე შეიძლება გახდეს რენესანსის საფუძველი ან „გადაირთოს“ სხვა შრის ქაოსის ალგორითმის (აღორძინების ან დეგრადაციის) ობიექტად.

ამრიგად, ურთიერთდაპირისპირებულთა ევოლუციური განვითარების ვირტუალურ ზონაში ქაოსის ფაზაში ორ დაპირისპირებულთაგან ერთი გადის „ბეწვის ხიდზე“, ხდება მისი რენესანსი და აღორძინება, ხოლო მეორე „ვარდება“ ქაოსის უსასრულო მდინარეში და იწყება მისი საკუთარი ევოლუციური განვითარების ახალი, მეორე ეტაპი-მაქსიმუმიდან მინიმუმამდე და მინიმუმიდან მაქსიმუმამდე, მიკრო პროცესებიდან მაკრო პროცესებამდე, მაკრო პროცესებიდან მიკრო პროცესებამდე და ა.შ.

ამრიგად, სამყაროში ყველა პროცესი და მოვლენა, საგნები მრავალმხრივ ინფორმაციულ კავშირშია. მრავალ განზომილებაში კუბის 6 გვერდის სახით ქმნის მრავალმიმართულებიანი, მრავალგანზომილებიანი და მრავალპოლუსიანი სპირალის ჯაჭვის უსასრულო ხლართებს, რომელიც ერთიანდება სამყაროს სინგულარული ცენტრის ბირთვში. სამყარო — ამ „დახურული“ პროცესებისა და მოვლენების ერთიანობის ყველა ახალი პერიოდის, ეტაპის განვითარების „პირმშო“ — აღებს დახურული წრის კარებს და ქმნის „ახალ ობიექტს“ და მოძრაობის სპირალის ახალ

რგოლს, რენესანსს და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ სამყარო ევოლუციური განვითარების ნგრევისა და შენების პოლიგონია.

აქედან გამომდინარე, რენესანსის ზოგადი და კერძო ევოლუციური განვითარების ციკლი უნდა განვიხილოთ კომპლექსური განვითარების კონტექსტში.

შუა საუკუნეების რენესანსი იტალიაში არა მარტო ანტიკურობის პირდაპირ აღმავლობად და განმეორებად უნდა განვიხილოთ, არამედ მრავალდონიანი და მრავალსაფეხურიანი განვითარების კონტექსტში, როგორც პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული განვითარების მრავალსაფეხურიანი და მრავალგანზომილებიანი მოვლენა. ამ რთულ პროცესთა ფუნდამენტის შექმნაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აზიისა, ევროპის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს რეგიონალური რენესანსის ფაქტორსაც; ამ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული შესწავლის ინტერესს რენესანსის ნუცუბიძისეული კონცეფცია წარმოადგენს.

§3. ბიოლოგიური რენესანსი

ბიოლოგიურ სისტემაში რამდენად ინტენსიურია ენერგო-ინფორმაციის „შემოდინება“ – „გადინება“, იმდენად მრავალგანზომილებიანი ხდება მისი სტრუქტურა, ანუ მისი სივრცობრივ-პოზიციურობა და იგი სამგანზომილებიდან გადადის მრავალგანზომილებიან ფუნქციურ მოძრაობაში, რაც სიცოცხლის ფენომენია. ამავე დროს ბიოლოგიური სტრუქტურების ურთიერთობა გარე სამყაროსა და საზოგადოებასთან არის მისი სოციალური მხარე ანუ ბიოლოგიური და სოციალური ურთიერთდაპირისპირებული ერთიანობაა და მათი ურთიერთზემოქმედების შედეგები გარე სამყაროს ერთიანობაში გადადის. ამიტომ ბიოლოგიურის ზემოქმედება სოციალურ სფეროზე ისევე ობიექტური და გარდაუვალია, როგორც სოციალურისა ბიოლოგიურზე.

რადგან ყოველივე ეს ხდება სამყაროს გლობალური მოვლენებისა და პროცესების ზემოქმედების გარემოში და ხასიათება დისკრეტულობით, რიტმულობით, ციკლურობითა და პერიოდულობით, რომელიც განპირობებულია მზის, პლანეტების, ვარსკვლავებისა

და გალაქტიკის სხვადასხვა სივრცობრივ პოზიციურობითი ბრუნვით და გარკვეული მართვით, ამიტომ იგი ზემოქმედებას ახდენს ფიზიკურ, ბიოლოგიურსა და სოციალურ სფეროზე, პირობადებს რიტმულობას, ციკლურობასა და პერიოდულობას. ამიტომ რენესანსი და დეგრადაცია უნდა განვიხილოთ როგორც გარე სამყაროს ციკლურობისა და პერიოდულობის ზემოქმედება (ისტორიულ — სოციალური მოვლენების პერიოდიზაცია გალაქტიკის ბირთვის, მზის სისტემის, სინოდიური და სიდერიული გალაქტიკური სპირალის ევოლუციური პერიოდიზაციის კანონებს ექვემდებარება, ამტკიცებენ ა. ჩიჟევსკი, ბ. ასტაფიევი და სხვა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რენესანსი ანუ აღორძინება დეგრადაციიდან იწყება, ხოლო დეგრადაცია — რენესანსიდან. ასევე პათოლოგიური აგენტებისა და ორგანიზმის ურთიერთდაპირისპირება ენერგო-ინფორმაციის ურთიერთცვლაში გამოიხატება და იგი რენესანსით ან დეგრადაციით მთავრდება. ამავე დროს ეს დაპირისპირება პათოლოგიურ აგენტებში ახალ განვითარებულ ფორმებს აყალიბებს. ხოლო ადამიანის ორგანიზმში იმუნური თვისებების გაძლიერება-გააქტიურება, განვითარების გარკვეულ სპირალს ქმნის.

თანამედროვე მეცნიერული მონაცემებით, დაბალ ტემპერატურულ პირობებში მიმდინარეობს მასა-ენერგიისა და დროის შეჭმუხვნა უდიდეს სიმკვრივემდე, რომელიც ხასიათდება „ცნობიერებით" 48,50,53).

თუ დაბალ ტემპერატურულ პირობებში სამყაროს „ცენტრში" მიმდინარეობს განვითარების პროცესი, ევოლუციური განვითარების პირამიდის საპირისპირო სპირალის მხარეს პლანეტებსა და დედამიწაზე ევოლუციური განვითარება მიმდინარეობს საპირისპირო ტერპერატურულ პირობებში. ანუ სხვა სიტყვებით, რადგან განვითარების პროცესი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ურთიერთობის ზემოქმედებაშია, ამიტომ ურთიერთდაპირისპირებულ პროცესთა სპირალის „ეკვატორის" მარჯვენა და მარცხენა მხარეზე, პოლუსებზე ევოლუციური განვითარება უნდა მიმდინარეობდეს ურთიერთდაპირისპირებულ ტემპერატურულ პირობებში.

ამრიგად, რენესანსი და დეგრადაცია, როგორც ევოლუციური განვითარების ორი მხარე, უდიდეს მნიშვნელობას იძენს ბიოლოგიურ სფეროში.

რენესანსი ბიოლოგიურ სტრუქტურებში ინტენსიური ენერგო-ინფორმაციული ცვლის შედეგად განაპირობებს ბიოლოგიური, ფიზიკური სტრუქტურების სივრცობრივი მოძრაობის სიხშირეს, რიტმს, ამპლიტუდის დიაპაზონს დროში, ანუ ორგანიზმის ფიზიკური სტრუქტურების მრავალგანზომილებიან მოძრაობას — ორგანიზმის ცხოველმყოფელობას; ორგანიზმის მიკრო და მაკრო სტრუქტურების მოძრაობა სხვადასხვა რაოდენობის, ხარისხის, პარამეტრების ინფორმაციის მიღებაა ფსიქიკურ სფეროში და მისი რესტრუქტურიზაციის ანალიზის, სინთეზის საფუძველზე ფუნქციური მოძრაობის სხვადასხვა შაბლონების (მოდელების) ჩამოყალიბებაა, რომლის რეალიზაცია ხდება ფიზიკური სტრუქტურების გზით სოციალურ გარემოში, რაც აზროვნების პროცესია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაქტობრივად ორგანიზმის ერთი სტრუქტურის — უჯრედის — ირგვლივ ადგილი აქვს მრავალშრიან, მრავალპოლუსიან, მრავალფორმიან, მრავალიარუსიან, მრავალსტრუქტურიან და მრავალ განზომილებიან ურთიერთდაპირისპირებულ პროცესებსა და მოვლენებს, საგნებსა და მატერიის სხვა ფორმებს. ამ ურთიერთობის მექანიზმის კანონზომიერების შეცნობა არის დაავადების ნაადრევი გამოვლინების, მისი არიდების, ეტიოპათოგენეზის, პროგნოზისა და მკურნალობის რაციონალური პროგრამების საფუძველი.

რადგან ყოველივე ეს პროცესები და მოვლენები მიმდინარეობს, როგორც ორგანოს შიდა და გარე სამყაროს ურთიერთობაში ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზემოქმედების პირობებში, იგი ერთიანდება სამყაროს, „ცენტრის" მართვის ზემოქმედებაში, რომლის უზენაესი კანონზომიერება ორგანიზმის ცხოველმყოფელობისა და დაავადების განვითარება-უკუგანვითარების მექანიზმის ანუ ბიოლოგიური რენესანსისა და დეგრადაციის საფუძველია.

§4. ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა, აზროვნება და რენესანსი

ადამიანის ორგანიზმსა და მისი უმაღლესი ფუნქციის — აზროვნების — სტრუქტურებში ფაქტობრივად მუდმივ მიმდინარეობს რენესანსი და დეგრადაცია.

აზროვნების დროს მის ბიოლოგიურ სტრუქტურებში ახალი ხარისხობრივი ცვლილებები მიმდინარეობს, ანუ რენესანსისა და დეგრადაციის მრუდის სიხშირეს უდიდესი სისწრაფე ახასიათებს და როგორც აღვნიშნეთ, განპირობებულია აზროვნების სტრუქტურების სივრცობრივი პოზიციურობის მრავალგანზომილებიანი მოძრაობით დროში. ეს ნიშნავს, რომ აზროვნების სტრუქტურები დროის ყოველ მონაკვეთში ინფორმაციის მიღებისა და სინთეზის ახალ განზომილების ტალღებზე გადაირთვება. ამიტომ აზროვნების წინა ეტაპის პროდუქტი გადადის გარემოში და ისევ იწყება აღორძინება, ანუ ხდება ახალი და ძველი ინფორმაციების ურთიერთცვალებადობა. ამიტომ აზროვნების პროდუქტი დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა „განზომილებისაა" და ერთი და იგივე „მოაზროვნე სტრუქტურის" სხვადასხვა დროის აზროვნების „პროდუქტი" ერთი და იგივე საკითხზე არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე; არა მარტო აზროვნების, არამედ სამყაროს ყველა მოვლენა და პროცესი, მათ შორის, საგნები, სტრუქტურები, ატომები, მოლეკულები მათი შინაგანი და გარეგანი რაოდენობა, თვისებრიობა და სტრუქტურის ფორმა დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა უნდა იყოს.

ამრიგად, ადამიანის აზროვნების შედეგები ყოველთვის ახალია, რადგან აზროვნების სტრუქტურა და მისი მოქმედების მექანიზმი ერთი და იგივე განზომილებასა და ტალღებზე შეუძლებელია. ამიტომ ყოველი ახალი ეტაპის აზროვნების პროცესი განსხვავდება თავისი სტრუქტურით ენერგია-ინფორმაციის რაოდენობრიობით, დროით და სივრცით სხვა ეტაპისაგან, თუმცა აზროვნების ბაზა ანუ ფუნდამენტი — აზროვნების ბიოლოგიური სტრუქტურები ყოველთვის ერთი და იგივეა. მაგრამ სამყაროს მოძრაობის კანონზომიერებიდან გამომდინარე, იგი სივრცობრივი პოზიციურობის მუდმივ ცვალებადობაშია ანუ სხვადასხვა დროისა და განზომილების სივრცობრივ მოძრაობაშია. აზროვნება სხვადასხვა დროსა და სივრცეში ახალ ხარისხობრიობას — რენესანსს — აღწევს; ამიტომ სამყაროში აბსოლუტური სიზუსტით არაფერი არ მეორდება, მათ შორის არც აზროვნება. წარსულში აზროვნების სტრუქტურა და მისი პროდუქტი დღევანდელისაგან განსხვავდება. აზროვნების ყველა ეტაპზე ახალი თვისებრიობა, ახალი ფუნქცია და ახალი პროდუქტი იბადება, „ბერდება". მაგრამ

ხშირად საზოგადოებაში არსებობს დოგმატიზმი, რომელიც ყოველთვის ამუხრუჭებდა და ამუხრუჭებს თავისუფალსა და შეუზღუდველ აზროვნებას, ანუ აზროვნების რენესანსს, რის გამოც ადამიანი ცდილობს ტრადიციულად არსებული დოგმები, შეხედულებები, საზოგადოების კანონიზირებული ფსიქოლოგიის ფოკუსის წნეხში, „დატკეპნილ გზაზე" გაატაროს, შემოქმედებითი აზროვნების პროცესში არ გასცდეს სტანდარტიზირებულ ზღუდეებს, გზებსა და ფორმებს, რაც თრგუნავს თავისუფალ აზროვნებას, ამცირებს მის მრავალფეროვნებასა და მრავალგანზომილებიანობას. ამავე დროს ადამიანი, როგორც სხვისი, ისე საკუთარი აზროვნების ზეგავლენას განიცდის, რაც ასევე თრგუნავს და ამუხრუჭებს აზროვნების პროცესს. ამიტომ მეცნიერული შემოქმედების პრინციპები მოითხოვს, რომ ყოველგვარი ახალი მეცნიერული იდეა და კონცეფცია შეიქმნას შეუზღუდველი და თავისუფალი აზროვნების ფონზე და შემდეგ იგი შეედაროს უდიდეს მეცნიერთა აღმოჩენებს ისე, რომ მას არ დაეკარგოს ორიგინალური, ახალი თვისებრიობა და ფორმა.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი ზღუდავს აზროვნებას და იგი ხდება დოგმატური და სტანდარტული, რომელიც თავის უკუმოქმედებით კიდევ უფრო ამუხრუჭებს აზროვნების რენესანსს და ადამიანის შემოქმედებითი ცხოვრების სფეროს. კერძოდ, პიროვნება გარკვეული სტანდარტული სივრცისა და დროის ტყვე ხდება და მისი ყოველდღიური ცხოვრება ბანალური, შაბლონურია. ხოლო პიროვნება, რომლებიც ამ „ზღუდეებს" გადალახავს, აღწევს თავისუფალი, შეუზღუდველი აზროვნების სფეროს, ახორციელებს აზროვნების რენესანსს ანუ ხდება შემოქმედებითი; აქედან გამომდინარე ყველა სპეციალობა და პროფესია არის ინსტრუქციული, სტანდარტული, „კონსტიტუციური" ანუ შემოქმედებითი. შემოქმედებით პიროვნებებს შეაქვთ რენეაანსი ყველა სპეციალობასა და პროფესიაში.

თუ ჩვენ რამდენიმე საათით დავივიწყებთ უდიდეს პიროვნებათა აღმოჩენებს, კანონებს, თეორიებსა და იდეებს, გავითავისუფლებთ გონებას ამ ზემოქმედების მუხრუჭებისაგან, ჩვენი აზროვნება გახდება შეუზღუდველი და საინტერესო, რომელიც აზროვნების რენესანსთან მიგვიყვანს, რაც ბიოლოგიური რენესანსის მწვერვალია.

რენესანსსა და დეგრადაციას მუდმივად აქვს ადგილი ცოცხალ ორგანიზმებში: აგზნება, შეკავება, სინთეზი, ანალიზი, ათვისება, გამოყოფა, შემოდინება, გადინება. ბიოლოგიური სისტემა ფსიქოფიზიკურ სტრუქტურების ერთიანობაა, იგი იღებს რა ინფორმაციას გარე სამყაროდან ფიზიკური სტრუქტურების გრძნობათა ორგანოების გზით, ფსიქიკურ სფეროში ხდება მისი ტრანსფორმაცია, ყალიბდება აზროვნების გარკვეული სტრუქტურული მოდელი, რომელიც ისევ გადაეცემა ფიზიკურ სტრუქტურას შესასრულებლად ანუ ხდება ფიზიკური სტრუქტურების გაცნობიერება-განწყობა გარკვეული ინფორმაციით და ფუნქციური მოძრაობით მისი შესრულება. აქედან გამომდინარე ფიზიკური სტრუქტურის უჯრედები და ქსოვილები ცნობიერების გარკვეული ელემენტებით ხასიათდება. ხოლო აზროვნება ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთიანი შემოქმედებაა და ბიოლოგიური რენესანსის საფუძველია.

აქედან გამომდინარე დაავადების ჩამოყალიბება და განვითარება გარკვეული პათოლოგიური აგენტების ინფორმაციებით ფსიქოფიზიკური სტრუქტურების გაცნობიერებაა ანუ განწყობაა, ე.ი. დაავადების განვითარება, აღორძინება, ისევე მისი დეგრადაცია-უკუგანვითარება ორგანიზმის ფსიქოფიზიკურ სტრუქტურებში დაავადების აგენტების ინფორმაციის გაცნობიერებასა და განწყობაზეა დამოკიდებული.

რადგან აზროვნება ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ინფორმაციული განწყობით მრავალგანზომილებიანია, ამიტომ ადამიანის ორგანიზმის რენესანსი, მისი ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ინტენსიური ენერგო-ინფორმაციული გაცნობიერება ანუ განწყობაა, რაც გარე სამყაროსთან ენერგია-ინფორმაციის შემოდინება-გადინების ხარისხითაა განპირობებული. ამგვარად, ორგანიზმის წინასწარი „გაცნობიერება" დაავადების „ენერგო-ინფორმაციული კოდის პროგრამით" შესაძლებელია დაავადების საწინააღმდეგო „იმუნური განწყობის" ჩამოყალიბება და დაავადების თავიდან აცილება.

რადგან დღეს ადამიანი თავისი ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობის 10-12 %-ზე მეტს ვერ იყენებს, ადამიანის ბიოლოგიური რენესანსი უსასრულო შესაძლებლობის წინაშე დგას, რომლის რეალიზაცია ადამიანს მიიყვანს გლობალურ ცნობიერებამდე და კაცობრიობას გლობალურ რენესანსამდე.

იმისათვის, რომ მოხდეს მედიცინის რენესანსი ანუ აღორძინება მომავალი ცივილიზებული სამყაროს შესატყვისად, საჭიროა სამედიცინო დახმარების თანამედროვე სტრატეგიისა და პარადიგმების რადიკალური რეორგანიზაცია ორგანიზმის როგორც თვითმართვადი ბიოლოგიური სისტემის კანონზომიერებათა საფუძველზე.

ზემოაღნიშნული სტრატეგია უპირისპირდება დღევანდელი სამკურნალო საპროფილაქტიკო დაწესებულებებში დამკვიდრებულ ტრადიციულ რუტინურ აქსესუარებსა და წესებს, როგორც უარყოფითი ფსიქოფიზიკური ზემოქმედების ფაქტორს (რომელიც აძლიერებს დაავადების ენერგო-ინფორმაციის ფიქსირებას ორგანიზმში), ხოლო ჩამოყალიბებული, გართულებული დაავადების დიაგნოსტიკა მკურნალობის არქაულ ფსიქოლოგიურ ვერდიქტს, რომლის მაგიური შლეიფი პროფესიონალიზმის ზღუდეებითა და დოგმებით ამუხრუჭებს ექიმის ცნობიერებას, გაბედულ ევოლუციურსა და რევოლუციურ მსოფლმხედველობას.

1964-68 წლებში სანატორიუმ „ლიკანში" ენთუზიასტებმა ჩამოყალიბეს ორგანიზმის თვითმართვის ახალი კონცეფცია და შექმნეს სამედიცინო დახმარების თანამედროვე დონის ადრეული დიაგნოსტიკა — მკურნალობის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი, რეგიონალური „სკოლა-უნივერსიტეტი". ამ ცენტრის სამეცნიერო სასწავლო სტატუსის მინიჭებისათვის 27 წლის ბრძოლა ნეგატივიზმმა „სისხლში ჩაასრჩო" და უნიკალური ცენტრის მატერიალურ-ტექნიკურმა და თეორიულმა ბაზამ დეგრადაცია განიცადა; მაგრამ ამ იდეის რენესანსი გარდაუვალია, როგორც მომავალი მედიცინის რენესანსის თეორიული და პრაქტიკული საფუძველი.

§5. ენერგია-ინფორმაცია, როგორც ბიოლოგიური სტრუქტურის ევოლუციური განვითარების რენესანსი, გენი და საფუძველი

როგორც აღვნიშნეთ, ენერგია-ინფორმაცია მოიცავს ყველაფერს. იგი მატერიის უნივერსალური ფორმაა, რომლითაც „დატბორილია" მთელი სამყარო. იგი მატერიის ყველა ფორმის შემადგენელი ნაწილია. არ არსებობს მატერია, საგნები, მოვლენები, პროცესები ენერგია-ინფორმაციის გარეშე და, პირიქით.

ენერგია-ინფორმაციას არა აქვს ფორმა, დრო, სივრცე; იგი ღებულობს მატერიის იმ ფორმას, სივრცეს, დროსა და განზომილებებს, რომელ ფორმაშიც არის განთავსებული. ამავე დროს იგი მრავალგანზომილებიანია, უსასრულოა, მაგრამ ცალკეული სტრუქტურებში სასრულია, მუდამ მოძრავი და ცვალებადია, ერთი ფორმიდან და ერთი სახიდან გადადის მრავალალტერნატიულ ფორმებში, საგნებში, სტრუქტურებში; იგი ერთიანია ადამიანშიც და საგნებშიც.

ყველა სამკურნალო — სარეაბილიტაციო — საპროფილაქტიკო ფსიქოფიზიკური (ყველა სამკურნალო საშუალებები ფსიქოფიზიკური გზით მოქმედებს) საშუალების მოქმედების ეფექტურობა ენერგო-ინფორმაციის ზემოქმედებით ხორციელდება; რადგან სპეციფიკური სამკურნალო საშუალებები შედგება გარკვეული ფორმის სტრუქტურის რაოდენობა-თვისებრიობისაგან და გააჩნია საკუთარი დრო-სივრცობრივი განზომილებები, სივრცეში პოზიციურობის ვექტორი. მათი ენერგო-ინფორმაციული ჰოლოგრამების, ფანტომების შეყვანა პირდაპირ დეფორმირებული (პათოლოგიური) სტრუქტურის ან ფუნქციის შინაგანი და გარეგანი „კონსტრუქციის“ აღდგენისათვის ფაქტობრივად არ შეიცავს გვერდითი მოქმედების ფაქტორს (პათოლოგიური პროცესი ინვევს სტრუქტურის როგორც რაოდენობრიობის, ასევე მისი ფუნქციის დეფორმაციას ანუ ფუნქციის — მოძრაობის — დარღვევას).

რადგან ენერგია-ინფორმაცია უნივერსალურად პლასტიკური სტრუქტურაა, იგი ღებულობს სხვადასხვა ფიზიკური სტრუქტურის ფორმას; ასევე ბიოლოგიური სტრუქტურის რაოდენობრიობა სხვადასხვა სივრცობრივ-პოზიციურობის მიხედვით ღებულობს სხვადასხვა ფორმას, მარტივი და რთული ფუნქციური მოძრაობის ფორმას, რომელიც განაპირობებს ევოლუციურ განვითარებას და ენერგო-ინფორმაციის ცვლის ხარისხს. ამავე დროს იგი ინვევს ბიოლოგიური სტრუქტურის, როგორც განვითარებას, ასევე დეგრადაციას; ე.ი. ფიზიკური სტრუქტურის განვითარება ბიოლოგიურ სახეში მისი სივრცობრივი პოზიციურობის განვითარების შედეგად ენერგია-ინფორმაციის მრავალგანზომილებიანი განვითარებისა და უნივერსალობის შედეგია. რამდენად დიდია სტრუქტურის ენერგო-ინფორმაციის ცვლის ხარისხი,

იმდენად მრავალგანზომილებიან განვითარებაშია – რენესანსშია – ბიოლოგიური სტრუქტურა.

როდესაც ბიოლოგიური, ფიზიკური სტრუქტურა ენერგია-ინფორმაციის უნივერსალურად განვითარებად ზემოქმედებაშია, იცვლება მისი სივრცობრივი პოზიციურობა, გადადის ევოლუციური განვითარების ახალ ფაზაში, დიდდება მისი ენერგეტიკულ ინფორმაციული რაოდენობრიობა და სცილდება სამგანზომილებიანობას, გადადის ახალი ფორმის მრავალგანზომილების ლაბილურ ზღვარში და აფიქსირებს ამ ფორმას, დროსა და სივრცეს, გარდამავალ „ფანტომებსა" და ჰოლოგრამებს.

ამრიგად, ბიოლოგიური სტრუქტურა ენერგია-ინფორმაციის განსაკუთრებული და უნივერსალური მრავალგანზომილებიანი ცვლილებების (პლასტიურობის) შედეგად ახალხარისხობრიობას აღწევს და რთული ფუნქციური სივრცობრივი პოზიციურობისა და მოძრაობის მრავალფორმიანობის გამო გადადის სამგანზომილებიანობიდან მრავალგანზომილებიანობაში, მრავალსაფეხურიან რენესანსში და ხდება მისი რიტმული გადასვლა სივრციდან დროში და დროდან სივრცეში, ანუ ხორციელდება ყველაზე საკვირველი რამ – საოცრება ბიოლოგიური სტრუქტურის სუპერრენესანსი, რომელსაც ჩვენ სიცოცხლესა და აზროვნებას ვუწოდებთ; სიცოცხლე და აზროვნება ურთიერთდაპირისპირებული ერთიანობაა და მოძრაობის სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, ხოლო მოძრაობის სხვადასხვა ფორმა ისევ მარტივი და რთული, „ცნობიერი" და „არაცნობიერი", ნებსითი და ავტომატური ცნობიერებით, ანუ აზროვნებით ხასიათდება. რადგან მოძრაობა ენერგო-ინფორმაციის ცვლაში გამოიხატება აზროვნების მარტივი და რთული ფორმებით, იგი ენერგია-ინფორმაციის მარტივსა და რთულ ცვლაში გამოიტვიფრება და ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთიანი შემოქმედების რენესანსია. აქედან გამომდინარე, აზროვნება ფსიქიკურიდან ფიზიკურ სტრუქტურაში ენერგია-ინფორმაციის მრავალგანზომილებიანი მოძრაობაა. ანუ აზროვნება მრავალგანზომილებიანი ენერგო-ინფორმაციის დედუქცია და ინდუქციაა ბიოლოგიურ ფსიქოფიზიკურ სტრუქტურაში (გრძნობათა რეცეპტორების გზით ფიზიკური სტრუქტურიდან შინაგანი და გარეგანი ენერგოინფორმაციის საფუძველზე ფსიქიკურში ყალიბდება აზ-

როვნების „შაბლონი“, „მოდელი“, ხოლო ფსიქიკურიდან გადადის ისევ ფიზიკურ სტრუქტურაში და რეალიზდება სოციალურ ფორმაში: მეტყველების, პანტომიმის, ცეკვის, სიმღერის, ხატვა – ძერწვის, ტრანსაქციების, მხედველობისა და მოძრაობის სხვა სახით, რომელიც ფიზიკური სტრუქტურის სხვადასხვა სივრცობრივ პოზიციურობაში გამოიხატება).

§6. მეოთხე თავის რეზიუმე

ამდენად აზროვნება, როგორც ბიოლოგიური სტრუქტურის ფენომენალური პირმშო, გეომეტრიული კონფიგურაციის ურთულესი და მრავალსტრუქტურიანი სხვადასხვა ფორმის ენერგო-ინფორმაციის სხვადასხვა სტრუქტურაა, მრავალ-საფეხურიანი და მრავალგანზომილებიანი მოძრაობაა დროსა და სივრცეში. მისი სინთეზისა და ტრანსკრიფციის ბაზა ბიოლოგიური სტრუქტურებია, ანუ ბიოლოგიური სტრუქტურების მრავალგანზომილებიანი ენერგია, ინფორმაციული სივრცობრივი რენესანსი, ქმნის მრავალგანზომილებიან წარმოსახვას – აყალიბებს განვითარებული სტრუქტურის მოდელებს ანუ ახალი ფიზიკური სტრუქტურების „დაბადებას“, რომელიც, თავის მხრივ, გეომეტრიული პროგრესიით ქმნის კიდევ ახალ-ახალ ფიზიკურ სტრუქტურებს. ეს სტრუქტურები გადადის გარემოში, როგორც აზრის „დაბადება“ – გამოვლინება, ამიტომ აზროვნება **(რამდენად რთული და მაღალშინაარსიანია აზროვნება, იმდენად იგი მრავალგანზომილებიანია და ბიოლოგიური სტრუქტურის მოძრაობაა) ბიოლოგიური სტრუქტურების ენერგია-ინფორმაციული განვითარების უმაღლესი ფორმაა, რენესანსია,** რომელიც არ კვდება იმიტომ, რომ მუდმივ განვითარებაშია. „ბიოლოგიური ბაზის“ შესაბამისად ენერგია-ინფორმაცია, როგორც ფიზიკური სტრუქტურა, ისევ იცვლის პირველად ფორმას, მაგრამ კი არ კვდება (იცვლება, როგორც გარკვეული დროისა და სივრცის ფიზიკური სტრუქტურა), არამედ გადადის ახალი სახით სხვა დროსა და სივრცეში, ახალ სტრუქტურაში, ახალ ფორმაში, რაც ენერგია-ინფორმაციის უნივერსალური პლასტიკურობისა და უნივერსალურად გარდამავალი ევოლუციური განვითარების ანუ რენესანსული ფენომენია, როგორც სამყაროს მუდმივგანვითარ-

ებადი „ცნობიერების" თვისება; ამრიგად, სამყაროში ენერგია-ინფორმაციის სიკვდილი არ არსებობს. იგი ერთი ფიზიკური სტრუქტურის ერთი ფორმიდან სხვა ფორმაში გადადის და, მაშასადამე, იგი მუდამ განვითარებადი და მრავალგანზომილებიანია: ახალ ფიზიკურ სტრუქტურაში ყალიბდება როგორც ინდივიდუალური ფორმა, ეს კი რიგითი ეტაპია მის უნივერსალურ განვითარებაში, ანუ რენესანსში. ბიოლოგიური სტრუქტურის სუბსტრატის მასა (მატერია), როგორც ფიზიკური სტრუქტურა, განვითარების გარკვეულ ეტაპზე გამოდის სამგანზომილებიანი ფორმიდან და ხდება მრავალგანზომილებიანი, რომელსაც დღევანდელი ჩვენი შესაძლებლობა ვერ აფიქსირებს. ბიოლოგიური სტრუქტურის განვითარება უსასრულოა და ევოლუციური რენესანსის (განვითარების) სპირალის რომელიმე ეტაპზე, ალბათ, გაიმეორებს თავისი საწყისი ანუ მშობლიური „გენის" ფორმას (რომელიც მას წარსულში ჰქონდა) და ამით თავის თავში გააცოცხლებს „მამისა" და „დედის" ენერგია-ინფორმაციას ახალ ფორმაში. ეს უნივერსალური განვითარება არის ის, რასაც სიცოცხლის უკვდავებას უწოდებენ. ამ აზრით ის, რასაც სიკვდილს ვუწოდებთ, არის ენერგია-ინფორმაციის უნივერსალური განვითარების (რენესანსის) ფენომენი. სიცოცხლე საოცრებაა, ხოლო ეს საოცრება მრავალგანზომილებიანი ბიოლოგიური სტრუქტურის ენერგო-ინფორმაციის დაუსრულებელი მოძრაობისა და ფორმის ცვლის პროცესია; სიცოცხლის გამოვლინება — ფენომენი — აზროვნების ენერგია-ინფორმაციის ყველაზე სრულყოფილი და განუმეორებელი მოდელია, ამიტომ სიცოცხლის ბუნების შემეცნება ურთულესი პროცესია.

ამგვარად, ენერგია-ინფორმაცია, რომელმაც ფიზიკური სტრუქტურა გარდაქმნა ბიოლოგიურ საოცრებად, სიცოცხლედ, სამყაროს უნივერსალური „გენია", ვინც ახდენს მის პირველად შექმნა-დაბადებას, ჩამოყალიბებას, ღმერთია, რომელიც სამყაროში მართავს ყველაფერს. ამიტომ ჩვენ ღმერთს ვერ აღვიქვამთ, ვერ დავინახავთ, რადგან იგი მუდამ ყველა ჩვენთაგანშია და სამყაროში ყველაფრის უნივერსალური ნათესაობის შემოქმედია.

თავი მეხუთე

ადამიანი — გონიერების, ცნობიერებისა და აზროვნების უნივერსალური ფენომენი დედამიწაზე

§1. სიცოცხლის (ბიოლოგიური სისტემის) ზოგადი და სპეციფიკური ნიშანთვისებები

სამყაროს ერთიანი კონსტანტის პრინციპიდან გამომდინარე (58,59,62,64), სიცოცხლის ყველა ფორმა ინდივიდუალური რაოდენობა-თვისებრიობის მიკრო და მაკრო-სტრუქტურათა სხვადასხვა ნიშანთვისებებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომელიც განაპირობებს სამყაროში ცალკეულ სტრუქტურათა იერარქიულ საფეხურს.

ბიოლოგიური სტრუქტურის შემოქმედებითი თვისება — სიცოცხლე — მრავალფეროვანი რაოდენობა-თვისებრიობის მიკრო და მაკროსტრუქტურების ფორმით გავრცელებულია დედამიწის ყველა სფეროში: ქერქში, ზედაპირზე, ზღვებში, ოკეანეებში, მდინარეებში, ატმოსფეროში.

ბიოლოგიური სტრუქტურა, როგორც სიცოცხლის ბაზა, რთულ მოძრაობაში გამოიხატება და გარემოსთან ენერგო-ინფორმაციის შემოდინება-გადინებით ხორციელდება; ენერგო-ინფორმაციის შემოდინება-გადინების გარეშე ბიოლოგიური სტრუქტურა ფიზიკური სტრუქტურის დონეს ვერ გასცილდება.

მაშასადამე, **ბიოლოგიური სტრუქტურა, ენერგო-ინფორმაცია (ცნობიერება), მოძრაობა და აზროვნება სიცოცხლის ფორმულაა. ამ ოთხეულის ურთიერთდაპირისპირებულ ერთიანობიდან ერთ-ერთის გამოთიშვა სიცოცხლის უარყოფას ნიშნავს.** ამიტომ ამ ოთხეულიდან უპირატესობას ვერც ერთს ვერ მივანიჭებთ, რადგან ისინი თანასწორუფლებიანი წევრებია იმ

ერთიანობაში, რომელიც სიცოცხლეს განაპირობებს. ამრიგად, ბიოლოგიური სტრუქტურა სიცოცხლის ბაზაა, ენერგო-ინფორმაცია მისი სუბსტანციაა, ხოლო აზროვნება ბიოლოგიური სტრუქტურის ფუნქციონირების ნაყოფია და მიზნობრივ მოძრაობაში გამოიხატება და მართავს ბიოლოგიურ სტრუქტურის ცხოველმყოფელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სიცოცხლე დედამიწაზე ბიოლოგიური სტრუქტურის შემოქმედებითი თვისებრიობაა. იგი აზროვნებაში გამოიხატება და მოძრაობით სრულდება. ანუ ენერგო-ინფორმაციის ზემოქმედებით ბიოლოგიური სტრუქტურის მრავალგანზომილებიანი მოძრაობა აზროვნებით გამოისახება. აზროვნება კი სხვადასხვა ფორმის ფუნქციური მოძრაობაა (მეტყველება, მხედველობა, გამოხედვა, წერა, კითხვა, ცეკვა, სიმღერა, პანტომიმა და სხვადასხვა ტრანსაქციები). აზროვნება, როგორც მრავალგანზომილებიანი მოძრაობა, ყველაზე რთული და მრავალგანზომილებიანია სამყაროში. მისი გადათარგმნა კიბერნეტიკის ენაზე უდიდესი ტექნიკური რევოლუციის საფუძველია.

სიცოცხლის ყველა ფორმა ხასიათდება ზოგადი და სპეციფიკური სასიცოცხლო ნიშანთვისებებით. ზოგადი ნიშნებია: ბიოლოგიური სტრუქტურა, ენერგო-ინფორმაციის აქტიური შემოდინება-გადინება, თვითრეგულაცია, მრავალგანზომილებიანი მოძრაობა სამყაროს ურთიერთდაპირისპირებულ მრავალსაფეხურიან ერთიანობაში, აზროვნება, გამრავლება, ზრდა, გარემოსთან შეგუება და სპეციფიკური-ევოლუციური პირამიდის საფეხურის შესაბამისი ინდივიდუალური დანიშნულების რაოდენობრიობა-თვისებრიობა, ფუნქციური მოძრაობის დიაპაზონი, დრო, სივრცე, სპეციფიკური გარემო — არეალი, კვების, გამრავლების ინდივიდუალური თვისებები და სხვა.

ბიოლოგიური სისტემების დაყოფა პათოლოგიურსა და არაპათოლოგიურ მიკრო და მაკროსტრუქტურებად პირობითია. მისი სასიცოცხლო არეალის მიხედვით იგი შეიძლება იყოს პათოგენური და არაპათოგენური. პათოგენობა ბიოლოგიური მიკროსტრუქტურის ცხოველმყოფელობის შედეგია.

ამრიგად, ბიოლოგიური სტრუქტურის მოძრაობა სასიცოცხლო ფუნქციების თვითრეგულაციაში, თვითგანვითარებაში გამოიხატ-

ება არა მექანიკურად, არამედ აზროვნებითი მოძრაობით, ე.ი. ცოცხალი სისტემის ძირითადი საფუძველია ბიოლოგიური სტრუქტურა, ენერგო-ინფორმაცია, თვითრეგულაცია, აზროვნება, მოძრაობა, ხოლო მისი ფუნქცია (თვისებრიობა) -ზრდა, გამრავლება, გარემოსთან შეგუება, ევოლუციური განვითარება, მაღალი ორგანიზებულობა და თვითმართვა თვითრეგულაცია აზროვნებითი მოძრაობით ხორციელდება.

1. ამრიგად, სამყაროში არსებობს ინდივიდუალური ფორმის განუმეორებელი რაოდენობრიობისა და თვისებრიობის მრავალფეროვანი სიცოცხლის ფორმები: პაულის „აკრძალვის კანონი" ადასტურებს სამყაროში ამ უნიკალური საოცრების გონიერების ფენომენს.

2. ბიოლოგიური სტრუქტურის — სიცოცხლის — ძირითადი და მთავარი ფუნქცია ცნობიერება და აზროვნებაა. აზროვნება მართავს სიცოცხლის ყველა ფუნქციებს ანუ თვით სიცოცხლეს.

3. ბიოლოგიური სტრუქტურა, ენერგია-ინფორმაცია, ცნობიერება, აზროვნება და მოძრაობა სიცოცხლის „ფორმულაა".

§2. სიცოცხლის ენციკლოპედიურ-მეცნიერულ-ფილოსოფიური განმარტების განხილვა

„სიცოცხლე, მატერიის არსებობის ერთ-ერთი ფორმაა. ორგანიზმი განსხვავდება არაცოცხალი ობიექტებისაგან ნივთიერებათა ცვლით, გამღიზიანებლებით, გამრავლებით, ზრდის უნარით, განვითარებით, თავისი შემადგენლობისა და ფუნქციის რეგულაციით, სხვადასხვა ფორმის მოძრაობით და გარემოსთან შეგუებით".?55,56,57,73) ჩვენი აზრით, სიცოცხლის ძირითადი და მთავარი განმასხვავებელი ნიშანთვისებები (მატერიის სხვა ფორმებისაგან) ადამიანის დონეზე არის ინტელექტი — ტვინის უჯრედები, აზროვნება და ცნობიერება და ადამიანი სიცოცხლის უმაღლესი იერარქიული მოვლენაა დედამინაზე;

თანამედროვე ბიოლოგიური მეცნიერებიდან გამომდინარე ცოცხალ სტრუქტურებს მიეკუთვნება **ერთუჯრედიანები, მიკრობები და ვირუსები;** სიცოცხლის ძირითადი სტრუქტურა უჯრედია. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მოგვეყვანა უჯრედის თეორიის ძირითადი დებულებების შეფასება თანამედროვე ბიოლოგიური მეცნიერების მონაცემების მიხედვით. (55,57)

1) უჯრედი წარმოადგენს სიცოცხლის ძირითად სტრუქტურულ ფუნქციონალურ ერთეულს. ყველა ორგანიზმი შედგება უჯრედისაგან; **ორგანიზმის სიცოცხლე მთლიანობაში განპირობებულია მისი შემადგენელი უჯრედების ურთიერთმოქმედებითა და ფუნქციონირებით.**

2) ყველა ორგანიზმის უჯრედების ქიმიური შემადგენლობა, წყობა და ფუნქცია, მსგავსია.

3) ყველა ახალი უჯრედი იქმნება თვით უჯრედის დაყოფით.

4) უჯრედის არსებობა საფუძვლად უდევს **ყველა ფორმის სიცოცხლეს, მის წარმოშობას და ევოლუციური განვითარების ერთიანობას.**

5) უჯრედს აქვს უნარი ზრდის, გამრავლების, სუნთქვის, მოძრაობის, გამოყოფის, ენერგიის ათვისების და გარდაქმნის, გამღიზიანებელზე რეაგირების, ანუ უჯრედი ფლობს სიცოცხლის შენარჩუნების ყველა აუცილებელ ნიშანთვისებებს.

6) უჯრედის ბირთვში — ქრომოსომებში — ძევს დნმ-ი, რომელიც მოიცავს შთამომავლობის გადაცემის ინფორმაციას ახალი სრულყოფილი ცოცხალი ორგანიზმის შექმნისა და განვითარებისათვის.

7) ყველა ცოცხალი არსებანი ხასიათდება სტრუქტურის წყობისა და სასიცოცხლო პროცესების საერთო თვისებებით. ამავე დროს ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდება მორფოლოგიურად, ფიზიოლოგიურად, ბიოქიმიურად არა მარტო სახეობის მიხედვით, არამედ ერთი სახეობის სხვადასხვა ინდივიდებიც.

„სიცოცხლის ზოგადი თვისებებით ხასიათდება ყველა ბიოლოგიური მიკრო და მაკრო ფორმა, ადამიანი, ცხოველები, მიკრობები, ვირუსები. სიცოცხლის ზოგადი ნიშნების მიხედვით ყველა ბიოლოგიური არსება ერთიანი გენეტიკური თვისებებით „ნათესაობით" ხასიათდება და ერთმანეთისაგან განსხვავდება სპეციფიკური ანუ საკუთარი სასიცოცხლო ფუნქციების რაოდენობრიობა-თვისებებით". „ადამიანი, მგელი, ჭიანჭველა, კალია, ლომი, ვარდი, ბულბული მიკრობები და ვირუსები ერთი და იგივე ამინომჟავებითაა აწყობილი; განსხვავება ამინომჟავების ნაშთის თანმიმდევრობაშია, გენეტიკური კოდის გაშიფვრის და რეალიზაციის მექანიზმების იდენტურობა ყოველ ცოცხალ ორგანიზმში

ვირუსიდან ადამიანამდე სამყაროს ჰარმონიული ცოცხალი სისტემების ერთიანობაზე მეტყველებს"; „ცილებში ამინომჟავათა თანმიმდევრობით ინფორმაციის ჩაწერის ხერხი, რომელსაც გენეტიკური კოდი ეწოდება უნივერსალურია" (57,64,68). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე **უჯრედი სიცოცხლის უნივერსალური თვისებებით ხასიათდება.**

მაგრამ თანამედროვე მეცნიერულ-ენციკლოპედიური და ფილოსოფიური შეხედულებებით სიცოცხლის ყველა ფორმას შორის მხოლოდ ადამიანი აზროვნებს და ცნობიერება გააჩნია. ეს შეხედულება გარკვეულ ლოგიკურ წინააღმდეგობას პირობადებს. ძირითადი ლოგიკური წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ აზროვნებისა და ცნობიერების დამადასტურებლად მხოლოდ მეტყველება ითვლება. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მეტყველებასთან ერთად, აზროვნებასა და ცნობიერების გამოხატვის სხვადასხვა — არა მეტყველებითი — ფორმები არსებობს: მეტყველებაც, ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სხვადასხვა განზომილებისა და რაოდენობრიობის სივრცობრივი პოზიციურობისა და ბგერის, იოგების მოძრაობაში გამოიხატება. მაგრამ აზროვნება გამოიხატება არა მარტო მეტყველებით, არამედ ორგანიზმის ყველა სახის მოძრაობის სხვადასხვა ფორმებითაც: ცეკვა, ბალეტი, პანტომიმა, როგორც ხელოვნების უნიკალური ფორმები აზროვნების გამოხატვაა მოძრაობით. მუნჯს შეუძლია წაიკითხოს, დაწეროს, დაუკრას, შეასრულოს მეცნიერული, მხატვრული, ლიტერატურული, მუსიკალური, ფილოსოფიური, პოეტური ნაწარმოები და აზრი გამოხატოს მოძრაობის სხვადასხვა ფორმით, წერით, ცეკვით, მიმიკით, პანტომიმით, ბგერებით, გრაციით, ტრანსაქციებით და სხვა, ხოლო ცხოველების ინდივიდუალური ცხოველმყოფელობა, არსებობა და სოციალური ერთიანობა აზროვნებითი ფუნქციონირების, მოძრაობის სხვადასხვა ფორმაში გამოიხატება. აზროვნების გარეშე არა მარტო ცხოველი, არამედ არც ერთი ცოცხალი სისტემა არ იარსებებდა.

თუ ჩვენ შევეგუებით იმ აზრს, რომ არსებობს მოძრაობით აზროვნების გამოხატვის სხვადასხვა ფორმა და არა მარტო მეტყველება, მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ყველა ბიოლოგიური სტრუქტურა მოძრაობით აზრის გამოხატვის სხვადასხვა ფორმებით ხასიათდება. ანუ ყველა ბიოლოგიური სისტემის, სახის,

ფორმის ურთიერთობა აზროვნების ელემენტებით ხორციელდება. ყველა ბიოლოგიური ცოცხალი სისტემა, ენერგო-ინფორმაციის, მოძრაობისა და აზროვნების ურთიერთდაპირისპირებული კომპლემენტარული, დინამიკური ასიმეტრიული ერთიანობაა. მოძრაობა და აზროვნება, როგორც კომპლემენტარული ერთიანობა, ყველა ცოცხალი სტრუქტურის საერთო თვისებაა, ხოლო თვითრეგულაცია, გამრავლება, ზრდა, განვითარება, გარემოსთან შეგუება და სხვა ფუნქციები, რომლებითაც ხასიათდება ყველა ცოცხალი ორგანიზმი, აზროვნებით ხორციელდება. ყველა ცოცხალი სისტემა სამყაროს ერთიანი გენეტიკური კოდის კონსტანტის, ოქროს კვეთის მიხედვით ვითარდება და თავისი იერარქიული განვითარების აზროვნებითა და თვითრეგულაციის პროგრამის საკუთარი გენეტიკური კოდით ხასიათდება. აზროვნება სიცოცხლის პროდუქტია და ამავე დროს იგი მართავს სიცოცხლის თვითრეგულაციას. სიცოცხლე, აზროვნება, ენერგო-ინფორმაცია და მოძრაობა ბიოლოგიური სისტემის, თვითრეგულაციის მრავალიარუსიანი და მრავალსაფეხურიანი ერთიანობის ანსამბლია და აქედან სიცოცხლე და აზროვნება ურთიერთდაპირისპირებული კომპლემენტარული ერთიანობის ურთიერთ განმაპირობებელი ფენომენია*.

ამრიგად, პირველადია ბიოლოგიური სტრუქტურის ბაზა, ენერგო-ინფორმაცია და ცნობიერება, რომლის შედეგია მოძრაობა, აზროვნება და თვითრეგულაცია, ხოლო გამრავლება, განვითარება და გარემოსთან შეგუება აზროვნების შედეგია. აზროვნება რომ ენერგო-ინფორმაციის შემოდინების შედეგად ბიოლოგიური სტრუქტურის მოძრაობაა იქიდანაც მტკიცდება, რომ თუ ცოცხალ სისტემას (არსებას) გამოუთიშავთ გრძნობათა ორგანოებს ანესთეზირებით ან სხვა ხერხით, იგი ვერ აზროვნებს, ე.ი. ვერ იარსებებს და დაიღუპება. ასევე გრძნობათა ორგანოების ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობისას, თუ ბიოლოგიურ სისტემას გამოვუთიშავთ გარეგანი ინფორმაციის ზემოქმედებას, იგი ვერ იაზროვნებს და დაიღუპება.

ცოცხალი სტრუქტურების დაზიანებისას ორგანიზმი ფუნქციონირებს სანამ ცნობიერება და ცნობიერი და ქვეცნობიერი აზრ-

---

* ამ შემთხვევაშიც აზროვნების ცნება არატრადიციული გაგებით იხმარება, რის გამოც მან მკითხველებში გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს.

ოვნება არ გამოითიშება. ბიოლოგიური სტრუქტურის სიკვდილი ორმხრივი ინფორმაციული კავშირების დაზიანებით ცნობიერების, აზროვნების ცნობიერი და ქვეცნობიერი გამოთიშვის შედეგია.

სიცოცხლის მეცნიერულ-ენციკლოპედიურ-ფილოსოფიურ განმარტებაში არ აღინიშნება: სიცოცხლის ძირითადი ნიშანთვისება, როგორც აზროვნების ფუნქცია, ხოლო უჯრედის თეორიაში უჯრედი, როგორც თვითმართვადი, თვითრეგულირებადი ცოცხალი სისტემა.

უჯრედს, როგორც რთულ სტრუქტურულ-ფუნქციურ სიცოცხლის მწარმოებელ სისტემას, აქვს ბირთვი, გენური კოდი, ენერგეტიკული ბალანსი, ბიოველი, ფსიქოველი, ბიორიტმები და სხვადასხვა ფორმის სტრუქტურები — მასა, ჰოლოგრაფიული განზომილება, ტალღოვანი ველი, ელექტრული მუხტი, ოპტიკური, აკუსტიკური, სპექტრალური, ქრომო, ფოტო, თერმო, ექო ველები, სენსორული და გრძნობათა ორგანოების ინფორმაციული პარამეტრები, შინაგანი და გარეგანი ორმხრივი ენერგო-ინფორმაციული კავშირები და მოძრაობის უნივერსალური თვისება.

უჯრედის ცხოველმყოფელობა კვანტურ, პლაზმურ, ელექტრომაგნიტურ, ჰიდროდინამიკურ, თერმოდინამიკურ, გრავიტაციულ და სხვა ფსიქოენერგეტიკულ პროცესებს ეფუძნება. ამრიგად, უჯრედის სიცოცხლის — ცხოველმყოფელობის — სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებები ობიექტურად რომ გავიაზროთ, საჭიროა ყველა მეცნიერული დისციპლინა: ბიოლოგია, მათემატიკა, ბიოქიმია, ფიზიკა, ქიმია, გეომეტრია, ელექტრონიკა, ოპტიკა, კვანტური მექანიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, ლოგიკა და სხვა.

უჯრედში მიმდინარე სტრუქტურულ-ფუნქციურ კანონზომიერების შესწავლას ლოგიკისა და ფილოსოფიის კანონზომიერებები უძევს საფუძვლად. მისი მიკროსტრუქტურები გარემოს რელიეფის ფორმისაა, ხოლო ბირთვის შიდა სტრუქტურების ურთიერთდამოკიდებულება მზის სისტემის პლანეტების მიკრომოდელია.

ამრიგად, უჯრედის ცხოველმყოფელობა — სიცოცხლე — აერთიანებს სამყაროს ყველა პროცესსა და მოვლენას იერარქიული საფეხურის რაოდენობრიობის და ფუნქციური მოთხოვნილების შესაბამისად. ფაქტობრივად სიცოცხლის ყველა ფორმა უნივერს-

ალურია და სამყაროს, როგორც ერთიანი ცოცხალი სისტემის, მიკრომოდელია დედამიწაზე; ხოლო უჯრედის სტრუქტურულ-ფუნქციური ცხოველმყოფელობა — სიცოცხლე — მიაი რაოდენობის შესატყვისი აზროვნებითა და ცნობიერებით ხასიათდება. სიცოცხლე და ცნობიერება აზროვნების უნივერსალური ბაზაა, ბანკია; აზროვნების დიაპაზონი უნივერსალური, უსასრულო და მრავალგანზომილებიანია. აზროვნებისათვის მიუწვდომელი და მიუდგომელი არ არსებობს სამყაროს სივრცესა და დროში. იგი ყველგან წვდება, ის უსასრულო და შეუზღუდველი მოძრაობის ფორმაა ბიოლოგიურ სტრუქტურაში.

სიცოცხლის, აზროვნების, ბიოლოგიური მოძრაობის, ინტელექტისა და ინსტინქტის თანამედროვე მეცნიერულ-ენციკლოპედიური ფილოსოფიური განმარტებები მოითხოვს შესწორებას.

§3. სიცოცხლის თვითრეგულაცია, როგორც აზროვნების პროცესი

როგორც ცნობილია, ორგანიზმის ცხოველმყოფელობას მართავს ცენტრალური ნერვული სისტემა ნერვული სისტემის ქსელის გზით, სხვადასხვა „რეგიონებიდან" მიღებული ინფორმაციების საფუძველზე. ფუნქციის შესრულების „კულუარებში" მიმდინარეობს რთული ბიოქიმიური, ბიოფიზიკური, ფერმენტაციულ-ჰორმონალური მრავალსაფეხურიანი კომპლექსური აქტები. ორგანიზმის ცხოველმყოფელობის თანდაყოლილი ან შეძენილი ფუნქციების რეგულაცია — მართვა (ცენტრალური ნერვული სისტემის მართვითი მოქმედება) უდიდესი სიჩქარით მიმდინარეობს, მაგრამ იგი არ არის მბრძანებლური, „ტელეგრაფიული" და მექანიკური, არამედ იგი ყველა დონეზე ფსიქოფიზიკური სტრუქტურების — მთელი ორგანიზმის — სტრუქტურათა სოლიდარული ერთიანობიდან გამომდინარე აზროვნების სხვადასხვა საფეხურია, ანუ ინფორმაციის მიღებაზე ფუნქციის შესრულება სხვადასხვა დონის აზროვნებისა და ცნობიერების შემოქმედებით ხორციელდება.

თანამედროვე მეცნიერულ-ფილოსოფიურ — ენციკლოპედიური განმარტებით: „აზროვნება ადამიანის მიერ სამყაროს

ობიექტური სინამდვილის ასახვის, შემეცნებისა და რეაგირების უმაღლესი საფეხურია"?56,57). უფრო სწორი იქნებოდა: აზროვნება ბიოლოგიური სისტემის ძირითადი თვისებაა და იგი შინაგანი და გარეგანი გარემოს ინფორმაციის შემოდინების მიღების ანალიზისა და სინთეზის, ასახვის, აღქმის, შემეცნების წარმოსახვის და მასზე საპასუხო რეაგირების, კონკრეტული ცოცხალი ფიზიკური სტრუქტურის აზრის გამოტვიფრის და ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობით ისევ შინაგან და გარეგან გარემოში ბიოლოგიურიდან სოციალურში გამოდინების უნივერსალური პროცესია.

სამყაროს — ობიექტური სინამდვილის — აღქმა სხვადასხვა სახეობის ინდივიდუუმების მიერ არ არის ერთი და იგივე და ერთი დონის, იგი შეფარდებითია. ადამიანის მიერ სამყაროს ობიექტური ასახვის მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ იგი, იღებს რა ინფორმაციას შინაგანი და გარეგანი სამყაროდან, აყალიბებს მის წარმოსახვას, აღქმასა და აუცილებლობის შემთხვევაში მასზე საპასუხო რეაქციას შესატყვისი ფიზიკური სტრუქტურების ფუნქციური მოძრაობით, ანუ ფუნქციის შესრულებით. ამ პროცესის უფრო ღრმად გაცნობიერებისათვის კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ მისი მექანიზმი.

ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი სტრუქტურები, ორგანოები და სისტემები მოფენილია ინფორმაციის მიმღები რეცეპტორებით: ნერვული უჯრედებით ანუ ნეირონებით. ეს რეცეპტორები ანუ **ნერვული უჯრედები ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის (უნარით) „ცნობიერებით" ხასიათდება, მაგრამ რეცეპტორები ინფორმაციას მექანიკურად კი არ იღებენ, არამედ ახდენენ მის ანალიზს, აყალიბებენ მისგან გარკვეული მიმართულებისა და დანიშნულების ენერგია-ინფორმაციულ მუხტებს, ფანტომებს, რომლებიც მოიცავს მოქმედების ინფორმაციის ტრანსკრიფციას, ანუ ინსტრუქციას (ინფორმაცია — ენერგიის, სტრუქტურის, რაოდენობა-თვისებრიობის, მისი ენერგეტიკული „ანატომიის" ინსტრუქცია და დებულებაა), რომელიც გადაეცემა „რეგიონის" სათანადო ნერვულ ცენტრებს, რომლის „სამზარეულოში" ხდება ინფორმაციის „გადამუშავება" და საპასუხო რეაქციისათვის „აზრის" ჩამოყალიბება. ეს უკანა-**

სკნელი მიზნობრივი მოქმედების ენერგო-ინფორმაციული ფიზიკური სუბსტანციის შაბლონი ანუ საპასუხო რეაქციის „თარგი“ – „აზროვნების შენადედი“, პლასტიკური სტრუქტურაა და, ღებულობს რა ფუნქციის შესრულების ფორმას, გადაეცემა მიზნობრივად დანიშნულების რეგიონის ფიზიკურ სტრუქტურებში და სრულდება რთული და „კვალიფიციური“ ფუნქციური მოძრაობით, ე.წ. პირობთი და უპირობო რეფლექსების სახით. „სიცოცხლის ყველა ცნობიერი და ქვეცნობიერი აქტის წარმოქმნა რეფლექსია“ -ი. სეჩენოვი, 1863 წ. (73)

თანამედროვე ფიზიოლოგიური მეცნიერების მონაცემებით, პირობითი და უპირობო რეფლექსები ინფორმაციის მიღების, ანალიზის, სინთეზის და რეალიზაციის პროცესია. რაც არც მეტი, არც ნაკლები აზროვნების პროცესია. ამრიგად, ბიოლოგიურ სისტემის შინაგანი და გარეგანი რეცეპტორები — ნეირონები, ნერვული უჯრედები – იღებს რა ინფორმაციას, აანალიზებს მის სიდიდეს, სიმძლავრეს, მიმართულებას, დანიშნულებას და ამ ინფორმაციებს გადასცემს სარეგულაციო ცენტრს, სადაც ყალიბდება საპასუხო რეაქცია შესატყვისი რაოდენობის, ფორმისა და კონფიგურაციის ფიზიკური სტრუქტურის ფანტომის სახით, რომელიც გადაეცემა სათანადო სტრუქტურებს და რეალიზდება ფიზიკური მოძრაობით. ყოველივე ეს მიზნობრივი და მიზანდასახული მოქმედებაა, აზროვნების რთული პროცესია, არა მექანიკური და უნებლიე, არამედ ბიოლოგიური სტრუქტურის ენერგოინფორმაციული მიზნობრივი მოქმედება და მოძრაობაა, ანუ მიზნობრივი აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა; აზროვნება რომ მიზნობრივია, ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ ყოველდღიური ჩვენი ცხოვრების საქმიანობით. თუ ადამიანი აწარმოებს რომელიმე სახის მოძრაობას (სამუშაოს შესრულებას) ქვეცნობიერად, იგი შეიძლება შეწყვიტოს ან გააძლიეროს ცნობიერი აზროვნებით. მიზნობრივი აზროვნებით ყველა სახის მოძრაობა ადვილად სრულდება, იგი უფრო კორდინირებულია, დანიშნულებრივია, მიზნობრივია და კვალიფიციურია და ამ დროს სხვა სახის ფუნქციური მოძრაობის შესრულება შეზღუდული და შეფერხებულია.

პირობითი რეფლექსი, თანამედროვე მეცნიერული განმარტებით, არის ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლესი სფეროს ქერქის

შემოქმედება. მაგრამ პირობითი რეფლექსი როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებში, იგივე მექანიზმით სრულდება იმ განსხვავებით, რომ ადამიანს შეუძლია იგი გამოთქვას მეტყველებით, ან წერით, ხოლო ცხოველები მას მოძრაობის სხვა ფორმებით გამოთქვამენ: ცხოველური ბგერითი მეტყველებით (და მელოდიური რთული ბგერებით. ჩიტების და სხვა ცხოველების მელოდია რთული მეტყველებაა), იმიჯით, გრაციით, გამოხედვით და მოძრაობის სხვა აქტებით. როგორც ადამიანი, ასევე ცხოველი ადუღებულ წყალთან, ცეცხლთან ან კლდის უფსკრულთან ფრთხილად იქცევა; იცის, რომ იგი სახიფათოა. ქალიც, კაციც, ქათამიც, აქლემიც, ლომიც და სხვა ცხოველებიც ამ ობიექტურ სინამდვილეს „ობიექტურად" აღიქვამენ და სიფრთხილით იქცევიან; აუცილებელი არ არის გამოთქვას იგი მეტყველებით. თუ ადამიანმა მეტყველების უნარი დაკარგა, იგი აზრს გამოთქვამს ბგერებით და მოძრაობის სხვადასხვა ფორმებით. ასევე ცხოველები აზრს გამოხატავენ ბგერებით და მოძრაობის სხვადასხვა ფორმით, ანხორციელებენ ურთიერთგაგებას, გარემოსთან კორდინირებულ ორიენტაციას და ყოველივე ეს აზროვნების პროცესია და არა ინსტინქტი.

ადამიანში პირობითი რეფლექსის მექანიზმი გაღიზიანებაზე რეაქციაა (რადგან ქერქის მონაწილეობით სრულდება), აზროვნების პროცესია. ასეთივე რეფლექსები ცხოველებში მსგავსი მექანიზმით (55,57,74), რომ მიმდინარეობს, ესეც ხომ აზროვნებაა.

თანამედროვე მეცნიერული შეხედულებებით, აზროვნების ეს პროცესები, მექანიზმის იდენტურობის მიუხედავად, ადამიანებში აზროვნებად ითვლება, ხოლო ცხოველებში — ინსტინქტად. ანუ ადამიანი მოაზროვნე ბიოლოგიური სისტემაა, ხოლო ცხოველები არ აზროვნებენ და მოქმედებენ ინსტინქტით, რადგან ისინი არ ფლობენ მეორე სასიგნალო სისტემას. ეს კი უხეში შეცდომაა, რადგან ყველა ცხოველი, ფრინველი, მწერი, ბუზები, ფუტკრები და სხვა ფლობენ მეორე სასიგნალო სისტემის ბგერით მეტყველებას. ამრიგად, ჩვენ მივდივართ იმ ზღუდესთან, სადაც უნდა გაირკვეს აზროვნება მხოლოდ მეტყველებით გამოიხატება თუ მოძრაობის სხვა ფორმებითაც? გარემოსთან ცხოველის ორიენტაცია აზროვნების პროცესია თუ ინსტინქტი? ბიოლოგიური სტრუქტურის თვითრეგულაცია ანუ სიცოცხლის თვითრეგულაცია მექანიკურია თუ აზროვნების პროცესია.

როგორც აღვნიშნეთ, აზროვნების შედეგების რეალიზაცია მოძრაობის სხვადასხვა ფორმებით სრულდება. მოძრაობის გარეშე ადამიანის აზროვნების ყველა შედეგები არ გამოდის გონებიდან და ფაქტობრივად იგი პასიურ სტრუქტურად რჩება. როდესაც აზროვნება რეალიზდება ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობით, იგი სოციალური სფეროს პროდუქტია (სოციალური პროცესი საზოგადოებასთან და გარემოსთან ბიოლოგიური სისტემის ურთიერთობაა ფუნქციური მოძრაობის სხვადასხვა ფორმებით) და აღიარებული აზროვნებაა.

აზროვნების „ნედლეული" ფიზიკური სტრუქტურების სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობით ღებულობს სრულყოფილი მოძრაობის ჩამოყალიბებულ ფორმას, „მზა პროდუქტის" ფორმას. ეს არის მეტყველება, იმიჯი, წერა, მხედველობა, კითხვა, ცეკვა, პანტომიმა, სიმღერა და სხვა ტრანსაქციული გამოვლინებები. ყოველივე აღნიშნული აქტები სხვადასხვა გეომეტრიული ფორმისა და კონფიგურაციის ფიზიკური სტრუქტურის (შაბლონი) **ფანტომებია, ხასიათდება შესატყვისი ადეკვატური განზომილების ჰოლოგრამით და შესატყვისი ტალღური გამოსხივებით.** ადამიანის აზროვნების ფიზიკური სტრუქტურა სხვადასხვა განზომილების ტალღების ასლია, შაბლონია, რომელიც გამოიხატება მეტყველების ან მოძრაობის სხვადასხვა ფორმით. მას ცხოველებიც აზროვნების სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ მოძრაობით და პოზიციურობით: ბგერებით, იმიჯით, გამოხედვით, პოზიციურობით ანუ ცხოველები აზრს გამოთქვამენ ბგერებით და მოძრაობის სხვადასხვა ფორმით.

ზოგიერთი სახეობის ცხოველები რთული ბგერების გამოხატვის უნარით ხასიათდებიან. ამავე დროს ცხოველების რთული ბგერების გამოხატვა არ არის მოკლებული ემოციურობას. კერძოდ, ცხოველები და ფრინველები წუხილსა და სიხარულს, ანუ „უბედურებასა" და „ბედნიერებას", „სევდას" თავისებური განსხვავებული მარტივი და რთული ბგერებით გამოხატავენ. ზოგიერთი გარეული ფრინველები „წუხილსა" და „სიხარულს" სხვადასხვა ბგერითი ხმიანობით გადმოცემენ; მაგალითად, ბულბული და სხვა ფრინველები „საქორწილო" მელოდიებს მრავალხმიანი მუსიკალური ბგერებით გამოხატავენ, ხოლო წუხილს ნაღვლიანი

მელოდიებით, რომელიც ურთულესი აზროვნების პროცესია (სიმღერა რთული მეტყველებითი აზროვნებაა, რომელიც თავის ტვინის ქერქის მონაწილეობით სრულდება).

ამრიგად, ბიოლოგიური სისტემების ცალკეული სახეობის ქცევის მახასიათებლები თავისებური მარტივი და რთული ბგერების გამოხატვით, ანუ „ცხოველური მეტყველებით" ხასიათდებიან, რომელიც გასაგებია მხოლოდ მისი სახეობის და პოპულაციის ინდივიდებისათვის, ანუ ცალკეული სახეობის ცხოველები „საკუთარი მეტყველების" გამოხატვის უნარით ხასიათდებიან და იგი გასაგებია მხოლოდ იმ სახეობისა და ჯგუფისათვის. ეს თვისება ევოლუციური განვითარებისა და თვითშენარჩუნების, თვითდაცვის და სიცოცხლის შენარჩუნების უნიკალური თვისებაა. ამავე დროს ცხოველთა და ფრინველთა „ბგერითი-მეტყველება" შესატყვისი გარეგანი ფიზიკური მოძრაობით მიმდინარეობს (ცნობილია, რომ დედამიწაზე 110-ზე მეტ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ჯგუფებს, პოპულაციებსა და ერებს თავისი საკუთარი ენა და მეტყველება გააჩნია, რომელიც გასაგებია მხოლოდ იმ ჯგუფის ან პოპულაციის ერის ადამიანებისათვის).

ამრიგად, ყველა ბიოლოგიური სტრუქტურა სიცოცხლის ცხოველმყოფელობის თავისებური ბგერების გამოხატვის უნარით ხასიათდება. 1969-72 წლებში ჩვენს მიერ რეგისტრირებულია სხვადასხვა სახეობის ფრინველთა და ცხოველთა მარტივი და რთული ბგერები, „სიმღერა" „ჩიტთა გალობა", ჭიანჭველების ურთიერთობა და სხვა, ხმის გამაძლიერებელი ჩამწერი ხელსაწყოებით (77), რაც იმაზე მიუთითებს, რომ გვინდა ჩვენ თუ არა, ცხოველები ხასიათდებიან იერარქიული საფეხურის შესატყვისი ბგერების გამოხატვის მეტყველებით, რაც თავისებური აზროვნების პროცესია და არა ინსტინქტი.

პირველყოფილი ადამიანები სანამ მეტყველებას დაეუფლებოდნენ, მათი ურთიერთობაც ასევე მარტივი და რთული ბგერებითა და მოძრაობის სხვა ფორმებით სრულდებოდა და, ცხადია, მოკლებული იყო მეტყველებას, როგორც დღეს ცხოველებში, თუმცა იგი აზროვნების შედეგად ხდებოდა და არა ინსტინქტით. ევოლუციური განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანში მოხდა ემერჯენტული ევოლუციური ნახტომი და ბგერებით ურთიერთობის ბაზაზე ჩამოყალიბდა სიტყვები (პირველყოფილ

ადამიანებს მეტყველება განუვითარდა შინაგანი და გარეგანი გარემოს ბგერების იმიტაციით), შემდეგ კი აითვისა რთული წინადადებები. უცოდინარი და განუვითარებელი ადამიანები რთულ წინადადებას ვერ წარმოთქვამენ. სამაგიეროდ ადამიანმა ონტოგენეზური განვითარების გზაზე დაკარგა ტალღური გამოსხივების ანუ ულტრა ბგერებით ურთიერთობის უნარი, რომელსაც ფლობს ცხოველების გარკვეული ჯგუფი; ასევე სურნელების შეგრძნებით ორიენტაცია (ბიოლოგიური მეცნიერების მონაცემებით, 10000 სხვადასხვა სურნელებას არჩევენ (57)). ცხოველების ურთიერთობისა და აზროვნების ორიენტაციაში სურნელების აღქმა ყნოსვით ევოლუციური განვითარების უნიკალური აზროვნებითი თვისებაა (შინაური და გარეული ცხოველები კარგად ერკვევიან საკვების ხარისხში, უხარისხო საკვებს ან მავნე შემცველობის პროდუქტებს არ ღებულობენ. მინდორშიც კი არჩევენ საზიანო და სასარგებლო ბალახს. ასევე მტრის მოახლოებას, მიწისძვრას, ამინდის შეცვლას და სხვა), რომელიც, ჩვენი აზრით, მიკრო ნაწილაკების ტალღური გამოსხივების ელექტრომაგნიტური ტალღების ზემოქმედებით აღიქმება გრძნობათა რეცეპტორებზე. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ბიოლოგიური სისტემა და მისი სტრუქტურები ხასიათდება შინაგანი ინფორმაციის რეზერვებით (შინაგანი ინფორმაციის გენერატორი). ჰაერით, საჭმლით, წყლის მიღებით, ყნოსვით, გემოვნებით, სმენით, მხედველობით, შეხებით, ორგანიზმში შემოედინება ინფორმაციები, რომელიც აკუმულირდება სტრუქტურებში, როგორც ინფორმაციის რეზერვი, ასევე სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის, საჭმლის მიღებისა და მონელების პროცესში ყალიბდება შინაგანი ინფორმაციის რეზერვი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბიოლოგიური სისტემის ცხოველმყოფელობის თვითრეგულაცია ცნობიერი და ქვეცნობიერი აზროვნების პროცესია.

§4. სიცოცხლის თვითრეგულაციის არსი

იბადება კითხვა: თუ აზროვნება ფსიქიკური სფეროს თვისებაა, მისმა ცენტრმა — ტვინის უჯრედებმა შეუძლებელია ერთდროულად მართოს მთელი ორგანიზმის მირიადი, სხვადასხვა უჯრედებისა და ორგანო-სისტემების სისტემატური და განუწყ-

ვეტელი მოძრაობის ფუნქციონირება. ამიტომ ცენტრალურ ნერვულ სისტემას გააჩნია მართვის მრავალსაფეხურიანი იერარქია, რომლის კონტროლს არეგულირებს თვით ცენტრალური ნერვული სისტემა, პერიფერიული სტრუქტურების ინფორმაციული მოთხოვნილების საფუძველზე. თუ არა სხვადასხვა დონის ორმხრივი ინფორმაციული კავშირები, ანუ აზროვნება, ცენტრალური ნერვული სისტემა ვერ შეასრულებდა ყველა უჯრედისა და ქსოვილის კორდინირებული მოძრაობის რეგულაციას.

ბიოლოგიური სისტემების ცენტრალური მართვის ორგანოებს აქვთ ქვემდებარე იერარქიული სტრუქტურების კვანძები, პერიფერიული ცენტრები — პერიფერიული მნიშვნელობის რეგიონალური მართვის სტრუქტურები და მართვის ცენტრი თავისი ფუნქციების ნაწილს „დელეგირებით" გადასცემს პერიფერიულ მართვის კვანძებს, ანუ კონკრეტულ აზროვნების სისტემებს (ავტომატური-ვეგეტატური და სხვა ნერვული კვანძები, სისტემები და უჯრედები); პერიფერიული ნერვული კვანძები და ნერვული უჯრედები გარკვეული პროგრამით ავტონომიურად განაგებს პერიფერიული სტრუქტურების ფუნქციურ მოძრაობას; **ფუნქციური მოძრაობის სახით კი საქმე გვაქვს აზროვნების ელემენტებთან. პერიფერიული ფიზიკური სტრუქტურების ნეირონები ხასიათდება აზროვნების ელემენტებით მათი სპეციფიკური ფუნქციური დანიშნულების მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობის ფარგლებში; ამრიგად, ყველა სახის ბიოლოგიური სტრუქტურის მოძრაობა აზროვნების შედეგია;** ყველაზე დაბალი იერარქიული საფეხურის ბიოლოგიური სტრუქტურებიც კი გარკვეული ფუნქციური მოძრაობის ცნობიერებას ფლობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სპეციფიკური ინფორმაციული სიგნალების მიღებაზე რეაგირებენ, ანუ პასუხობენ კორდინირებული და მიზანმიმართული მოძრაობით.

უჯრედი, როგორც ავტონომიური თვითმართვადი სისტემა, ხასიათდება რაოდენობის შესაბამისი ცოცხალი ორგანიზმის ყველა მორფოლოგიურ-ფუნქციური თვისებებით. უჯრედი სპეციფიკური დანიშნულების შესაბამისად ასრულებს სხვადასხვა სახის ფუნქციურ მოძრაობას, რთულ ბიოქიმიურსა და ბიოფიზიკურ ფერმენტაციულ-ჰორმონალურ პროცესებს.

უჯრედის ბირთვი შეძენილი ან თანდაყოლილი კოდირებული ანუ „წერილობითი“ ტრანსკრიფციის ინსტრუქციით უზრუნველყოფს უჯრედის ცხოველმყოფელობას — კვებას, გამრავლებას, გარემოსთან ურთიერთობას, ევოლუციური განვითარების ფუნქციურ მოძრაობას შინაგანი და გარეგანი ინფორმაციების მიღებისა და რეალიზაციის გზით და იგი აზროვნების პროცესია. ამრიგად, უჯრედის ფუნქციონირება არ ხდება მექანიკურად, იგი ხორციელდება გარკვეული აზროვნების ელემენტებით, რომელიც უჯრედის ბირთვშია.

უკანასკნელი მეცნიერული მონაცემებით უჯრედის ბირთვი დამოუკიდებლად არ მართავს უჯრედის სტრუქტურების ფუნქციონირებას. „ბირთვი ღებულობს ინფორმაციას, როგორც უჯრედში და ასევე უჯრედის გარე სტრუქტურებისა და მოვლენების ზემოქმედებაზე და ადეკვატურად, იმპერატიული სიზუსტით რეაგირებს მასზე გარკვეული ფუნქციის შესრულებით“;?57) ინფორმაციის მიღება, კონცენტრაცია, ანალიზი, სინთეზი და რეალიზაცია, ანუ რეაგირება ინფორმაციაზე, გარკვეული ცნობიერების ანუ აზროვნების შედეგია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვაწყდებით ობიექტურ სიჯიუტეს იმის შესახებ, რომ უჯრედი ხასიათდება თავისი იერარქიული საფეხურის რაოდენობრიობა, თვისებრიობის სპეციფიკური ფუნქციური ცნობიერებით. რადგან უჯრედის ფუნქცია თვითმართვადია, თვითრეგულირებადია უჯრედის ბირთვი მოიცავს თვითმართვის — აზროვნების — ფუნქციას, მართავს უჯრედის ცხოველმყოფელობას და იგი „მოაზროვნე სტრუქტურაა“.

რადგან მოძრაობა ბიოლოგიური სტრუქტურების თვისებაა და იგი აზროვნების შედეგია, მოძრაობა და აზროვნება ყველა ბიოლოგიური სტრუქტურის თვისებრიობაა (მოძრაობა და აზროვნება ურთიერთდაპირისპირებული ერთიანობაა) და სრულდება ენერგო-ინფორმაციის ცვლის შუამდგომლობით. ამიტომ იგი ბიოლოგიური მოძრაობაა, ანუ აზროვნების ფუნქციაა და ჩვენ, გვინდა თუ არა, ყველა **ბიოლოგიური სტრუქტურები მოძრაობისა და აზროვნების ფუნქციით ხასიათდება, თავისი იერარქიული საფეხურის ფუნქციური მოვალეობის შესაძლებლობისა და მოთხოვნილების მიხედვით და გენომის ტრანსკრიფციის შესაბამისად.**

უჯრედი, როგორც ორგანიზმის იერარქიული ცხოველმყოფელობის ძირეული რგოლი, „ინსტრუქციული" მეხსიერებით ხასიათდება და თუ იგი გენომის ტრანსკრიფციის ინფორმაციული ინსტრუქციაა, მისი „ნაკითხვა", დამახსოვრება და შესრულება, არც მეტი, არც ნაკლები, აზროვნებით ხორციელდება, ანუ ფუნქციური მოძრაობის მახსოვრობა და შესრულება აზროვნებისა და ინტელექტის ელემენტების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ უჯრედი, როგორც თვითმართვადი ავტონომიური მიკროსახელმწიფო, გონების მსგავსი ცნობიერებით ხასიათდება: გააჩნია თავისი მიკროინტელექტი და გენომაში ჩაწერილი ტრანსკრიფციის დამახსოვრების, ნაკითხვის და შესრულების ცნობიერება და აზროვნება.

ამრიგად, ბიოლოგიური სისტემების თვითრეგულაცია აზროვნებითი მართვაა და იგი ხორციელდება მოძრაობით ნერვული სისტემის გზით ფიზიკურ სტრუქტურებზე აზროვნებითი ზემოქმედებით.

§5. ევოლუციური განვითარება, როგორც აზროვნების განვითარების შედეგი

ცნობილია, რომ მცენარის, ცხოველის და ადამიანის მემკვიდრეობის უზოგადესი კანონზომიერება ერთი და იგივეა (55);

ძუძუმწოვართა უჯრედებში 100000 გენია და 1000-ჯერ მეტი **დნმ**, ვიდრე ბაქტერიებში. ბიოლოგიურ ორგანიზმში მუდმივ მიმდინარეობს (რეცესიული და დომინანტური) გენების და ქრომოსომების მუტაცია, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს ევოლუციურ პროცესში.

ევოლუცია, როგორც ცოცხალ არსებათა უწყვეტი პროცესი, მუდმივ მიმდინარეობს გარემოს პირობებთან შეგუებისათვის და იგი ბიოლოგიური სისტემების თანდათანობითი გართულებით ხასიათდება. ამავე დროს ევოლუციის პროცესში ხდება ერთი სახეობის გარდაქმნა მეორეში" (55). დარვინიზმის თეორიიდან გამომდინარე, ევოლუციის ძირითადი მექანიზმებია: ბუნებრივი შერჩევა (ბრძოლა არსებობისათვის), მემკვიდრეობა და ცვალებადობა. მაგრამ ბუნებრივი შერჩევა და ცვალებადობა მეორედია, პირველადია გარემოს ინფორმაციის მიღების, ცნობიერების, აზროვნების შეცვლა და ამ ინფორმაციით სათანადო გენომის **დნმ**-ის გაცნობიერება.

მიზანმიმართული აზროვნების გარეშე არ ხდება გარემოს ზემოქმედების ინფორმაციის მიღება და მისი რეალიზაცია.

ცოცხალი არსების ყველა სახის ცვალებადობა გარემოსთან შეგუების მექანიზმში გამოიხატება, ხოლო შეგუება შეუძლებელია, თუ არ მოხდება ცოცხალი სისტემის შინაგანი და გარეგანი ცვალებადობა და ეს ცვლილებები იწყება შინაგან სტრუქტურებში — გენომაში — და **დნმ**-ის ხარისხობრივი და სივრცობრივ ცვალებადობაში. ხოლო მეორადად ხდება ცვალებადობა, ანუ გარემოსთან შეგუება „ფუნქციური მოძრაობის" ჩამოყალიბებით. ბიოლოგიურ სისტემებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს მუტაციური პროცესები (68,57), რომელიც იწყება გენებისა და ქრომოსომების მუტაციით. ადამიანის ორგანიზმში ცნობილია 2000 მუტაცია, რომელიც ძირითადად უჯრედის გენებსა და ქრომოსომებში იწყება, რასაც მოჰყვება რაოდენობრივ-მორფოლოგიური და ფუნქციური ცვლილებები.

ბიოლოგიურ სისტემებში, ასევე ადამიანის ორგანიზმსა და ცხოველებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს მუტაციური პროცესები, რომელიც ძირითადად უჯრედების გენებსა და ქრომოსომებში მიმდინარეობს. მუტაციის მიზეზი შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ინფორმაციული, საყოფაცხოვრებო, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ქიმიკატები, ეკოლოგიურად დაზიანებული გარემო: წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ფალსიფიცირებული კვების პროდუქტები, ფარმაკოლოგიური, კოსმეტიკური, მექანიკური, თერმიული და სხვა.

ცნობილია ცოცხალი ორგანიზმებისა და უჯრედების ევოლუციური განვითარება გარემოს ცვლილებებთან დაკავშირებით (ასევე ბუნებრივი შერჩევის მექანიზმი). გენომის ტრანსკრიფციის ცვლილებები ანუ მუტაგენეზი იმას ნიშნავს, რომ გენომაში რეგისტრირდება, „ინერება" გარემოს ცვლილებების შესაბამისი ფუნქციური მოძრაობის შესრულების „ინსტრუქცია", რომლის საფუძველზე ხდება უჯრედის სტრუქტურის ფუნქციური განვითარება და გარემოსთან შეგუების რთული სასიცოცხლო პროცესების შესრულება.

მიკრო და მაკრო ბიოლოგიური სტრუქტურების ევოლუციური განვითარება და ბუნებრივი შერჩევა გარემოს ცვლილებების ზემოქმედების აღქმა და მასზე საპასუხო ფუნქციური მოძრაო-

ბის გაუმჯობესებული შესრულებაა. უჯრედის გენომაში მიღებული ინფორმაციის ნიადაგზე ხდება მისი ტრანსკრიფციის შეცვლა და ახალი ფუნქციური მოძრაობის ინფორმაციის „ჩაწერა"-ფიქსირება და შესრულება ე.წ. ევოლუციური განვითარების ემერჯენტული ნახტომი, ანუ სასიცოცხლო ფუნქციონირების გაუმჯობესებული შეცვლა. გენომის თანდაყოლილი ან შეძენილი ტრანსკრიფციული ინფორმაციის გადათარგმნა, ანალიზი, დედუქცია, ინდუქცია და რეალიზაცია, როგორც აღვნიშნეთ, მექანიკური პროცესი არ არის, იგი გარკვეული გონიერი შემოქმედების ელემენტია. იერარქიული საფეხურებისა და დონის ფუნქციის შესრულება სტრუქტურის ფუნქციონირების შენარჩუნების მოთხოვნილების და შესრულების შესაძლებლობის ფარგლებში ფუნქციური მოძრაობა აზროვნებით მიმდინარეობს. ე.ი. ბიოლოგიურ სტრუქტურებს აქვთ საკუთარი ცხოველმყოფელობის ინსტრუქცია-დებულება, პროგრამა და ამ პროგრამის ტექსტის „წაკითხვითა" და „გაცნობიერებით" იგი ასრულებს ფუნქციურ მოძრაობას, რაც სასიცოცხლო ცხოველმყოფელობის საფუძველია; უჯრედს გააჩნია სპეციფიკური ფუნქციური მოძრაობის უნარი და გარემოს ცვლილებებიდან გამომდინარე ანარმოებს ევოლუციურ განვითარებას.

ცნებები, იდეები, მოვლენები, პროცესები, საგნები ორი პოლუსით ხასიათდება, რაც სამყაროს უნივერსალური გონიერების ვერდიქტია. ევოლუციური პროცესიც ორპოლუსიანია: განვითარება და უკუგანვითარება (ევოლუცია და ინვოლუცია). ბიოლოგიური სისტემის ევოლუცია ფუნქციური მოძრაობის ევოლუციაა, როგორც სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი ფაქტორი ბუნებრივი შერჩევის პირობებში. მაგ.: გადამფრენი ფრინველები მიზნობრივი მიმართულებით, აზროვნებითი ნებისყოფით ერთ ღამეში შეუსვენებლივ 6000 კილომეტრს მიფრინავენ (ეგვიპტური ყანჩა) (75), ხოლო შინაურ ფრინველებში ამ ფუნქციის ინვოლუცია მოხდა (ქათამი 50 მეტრზეც ვერ გადაფრინდება შეუსვენებლივ).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიოლოგიური სისტემების ევოლუციური განვითარება, შინაგანი და გარეგანი გარემოს ინფორმაციის მიღება, ანალიზი, აღქმა და საპასუხო რეაქცია ცნობიერებისა და აზროვნების განვითარებით და თვი-

თრეგულაციის გაუმჯობესებით იწყება და ამ პროგრამის საფუძველზე შინაგანი და გარეგანი ფუნქციური მოძრაობის ცვალებადობით ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობის გაუმჯობესებულ ცვლილებებში გამოიხატება. ე.ი. ევოლუციური განვითარების მექანიზმში მთავარია აზროვნების პროცესი და აზროვნებითი პროგრამა, როგორც ინფორმაციის მიღებისა და საპასუხო რეაქციის რეალიზაცია და მართვა.

§6. აზროვნების ცენტრის ჩამოყალიბების ჰიპოთეზა

როგორც აღვნიშნეთ, ბიოლოგიური ორგანიზმების ფორმირება, მორფოლოგიური და ფუნქციური ნიშანთვისებების ევოლუციური განვითარება ცნობიერებისა და გონიერების ანუ აზროვნების პროცესია და იგი მიზანშეწონილი და თვითმართვადია.

ცოცხალი ორგანიზმის ჩამოყალიბება გარკვეული ფუნქციების შესრულებასთანაა დაკავშირებული და სათანადო მოძრაობით ანუ ფუნქციური მოძრაობის ფორმებით სრულდება; სხვადასხვა სახის ფუნქციების შესრულება იწვევს სხვადასხვა სახის ფუნქციათა შესრულების მოძრაობის დამთხვევას; რადგან ამ ეტაპზე არ ხდება მისი რეგულაცია, სტრუქტურაში იქმნება ქაოსის სურათი, ხოლო სიცოცხლის შენარჩუნების მოძრაობის ფუნქციის შესრულების აუცილებლობის გამო, ცოცხალ ბიოლოგიურ სტრუქტურაში ყალიბდება მოძრაობის ინფორმაციის მიღებისა და კონცენტრაცია-რეგისტრაციის აუცილებლობის მოთხოვნილება სტრუქტურის გარკვეულ N სფეროში; კერძოდ, ფუნქციური მოძრაობის შესრულების ინფორმაციის რეგისტრაცია — მოძრაობის რიტმის ხანგრძლივობის, ძალის, დიაპაზონის, ანუ მისი კოორდინირების და მიზანშეწონილობის ჯამი (ფუნქციის ჯამი იწვევს რაოდენობრივ ცვლილებებს) N სფეროში იწვევს რაოდენობრივ-ხარისხობრივ ცვლილებებს; ამრიგად, სისტემის მოძრაობის ინფორმაცია თანდათანობით ხდება უფრო მიზნობრივი, დიფერენცირებული და რიტმული და სისტემის ფუნქციონირების იმპერატიული მოთხოვნილების საფუძველზე ინფორმაცია ხდება უფრო დახვეწილი და მიზნობრივი.

ინფორმაციის დაგროვება „N სფეროში“ იწვევს „N სფეროს“ სტრუქტურის რაოდენობრიობა-თვისებრიობის და რაოდენობის

შესაბამისი სივრცობრივი პოზიციურობის ჩამოყალიბებას და იგი თანდათან უფრო დიფერენცირებული, მიმღები ცენტრი, „ფსიქოველი" ხდება; ეს უკანასკნელი ორმხრივი ინფორმაციული კავშირების ჩამოყალიბებით, გარკვეულ რეაქციით პასუხობს მიღებულ ინფორმაციაზე, ანუ ყალიბდება ურთიერთდაპირისპირებულთა წრე, რომელშიც „N სფერო" მართვის დომინანტობის ფუნქციას იღებს, ანუ ინფორმაციის მიმღები ცენტრის მოვალეობას ასრულებს (მუშა სტრუქტურა, ასრულებს ფუნქციას – ფიზიკურ მოძრაობას და მას მართვის დრო არ რჩება) და დიფერენცირებული ინფორმაციის მიმღები და გადამცემი ორმხრივი კავშირების ბაზად ყალიბდება. სისტემატური და ინტენსიური ორმხრივი ინფორმაციული კავშირებით რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებების ნიადაგზე უჯრედის ეს ნაწილი გარდაიქმნება მართვად ორგანოდ – ბირთვად.

შემდგომში, გარემოს ცვლილებების ზემოქმედების შესაბამისი ევოლუციური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე ორმხრივი ინფორმაციული კავშირების ორბიტა თანდათანობით ფართოვდება და სტრუქტურის სხვადასხვა ნაწილების და რეგიონების ფუნქციური მოთხოვნილების შესაბამისად მოძრაობის ფორმების შეცვლისა და განვითარების აუცილებლობით, ორმხრივი ინფორმაციული კავშირებით ბირთვთან ერთიანდება სტრუქტურის ყველა რეგიონები და წერტილები. რამდენად მეტი „რეგიონი" და წერტილი ერთიანდება ორმხრივი ინფორმაციული კავშირებით ბირთვში, იმდენად რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები ვითარდება ბირთვში და იგი უფრო დიფერენცირებულსა და მრავალფუნქციურ ხარისხს აღწევს. პარალელურად სტრუქტურის ყველა ნაწილებსა და წერტილს შორის ყალიბდება ორმხრივი ინფორმაციული კავშირების უფრო რთული და დიფერენცირებული ერთიანობის ქსელი და თანდათანობით მატულობს სპეციფიკური ფუნქციური მოძრაობის სტრუქტურათა რაოდენობრიობა და „მოძრაობის სპეციალიზაცია". ამრიგად, დიფერენცირებული ფუნქციური მოძრაობის რაოდენობათა მატების მიხედვით ყალიბდება ურთიერთდაპი-რისპირებულთა მრავალმხრივი მრავალიარუსიანი ერთიანობა; რამდენადაც დიდდება სტრუქტურის სხვადასხვა წერტილსა და რეგიონს შორის შინაგანი და გარეგანი ორმხრივი ინფორმაციული კავშირები და ურთიერთ-

დაპირისპირება, იმდენად უფრო ევოლუციური და სპეციალიზებული ხდება სტრუქტურის ნაწილებისა და ნერტილების ფუნქციური მოძრაობის შესრულება და იმდენად უკუმოქმედებით განვითარებული და სრულყოფილი ხდება ინფორმაციული კავშირების მართვის ცენტრი და სტრუქტურის თვითრეგულაციის ბირთვი, თანდათან იძენს ინტელექტს ანუ აზროვნების ფუნქციის სტრუქტურის თვისებებს.

სტრუქტურის ყველა ნაწილსა და ნერტილს შორის მრავალგანზომილებიანი ენერგო-ინფორმაციული ორმხრივი ურთიერთკავშირები შინაგანსა და გარეგან სამყაროსთან სისტემის თვითრეგულაციის, თვითმართვის უნივერსალური განვითარების საფუძველია, რომელიც განაპირობებს სტრუქტურის ყველა ნაწილების ფუნქციურ აქტიურობას, ხოლო არამოფუნქციე ნანილები ერთიანდება აქტიურად მოფუნქციონირე რეგიონებში.

სტრუქტურის აქტიური ფუნქციონირება – ორმხრივი ინფორმაციული კავშირებით მართვის ცენტრი დამატებითი ინფორმაციებით აზროვნების ელემენტებს აყალიბებს, ანუ გარემოს მრავალშრიანი და მრავალგანზომილებიანი ენერგოინფორმაციის დედუქცია და ინდუქცია მიზნობრივი ველების შეკვრით აზროვნების მოდელებს აყალიბებს და ორმხრივი ინფორმაციული კავშირები უფრო „კვალიფიციური", დიფერენცირებული, რიტმული, აქტიური და რეგულარული ხდება. მართვის ცენტრი ანუ ინტელექტის ბაზა ორმხრივი ინფორმაციის ბანკის ფუნქციის ჩამოყალიბებით – ცნობიერებას (ინფორმაციის კონცენტრაცია) იძენს და მისი აზროვნებითი თვითრეგულაციის ხარისხი მატულობს. შემდგომი მისი განვითარება დამოკიდებულია გარემოს ევოლუციურ პროცესებზე და რამდენად სრულყოფილი ხდება სტრუქტურის ორმხრივი ინფორმაციული კავშირი, იმდენად აქტიურდება ინფორმაციის ცვლა, აზროვნება, ცნობიერება და თვით სტრუქტურა ხდება შინაგანი და გარეგანი ინფორმაციების მიმღები და გადამცემი უნივერსალური ცოცხალი „ანტენა". ამ ანტენის ყველა ნერტილს შორის, რამდენადაც სრულყოფილია ორმხრივი ინფორმაციული კავშირები, იმდენად სრულყოფილად ყალიბდება ბიოლოგიური სისტემა, მისი ცნობიერება და აზროვნებისა და ცნობიერების ცენტრი. ცნობიერების ცენტრი ხდება ორმხრივი ინფორმაციული კავშირების ბაზა.

ამ ბაზაზე ორმხრივი ინფორმაციული კავშირების მართვისათვის, ანუ სისტემის თვითრეგულაციისათვის, აზროვნების ფუნქცია აუცილებელი ხდება, ამრიგად, აზროვნების ფუნქცია ბიოლოგიურ სტრუქტურაში ყალიბდება ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ფუნქციონირების თვითმართვისათვის.

ამრიგად, სიცოცხლის თვითრეგულაციის, თვითმართვის აუცილებლობა პირობადებს ცნობიერებისა და აზროვნების ჩამოყალიბებას. ბიოლოგიური სტრუქტურის ცნობიერება და აზროვნება ჩამოყალიბდა მისი ცხოველმყოფელობის თვითრეგულაციის მართვისათვის, ანუ ცნობიერებისა და აზროვნების პირველი და აუცილებელი დანიშნულება **იყო და არის სასიცოცხლო ფუნქციების მართვა.**

§7. აზროვნების ფუნქციის დანიშნულება, ანუ რისთვის შეიქმნა აზროვნება?

ბიოლოგიური სისტემა შექმნილია სამყაროს ერთიანი კონსტანტის, გენეტიკური კოდის საფუძველზე, იერარქიული პირამიდის-საფეხურის-შესატყვისი ფუნქციებით. ბიოლოგიური სტრუქტურის ძირითადი ფუნქცია სიცოცხლის ცხოველმყოფელობის შენარჩუნებაა, რომელიც სხვადასხვა სასიცოცხლო ფუნქციების შესრულებაში გამოიხატება, ხოლო სასიცოცხლო ფუნქციის შესრულებას თვითრეგულაცია, ანუ თვითმართვა სჭირდება, რომელიც შინაგანი და გარეგანი ინფორმაციების მიღების, ანალიზის, აღქმის, წარმოსახვის რეაგირების ანუ საპასუხო რეაქციის გამომუშავებაში გამოიხატება (სამყაროში ბიოლოგიური და ფიზიკური სისტემა, შინაგანი და გარეგანი მართვის გარეშე არ ფუნქციონირებს), რაც ცნობიერებისა და აზროვნების შედეგია. ამრიგად, ბიოლოგიური სტრუქტურის ცხოველმყოფელობისათვის აუცილებელია შინაგანი და გარეგანი ინფორმაციების მიღება, ანალიზი, წარმოსახვა, საპასუხო რეაქციის გამომუშავება, ანუ რეაგირება, ეს კი აზროვნების პროცესია.

აქედან გამომდინარე, ყველა ბიოლოგიური სტრუქტურა თავისი იერარქიული საფეხურის ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად ფლობს შესატყვის აზროვნებას, ანუ ცნობიერების ელემენტებს. თუ ბიოლოგიური სისტემის ცხოვე-

ლმყოფელობის ამ პროცესებს ავხსნით არა აზროვნებითი მექანიზმით, არამედ მექანიკურად, მაშინ საქმე გვექნება არა ბიოლოგიურ სტრუქტურებთან, არამედ ფიზიკურ სტრუქტურებთან, რაც სიცოცხლის (მექანიკური) არასწორი გაგებაა.

უჯრედის თეორიიდან გამომდინარე, ორგანიზმის ცხოველმყოფელობა ყველა მისი შემადგენელი უჯრედის ერთობლივი შემოქმედებაა, ე.ი. აზროვნების პროცესი არა მარტო ტვინის უჯრედების შემოქმედებაა, არამედ ორგანიზმის ყველა უჯრედების ფუნქციონირებაზეა დამყარებული. რადგან უჯრედი ავტონომიური ცოცხალი სისტემაა, იგი ასრულებს უჯრედის ცხოველმყოფელობის თვითრეგულაციის ყველა სასიცოცხლო პროცესებს და ფუნქციებს და აზროვნების გარკვეული ელემენტებით ხასიათდება.

ცნობილია, რომ უჯრედი თვითონ აწარმოებს თავისი შვილეული უჯრედის შექმნას. ადამიანმა არ იცის როდის მოკვდება, უჯრედმა კი იცის რომ გარკვეული დროის შემდეგ იგი კარგავს ცხოველმყოფელობის უნარს — კვდება, ამიტომ წინასწარ ქმნის თავის შემცვლელ შვილეულ უჯრედს, გადასცემს მას ცხოველმყოფელობის ყველა ფუნქციებს და ამის შემდეგ თვითონ სცილდება უჯრედის სივრცეს და ტოვებს შვილეულ უჯრედს, რომელიც იგივე ტრანსკრიფციით, ანუ ზუსტად იგივე „ცნობიერებით" აწარმოებს უჯრედის ცხოველმყოფელობის ყველა ფუნქციას. უჯრედი შთამომავლობის მემკვიდრეობითი გადაცემის აბსოლუტური უნივერსალური თვისებით ხასიათდება და ეს პროცესი წარმოუდგენელია აზროვნების ფუნქციის გარეშე. ვინაიდან ერთუჯრედიანი ცოცხალი არსებები თვითონ ასრულებს დამოუკიდებლად უჯრედის გამრავლების ფუნქციას, ადამიანის ორგანიზმშიც უჯრედი თავისი ავტონომიური ფუნქციური აზროვნებით ხასიათდება და იგი, ალბათ, არ არის დამოკიდებული ორგანიზმის იერარქიული მართვის ცენტრზე.

აზროვნება არის ინფორმაციის მიღება, ანალიზი, წარმოსახვა, ადეკვატური რეაგირების მოდელის ჩამოყალიბება, დანიშნულების შესატყვისი ფიზიკური სტრუქტურის სივრცობრივ-პოზიციურობის ჩამოყალიბება და ფუნქციური მოძრაობის შესრულება. ყოველივე ეს აზროვნებით უდიდესი სისწრაფით სრულდება.

ამრიგად, აზროვნება არის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთობლივი ურთიერთშეთანხმებული მოქმედება, რომელიც მოძრაობაში გამოიხატება.

აზროვნება, როგორც ზოგადი უნივერსალური და შეუზღუდველი პროცესი, მოიცავს ორგანიზმის ბიოლოგიურ-ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ენერგია– ინფორმაციის აქტიური შემოდინება-გადინების რთულ პროცესს. იგი მართავს ბიოლოგიური სისტემის ცხოველმყოფელობას და, როგორც აღვნიშნეთ, ეს მართვის პროცესი არის მიზნობრივი, ცნობიერი, ან ქვეცნობიერი (ავტონომიური, ავტომატური), რომლის შუალედურ ეტაპებში გაერთიანებულია ბიოქიმიური, ბიოფიზიკური, მექანიკური, ფერმენტაციული, ჰორმონალური, პლაზმური, ელექტრომაგნიტური, კვანტური, გრავიტაციული, ოპტიკური, აკუსტიკური, ჰიდროდინამიკური, თერმოდინამიკური და სხვა პროცესები.

აზროვნების პროცესი ყოველმხრივ შეუზღუდველი, უნივერსალური, ცოცხალი ენერგეტიკული სტრუქტურის ჩამოყალიბების და მისი შეუფერხებელი გავრცელების პროცესია. ბგერებისა და სინათლის სხივის გავრცელებას გარკვეული წინააღმდეგობები და შეფერხებები აქვს, ხოლო აზროვნების შემაფერხებელი არავითარი ძალა არ არსებობს, გარდა ორგანიზმის ცხოველმყოფელობის შეფერხებისა.

აზროვნების სტრუქტურა უდიდესი სიჩქარის მოძრაობით ხასიათდება, რომელიც თვითონ ქმნის გავრცელების გზას, ველს პოლარობის ცვალებადობით. აზროვნების შედეგი, როგორიცაა მეტყველება, წერა, კითხვა, იმიჯი, მიმიკა, პანტომიმიკა, გამოხედვა და მოძრაობის სხვა ფორმები ბიოლოგიური სტრუქტურიდან გადადის სოციალურ სფეროში, როგორც ცოცხალი სტრუქტურა და იგი ხდება გარემოს ერთიანობის ნაწილი. ამრიგად, აზროვნება, როგორც ცოცხალი სტრუქტურის ჩამოყალიბება, უდიდესი სიჩქარის და მოძრაობის აქტივობით და გავრცელებით ხასიათდება, იგი ისევე უსასრულო და მრავალგანზომილებიანია, როგორც სამყარო. ხოლო აზროვნების კონკრეტულ ფორმას, ანუ **მიზნობრივ აზროვნებას კონკრეტულ საკითხზე, საგანზე აქვს დრო, სივრცე, რაოდენობრიობა, ვექტორი, მიმართულება და შესრულების კონკრეტული ფიზიკური სტრუქტურა.**

აზროვნების კონკრეტული ფორმაა: მეტყველება, ნერა, კითხვა და სხვა ფუნქციის შესრულება, რომელიც ფიზიკური სტრუქტურის მოძრაობაში გამოიხატება. როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის სასიცოცხლო პროცესების მოთხოვნილებები (კვების, გამოყოფის, სუნთქვის, გულის მუშაობის, თავდაცვის ესთეტიკური, სექსუალური და შემოქმედებითი საქმიანობა და სხვა) აზროვნებითი მოძრაობით სრულდება.

ამრიგად, აზროვნების ელემენტები ჩამოყალიბდა ბიოლოგიური სტრუქტურის ცხოველმყოფელობის თვითრეგულიაციის სიცოცხლის შენარჩუნებისა და ფუნქციონირებისათვის. ხოლო ევოლუციური განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე აზროვნების დანიშნულება თანდათან გაფართოვდა და იგი გახდა ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ფიზიკური, ფსიქიკური, შემოქმედებითი, ესთეტიკური და სხვა მოთხოვნილებათა შესრულების ფუნქცია.

§8. აზროვნება, როგორც სიცოცხლის ძირითადი ნიშან-თვისება

ევოლუციური განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, სამყაროს ერთიანი კონსტანტის – ერთიანი გენეტიკური კოდის საფუძველზე (5,8) ყველა ცოცხალი ორგანიზმი ვითარდება ფუნქციური დანიშნულების შესაბამისი მოძრაობის თვისებრიობის სტრუქტურების ჩამოყალიბებით. რადგან ცოცხალი ორგანიზმების ცხოველმყოფელობა მასში „შემავალი ნაწილებისა და უჯრედების ფუნქციონირების ერთობლიობას წარმოადგენს", ამ ერთობლიობის რეგულაციისთვის შეიქმნა სარეგულაციო ანუ თვითმართვის ფუნქცია, როგორც ცნობიერებისა და აზროვნების ბაზა. აზროვნების ფუნქციას ყველა ცოცხალი ორგანიზმი ფლობს, რომ მართოს საკუთარი ორგანიზმის ცხოველმყოფელობა. ორგანიზმის ცხოველმყოფელობა სხვადასხვა ფუნქციების შესრულებაა მოძრაობის სხვადასხვა ფორმებით. ამრიგად, **აზროვნება ჩამოყალიბდა ბიოლოგიური სისტემის ცხოველმყოფელობის მართვისათვის, ანუ აზროვნების ფუნქციის პირველი დანიშნულება იყო ბიოლოგიური სისტემის თვითრეგულაცია-თვითმართვა. ბიოლოგიური თვითრეგულაციის ფენომენი**

აზროვნებით ხორციელდება. ამრიგად, რადგან ყველა ბიოლოგიური სისტემა თვითმართვადია, აზროვნებით ხორციელდება და ჩვენ გვინდა თუ არა, **აზროვნებს უჯრედიც, ბაქტერიაც, ცხენიც, მგელიც, ტურაც, ვირიც და აქლემიც, საკუთარი ევოლუციური განვითარების სპირალის საფეხურის დონისა და რაოდენობრიობა-თვისებრიობის ფუნქციური დანიშნულების შესაბამისობისა და შესაძლებლობის ფარგლებში. ადამიანურ აზროვნებასთან შედარებით იგი მეტისმეტად პრიმიტიული აზროვნებაა და შეიძლება მას ვუწოდოთ „ცხოველური აზროვნება" „უჯრედული აზროვნება" და ა.შ.**

ადამიანებს ეშინიათ აღიარონ, რომ ცხოველებიც აზროვნებენ, ამიტომ ცხოველის აზროვნებას ინსტინქტი შეარქვეს. ამავე დროს ავიწყდებათ, რომ თვით ადამიანი ცხოველური წარმოშობისაა და ევოლუციური განვითარებით უმაღლეს საფეხურს მიაღწია (55,57). მაგრამ თუ ობიექტურად და მეცნიერულად გავაანალიზებთ, ინსტინქტი რთული აზროვნების პროცესია.

თუ ახალშობილი ბავშვის მოქმედება და ცხოველების აზროვნება ინსტინქტია (56), ლოგიკურია, რომ ცხოველსა და ადამიანს რაღაცა საერთო აქვთ. ფაქტობრივად როგორც ახალშობილი ბავშვის, ისევე ცხოველების ე.წ. ინსტინქტი აზროვნებითი მოქმედებაა, რომელიც მემკვიდრეობით გადმოეცა, როგორც სიცოცხლის და თვითმართვის შენარჩუნების ფუნქცია.

ბავშვი, რომელიც იზოლირებულია სოციალური გარემოს ურთიერთობას, ვერ ისწავლის ლაპარაკს და აზროვნება არ უვითარდება (ახალშობილნი, რომლებიც გაიზარდნენ ცხოველთა ბუნაგში არ ფლობენ მეტყველებას და ვერ ლაპარაკობენ -57,79) (მაუგლის ფენომენი) და ცხოველური ფსიქოლოგიითა და თვისებებით ხასიათდებიან. ახალგაზრდა ასაკში ადამიანები, რომლებიც იზოლირებულნი არიან ადამიანთა საზოგადოებიდან II სასიგნალო სისტემის უნარს კარგავენ — ავიწყდებათ მეტყველება (57,73).

ცნობილია, რომ ერთუჯრედიანებს უნარი აქვთ განსაზღვრონ დღე-ღამის, **მთვარის, წლის, სეზონის ციკლურობა და ამ ორიენტაციით ისინი არეგულირებენ კვების, გამრავლების და სასიცოცხლო განვითარების პრობლემას (55,57). ანტისხეულები უჯრედში ათასი** ფორმისა და თვისებრიობის ცილ-

ების მოლეკულებს შორის მოძებნიან და იჭერენ უცხო ცილის ანტიგენს და ანეიტრალებენ მას, რაც ცნობილია როგორც იმუნიტეტი.

ანტისხეულების შეყვანა ორგანიზმში სპეციალური ინფორმაციით „განსწავლული" მიზნობრივი მოქმედების მოლეკულებია, ანუ მოაზროვნე მოლეკულებია, თუმცა მას არა აქვს ადამიანის თავი, ფეხები და სახე და არ ლაპარაკობს.

თანამედროვე ბიოლოგიური მეცნიერება ამტკიცებს და ადასტურებს, რომ „უჯრედი მოიცავს ცოცხალი სისტემის ყველა თვისებებს", ე.ი. უჯრედი, როგორც თვითმართვადი ცოცხალი ავტონომიური სისტემა, საკუთარი ცხოველმყოფელობის თვითრეგულაციის დონის აზროვნების ფუნქციით ხასიათდება. რადგან უჯრედი ბიოლოგიური თვითმართვადი სისტემაა, მისი თვითრეგულაცია აზროვნების პროცესია; რას ნიშნავს უჯრედის აზროვნების პროცესი? ეს იმას ნიშნავს, რომ უჯრედის ბირთვი მოიცავს აზროვნების ელემენტებს და უჯრედის შინაგანი და გარეგანი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ღებულობს ინფორმაციას და მართავს უჯრედის თვითრეგულაციის ყველა პროცესს კვების, გამოყოფის, გარემოსთან შეგუების, სუნთქვის, ზრდის, გამრავლების და სხვა, უჯრედი თვითონ აწარმოებს ახალ უჯრედს, მას არავინ არ ეხმარება!

რადგან ორგანიზმის ცხოველმყოფელობა მასში შემავალი უჯრედების ერთობლივი ურთიერთმოქმედების შედეგია (55), ორგანიზმის ფუნქციური მოძრაობა და აზროვნებაც უჯრედთა ამ რთული ურთიერთმოქმედების შედეგია, ამავე დროს აზროვნება კომპლემენტურ ურთიერთობაშია მოძრაობასთან, ენერგოინფორმაციასთან და განაპირობებს ცოცხალი სისტემების თვითრეგულაციას.

ცნობილია, რომ პათოლოგიის გამომწვევი ყველა მიკრობი იღებს რა ინფორმაციას ადამიანის გენეტიკური ფონდიდან, ამის საფუძველზე არეგულირებს თავის ცხოველმყოფელობის პროგრამას (კვების, გამრავლების, განვითარების). ყველა პათოგენური მიკრობი, ასევე იღებს რა ინფორმაციას მის საწინააღმდეგოდ გამოყენებული სამკურნალო პრეპარატების მოქმედების მექანიზმის შესახებ (მაგ. ანტიბიოტიკების) და ამ პრეპარატის თვისებრიობის შემეცნების საფუძველზე, ევოლ-

უციური განვითარების ისეთ დონეს აყალიბებს, ანუ ისეთ საპასუხო რეაქციას გამოიმუშავებს და ისეთ „თაობას“ ამრავლებს, რომლებზედაც აღნიშნული პრეპარატი ზემოქმედებას ვერ ახდენს, ეს ნიშნავს იმას, რომ უჯრედმა გამოიმუშავა გამძლეობა ამ პრეპარატის მიმართ; ერთუჯრედიან მიკრო ორგანიზმებს და ვირუსებს უნარი გააჩნია გარემოს ცვლილებების შესაბამისად შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი და შექმნას „შთამომავლობა“ რომლებიც მემკვიდრეობით არსებული გარემოს პირობებში „ცხოვრებისთვის“ წინასწარ განსწავლული და მომზადებულია.

ისმება კითხვა: როგორ მოახერხა მიკრობმა, ან ვირუსმა, რომ გაიგო ანტიბიოტიკის მოქმედების მექანიზმი და საწინააღმდეგო „ზომები გაატარა“, თუ არა აზროვნების გზით, ანუ ინფორმაციის მიღებისა და საპასუხო რეაქციის გამომუშავებით? მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ვირუსი დაწერს „ანტი-დიურინგს“ ან წაიკითხავს გოეთეს ლირიკას; იგი თავისი იერარქიული პირამიდის საფეხურის „სოციალური მდგომარეობის“ და ფუნქციური მოძრაობის ანუ სიცოცხლის შენარჩუნებისა და ცხოველმყოფელობის დონის მიზნობრივი მიკროაზროვნების ფუნქციას ფლობს, ანუ თავისი იერარქიული დონის მიკრობიოლოგიური სიცოცხლეა, ანუ მიკროაზროვნებისა და ცნობიერების სტრუქტურაა. უჯრედის პროტოპლაზმაში „შრომა დანაწილებულია და ცალკეული მიკროსტრუქტურები სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებენ“ (3).

ამრიგად, მიკროორგანიზმები ხასიათდება საკუთარი მიკროინტელექტით და მიკროგონების ცენტრით, ორმხრივი ინფორმაციული კავშირებით. თავისი ცხოველმყოფელობის „ყველა პრობლემებზე“ რეაგირებენ და გარემოში შესაბამის ნიადაგს პოულობენ გამრავლების, კვების და ცხოველმყოფელობისათვის.

რადგან აზროვნება ორმხრივი ინფორმაციული კავშირებით ხორციელდება და ბიოლოგიური სისტემა ორმხრივი ინფორმაციული კავშირებით ხასიათდება, უჯრედი უნდა ხასიათდებოდეს აზროვნების ელემენტებით — „უჯრედული აზროვნებით“.

პათოლოგიური მიკროორგანიზმები იმისთვის კი არ არის შექმნილი, რომ გამოიწვიოს ადამიანში დაავადებები, დაავადება მათი ცხოველმყოფელობის შედეგია (ამიტომ არაპათოგენური მიკროორგანიზმები გარკვეულ გარემოში პათოგენური ხდება) მიკროორგანიზმები თავისი ცხოველმყოფელობისა და გამრავლ-

ებისათვის პოულობს ოპტიმალურ ნიადაგს და ეს არის მიკრობების არა პასიური, არამედ აქტიური ევოლუციური განვითარების სხვადასხვა საფეხური (კერძოდ, გარემოს ცვალებადობის შესახებ ინფორმაციების მიღების გაანალიზება და საპასუხო რეაქციების გამომუშავება). ამრიგად, მიკროორგანიზმები თავის იერარქიული დონის ფუნქციური სასიცოცხლო, გონიერი მოქმედებით ელემენტარული აზროვნებით ხასიათდება. ამიტომ დაავადების პროფილაქტიკის კომპლექსში ამა თუ იმ მიკროორგანიზმების შინაგანი და გარეგანი ეკოლოგიური „არეალის" გათვალისწინება იმუნიტეტის ერთ-ერთი ფორმაა.

ჭიანჭველების და ფუტკრების სოციალური და ბიოლოგიური თვისებები (ფუტკრის ოჯახში ფუნქციების განაწილება ანუ „პროფესიული" დიფერენციაცია და მისი შესრულება გონიერების -აზროვნების — იმპერატიული მაგალითია) ფილიგრანული შემოქმედებითი პროცესია და არა უბრალო აზროვნება. ე.წ. ტერმიტები (ჭიანჭველების ჯგუფური საზოგადოებრიობა 2600 თემობრივი და კასტური კლასები და სახეები) აშენებს მიწის სიღრმეში და მინის ზევით 15 მეტრის სიმაღლის და სიღრმის ბუდეებს „კვამლის მილის" მსგავს ტერმიტებს (21). ფრინველების მიერ სხვადასხვა სახის ბუდეების „მშენებლობა" არქიტექტურული ნიმუშებია, ხოლო ჩიტებისა და ფრინველების მიერ ე.წ. „საქორწილო" მელოდიების შესრულება — „გალობა" „გაუცნობიერებელი" და ინსტინქტური კი არა, რთული აზროვნების ნიმუშებია. ათასსულიან ცხვრის ფარაში ყველა ბატკანი მხოლოდ თავის დედას პოულობს (ყნოსვით, ბგერებით, მხედველობით თუ სხვა ინფორმაციებით გრძნობათა ორგანოების მიერ მიღებული ინფორმაციის გადამუშავებით). იგი მიზნობრივი აზროვნებითი მოქმედებაა. ყველა ცხოველი ბგერითი მეტყველებით ხასიათდება, რომლითაც ურთიერთობას ამყარებს მისი სახეობის პოპულაციის და „ოჯახის" წევრებთან. დელფინი ბგერითი მეტყველებით ამყარებს რთულ აზროვნებით ურთიერთობას.

ბგერები ადამიანმაც პირველად გარე სამყაროდან აითვისა, შემდგომში კი გარემოს ინფორმაცია გამოხატა რთული ბგერებითა და აზროვნების შესატყვისი სიტყვების ფორმებით, რომელმაც მისცა დასაბამი მეტყველებას. აზროვნება და მეტყველება ურთიერთდაპირისპირებული ერთიანობაა; აზროვნების

წყალობით ადამიანი დაეუფლა მეტყველებას, ხოლო მეტყველების ზემოქმედებით აზროვნების და ცნობიერების განვითარებას; ბგერის იოგებით აზროვნების გამოხატვა — „მეტყველება" — ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობით აზროვნების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა. ყველა გრძნობის ორგანოს ინფორმაციის მიღება და მასზე რეაგირება-სმენის, მხედველობის, ყნოსვის, გემოვნების, შეხების, როგორც ადამიანში, ისევე ცხოველებში თავის ტვინის ქერქის კომპეტენციაა და იგი რთული აზროვნების პროცესია. მსგავსი პროცესები და მოვლენები მიკროორგანიზმებში და მრავალუჯრედიანებში ფრიად ექსპონენციალური ზოგადი მოვლენაა. „ყველა ეუკარიოტულ უჯრედებში ბირთვი მოიცავს დნმ-ს და მართავს უჯრედის ცხოველმყოფელობას"?3).

ცნობილია, რომ სამყაროში ორგანული მატერიის განვითარება ერთიანი გენეტიკური სქემით და სამყაროს ერთიანი კონსტანტით — გენით (4,5,8) მიმდინარეობს; ბუნებრივი შერჩევა და ევოლუციური განვითარებაც ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად წარმოებს.

დნმ-ის ცილის მოლეკულა უჯრედში ორმაგი სპირალური ფორმისაა და მისი სპირალის რგოლები თანაბარი ზომებით არის ერთმანეთისაგან დაცილებული. ამავე დროს არსებობს ფერმიული (კორპუსკულარულ-ენერგეტიკული) და ორგანული სამყაროს ორმაგი კოსმოსური სპირალი — ორგანული სამყაროს გენომის ფორმულა (4,5,6,8), რომელიც დნმ-ის ორმაგი სპირალის დედანია, ან პირიქით; თუ სამყარო ერთიანი გენეტიკური კოდის სქემით ვითარდება ყველა ბიოლოგიურ სტრუქტურას უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქციური დანიშნულება, აზროვნების ცენტრი, ანუ ინფორმაციის გენის მოლეკულები, სადაც იწერება შთამომავლობითი თვისებები და გადაეცემა მემკვიდრეობით თაობებს; დღემდე სამყაროს ერთიანი კანონი ერთნაირად ვრცელდება, **როგორც მაკრო, ასევე მიკრობიოლოგიურ სტრუქტურებზე,** რადგან ჯერჯერობით კორუფციამ ვერ მოიკიდა ფეხი სამყაროს ზოგადი კანონების რეალიზაციის პროცესში.

რადგან ადამიანი აზროვნებს, შიმპანზე, გორილა, ორანგუტანგი, როგორც უძველეს ადამიანთა წინაპრები, აზროვნებით უნდა ხასიათდებოდნენ (უძველესი ადამიანის აზროვნებაც და ტვინის მოცულობა არ შეეფარდება თანამედროვე ადამიანის ტვინის მოცუ-

ლობასა და აზროვნებას, მაგრამ ისინი აზროვნების უნარით ხასიათდებოდენ). აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ არსებობს სამყაროს განვითარების ერთიანი კონსტანტა – გენეტიკური კოდი – ყველა ცოცხალი არსება თავისი ბიოლოგიური სოციალური იერარქიული პირამიდის შესატყვისი ფუნქციური მოძრაობის აზროვნებით უნდა ვითარდებოდეს. **აქედან დასკვნა: ყველა ბიოლოგიური სტრუქტურა აზროვნებს. აზროვნება ბიოლოგიური სისტემის ძირითადი ფუნქციაა. ამიტომ ობიექტური და მეცნიერულია გამოთქმები: ადამიანური აზროვნება-მეტყველება, ცხოველური აზროვნება-მეტყველება,** ფრინველური აზროვნება-მეტყველება, ჩიტის აზროვნება-მეტყველება, უჯრედული აზროვნება-მეტყველება, მეხსიერება და ა.შ.

§9. ცოცხალ არსებათა ფუნქციური მოძრაობა და ცხოველმყოფელობა ინსტინქტია თუ აზროვნება?

ინსტინქტის, ცნობიერების, აზროვნების და სიცოცხლის მეცნიერულ ფილოსოფიური განმარტება თანამედროვე ენციკლოპედიურსა და მეცნიერულ ფილოსოფიურ დებულებებში და სასწავლო სახელმძღვანელოებში ასეთია: **„ინსტინქტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განზრახვას, სურვილს და იგი ცხოველური ორგანიზმების თანდაყოლილი მიდრეკილებაა. ალღო, შეუგნებელი ანგარიშმიუცემელი ლტოლვა რაიმესადმი“ (55,56,57,60); „მიზანშეწონილი, მაგრამ არა ცნობიერი მოქმედება შინაგანი და გარეგანი გარემოს შეცვლის საპასუხოდ რთული უპირობო რეფლექსი კვების, სექსუალური და სხვა. ადამიანში ინსტინქტი კონტროლირდება ცნობიერებით“.**

ამ განმარტებებში არის აზრობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო გამონათქვამები, ნინადადებები და არალოგიკურობა. თუ ცხოველის მოქმედება „მიზანშეწონილია“, მაშინ იგი „გაუცნობიერებელი და შეუგნებელი“ არ შეიძლება იყოს და თუ იგი ცნობიერია, მაშინ მიზანშეწონილიცაა. თუ ინსტინქტი „შინაგანი და გარეგანი გარემოს საპასუხო რეაქციაა“... მაშინ იგი ინფორმაციის აქტიური მიღების გაანალიზებისა და საპასუხო მიზანშეწონილი კორდინირებული მოქმედებაც ყოფილა, თუ იგი „რთული

უპირობო რეფლექსია", რთული აზროვნების პროცესი ყოფილა, ანუ მიზანშეწონილი აზროვნებითი მოქმედება. ამიტომ იგი „შეუგნებელი და ანგარიშმიუცემელი ლტოლვა"... არ შეიძლება იყოს და რადგან იგი მიზნობრივი ფუნქციის შესრულებაა, შეგნებული, მიზანშეწონილი მოქმედებაა, ანუ აზროვნების შედეგია. ხოლო თუ იგი თანდაყოლილი ინფორმაციის შესრულებაა, ანუ გენომაში ჩანერილი ინფორმაციის შესრულებაა, „დანერილის" წაკითხვა და შესრულებაც აზროვნების გარეშე შეუძლებელია. „თუ ადამიანში ინსტინქტი კონტროლირდება აზროვნებით"... ეს განმარტება თავისთავად უარყოფს ინსტინქტს და მას აზროვნებად თვლის, როგორც ადამიანში ასევე ცხოველებში და ჩვენი კომენტარი არ სჭირდება.

ეტიოლოგი კონრად ლორენცი, ნობელის პრემიის ლაურეატი (57), ინსტინქტს ასე განმარტავს: „თანდაყოლილი რთული სტერეოტიპული ქცევის ფორმა, რომელიც ყალიბდება გარემოს ცვლილებების საპასუხო მოქმედებით და აქვს უდიდესი მნიშვნელობა ორგანიზმის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. იგი სპეციფიკურია ცალკეულ სახეებისთვის და განსხვავდება მარტივი რეფლექსებისაგან გართულების ხარისხით" და, ბოლოს, ასკვნის: „ინსტინქტი თანდაყოლილი სპეციფიკური კომპლექსური რეაქციაა... მარტივი რეფლექსები გაღიზიანებაზე უნებლიე აქტია" და სხვ... ზემოაღნიშნული მოსაზრება არ შეეფარდება სინამდვილეს; ჯერ ერთი, ყველა სახეობისა და ცალკეული ინდივიდების ქცევა სტერეოტიპულია, ხოლო თანდაყოლილი რთული სტერეოტიპული ქცევა გარემოს ცვლილებების საპასუხოდ არის მიზანშეწონილი, გააზრებული რეაქცია, ანუ გარემოს ანალიზი და საპასუხო ცნობიერი ან ქვეცნობიერი მოქმედება, იქნება იგი შეძენილი თუ თანდაყოლილი. როგორც ადამიანს, ისევე ცხოველს დაბადების შემდეგ რთულ, მრავალფეროვან – გარემოში უხდება არსებობა და ცხოვრება, რომელსაც აღიქვამს, აანალიზებს და მოქმედებს მიზანშეწონილად. ამიტომ იგი კლდეზე არ გადავარდება, ცეცხლთან ახლოს არ მივა, ცხელს ან მავნე საკვებს (ბალახსაც კი არჩევენ სასარგებლოს და საზიანოს), არც შინაური და არც გარეული ცხოველი და ფრინველი არ მიირთმევს, ყოველივე ეს გააზრებული მოქმედებაა და ცნობიერებისა და აზროვნების გარეშე შეუძლებელია მისი შესრულე-

ბა, თუგინდ ის თანდაყოლილი იყოს. იგი ქვეცნობიერი აზროვნების პროცესია, ხოლო თუ თანდაყოლილი სტერეოტიპული ქცევის ფორმაა, მაშინ გარემოს ცვლილებებიც საპასუხო მოქმედება იქნება, თუმცა იგი თანდაყოლილი არ შეიძლება იყოს, იგი ყოველ წამს იცვლება გარემოს ცვლილებებთან დაკავშირებით და მიზანშეწონილი აზროვნებითი მოქმედებაა.

„გართულებული" და „გაურთულებელი" რეფლექსის შესრულების მექანიზმი ერთი და იგივეა და აზროვნების პროცესია.

„მარტივი რეფლექსები" უნებლიე აქტი არ არის, იგი ავტომატურად სრულდება ზურგის ტვინის რეფლექსების დონეზე (თავის ტვინის კონტროლის გარეშე), მაგრამ არა მექანიკურად, არამედ გამღიზიანებელზე საპასუხო რეაქციაა, ზურგის ტვინის ნერვული უჯრედების ცნობიერი მართვითი პასუხია გაღიზიანებაზე. მაგრამ თუ იგი გადასცილდება ხარისხობრივი დატვირთვის გარკვეულ ზღვარს, მაშინვე ერთვება მაღალი იერარქიული მართვა — თავის ტვინი.

ამრიგად, **რეფლექსები არ არის უნებლიე და მექანიკური, იგი მიმართულებრივი აზროვნებითი (ცნობიერი ან ქვეცნობიერი) პროცესია და სარეგულაციო ცენტრის გარეშე არ სრულდება. ამიტომ ერთდროულად რამდენიმე გამაღიზიანებელზე (სანამ ერთი პროცესი არ მთავრდება აზროვნება მეორეზე ვერ გადაირთვება) რეაგირება არაადეკვატურია და იწვევს შოკს.** ექსპერიმენტით დადგენილია, რომ გრძნობათა ორგანოების თანამიმდევრობითი გამოთიშვა პროპორციულად იწვევს პირობითი და უპირობო რეფლექსების შეწყვეტას (73).

საერთოდ, მარტივი და რთული რეფლექსები, როგორც გაღიზიანებაზე საპასუხო რეაქცია, ავტომატურად სრულდება, მაგრამ იგი ან ზურგის ტვინის დონეზე ან თავის ტვინის დონეზე კონტროლირდება იმის მიხედვით, რამდენად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამიტომ უნებლიე მოძრაობა ჯანმრთელ ორგანიზმში არ შეიძლება იყოს. იგი ცოცხალი ორგანიზმის თვითმართვის გარკვეული რეგიონის ცნობიერი მოქმედებაა, ანუ აზროვნებითი მოძრაობაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინსტინქტი მცდარი ცნებაა, იგი გარკვეული დონის თანდაყოლილი ან შეძენილი ქვეცნობიერი სტერეოტიპული აზროვნებისა და ცნობიერე-

ბის შედეგია, რაც დასაბუთებულია უჯრედულ თეორიაში. „უჯრედი ხასიათდება ცოცხალი სისტემის ყველა თვისებებით“ (იხ.უჯრედული თეორია, გვ.91).

§10. ცნობიერებისა და აზროვნების მეცნიერულ – ენციკლოპედიურ – ფილოსოფიური განმარტებები და მათი ანალიზი

„ინტელექტი (ლათინური) – **შემეცნება, გაგება, მსჯელობა, ცნობიერების უნარი, გონება“.?56,60)**

„ცნობიერება (сознание) – ადამიანის მიერ სამყაროს ობიექტური სინამდვილის წარმოსახვის უნარი აზროვნებაში, ყოფიერების შეცნობის (მაღალგანვითარებულ მატერიის) თვისება, ობიექტური სამყაროს სუბიექტური სახე, ურთიერთდაპირისპირებულობა და ერთიანობა მატერიალურთან. ვიწრო გაგებით ცნობიერება არის **უმაღლესი ფორმის ფსიქიკური ანარეკლი, როგორც საზოგადოებრივ განვითარებული ადამიანის თვისება, დაკავშირებული მეტყველებასთან და** მიზანდასახულ შრომით საქმიანობასთან. ცნობიერება ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკის საფუძველზე და გვხვდება ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ფორმებში“ (56,57,60).

აზროვნება (мышление) ადამიანის მიერ სამყაროს ობიექტური სინამდვილის ასახვის და შემეცნების უმაღლესი საფეხურია“, რომლის საშუალებით ადამიანი ღებულობს ცოდნას, რეალური სამყაროს ობიექტურობასა და თვისებრიობაზე, რომელიც შეუძლებელია უშუალოდ აღვიქვათ მგრძნობელობით შემეცნების დონეზე. აქვს საზოგადოებრივ-ისტორიული ბუნება და უშუალოდ კავშირშია პრაქტიკულ საქმიანობასთან. **აზროვნების ფორმებსა და კანონებს სწავლობს ლოგიკა, მისი მიმდინარეობის მექანიზმს – ფსიქოლოგია და ნეიროფიზიოლოგია. (56,57,60).**

ჩვენი ღრმა რწმენით, გრძნობელობითი შემეცნება არ არსებობს. შემეცნება ინყება გრძნობათა რეცეპტორების ინფორმაციის საფუძველზე და ყალიბდება შემეცნება, წარმოსახვა და აზროვნებით მისი გამოხატვა. ხოლო ინტელექტი, გონების, ცნობიერებისა და აზროვნების ბიოლოგიური „მატერიალური“ ბაზაა – სუბსტანციაა – თავისა და ზურგის ტვინის 100 მილიარდი ნეირონი. „შე-

მეცნება“, „გაგება“-კი ცნობიერებაა და აზროვნებით გამოიხატება. ცნობიერება ცნებების და ინფორმაციის სფეროა ნეირონების ბაზაზე.

ამავე დროს აზროვნება შემეცნებულის წარმოსახვის, ანალიზის და კრიტიკული შეფასების გამოხატვაა მოძრაობის სხვადასხვა ფორმებით, მეტყველებით, მსჯელობით, წერით, მუსიკით, ხატვით, პანტომიმით, მიმიკით და სხვადასხვა ტრანსაქციული ფორმებით.

ცნობიერება და აზროვნება კონვერგენციულ ურთიერთობაშია. ცნობიერება აზროვნების პირველი საფეხურია (ენერგია-ინფორმაცია მისი სუბსტრატია) და იგი სოფისტური ინფორმაციების სამზარეულოა, სადაც ხდება მიზნობრივი აზროვნების გამზადება, ჩამოყალიბება და გამზადებული მოდელის სტრუქტურის სახით გადადის ფიზიკურ სფეროში სარეალიზაციოდ — ბიოლოგიურიდან სოციალურ სფეროში და გამოიხატება მოძრაობის სხვადასხვა ფორმით.

აზროვნება ინფორმაციების ანალიზი, დიფერენცირება, სტრუქტურიზაცია გარკვეული ფორმისა და კონფიგურაციის მრავალგანზომილებიანი ცოცხალი სტრუქტურის ჩამოყალიბება და რეალიზაციაა შესატყვისი მოძრაობის ფორმებით. აზროვნება ცნობიერების გამოხატვა, გამოვლინებაა. აზროვნების გარეშე ცნობიერება ვერ იპოვის რეალიზაციის გზას.

ცნობიერება და აზროვნება კომპლემენტური ერთიანობაა. ცნობიერება არ არსებობს აზროვნების გარეშე და აზროვნება ცნობიერების გარეშე.

აქედან გამომდინარე, ცნობიერება აზროვნების საფუძველია და თუ ცხოველი ფლობს ცნობიერებას (ცხოველები ხასიათდება ცხოველური აზროვნებით და ცნობიერებით, ამისათვის აქვს ცხოველს თავისა და ზურგის ტვინი და ნერვული უჯრედები — ნეირონები) იგი აზროვნებს კიდეც, ხოლო აზროვნება არა მარტო მეტყველებით გამოიხატება, არამედ მოძრაობის მრავალ ფორმებში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცხოველი ისე აზროვნებს, როგორც ადამიანი (ადამიანებიც არ აზროვნებენ ერთნაირად). ორგანიზმის უჯრედის, ქსოვილის, ორგანოს ფუნქცინირება სხვადასხვა ხარისხის მიკრობგერებით გამოიხატ-

ება. ამ ბგერების რიტმი, სიხშირე და დიაპაზონი ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობისას ფრიად კონტრასტულია (ეს ფაქტი ჩვენ მიერ რეგისტრირებულია სანატორიუმ „ლიკანში" მაღალი მგრძნობელობის კინოფირზე სპეციალური კინოკამერით 1800-2000 კადრი წამში).

ცნობილია, რომ ცხოველები, ფრინველები, მწერები და თევზები „ბედნიერებას", „სიხარულს", „წუხილსა" და „დარდს", საკვების მოპოვებას და სხვა რიტუალს თავის სახეობის მახასიათებელი სპეციფიკური ბგერებით (თევზები და ღამურები ბგერებითა და ულტრაბგერებით), ზოგჯერ რთული მელოდიური ბგერითი მეტყველებით (გალობა, სტვენა, „საქორწილო სიმღერა") გამოცემენ და ამყარებენ ურთიერთობას (მელოდია რთული მეტყველების ფორმაა) და იგი მათი თავდაცვის, გამრავლების, საკვების მოპოვების და სიცოცხლის შენარჩუნების ევოლუციური შენაძენია; ამრიგად, **ყველა ბიოლოგიური სისტემა, სახეობის იერარქიული პირამიდის შესატყვისი ბგერითი მეტყველებით და ქცევითი მოძრაობით ხასიათდება. (არსებობს ცხოველური, ფრინველური ბგერითი მეტყველება) და ეს ბგერითი მეტყველება ცხოველებსა და ფრინველებში „წუხილის", „განგაშის" და „სიხარულის" გამოხატვაში ფრიად განსხვავებულია და გასაგებია მხოლოდ თავისი სახეობის პოპულაციისათვის** (დედამიწაზე სხვადასხვა ენაზე მეტი მოლაპარაკე ადამიანთა ჯგუფები და ერებია და ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელი ინდივიდუმი თუ არ ფლობს სხვა ჯგუფის ენას, რომელთანაც უხდება ურთიერთობა, მაშინ ისინი ფიზიკური მოძრაობისა და მიმიკის სხვადასხვა ფორმებით ცდილობენ გაუგონ ერთმანეთს).

თუ „აზროვნება სამყაროს ობიექტური სინამდვილის ასახვის და შემეცნების უმაღლესი საფეხურია" (ობიექტურ სინამდვილეს ყველა ადამიანი სხვადასხვა დონით აღიქვამს), ცხოველებიც აღიქვამენ მას სიცოცხლის შენარჩუნებისა და მოთხოვნილების დონეზე; ცხოველები ობიექტურ სამყაროს რომ ვერ აღიქვამდნენ, ვერ იარსებებდნენ. სწორედ სამყაროს ობიექტური სინამდვილის აღქმა უძევს საფუძვლად სიცოცხლეს და მის ევოლუციურ განვითარებას. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ობიექტური სინამდვილის აღქმა შეფარდებითია. ცხოველები, ადამიანებიც, თავისი

ინტელექტის დონისა და სასიცოცხლო მოთხოვნილებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დონით და ხარისხით აღიქვამენ და აცნობიერებენ ობიექტურ სინამდვილეს. მაგალითად, ცხოველები, ფრინველები, თევზები და ზოგიერთი მწერები ნინასწარ გრძნობენ ამინდის ცვალებადობას, მინისძვრას, ვულკანის ამოფრქვევას და სხვა.

§11. აზროვნება, როგორც მიზნობრივი ფსიქოფიზიკური განწყობის შემოქმედება

ცნობილია, რომ აზროვნება დროის, მიზნის, შინაარსის, დანიშნულების, მნიშვნელობისა და შესრულების მიხედვით მთელი ორგანიზმის გარკვეულ პოზიციურობას მოითხოვს. მაგალითად, ნერის ან კითხვის კვალიფიციური შესრულებისათვის საჭიროა ორგანიზმის გარკვეული სტრუქტურების ფუნქციური დატვირთვა და სივრცობრივი პოზიციურობა. ამ დროს ორგანიზმის სხვა ფუნქციების აქტიური მოქმედება შეზღუდულია — შეფარდებით შეკავების ფაზაშია. ეს იმას ნიშნავს, რომ აზროვნების პროცესში მონაწილეობს არა მარტო ფსიქიკური, არამედ ფიზიკური სტრუქტურები და უჯრედები. როგორც აღინიშნა, თუ ორგანიზმის უჯრედთა ურთიერთმოქმედება ორგანიზმის ცხოველმყოფელობის საფუძველია, აზროვნების პროცესში ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ორგანიზმის გარკვეული უჯრედებიც და ფიზიკური სტრუქტურებიც მონაწილეობს.

აზროვნების პროცესი ფსიქოფიზიკური განწყობით იწყება; ჩამოყალიბებული იდეის აზროვნების შაბლონი გადადის სათანადო ფიზიკურ სტრუქტურებში, სადაც ხდება სტრუქტურების გაცნობიერება ფუნქციური განწყობის ტრანსკრიფციით და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება აზროვნების რეალიზაცია.

მიზნობრივი აზროვნებისას, როდესაც ადამიანი აზროვნებს რაიმე იდეის ან ობიექტის ირგვლივ, იგი ფიქრობს და შთაგონებულად აზროვნებს (შთაგონება მიზნობრივი აზროვნების ფსიქოფიზიკური განწყობაა); მისი ფსიქოფიზიკური სტრუქტურები და გრძნობათა ორგანოების „პროექტორი" მაქსიმალური ინფორმაციის მიღებისათვის გადართულია იდეის შესატყვისი სივრცობრივი პოზიციურობის ტალღებზე, ინფორმაციის

მიმღები გრძნობათა ორგანოების– ნეირონების გარკვეული დიაპაზონის დრეიფით.

პირველადი ინფორმაციები რაიმე იდეის ობიექტის არსის შესახებ არაზუსტია; იგი ცნობიერების „სამზარეულოში" აზროვნებითი მოძრაობით გაივლის სათანადო ანალიზს, დედუქცია-ინდუქციას და აზროვნების პირველადი მოდელი – შაბლონი – აზროვნების შენადედი გადაეცემა ფიზიკურ სფეროს და იბადება პირველადი ნედლი მასალის პროდუქტი, რომელიც ფიზიკურ სფეროდან გადადის სოციალურ სფეროში და უკუმოქმედებით ხასიათდება; პიროვნება ამ პირველადი აზრის გავლენის ზემოქმედებაში იმყოფება და ხდება აზროვნების „პროდუქტის" უკუტრანსლაცია და განმეორებით გადადის ფსიქიკური სფეროს „სამზარეულოში", განმეორებით (ზოგჯერ 3-4-10 ჯერ) ხდება მისი კრიტიკული გაანალიზება, „კრისტალიზაცია", გაწმენდა, ანუ აზრის თვითგაწმენდა, თვითგანვითარება სანამ არ ჩამოყალიბდება მიზნობრივი, იდეის, საგნის შესახებ ობიექტური კონდიციის შესაბამისი სტრუქტურა; ხდება აზრის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების პოზიციურობის დახვეწა და არაზუსტი ინფორმაციიდან უფრო ობიექტური აზრის სტრუქტურების ჩამოყალიბება-განვითარება; სანამ არ დაიბადება მიზნობრივი იდეის, საგნის სრულყოფილი აზროვნების პირმშო, რომელიც გადადის სოციალურ სფეროში; ფსიქოფიზიკური სფეროები შეკავების ფაზაში გადადის, ანუ სრულყოფილი აზრის ჩამოყალიბების პროცესის დამთავრება უდიდეს სიამოვნებას, კმაყოფილებასა და ბედნიერების შეგრძნებას ანიჭებს პიროვნებას.

მიზნობრივი აზროვნების ჩამოყალიბებას და მის მართვას ნებისყოფით (ნებისყოფა ფსიქოფიზიკური სტრუქტურების განწყობის ფუნქციური სივრცობრივი პოზიციურობის მდგრადობაა, ანუ იგი აზროვნების მდგრადობაა) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც გაჯანსაღების, ისევე სოციალურ სფეროში კვალიფიციური და გაწონასწორებული მოქმედებისათვის; იგი ეხება ადამიანის ცხოვრების ყველა – ბიოლოგიურსა და სოციალურ სფეროს, კერძოდ, საჭმლის მომზადების, საჭმლისა და ნყლის მიღების რიტუალს, დეფეკაციის, შარდვას, სექსუალურ აქტს, სამკურნალო გამაჯანსაღებელ სუნთქვასა და ფიზიკურ ვარჯიშებს და სხვა ფიზიოლოგიური და ინტელექტუალური შემოქმედების პროცესებს.

ფიზიოლოგიური პროცესების მიზნობრივი აზროვნებით მართვა ბიოლოგიური რიტმის გათვალისწინებით მკურნალობა-პროფილაქტიკის, გაჯანსაღების და ფუნქციური მდგრადობის სრულყოფის საფუძველია. მაგ.: საჭმლის მიღება, ღეჭვა და ყლაპვა თუ მიზნობრივი აზროვნებით მიმდინარეობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმში საჭმლის მომნელებელი ორგანოების შესატყვისი ფუნქციური სივრცობრივი პოზიციურობა დომინირებს (რომელიც იწყება თავის ტვინში, საჭმლის მიღების ცენტრში), ხოლო სხვა ფუნქციები შეფარდებით შეკავების ფაზაშია, რაც ხელს უწყობს არა მარტო საჭმლის მონელების პროცესს, არამედ მის რაციონალურ ტრანსპორტირებას (ათვისება გამოყოფას) ორგანიზმის მოთხოვნათა შესაბამისად და იგი ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების შეთანხმებული რიტმული მოქმედებაა.

თუ ფიზიკური ვარჯიშების შესრულება მიზნობრივი აზროვნებით სრულდება, იგი სრულყოფილი და ოპტიმალური ფუნქციური პოზიციურობის მდგომარეობას აყალიბებს ორგანიზმში, რაც გამოიხატება ენერგოინფორმაციის შემოდინება-გადინების სწორი ბალანსის ჩამოყალიბებაში და ორგანიზმის ყველა სისტემა აქტიურად ფუნქციონირებს აღგზნება-შეკავების რიტმის გათვალისწინებით, რაც სიჯანსაღისა და დაავადების პროფილაქტიკის საფუძველია.

სექსუალური აქტი ზოგიერთ სპეციალისტებს მარტივ რეფლექსის დონეზე დაჰყავთ და ამის საფუძველზე სასქესო ორგანოების დაავადებათა ლოკალური მკურნალობის დანიშნულება არ იძლევა სტაბილურ შედეგებს.

სექსუალური აქტი, როგორც რთული ფსიქოფიზიკური განწყობის და ორგანიზმის ყველა ქსოვილისა და უჯრედის ტოტალური მიზნობრივი მოქმედება, რთული მოძრაობის ფორმაა. იგი ორი პარტნიორის ერთ ტალღაზე, ერთ შერწყმულ მოძრაობაზე ფსიქოფიზიკური განწყობაა ცნობიერებასთან გაერთიანებული (სექსი შერწყმული ცნობიერებასთან — ტანტრისტული სექსუალური ერთიანობა — ბედნიერების და სიყვარულის საფუძველია) (69) და, რაც მთავარია, ყველა უჯრედი ამ ერთიანობის ანსამბლში ფუნქციონირებს და აქტიურად მონაწილეობს (მისი შესრულების შემდეგ ყველა უჯრედი და ქსოვილი ტოტალურ შეკავებაში — ანუ სტაციონარულ სივრცობრივ პოზიციურობაში გადადის).

ტანტრისტული სექსუალური აქტის გამაჯანსაღებელი მნიშვნ-
ელობა ცნობილია, მაგრამ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა
იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანს-
აღი შთამომავლობის შექმნის საფუძველია (ახალდაბადებულებში
თანდაყოლილი სიმახინჯეები არა მარტო მშობლების გენეტიკური
დეფექტებითაა გამოწვეული, არამედ აგრეთვე განაყოფიერების
პროცესში ამა თუ იმ უჯრედების არასრულფასოვანი მონაწილე-
ობაა ე.წ. „ცალმხრივი" ორგაზმული განწყობის ანუ არა ტანტრი-
სტული აქტის გამო. ორი პარტნიორის ორგაზმის ცენტრების გაე-
რთიანება — „წრედის შეკვრა" — ცელებატი — პირობადებს ახალ
ენერგიას (69).

ამავე დროს სექსუალური ცნობიერების არასწორი გაგება პარ-
ტნიორთა არასწორ ურთიერთობაში გამოიხატება, რომელიც
პიროვნების ბიოლოგიური და სოციალური არასრულფასოვნების
საფუძველია; არასრულფასოვანი სექსუალური ურთიერთობა
პარტნიორთა შეუთანხმებელი და გაუცნობიერებელი აქტი, ანუ
არასრულყოფილი ორგაზმი (სექსუალური დაუკმაყოფილება და
არასრულფასოვნება) ფსიქოფიზიკურ სტრუქტურათა თანაფარ-
დობის დისონანსში გამოიხატება და ამის ნიადაგზე სიჭარბე და
დეფიციტი სხვადასხვა ფორმის დაავადებებში ვლინდება და იგი
შარდ-სასქესო სისტემის და ასევე ფსიქოფიზიკური სფეროს დაა-
ვადებათა ერთ ერთი მიზეზია (ნევროზი, ფსიქოზი, იმპოტენცია,
ფრიგიდიზმი, ვაგინიზმი, სათესლე ჯირკვლების, პროსტატის,
საკვერცხეების, საშვილოსნოს, ორსულობის და მშობიარობის სხვ-
ადასხვა სახის გართულებები) ასევე ოჯახის დაშლის, განქორწინ-
ების, კონფლიქტების და სხვა.

ახალგაზრდობაში და ახალგაზრდა ოჯახებში ფსიქოფიზიკური
წონასწორობის და სექსუალური ცნობიერების ჩამოყალიბება და
სათანადო ცოდნის გავრცელება სახელმწიფო მნიშვნელობის
პრობლემაა.

ამგვარად, მიზნობრივი აზროვნებით ორგანიზმის სხვადასხვა
ფუნქციათა კორდინირებული და მიმართულებრივი მოძრაობის
ჩამოყალიბება დიაგნოსტიკის, დაავადების არიდების და
მკურნალობა-გაჯანსაღების მნიშვნელოვანი ფაქტორია. აზროვნ-
ება და მოძრაობა დაპირისპირებულთა ერთიანობაა. მიზნობრივი
აზროვნების ჩამოყალიბებული ინფორმაციული სტრუქტურა გა-

დადის ფუნქციური დანიშნულების ორგანო-სისტემების უჯრედებსა და ქსოვილებში და ყალიბდება შესატყვისი ფუნქციური მდგომარეობა — განწყობა და ფუნქციის შესრულება, ხოლო მისი ასლების (ფუნქციური მოძრაობის შესრულების უკუმოქმედება იწვევს აზროვნების განვითარებას) ფანტომები ვრცელდება მთელ ორგანიზმში. ამრიგად, ფსიქოფიზიკური ნონასწორობის ჩამოყალიბება, როგორც პიროვნების სოციალური და ბიოლოგიური სრულფასოვნებისა და სრულყოფის საფუძველი, დამოკიდებულია სწორი მიზნობრივი აზროვნების მექანიზმის გაცნობიერებასა და დაუფლებაზე;

§12. აზროვნება და ორგანიზმის თვითრეგულაცია

აზროვნება ადამიანის ტვინის უჯრედების უმაღლესი ხარისხის ენერგეტიკული პროდუქტია შინაგანი და გარეგანი გარემოს ინფორმაციის მიღების, ანალიზის, სინთეზის, ტრანსფორმაციის და აღქმის საფუძვლებზე.

ადამიანის ტვინის სტრუქტურა, როგორც მატერიის განვითარების უნიკალური ფორმა, მოიცავს 100 მილიარდ ნერვულ უჯრედებს, ასეულ მილიარდობით ნერვულ ბოჭკოებს და მორჩებს, მრავალმხრივი და მრავალხარისხოვანი „გამტარების“ „ნახევარგამტარების“, „დიოდების“, „ტრიოდების“, უნივერსალური დიაპაზონის დედუქციისა და ინდუქციის მიღების, ანალიზის, რეგისტრაციის, ფიქსაციის, აკუმულაციის, ტრანსფორმაციისა და ტრანსლაციის მრავალგანზომილებიან, მრავალწახნაგოვან და მრავალარხიან უნიკალურად ინტეგრირებულ დეტექტორებს. ადამიანის ორგანიზმის ინფორმაციული სტრუქტურები და კომუნიკაციები ბევრჯერ აღემატება პლანეტაზე არსებულ ტელე-რადიო ქსელის კომუნიკაციებს.

ეს სტრუქტურები შედგება ატომების, მოლეკულების, მიკრონანილაკების და მათი ანტისამყაროს მოვლენებისაგან. ამ სტრუქტურებსა და ორგანიზმის ყველა სისტემას შორის გარემოსთან არსებობს ურთიერთზემოქმედების კავშირები და უკუკავშირები.

ადამიანის ორგანიზმის 99 % -ს შეადგენს ნახშირბადის, წყალბადის, აზოტის, ჟანგბადის ელემენტები, ხოლო მასის 85 % -ს წყალი. წყალბადის მოლეკულები ორგანიზმში ყველა ელემენტებს

აღემატება; როგორც ყველა ორგანოსა და სისტემაში, ასევე თავის ტვინში ეს ელემენტები და ნივთიერებები რაოდენობრიობის სხვადასხვა შეფარდებითობითაა განპირობებული.

როდესაც ადამიანი მიზანდასახულად შთაგონებული ფიქრობს, აზროვნებს, მისი აზროვნების სფერო — ინტელექტი -აქტიურად ფუნქციონირებს (ყველაზე ინტენსიური ენერგეტიკული ცვლა ორგანიზმის სხვა ორგანოებთან შედარებით ტვინის უჯრედებში მიმდინარეობს). ეს იმას ნიშნავს, რომ იგი „იზიდავს", „იწვევს", ღებულობს ინფორმაციას იმ სფეროებიდან და ობიექტებიდან, რომლებიც დროის მოცემულ მონაკვეთში აზროვნების ძირითადი საგანია.

რადგან ელექტრომაგნიტური ტალღები მიკრო სამყაროს ურთიერთმოქმედების ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც შუალედ ადგილს იკავებს ძლიერსა და სუსტ ურთიერთმოქმედებაში, იგი ცოცხალი და არაცოცხალი მატერიის ატომებში განაპირობებს პროტონსა და ელექტრონს შორის ურთიერთმოქმედებას, ხასიათდება უნივერსალური დიაპაზონის სიგრძის, სიხშირისა და გავრცელების ტალღებით; უნდა ვიფიქროთ, რომ ინფორმაციის გავრცელებასა და გადაცემაში მთავარი ფიზიკური სტრუქტურა ელექტრომაგნიტური ტალღებია, რომელიც სინათლის სიჩქარით ხასიათდება.

მატერიის, მოვლენების მოძრაობასთან და მუდმივ ცვალებადობასთან დაკავშირებით ადამიანი ყოველთვის იმყოფება ინფორმაციის გარემოცვაში (ორგანიზმში შემოსული ტალღობრივი ველების ან სხვა მოვლენების, ნივთიერებები — ჰაერი, წყალი და საკვები, შინაგანი და გარეგანი მიკროფლორა, ასევე წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს), რომელიც აღიქმება ცნობიერად და ქვეცნობიერად გრძნობათა ორგანოების მიმღები რეცეპტორებით. მათი წარმოსახვა, ალბათ, ხდება საგნებისა და მოვლენების გეომეტრიული ფორმის სტრუქტურების, მოდელებისა და ეტალონების სამგანზომილებიანი რაოდენობრიობის სახით აწმყოში, წარსულსა და მომავალში და აზროვნების სფეროში ყალიბდება იდეა, მიზანი და მოქმედების პროგრამა გარკვეულ განზომილებათა ფიზიკური სტრუქტურის სახით.

ინფორმაციის „ფიზიკური სტრუქტურები" აზროვნების სფეროში „სიჭარბის ფენომენია" და თერმოდინამიკის კანონებიდან გამ-

ომდინარე, უნდა გადავიდეს აზროვნების სფეროდან (ბიოლოგიური თვითწმენდა) ფიზიკურ სფეროში.

ფსიქოფიზიკურ სფეროში შემოსულ ინფორმაციათა რეალიზება შეიძლება განვითარდეს ოთხ სხვადასხვა ფორმაში:

1. ინფორმაცია არ აღიქმება;

2. ინფორმაციის სტრუქტურის ტრანსფორმაცია ენერგიის სხვა ფორმაში;

3. ინფორმაციის აკუმულაცია, შენახვა და ფიქსირება მეხსიერების სფეროებში, „კონსერვაცია" (მრავალ მკვლევართა აზრით, მეხსიერების სუბსტრატი მიკროლეპტონურ პლაზმას წარმოადგენს).

4. იდეის ჩამოყალიბება და მოქმედების პროგრამის საფუძველზე ფსიქიკური სფეროდან ფიზიკურ სფეროში მისი გავრცელება პრაქტიკული რეალიზაციისათვის (ცნობიერი და ქვეცნობიერი, ფსიქიკური და ფიზიკური განწყობილების ჩამოყალიბებით, სათანადო განზომილებების ფიზიკური სტრუქტურების სახით) და, როგორც სიჭარბის ფენომენი, აპირობება ფიზიკური რეალიზაციის იმპერატივს და ინფორმაციული სტრუქტურების ჯაჭვური რეაქციით გავრცელებას ფიზიკური სფეროს უჯრედებსა და ქსოვილებში. გაცნობიერებული ფიზიკური სფეროს უჯრედები და ქსოვილები მატერიის განვითარებულ ფორმას იძენს; რაოდენობრიობა ღებულობს სათანადო სივრცობრივ პოზიციურობას და, მოქმედების პროგრამის შესაბამისად, შესრულების იმპერატივი შეუქცევად ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებად იქცევა; მიზნობრივი კოორდინატების „პროგრამის მიხედვით" სრულდება მოქმედება, ფიზიკური სფეროს (განწყობის ჩამოყალიბებით) შინაგანი და გარეგანი ტრანსაქციული კომუნიკაციებით, ცნობიერი და ქვეცნობიერი, ვერბალური და არავერბალურ-სენსორული აუდიალური, ვიზუალური, იმიჯური, კინეტიკური აქტებითა და ფორმებით. ყოველივე ეს ფსიქიკური და ფიზიკური სფეროების ინტეგრირებულ კოორდინირებულ მოქმედებაში გამოიხატება. აქედან გამომდინარე, ფიზიკური და ფსიქიკური განწყობა და მოქმედება ერთიანი შემოქმედებითი პროცესი და ფუნქციაა ორგანიზმში.

§13. აზროვნება, როგორც ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობა

როგორც ავღნიშნეთ, აზროვნება ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი გარემოს ინფორმაციის მიღების, ანალიზის, სინთეზის, ტრანსფორმაციის და კონკრეტული იდეის, მოტივის, მოდელის ჩამოყალიბებაა (დაბადებაა), რომლის საფუძველზე სათანადო ფიზიკური სტრუქტურა ღებულობს შესრულების სივრცობრივ პოზიციურობას და სრულდება ფიზიკური აქტის სახით (სიცილი, სიმღერა, წერა, ხატვა, შენება, ნგრევა, ლაპარაკი), ე.ი. აზროვნებასა და აზრს ჩამოყალიბებიდან მისი ფიზიკურ შესრულებამდე აქვს ბიოლოგიური საფუძვლები, ხოლო შესრულების შემდეგ „იბადება", როგორც სოციალური მოვლენა.

აზროვნება, როგორც რთული მოძრაობის პროცესი, ბიოლოგიურისა და სოციალურ სფეროთა ერთობლივი მოქმედების შედეგია. აზროვნების შედეგი ხდება სოციალური, როდესაც იგი რეალიზდება. თუ ადამიანში გამოვთიშავთ გრძნობათა ორგანოების რეცეპტორებს, მაშინ აზრის სტრუქტურა სოციალურ სტადიას ვერ აღწევს, აზროვნება არაა სრულყოფილი; სრულყოფილი აზროვნება, როგორც სიცოცხლის ანაბეჭდი, ცოცხალი სტრუქტურაა და მისი ჩამოყალიბება დაკავშირებულია ფსიქოფიზიკურ სტრუქტურების შეთანხმებულ ფუნქციონირებასა და გარე სამყაროსთან, ენერგო-ინფორმაციის შემოდინება-გადინების წონასწორობასთან.

ამავე დროს, აზროვნების პროცესის ხარისხი დამოკიდებულია ფსიქოფიზიკურ სტრუქტურათა „კვალიფიკაციაზე", თეორიულ, ან პრაქტიკულ ცოდნაზე, რადგან მხოლოდ ინფორმაციის მასალისგან „კვალიფიციური" აზროვნება არ ჩამოყალიბდება.

ამრიგად, ინფორმაციული „მასალის", „აგურებიდან" იდეალური არსის პროექტის შედგენისა და მისი განხორციელებისათვის საჭიროა ცოდნის მარაგი, თეორიული, ან პრაქტიკული გამოცდილება.

ამრიგად, სწორი აზროვნების ჩამოყალიბება და მისი რეალიზაციის გზა ცოდნის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ბეწვის ხიდზე უნდა გადიოდეს, რომლის შემდეგ იგი ხდება „სოციალური პროდუქტი". ამრიგად, აზროვნების „თეორიული" და პრაქტიკული

შესრულების ხარისხი ცოდნასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული; როდესაც პროფესიული საქმიანობა იდეალური განზომილებების დონეზე სრულდება, იგი ემოციებით ხასიათდება და მაღლდება ხელოვნებამდე, ასევე დიდდება საზოგადოებაზე მისი ზემოქმედების ხარისხი. ამავე დროს, პროფესიონალურად და კვალიფიციურად შესრულებულ საქმეს, შემოქმედებას საზოგადოების (მომხმარებლის) კვალიფიკაციის დონე და ცოდნა სჭირდება.

ამიტომ საზოგადოებაში ცალკეულ პიროვნებათა ცოდნა და კვალიფიკაცია არაეფექტურია, თუ საზოგადოების საერთო „ცნობიერების" დონე არ ამაღლდება.

როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი ორგანიზმის თვითმართვის პროცესები აზროვნების „წინამძღოლობით" გაჯანსაღებისა და ადრეული მკურნალობის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ფაქტობრივად ორგანიზმის თვითმართვა ე.წ. ავტომატური ნერვული სისტემის მოქმედებაა, აზროვნების ქვეცნობიერი გამოვლინებაა. კერძოდ, ორგანო-სისტემები, უჯრედები და ქსოვილები რამდენად „კვალიფიციურადაა" გაცნობიერებული ცალკეული მოძრაობის ფუნქციათა შესრულების ინფორმაციით, იმდენად სრულყოფილად სრულდება ფუნქცია. ორგანიზმის ყველა სახის მოქმედება სტრუქტურის განწყობაა ცნობიერი ან ქვეცნობიერი აზროვნებით.

ამიტომ, როდესაც მოძრაობა, ან რაიმე ფუნქცია მიზნობრივი, შთაგონებითი აზროვნებით სრულდება (ინფორმაცია გადაეცემა, როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიკურ სტრუქტურებს) ფუნქციური მოძრაობა უფრო ეფექტურია. ამაშია სწავლის, ვარჯიშის ტრენინგის მნიშვნელობა. ამ დროს ფიზიკური სტრუქტურის მოძრაობით გადაეცემა და ფიქსირდება ინფორმაცია სათანადო სტრუქტურებში.

ამ პრინციპზეა აგებული ფსიქოთერაპიის, ჰიპნოზის მოქმედების მექანიზმი. მიზნობრივი აზროვნებით რომელიმე ფუნქციის ტრენინგი მნიშვნელოვანი სამკურნალო ფაქტორია და სამკურნალო საშუალებათა მოქმედების მექანიზმის შესწავლა, შემეცნება, გააზრება და მისი ინფორმაციის გადაცემა, მიზნობრივი შთაგონებითი აზროვნებითი ზემოქმედებით (მიზნობრივ რეგიონში) ეფექტური ფსიქოთერაპიული მოქმედების ფაქტორია.

ამრიგად, ყველა სახის დოზირებული ზემოქმედება: ფიზიკური მასაჟი, სამკურნალო ვარჯიში, ბალნეოლოგიური, ფიზიოთერაპიული, მედიკამენტოზური. ფსიქოთერაპიული მიზნობრივი აზროვნების ჩამოყალიბებით უნდა ხდებოდეს და რამდენად კვალიფიციურადაა მედიცინის მუშაკი გაცნობიერებული იმ ენერგია– ინფორმაციით, რომელიც უნდა დაენიშნოს პაციენტს ფსიქოფიზიკური შთაგონებით, იმდენად ეფექტურია მკურნალობა, ამავე დროს პაციენტისა და ექიმის მიზნობრივ აზროვნებათა „განზომილებები" შეთანხმებულად „ერთ ტალღაზე" უნდა სრულდებოდეს.

§14 მეტყველება, როგორც აზროვნების რეალიზაციის (მოძრაობის) ერთ-ერთი ფორმა

ადამიანის ფიზიკური სტრუქტურები და ფუნქციები ხასიათდება განზომილებებით დროსა და სივრცეში. ყველა ფუნქციას, სიტყვას, აზრს, იდეას, ცნებას აქვს თავისი „რაოდენობრიობა" და მას აღიქვამს ადამიანი რაოდენობრიობის სხვადასხვა ფორმის მოდელების სახით. ამიტომ ადამიანთა აზროვნების ყველა გამოვლინება რა სახის და რა ენაზე ან რა მოძრაობის ფორმებში არ უნდა ვლინდებოდეს, ხასიათდება სივრცობრივი მოცულობითი კონფიგურაციის მოდელებით და აღიქმება (სივრცობრივი მოდელების სახით, ხასიათდება საკუთარი ტალღური გამოვლინებით ანუ „გამოსხივებით", ჰოლოგრამებით) ადამიანის შემთხვევაში სიტყვით და ფიზიკური სტრუქტურების ტრანსაქციებით (სივრცობრივი მოძრაობით), ხოლო ცხოველები მას ტალღური „გამოსხივების" გამოვლინების იგივე გეომეტრიული კონფიგურაცის მოდელებით აღიქვამენ. ალბათ, ადამიანი ხასიათდებოდა ამ თვისებებით, რომელიც მან ევოლუციური განვითარების პერიოდში დაკარგა, რადგან იგი გამოხატა მეტყველებით, სიტყვებით, ენით. ამიტომ ინფორმაციის აღქმა ყველაზე ჩქარა ტალღური გამოსხივებით ვრცელდება და ცხოველები მას ჩვენზე ადრე აღიქვამენ.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ენაზე აზრის მეტყველებითი წარმოსახვის ინფორმაციის სტრუქტურა, მისი ფორმა და სივრცობრივი პოზიციურობის განზომილებები და გამოთქმის

მექანიზმი იდენტურია, მისი მეტყველებაში გადაყვანა სხვადასხვა ენაზე ინდივიდუალური კოდით ხასიათდება.

ზემოაღნიშნული ყველა ენისა და ბგერითი მეტყველების გაშიფვრის საფუძველია. ყველა ენა კოდირებულია და შედგება რთული და მარტივი ბგერებისაგან, ანუ ყველა სიტყვა სხვადასხვა ბგერების სინთეზის შედეგია მეტყველებაში. მეტყველება, როგორც აზროვნებითი გამოხატვა, მეორე სასიგნალო სისტემის გზით აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობით სრულდება.

ამრიგად, აზროვნება, მეტყველება, მოძრაობა, ფსიქოლოგიური განწყობა, პირობითი და უპირობო რეფლექსები, ინსტინქტი, პირველი და მეორე სასიგნალო სისტემისა და ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციათა შესრულების გზა და მექანიზმი ერთი და იგივეა და ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობით სრულდება. რადგან ცენტრალური ნერვული სისტემის ძირითადი ფუნქცია ცნობიერება და აზროვნებაა, ყველა ცნობიერი და ქვეცნობიერი აქტების, რეფლექსების, ფუნქციების, პროცესების შესრულება აზროვნების პროცესია და იგი ყველა ცოცხალ ორგანიზმში აზროვნებით ხორციელდება. **ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი და ცხოველი ერთნაირად აზროვნებს და ხაზს ვუსვამთ, რომ ადამიანის აზროვნების დონის შედარება ცხოველურ აზროვნებასთან უაზრობაა.** ბიოლოგიური სისტემების აზროვნება იერარქიული საფეხურის შესაბამისი სიცოცხლის რაოდენობა-თვისებრიობის, შესაძლებლობის ფუნქციური მოთხოვნილების დონით განისაზღვრება, ხოლო ეს უკანასკნელი, ალბათ, სხვადასხვა სახეობის და კლასის წარმომადგენელთა ტვინის „მოაზროვნე უჯრედების" — ნეირონების, ნეიროგლიის, სინაპსების, დენდრიტების, აქსონების რაოდენობით და ორმხრივი ენერგოინფორმაციული კავშირების ხარისხითაა განპირობებული (ადამიანს 100 მილიარდი ნეირონი აქვს, კოლორადოს ხოჭოს — 100 (3). მაიმუნს — 23 მილიარდი, ძაღლს — 22 მილიარდი, კატას — 22 მილიარდი, ვირთხას — 15-25 მილიარდი, ზღვის გოჭს — 8 მილიარდი, ზაზუნას — 10 მილიარდი, კურდღელს — 10-12 მილიარდი).

ამრიგად, აზროვნება მოძრაობაში გამოიხატება (მოძრაობა აზროვნების მოდელია), ხოლო მოძრაობა — ფუნქციის შესრულებაში.

§15. მეხუთე თავის ანალიზი

ადამიანის ორგანიზმი, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილი, ფიზიკური სტრუქტურაა, რომელშიც გაერთიანებულია ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო სფეროების ცხოველმყოფელობა. ენერგო-ინფორმაციას განუწყვეტელი აქტიური შემოდინება-გადინების ნიადაგზე ფიზიკური სტრუქტურა იძენს ბიოლოგიურ თვისებას, ხოლო ენერგია-ინფორმაციის შემოდინების ან გადინების შეწყვეტის შემთხვევაში იგი ისევ გარდაიქმნება ფიზიკურ სტრუქტურად და კარგავს ბიოლოგიურ თვისებას -სიცოცხლეს. ფიზიკური სტრუქტურის ენერგოინფორმაციის აქტიური შემოდინება-გადინება გარდაქმნის მას ბიოლოგიურ სისტემად – „ცოცხალ არსებად". ფუნდამენტურ მეცნიერებათა მონაცემები ადასტურებს, რომ ენერგო-ინფორმაციაც ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

თანამედროვე ბიოლოგია-ფიზიოლოგიის მეცნიერული მონაცემების (55,56,73,57) მიხედვით, „უჯრედი, როგორც სიცოცხლის ძირითადი ავტონომიური ერთეული, რომლისგანაც შედგება ყველა ცოცხალი ორგანიზმი, სტრუქტურულად და ფუნქციურად ერთი და იგივეა ადამიანსა და ყველა ცოცხალ ორგანიზმში, ძუძუმწოვრებში, ხერხემლიანებში, ქვეწარმავლებში, მწერებში და მიკრობებში. ყველა უჯრედი და ცოცხალი ორგანიზმი შედგება სხვადასხვა რაოდენობისა და თანაფარდობის ერთი და იგივე ქიმიური ელემენტებისაგან, ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური მარილების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მიკროელემენტების, მონომერების, პოლიმერების, ნუკლეოპროტეიდებისა და ერთი და იგივე სტრუქტურის ცილების მოლეკულებით შედგენილი დნმ-ის ორმაგი სპირალისაგან და სხვა";„უჯრედის დაყოფის, გამრავლების, ენერგეტიკული ცვლისა და ბიოსინთეზის პროცესები ერთი და იგივე მექანიზმებით მიმდინარეობს; ყველა ცოცხალ არსებაში, დნმ-ის მოლეკულებში კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის ქრომოსომების კომპლექსური თანაფარდობა ერთი და იგივეა დროზოფილსა და ძუძუმწოვარ ცხოველებში, ადამიანშიც". (55,56,73,57)

„ადამიანი, კალია, ვარდი, ბულბული, ლომი, აქლემი და ვირუსი, ცოცხალ არსებათა ყველა ეს მრავალფეროვნება ერთი და იგივე

ცილის მოლეკულების ურიცხვ ვარიაციებს წარმოადგენს. ჭიანჭ-ველის და გენიალური ადამიანის ცილა ერთი და იგივე ამინომჟა-ვებისგანაა აწყობილი. განსხვავება ამინომჟავური ნაშთების თან-მიმდევრობაშია"? 14). ასეთია თანამედროვე მეცნიერების წარმოდგენები ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს ურთიერთო-ბის შესახებ.

ყველა ძუძუმწოვრისა და ხერხემლიანის თავის ტვინი ასრულ-ებს ნერვული სისტემის რეგულაციასა და კოორდინაციას, შედგ-ება ხუთი ნაწილისაგან, რომლის ცალკეული ნანილები იერარქიული საფეხურის სახეობის, კლასის და ფუნქციათა მიხედვით არის გადიდებული ან შემცირებული. გადიდება ან შე-მცირება ცხოველის ფუნქციურ თვისებრიობასთანაა დაკავ-შირებული. თევზები და ბაყაყები საკვების მოპოვებისათვის ყნოს-ვისა და მხედველობის სენსორული ცენტრების განვითარებას საჭიროებენ და უფრო განვითარებული აქვთ მხედველობის ბორცვი და უკანა ტვინი, ხოლო ქვეწარმავლებში შუა ტვინი შე-დარებით მცირეა და თალამუსი დიდია. ასეთი ტენდენციით ხასი-ათდებიან ჩიტები, მათ განვითარებული აქვთ თალამუსი, ხოლო ძუძუმწოვრებს კარგად განვითარებული აქვთ დიდი ჰემისფეროები და თალამუსი. ყველა ძუძუმწოვარს, როგორც ადამიანს, აქვს 5 გრძნობათა ორგანო და თავისა და ზურგის ტვი-ნის მოაზროვნე უჯრედები: ნეირონები, ნეიროგლიები, დენდრიტები, აქსონები და სინაფსები, რომლებიც ერთი და იგივე სტრუქტურით, ფუნქციით, მგრძნობელობით და გამღიზიანებლ-ობით ხასიათდება. როგორც ცხოველს, ისე ადამიანს, აქვს ორი განსხვავებული და ურთიერთდაკავშირებული ნერვული და ენდოკრინული სისტემა — თავისა და ზურგის ტვინის 12 წყვილი ნერვი (დაბალი დონის ხერხემლიანებში 10 წყვილი), სისხლის შე-მადგენელი ფორმიანი ელემენტები, ფერმენტები, მედიატორები, სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის ორგანოები, მეტყველების ორგანოები — კუნთები, ქსოვილები, პირის ღრუ, ცხვირხახა, ხორხი, სასა, ბგერის იოგები, სახის კუნთები, ენა, ტუჩები და მათი ფუნქციონირების რეგულაციის მექანიზმი. თანამედროვე ფიზიოლოგიის მონაცემებით, რეფლექსები, როგორც ადამიანე-ბში, ისე ცხოველებში ერთი და იგივე გზით (რკალით) და მექანიზ-მით მიმდინარეობს; „რეფლექსი, როგორც ორგანიზმის

კანონზომიერი რეაქცია, შინაგანი და გარეგანი გარემოს ცვალებადობასთან დაკავშირებით (რეცეპტორული აპარატის გაღიზიანების საპასუხოდ) უშუალოდ ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობით ხორციელდება და იგი დაკავშირებულია ფუნქციების შესრულებასა და საქმიანობასთან"; „ყველა სახის, ცნობიერი და ქვეცნობიერი ცხოვრებისეული აქტები და მისი წარმოშობის ხერხი და არსი – რეფლექსია". „რეფლექსი ორგანიზმის კანონზომიერი რეაქციაა, შინაგანი და გარეგანი გარემოს ზემოქმედებაზე და უშუალოდ ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობით ხორციელდება" (55,56,57,80,81). „ნერვული სისტემის მარტივი და რთული რეაქციები რეფლექსია". „პირველი და მეორე სასიგნალო სისტემები განუყოფელია ერთი მეორისაგან და შეკავებისა და აღგზნების კანონზომიერებები საერთოა პირველი და მეორე სასიგნალო სისტემისათვის" (55,56,57,73,79,80,81). „გარემოს ზემოქმედებითი გაღიზიანება პირველი სასიგნალო სისტემიდან გადაეცემა მეორე სასიგნალო სისტემას"; „გარე სამყაროს სიგნალზე – გაღიზიანებაზე ანალიზისა და სინთეზის მექანიზმი ასევე ერთი და იგივეა ადამიანსა და ცხოველებში". (55,56,73,79,80,81). პირველი სასიგნალო სისტემა მეორე სასიგნალო სისტემასთან დაკავშირებულია სიტყვიერი სიგნალებით, ანუ მეტყველების სიგნალებით (73,79,80,81).

ი.პავლოვის კონცეფციიდან გამომდინარე, მეორე სასიგნალო სისტემა დაკავშირებულია მეტყველებასთან და იგი დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის. როგორც ცნობილია, პავლოვი ექსპერიმენტებს ატარებდა ძაღლებზე და თუ მისი ექსპერიმენტული ძაღლები არ იყვნენ „ჰიპნოზირებულნი" ან „ანესთეზირებულნი", მაშინ პავლოვი მოისმენდა და დააფიქსირებდა, რომ ძაღლები გარემოს ცვალებადობის ზემოქმედებაზე პასუხობენ მეორე სასიგნალო სისტემის „ბგერითი მეტყველებით". ამავე დროს დადებით და უარყოფით გარემოზე სხვადასხვა ტონალობის ბგერითი მეტყველებით და ყეფით. ყეფა მეორე სასიგნალო სისტემის ბგერითი მეტყველებაა. ამიტომ გაურკვევლობას იწვევს ის ფაქტი, რომ თვითონ პავლოვი აღნიშნავდა, რომ ადამიანსა და ცხოველებში პირობითი და უპირობო რეფლექსები ერთი და იგივე მექანიზმით მიმდინარეობს და პირველი სასიგნალო სისტემა უშუალო კავშირშია მეორე სასიგნალო სისტემასთან, ამავე დროს

ასკვნის, რომ მეორე სასიგნალო სისტემა მხოლოდ ადამიანის თვისებაა (56,57,73,79,80). პირობითი და უპირობო რეფლექსების გამოხატვა მეორე სასიგნალო სისტემით ადამიანში მეტყველების გზით ხორციელდება; მეტყველების შესრულების გზა და მექანიზმი ერთი და იგივეა ცხოველებსა და ადამიანებში, ცხოველები ყველა შინაგანსა და გარეგან ზემოქმედებაზე რეაქციას გამოხატავენ იგივე მექანიზმით და მოძრაობით მეორე სასიგნალო სისტემის მონაწილეობით, ანუ ბგერითი მეტყველებით (ბგერა, „რთული ინფორმაციის წყაროა"). ამავე დროს ცხოველები დადებით და უარყოფით ემოციებს ("სევდასა" და „სიხარულს") ბგერითი მეტყველების სხვადასხვა ტონალობით გამოხატავენ.

ამრიგად, უსაფუძვლოა აზრი იმის შესახებ, რომ მეორე სასიგნალო სისტემას არ ფლობენ ცხოველები, რადგან ისინი ბგერითი სასიგნალო მეტყველებით ხასიათდებიან, რომელიც გასაგებია მათი სახეობისათვის. დედამიწაზე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ჯგუფები, ერები და ინდივიდები (თუ არ იციან სხვა ენა) ისევე ვერ უგებენ ერთიმეორეს, როგორც ცხოველების ბგერით მეტყველებას ვერ იგებს ადამიანი. აქედან გამომდინარე ადამიანთა მეტყველების ყველა ენა და ცხოველთა ბგერითი მეტყველება კოდირებულია და გასაგებია მისი სახეობის, კლასის, პოპულაციის წარმომადგენლებისათვის. მაგრამ, არა მარტო ძაღლები, არამედ ყველა ხერხემლიანი და ძუძუმწოვარი ცხოველები, ქვეწარმავლები და მწერებიც კი ხასიათდებიან მეორე სასიგნალო სისტემით (მიკრო ბგერითი მეტყველებით).

თუ ჩვენ ობიექტურად შევაფასებთ ფრინველთა და ცხოველთა ქცევას და საერთოდ ხერხემლიანებსა და ძუძუმწოვრებს, ყველა ისინი ხასიათდებიან ე.წ. მეორე სასიგნალო სისტემით, ანუ ბგერითი მეტყველებით. ზოგიერთი კი რთული ბგერითი მეტყველებით: თუთიყუში, ჩხიკვი, დელფინი, იადონი, ბულბული, ყველა ჩიტი და ფრინველი და რთული მელოდიური ბგერების გამოცემის (სტვენა, ჭიკჭიკი, გალობა) უნარით ხასიათდებიან (მელოდიური ბგერითი მეტყველება მეტყველების ყველაზე რთული ფორმაა). ცხოველებს და ფრინველებს „თავისი დონის" ცნობიერება და აზროვნება გააჩნიათ და ადამიანის მეტყველებითი ზემოქმედებით ცირკის ცხოველები ითვისებენ რთული მოძრაობითი ფორმების ბგერით გამოხატვას.

აქედან გამომდინარე, რადგან ყველა ცოცხალი სისტემა – ხერხემლიანები და ძუძუმწოვართა კლასის წარმომადგენლები – ერთი და იგივე სტრუქტურისა და ფუნქციის სისტემებით, ორგანოებით, უჯრედებით ხასიათდებიან, მათი ორგანიზმის ცხოველმყოფელობის პროცესები და თვითრეგულაცია იმდენად იდენტურია, რომ გასაკვირიც იქნებოდა, რომ მათ არ ჰქონდეთ გარკვეული დონის იგივე ფუნქციები და ფუნქციების შესრულების მექანიზმი. მაგრამ **ადამიანის ინტელექტი, ცნობიერება, აზროვნება და მეტყველება იმდენად მაღალია, რომ მისი შედარება ცხოველურ მეტყველებასთან უაზრობაა.** ასევე უაზრობა იქნება ცხოველებში იერარქიული საფეხურის რაოდენობა, თვისებრიობის მოთხოვნილება შესაძლებლობის დონის ფარგლებში, რომ არ ფლობდნენ შესაფერის ბგერით მეტყველებას. ყოველივე ეს მტკიცდება ექსპერიმენტებით, ამიტომ იგი უტყუარი ფაქტია.

სამყაროს ერთიანი კონსტანტის საფუძველზე ცოცხალ ორგანიზმებს აქვს რაოდენობრიობისა და ხარისხობრიობის შესატყვისი თვისებრიობა ანუ არსებობს მიკრო, მაკრო, მეგა საგნები, მოვლენები, პროცესები და ფუნქციები, ასევე მაკრო, მიკრო, ულტრა, ინფრა ბგერები, მიკრო, მაკრო, ულტრა და ინფრა ცნობიერება, და ბგერითი მეტყველება. გარე სამყაროში არსებობს სხვადასხვა სიხშირის, ინტენსივობის, ამპლიტუდის ბგერები, ადამიანი კი აღიქვამს მხოლოდ 16-20 ათასი ჰერცის სიხშირის ბგერებს, ასევე ცხოველებიც და ადამიანიც ვერ ხედავს მიკრო ულტრაინფრა საგნებს, მოვლენებს, ბიოლოგიურ არსებებს, უჯრედებს, მიკრობებს, ვირუსებს, მაგრამ იგი ობიექტური რეალობაა; ასევე ობიექტურია მაკრო, მიკრო, ულტრა, ინფრა ცნობიერება და აზროვნება, ანუ ბიოლოგიური სისტემის იერარქიული საფეხურის და ევოლუციური განვითარების შესაბამისი რაოდენობა-თვისებრიობის დონის აზროვნება და ცნობიერება.

§16. მეხუთე თავის დასკვნები და ჰიპოთეზები

სიცოცხლე სამყაროს უნივერსუმის მოდელია და უნივერსალური ცნობიერების ფენომენია დედამინაზე; ცნობიერება და აზროვნება სიცოცხლის ძირითადი ფუნქციაა და მართავს სიცოცხლის ცხოველმყოფელობას.

ინტელექტი (ჭკუა, გონება) მეხსიერების, ცნობიერების, სულიერების, ცნებების, შემეცნების და ინფორმაციის კონცენტრაციის სათავსო და აზროვნების ბიოლოგიურ-მატერიალური ბაზაა, თავისა და ზურგის ტვინის უჯრედების (თავისა და ზურგის ტვინის უჯრედების მიკროსტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ფუტკრის ფიჭა, რომლის უჯრედების ფოსოებში ინახება ინფორმაცია), ნეირონების, ნეიროგლიების, დენდრიტების, აქსონების, სინაფსების სახით და უნივერსალური ურთიერთკავშირებით ერთიანდება ფიზიკურ სტრუქტურებთან. რამდენად მრავალფეროვან და დიდ ინფორმაციას მოიცავს ინტელექტი, იმდენად მდიდარია ცნობიერება და მდიდარია სულიერი სფერო, ცოდნის დონე და აზროვნების ხარისხი. ცნობიერება (ინფორმაციულობა) — აზროვნების საფუძველია.

აზროვნება ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთიანი მრავალსაფეხურიანი, მრავალეტაპიანი, მრავალშრიანი კავშირების მოქმედებაა; იგი სრულდება შინაგანი და გარეგანი გარემოს (მოვლენების, პროცესების, საგნების, ფუნქციების, ორგანოების) ენერგო-ინფორმაციის მიღების, ანალიზისა და კრიტიკული შეფასების გზით (ცნობიერების „სამზარეულოში“ ხდება პირველადი ინფორმაციის გადამუშავება მიზნობრივი აზროვნების სახესა და ფორმაში), აღქმის, შემეცნების, წარმოსახვის და კონკრეტული ცოცხალი ფიზიკური სტრუქტურის ფორმაში მისი გამოტვიფრისა და შესრულების, ფიზიკური სტრუქტურების ფუნქციური მოძრაობით. ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობა ბგერებით, ფერებით და არომატული კომპონენტების ელემენტარული ნაწილაკებით გამოისახება პულსირებადი ელექტრული ველის სახით.

აზროვნების პროცესი, როგორც ორგანიზმის ფუნქციონირების მართვის პროცესი, სხვადასხვა ეტაპებსა და საფეხურებზე აერთიანებს აკუსტიკურ, ოპტიკურ, ბიოქიმიურ, მექანიკურ, ფერმენტაციულ, ჰორმონალურ, კვანტურ, პლაზმურ, ელექტრომაგნიტურ, თერმოდინამიკურ, ჰიდროდინამიკურ, გრავიტაციულ და სხვა ფსიქოენერგეტიკულ პროცესებს და მოვლენებს.

აზროვნება უნივერსალური თვისებრიობის და უდიდესი სიჩქარის შეუზღუდველი გავრცელებით ხასიათდება და უნივერსალური, მრავალგანზომილებიანი და უსასრულოა.

აზროვნება მიზნობრივი მიმართულებით ხასიათდება, აქვს კონკრეტული იდეის, საგნის, მოვლენის დრო, სივრცე, რაოდენობრიობა, ვექტორი, სტრუქტურის სივრცობრივი პოზიციურობა, განზომილებები და დანიშნულება. ერთდროულად შესაძლებელია მხოლოდ ერთი საკითხის, იდეის, მოვლენის, საგნის ირგვლივ აზროვნება და ამ დროს სხვა სახის პროცესები შეფარდებით შეკავებაშია.

აზროვნება, როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის ყველა ნეირონებისა და ნეიროგლიების ერთიანი პროცესი, მართვითი მოქმედება, მართავს ორგანიზმის ცხოველმყოფელობას, მაგრამ იგი არ არის „მბრძანებლური" და ორგანიზმის სტრუქტურათა იერარქიული სოლიდარობის ურთიერთობიდან გამომდინარე, ერთიანი სასიცოცხლო პროცესების მოთხოვნილების შესრულებაა. ამავე დროს მისი მიზნობრიობა და ხარისხი დამოკიდებულია პიროვნების სურვილსა და მიზნობრივ ნებისყოფაზე.

ცნობიერება და აზროვნება დაპირისპირებული ერთიანობაა. ცნობიერების გარეშე აზროვნება, მეტყველება და მოძრაობა არ სრულდება. ცნობიერება აზროვნების პოლიგონი და ფუნდამენტია, ცნობიერება აზროვნების გარეშე „გამოუყენებელი კაპიტალია".

ცნობიერებისა და აზროვნების ხარისხი ურთიერთპროპორციულია; ინტელექტი, ცნობიერება, აზროვნება, მოძრაობა, მეტყველება ურთიერთ-ზემოქმედებითი პერმანენტული განვითარებით ხასიათდება.

ენერგია-ინფორმაციის შემოდინება-გადინების პროცესი და მისი ხარისხი ორგანიზმის ცხოველმყოფელობის საფუძველია და ორგანიზმის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ცნობიერი და ქვეცნობიერი აზროვნებით რეგულირდება. პიროვნება საკუთარი აზროვნების, მეტყველების, ცნობიერების ზემოქმედებაშია, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ფსიქოლოგია და მსოფლმხედველობა. ცნობიერებისა და აზროვნების დაქვეითებით ქვეითდება ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ხარისხი, ხოლო მისი შეწყვეტით წყდება სიცოცხლე.

აზროვნების, მეტყველების, მოძრაობის, ფსიქოფიზიკური განნყობის, პირობითი და უპირობო რეფლექსების პირველი და მეორე სასიგნალო სისტემის, ინსტინქტის და ორგანიზმის ცხოვე-

ლმყოფელობის ყველა ფუნქციების შეასრულების გზა და მექანიზმი ერთი და იგივეა.

ყველა ბიოლოგიური სტრუქტურა, ინდივიდუალური გენეტიკური კოდით ვითარდება სამყაროს ერთიანი ევოლუციური კონსტანტის „ოქროს კვეთის" საფუძველზე და იგი აზროვნებისა და ცნობიერების განვითარებით იწყება და სტრუქტურების ფუნქციური მოძრაობის გაუმჯობესება-განვითარებაში გამოიხატება. დარვინიზმის, ნეოდარვინიზმის და ევოლუციური განვითარების მექანიზმში გენეტიკა, მემკვიდრეობა, ბუნებრივი შერჩევა მეორადი პროცესია და მისი სანყისი და საფუძველი ცნობიერებისა და აზროვნების განვითარებით იწყება.

მეტყველების ინფორმაციული საფუძველი (საგნების, მოვლენების) სხვადასხვა ენაზე ერთი და იგივე ფორმებითა და სიმბოლოებით აღიქმება, ხოლო მისი მეტყველების სახეში გადაყვანა მეტყველების ენის კოდებით ხდება. სხვადასხვა ენაზე მეტყველების იდეის ანალიზისა და სინთეზის წარმოსახვის მექანიზმი და ინფორმაცია ერთი და იგივეა, ხოლო მისი მეტყველებით ენაზე გამოხატვა ინდივიდუალურია.

ყველა ბიოლოგიური სისტემა ევოლუციური პირამიდის, იერარქიული საფეხურის სახეობისა და ფორმის რაოდენობა-თვისებრიობის, ინფორმაციული კავშირებით შინაგანსა და გარეგან გარემოდან ღებულობს ინფორმაციას, რეაგირებს მასზე და სიცოცხლის მოთხოვნილების და შესაძლებლობის ფარგლებში შესაბამისი ინტელექტით, ცნობიერებისა და აზროვნების დონითა და მეტყველებით (სასიგნალო სისტემებით) ხასიათდება. მაგრამ იგი ადამიანის ინტელექტის, ცნობიერების, აზროვნებასა და მეტყველებასთან შეფარდებით პრიმიტიული და მარტივია; **ამდენად არსებობს მაკრო — ადამიანური, მიკრო ცხოველური, ულტრა უჯრედული ინტელექტი, ცნობიერება, აზროვნება, მეტყველება. სიცოცხლის ჩასახვა, ემბრიონის ზრდა-განვითარება ორგანიზმის ჩამოყალიბება და მისი ცხოველმყოფელობის რეგულაცია, მართვა აზროვნების პროცესია, აზროვნების შეწყვეტა იწვევს სიცოცხლის შეწყვეტას..**

ყველა ბიოლოგიური სისტემისა და სტრუქტურის ფუნქციონირება გარკვეული რიტმული მიკრობგერებითა და ფერებით ხასი-

ათდება (76,77), **რომელიც ბიოლოგიური სტრუქტურის ცხოველმყოფელობის „მეტყველებაა“,** როგორც აზროვნების ანარეკლი (შაბლონი). ბიოლოგიური სისტემის „თვითრეგულაციის“ მართვის პროცესი აზროვნების პროცესია.

ენერგია-ინფორმაცია ორგანიზმში შემოედინება (შემოდის) გრძნობათა ორგანოების რეცეპტორების გზით და გაედინება ფიზიკური სტრუქტურების გზით. თუ ცოცხალ ორგანიზმს გამოვუთიშავთ გრძნობათა ორგანოებს ან გარეგან ინფორმაციას, მაშინ ცოცხალი არსება ვერ იაზროვნებს, იგი თანდათან დაკარგავს სიცოცხლის უნარს და იღუპება (დადგენილია ექსპერიმენტულად).

პირველი და მეორე სასიგნალო სისტემების შესრულების მექანიზმი ერთი და იგივეა და სრულდება ერთი და იგივე დანიშნულებითა და არსით. იგი ერთიანი სასიგნალო სისტემაა და ყველა ბიოლოგიური სისტემის — სიცოცხლის — თვისებაა.

რადგან ბიოლოგიური სტრუქტურები, როგორც სიცოცხლისა და აზროვნების ბაზა, გარე სამყაროს შემადგენელი, შემცველი ელემენტებისაგან შედგება, სამყაროც „ცოცხალი მოაზროვნე“ სისტემა ყოფილა, ანუ თუ ბიოლოგიური სტრუქტურები შედგება სამყაროს კორპუსკულარული, ენერგეტიკული, ფერმული, ორგანული და სხვა ელემენტებისაგან (56,60,61,72) და თუ სამყარო ის ბაზაა, რომლისგანაც შეიქმნა ცოცხალი სისტემა, მაშინ თვით სამყაროც „ცოცხალი სისტემა“ ყოფილა და „ცნობიერებით“ ხასიათდება. ამინდი, წვიმა, თოვლი, ქარიშხალი, ცისარტყელა, ვულკანი, მიწისძვრა, კომეტები და სხვა სამყაროს „ინტელექტის“ და მისი ფიზიკური სტრუქტურების კონკრეტული, მიზნობრივი „განწყობის“, „აზროვნების“ შედეგია ანუ მისი მოძრაობის „მეტყველების“ გამოვლინებაა.

ინსტინქტი მცდარი ცნებაა. იგი თანდაყოლილი ან შეძენილი ცნობიერი და ქვეცნობიერი აზროვნებაა (რეფლექსი ცნობიერი და ქვეცნობიერი აზროვნების პროცესია). ბიოლოგიური სისტემების ანუ სიცოცხლის ძირითადი ფუნქცია არის აზროვნება, როგორც სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარების საფუძველი.

თავი მეექვსე

აზროვნება, როგორც სიკეთისა და ბოროტების საფუძველი

§1. ენერგოინფორმაციული ზემოქმედება, როგორც პროგრესის – რენესანსის (განვითარების) – და დეგრადაციის – (გენოციდის) – ფაქტორი

როგორც აღვნიშნეთ (თავი V), ევოლუციური განვითარება ცნობიერებისა და აზროვნების განვითარებით იწყება; განვითარება და დეგრადაცია ინფორმაციის ზემოქმედებით მიმდინარეობს. ინფორმაციულობა-ცნობიერება აზროვნების პოლიგონია (ველი), სადაც განთავსებულია ნერვული უჯრედები – ნეირონები, ნეიროგლიები და იგი პიროვნების ფსიქოლოგიისა და მსოფლმხედველობის საფუძველია. პიროვნების ფსიქოლოგია და მსოფლმხედველობა იმას ნიშნავს, რომ მისი ფიზიკური და ფსიქიკური სტრუქტურები და გენოფონდი გაცნობიერებულია, „გაჟღენთილია" გარკვეული ცნობიერებით – ინფორმაციულობით.

ბიოლოგიური სტრუქტურის განვითარება ან დეგრადაცია გენომის გარკვეულ ფუნქციურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული და პიროვნების ფსიქოლოგიისა და მსოფლმხედველობის შეცვლა გენომის ინფორმაციის შეცვლით იწყება. ინფორმაციული ზემოქმედება კი დაკავშირებულია შინაგანსა და გარეგან გარემოზე, ანუ გენეტიკური სტრუქტურების ცვლილებები გარემოსთან ორმხრივ-ინფორმაციული კავშირებით ფსიქიკური და ფიზიკური სფეროების ზემოქმედებაშია. ფიზიკური და ფსიქიკური სტრუქტურები, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, ურთიერთზემოქმედებით ხასიათდება, ანუ ფსიქიკური სფერო ცვლის ორგანიზმის ფიზიკური სტრუქტურების ფუნქციურ მდგომარეობას დრო-სივრცობრივ-პოზიციურობის ცვალებადობით. ხოლო, თავის მხრივ, ფიზიკური სტრუქტურების დრო-სივ-

რცობრივი პოზიციურობის ცვლილებები ფსიქიკურ სფეროსა და მთელ ორგანიზმში იწვევს ფუნქციურ ცვლილებებს. როგორც ფსიქიკურ, ისევე ფიზიკურ სტრუქტურებზე ზემოქმედების გზით შესაძლებელია ორგანიზმის, როგორც განვითარება, ასევე დეგრადაციული – გენოციდური – ცვლილებები და იგი განპირობებულია შემოდინებული ინფორმაციის ხარისხით.

ფსიქიკურსა და ფიზიკურ სფეროზე ინფორმაციული ზემოქმედებით იცვლება ადამიანთა და საზოგადოების ფსიქოლოგია და მსოფლმხედველობა, რომელსაც შესანიშნავად იყენებენ სხვადასხვა ნეგატიური ძალები ადამიანთა ჯგუფების, ერების, სახელმწიფოების დაშლის, დაპყრობის, დეგრადაციისა და მისი ფიზიკური განადგურების პირდაპირი და არაპირდაპირი ხერხებით.

§2. ჯანმრთელი ადამიანის სიცოცხლის კანონზომიერება, როგორც უზენაესი კანონების მოდელი; პათოლოგია, როგორც უზენაესი კანონების დარღვევის მოდელი

ჯანმრთელი ორგანიზმის ცხოველმყოფელობა ორგანიზმის შემადგენელი ნაწილებისა და სისტემების ფუნქციონირება, სიცოცხლის კანონზომიერება ჭეშმარიტი ცივილიზებულ, ჰუმანურ სოლიდარობას და ურთიერთობას ემყარება და იგი უზენაესი კანონებისა და ცნობიერების მოდელია. სიცოცხლის კანონზომიერება ანუ ჯანმრთელი ორგანიზმის ცხოველმყოფელობის კანონზომიერება, ორგანიზმის შემადგენელი სტრუქტურების, პროცესების და ფუნქციების ურთიერთობის მექანიზმის მათემატიკური ფორმულაა, უზენაესი კანონების ფორმულაა, ხოლო მისი დარღვევა, იქნება იგი ბიოლოგიურ თუ სოციალურ სფეროში, არის პათოლოგიური მოვლენა.

ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მართვას ცნობიერება და **აზროვნება განაპირობებს. ყველა უარყოფით და დადებით ძვრებს ორგანიზმში ცნობიერების – ინფორმაციულობის – მატრიცა უძევს საფუძვლად. იგი შეიძლება იყოს** გენეტიკური ან შეძენილი. ორგანიზმში **პათოლოგიის ჩამოყალიბება მისი ცხოველმყოფელობის მართვის სისტემაში**

გარკვეული ინფორმაციული ზემოქმედების ნიადაგზე უზენაესი კანონების დარღვევით — „ბოროტების საწყისებით"— სიჭარბითა და დეფიციტით —("ეგოიზმით", „სიძულვილით", „სიცრუით", „კორუფციით", „ვოლუნტარიზმით") იწყება, რომელიც არღვევს ორგანიზმის თვითმართვის (უზენაესი კანონების) ჰარმონიას და იწვევს მისი ფსიქოფიზიკური სტრუქტურების რაოდენობრიობა-თვისებრიობის დრო-სივრცობრივ დეფორმაციას, როგორც ორგანიზმის სისტემების, ასევე გარე სამყაროს მიმართებაში და ყალიბდება სხვადასხვა ფორმის მანიფესტირებული ან არამანიფესტირებული დაავადების სახით.

ბიოლოგიური ანუ სიცოცხლის კანონზომიერება, არის ორგანიზმის ყველა შემადგენელ სტრუქტურათა ურთიერთშეთანხმებული და სოლიდარული ფუნქციონირება; პათოლოგია ამ სოლიდარობისა და ურთიერთშეთანხმებული ფუნქციონირების დარღვევაა; კერძოდ, პათოლოგიური ორგანო დაავადების ინფორმაციით შეცვლილი „ცნობიერებით" „აბსოლუტური თავისუფლების" და „უპასუხისმგებლობის" პრინციპით ეგოისტურად, თვითნებურად (ვოლუნტარისტულად, ამბიციურად) იქცევა, არ ექვემდებარება ორგანიზმის თვითმართვის იერარქიულ კანონზომიერებას, ართმევს ენერგიას სხვა ორგანოსისტემებს, რომლის გამო ორგანიზმში ირღვევა შინაგანი და გარეგანი თავისუფლება — სიმართლის კანონზომიერება და თუ ორგანიზმმა ვერ შეძლო გააუვნებლოს — აღკვეთოს პათოლოგიური ორგანოს „თვითნებობა" (დაავადება) — დაავადებული ორგანოს „აბსოლუტური თავისუფლება", მაშინ იგი მიიყვანს ორგანიზმს დეგრადაციამდე და დაღუპვამდე.

ცალკეული ორგანოს „აბსოლუტური თავისუფლება" იმას ნიშნავს, რომ იგი არ ექვემდებარება ორგანიზმის თვითმართვის იერარქიულ სისტემას და გამოთიშულია ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების ურთიერთობიდან. ორგანომ დაკარგა რაოდენობა-თვისებრიობის დრო-სივრცობრივი ადგილი და სივრცობრივი პოზიციურობა, ორგანიზმის ერთიანობაში და განიცადა სივრცობრივი დეფორმაცია, რომლითაც ორგანიზმში იწვევს ეკოლოგიური და ჰომეოსტაზური წონასწორობის დარღვევას და თუ ორგანიზმი ვერ მოახდენს მის ნიველირებას, შეიძლება კატასტროფამდე მივიდეს.

სიცოცხლის კანონზომიერება, როგორც უზენაესი კანონების მოდელი, ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური სფეროს საფუძველია; ამიტომ, როგორც სამყაროს ერთიანობაში, ისევე ჯანმრთელი ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს შორის „აბსოლუტური თავისუფლება" არ შეიძლება იყოს. ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს შორის, ისევე როგორც სამყაროს შემადგენელ ნაწილებს შორის, ურთიერთობა და ურთიერთკავშირების მრავალსაფეხურიანი და მრავალიარუსიანი დაპირისპირებული ერთიანობის წონასწორობა განპირობებულია უზენაესი კანონებით: „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის".

§3. სოციალური და ბიოლოგიური კანონზომიერების უგულველყოფა, როგორც უზენაესი კანონების დარღვევა

გარე სამყაროს — ბუნების უზენაესი კანონები და სიცოცხლის ცხოველმყოფელობის კანონები ერთი და იგივეა; ბუნება მარტო ადამიანს არ ეკუთვნის, იგი ყველა ცოცხალი არსების სასიცოცხლო არეალია, ანუ დედამიწა, როგორც სამყაროს ერთიანი ცოცხალი სისტემის შემადგენელი ნაწილი, ყველა ბიოლოგიურ არსებათა საერთო საცხოვრებელია, რომელსაც აქვს თავისი „წესები" და „კანონები". ამიტომ ჯანმრთელი ადამიანი უნდა ცხოვრობდეს ამ წესებისა და კანონების შესაბამისად და არა ისე, როგორც მას სურს.

სამყაროში არაფერი არ იქცევა ისე, როგორც მას უნდა და ვერც მოიქცევა. რადგან იგი ქაოსს გამოიწვევს. ქაოსი კი სამყაროს კატასტროფის საწინდარია. როდესაც ადამიანი მოქმედებს ბუნების კანონების საწინააღმდეგოდ, მაშინ იგი დეფორმირებულ დამოკიდებულებაშია (მდგომარეობაში) გარე სამყაროს ჰარმონიულობასთან. ეს უკანასკნელი კი არ პატიებს მისი კანონების დარღვევას და ახერხებს მის ნიველირებას-გაუვნებლობას; სანამ დედამიწა ჯერ კიდევ ეკოლოგიურ წონასწორობაშია, ბუნების კანონების დარღვევას სათანადოდ „პასუხობს". ადამიანმა იგი ბევრჯერ მიიღო, მაგრამ მაინც ვერ გაიცნობიერა, რომ იგი გარე სამყაროს — ბუნების — ბატონ-პატრონი კი არ არის, არამედ იგი სამყაროში

ბუნების სახლის (პლანეტის) ერთ-ერთი მცხოვრებია და ამ „სახლის", „საერთო საცხოვრებლის" შინაგანაწესის დარღვევამ, უმართავმა ანთროპოგენურმა სინდრომმა, ეს სახლი – პლანეტის ბიოსფერო, ეკოლოგიურ კატასტროფის კარიბჭესთან მიიყვანა.

სამყაროს ჰარმონიულობა მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთობის ჰარმონიაზე, ანუ მათი „ეკოლოგიურ წონასწორობაზეა" დამოკიდებული. ამ წონასწორობაში ერთი რომელიმე რგოლის დეფორმაცია ამ წონასწორობის– ჰარმონიის – დარღვევას ინვევს; ასევე დედამიწაზე ერთი სახეობის სიცოცხლის დეგრადაცია საპირისპირო სახეობის არსებობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს.

ასევე ცნობილია, რომ ერთი სახის გენოფონდის მკვეთრი განვითარება – გამრავლება გარკვეული დეგრადაციული უკუმოქმედებით ხასიათდება, ე.ი. ბიოლოგიურ არსებათა იერარქიული წონასწორობა ანუ ურთიერთწონასწორობის ფენომენი დადებითი და უარყოფითი მოქმედების პოლუსებით ხასიათდება. ფაუნის განვითარება იწვევს ფლორის განვითარებას და პირიქით, ფაუნისა და ფლორის განვითარება ადამიანთა პოპულაციის არსებობის აუცილებელი პირობაა. სიცოცხლის სხვადასხვა ფენომენები ურთიერთგაწონასწორებით და ურთიერთდაპირისპირების ასიმეტრიული წონასწორობით ხასიათდება და ამ წონასწორობის ასიმეტრიული ფაზა ის ფაქტორია, რომელიც ინარჩუნებს დინამიკურ ჰარმონიას, ანუ ასიმეტრიულ წონასწორობას; ეს ფაქტორი არის სამყაროს, პლანეტის, ბიოლოგიური და სოციალური სფეროს ევოლუციური განვითარების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის ურთიერთობა შინაგანსა და გარეგან სამყაროსთან, როგორც სიცოცხლის სხვადასხვა ფორმების ურთიერთობა, ზოგადი კანონების შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს და პიროვნება, როგორც საკუთარი ორგანიზმის ცოცხალი სტრუქტურების, ასევე გარემოს ცოცხალ არსებათა მიმართებაში, უზენაესი კანონების შესაბამისად უნდა მოქმედებდეს „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის". მისი დარღვევა უზენაესი კანონების დარღვევაა, რომელსაც ადამიანის ორგანიზმიც არ პატიებს.

§4. დემოკრატია და მედიცინა

ჩვენ არ ვეხებით დემოკრატიის პოლიტიკურ მხარეს; რამდენადაც სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობა ადამიანის ჯანმრთელობაზე– ფსიქოფიზიკურ სტრუქტურებზე – დომინანტური ზემოქმედების ფაქტორია, ჩვენ ვიხილავთ მას სამედიცინო ასპექტში.

საზოგადოებაში, ისევე როგორც სახელმწიფოებრივი მართვის სტრუქტურებში, დემოკრატია არ არის გაცნობიერებული; ალბათ, ამიტომ არ მოხდა მისი სრულყოფილი რეალიზაცია, მათ შორის საქართველოშიც.

ნიშნავს თუ არა დემოკრატია აბსოლუტურ თავისუფლებას?

დემოკრატია, საზოგადოებაში ადამიანთა თავისუფლებას, ანუ შეუზღუდველ ურთიერთობას ნიშნავს, რომელიც გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. „ყოველმხრივ შეუზღუდველი და თავისუფალი ადამიანი – ღმერთია" – წერდა ფოიერბახი. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი ადამიანი ღმერთივით ყოვლის შემძლე, სამართლიანი, უნივერსალური ღირსებით აღჭურვილი და სიკეთის უნივერსალური ქმნილებაა. ანუ იგი უზენაესი კანონების შედეგრია. თავისუფალი ადამიანი მისი ბიოლოგიური და სოციალური ერთიანობის სრულყოფილებაა (ბიოლოგიური სრულყოფილების შედეგია მისი სოციალური სრულყოფილება).

ბიოლოგიურად შინაგანი და გარეგანი თავისუფლება ადამიანის ფსიქოფიზიკური სრულყოფილებაა, სიჯანსაღეა; სიჯანსაღე ორგანიზმის შემადგენელი სტრუქტურების რაოდენობრიობა-თვისებრიობის, სივრცობრივი პოზიციურობისა და განზომილებების ურთიერთშეთანხმებული, იდეალური დინამიკური, ასიმეტრიული წონასწორობაა, რაც განაპირობებს ორგანიზმში ენერგია – ინფორმაციის შემოდინება-გადინების წონასწორობას. ასეთი პიროვნება, როგორც სამყაროს უზენაესი კანონების მოდელი, რაინდული თვისებებისა და ყოფაცხოვრების თვისებებით ხასიათდება, რაც ქართველი კაცის რუსთაველური ეტალონია. ამავე დროს იგი იდეალურად სრულყოფილი და თავისუფალი ადამიანის საერთაშორისო ეტალონია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დემოკრატიული თავისუფლება არის უზენაესი კანონებიდან გამომდინარე სოციალური კანონების შესაბამისი ცხოვრება და მოქმედება. სოციალური კანონი კი გარკვეული დრო-სივრცობრივი სოციალური „მდგომარ-

ეობაა", რომელიც განპირობებულია ბიოლოგიური შემადგენლობით; შემადგენლობის ცვლილებები იწვევს მდგომარეობის შეცვლას, ხოლო მდგომარეობის შეცვლა – შემადგენლობის ცვლილებებს და ეს უზენაესი კანონების აქსიომატიკაა; ხოლო ამ დებულების დარღვევის ყველა შემთხვევა ფსიქოფიზიკური სფეროების პათოლოგიურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

ჭეშმარიტი, ცივილიზებული დემოკრატია არის ადამიანის ძირითადი დანიშნულების ჰუმანურობის რეალიზაცია, როგორც საზოგადოებაში, ისევე გარემოს მიმართ. რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა უნდა იცხოვროს ორგანიზმის ფიზიოლოგიური ცხოველმყოფელობის, ანუ სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერების შესაბამისად, სამართლიანად და ჰუმანურად. ჰუმანურობა სასიცოცხლო პროცესების ადამიანური განზომილებების გამოხატულებაა, ანუ იგი არის ადამიანის ორგანიზმის ყველა ორგანოსისტემებს შორის ურთიერთშეთანხმებული და ურთიერთსოლიდარული ფუნქციონირება, „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის", რაც სიჯანსაღის საფუძველია და იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმში ყველა ორგანო-სისტემას აქვს თავისი რაოდენობრიობა, თვისებრიობა, ფუნქცია, დრო, სივრცე, ფორმა, კონფიგურაცია, სივრცობრივ-პოზიციურობის განზომილებები და ფუნქციური მოძრაობის დიაპაზონი, ე.წ. დინამიკური დეტერმინიზმი. როდესაც ბიოლოგიური სტრუქტურა (ისევე, როგორც ყველა საგანი, მოვლენა, პროცესი) კარგავს თავის დროსივრცობრივი პოზიციურობის განზომილებებს, რაოდენობა-თვისებრიობას, ფუნქციური მოძრაობის ხარისხს, ანუ დეტერმინირებულ მდგომარეობას და შემადგენლობას, იგი კარგავს თავის ადგილს დროსა და სივრცეში, ორგანიზმისა და სამყაროს ერთიანობაში, გადადის სხვა თვისებრიობაში და განიცდის ტრანსფორმაციას, ე.ი. გარდაიქმნება სხვა რაოდენობა-თვისებრიობის, ფორმის, კონფიგურაციის სტრუქტურად, ანუ პათოლოგიურ სტრუქტურად და ხდება აბსოლუტურად თავისუფალი: ე.ი. **აბსოლუტური თავისუფლება პათოლოგიური მდგომარეობაა.** ჯერ კიდევ ალკმეონი აღნიშნავდა რომ: „ადამიანი ჯანმრთელია მანამ, სანამ მისი ორგანიზმი და ელემენტები მოქმედებს შეთანხმებულად და დემოკრატიულად".

ამრიგად, ჯანმრთელი ადამიანის, ცხოველმყოფელობა, როგორც ბიოლოგიური და სოციალური ერთიანობა, უზენაეს კანონებს ეფუძნება და სამყაროს მოდელია, შედევრია; მისი დანიშნულება და მრწამსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი უნდა მოქმედებდეს უზენაესი კანონების ადამიანური მრწამსის შესაბამისად, ჰუმანურად, ცივილიზებულად, რაც მისი სოციალური კანონმდებლობით უნდა იყოს განპირობებული. **რადგან თვით უზენაესი კანონების შინაარსი, არის უმაღლესი დემოკრატიის კანონზომიერება და რადგან სამყაროში ყველა საგანთა, მოვლენათა და პროცესთა ურთიერთობა ამ საფუძველზე მიმდინარეობს, იგი „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის" დებულებაში გამოიხატება.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჭეშმარიტი დემოკრატიული, ცივილიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობის კანონმდებლობა უნდა ეფუძნებოდეს უზენაეს კანონებს ანუ სიცოცხლის კანონზომიერების საფუძველს და **ჭეშმარიტი, ცივილიზებული, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი დაეუფლება უზენაეს კანონებს, ანუ გლობალურ ცნობიერებას და აზროვნებას, ანუ გახდება სამყაროს ჭეშმარიტი მოდელი.**

დემოკრატიას, როგორც თავისუფლების კოდექსს, ასე განსაზღვრავდნენ ყველა დიდი მოაზროვნეები: „ჩვენ უნდა ვიყოთ კანონის მორჩილი, რომ გავხდეთ თავისუფალი". ამიტომ „კარგად რომ იცხოვრო, უნდა იცხოვრო საზოგადოების ცხოვრებით" — ციცერონი.

კანონებს ხალხი ადგენს, პრეზიდენტი ამტკიცებს და მთავრობა აკონტროლებს. „მთავრობის მოვალეობაა კანონის შესრულების კონტროლი"... (ციცერონი).

„თავისუფლება შეგნებული აუცილებლობაა და თუ აუცილებლობა შეგნებული არ არის, მაშინ იგი ბრმაა" — ფ. ენგელსი. „პირადი ინტერესები უნდა ემთხვეოდეს საზოგადოების ინტერესებს"— ი. კანტი, ჟ.ჟ. რუსსო, დ. ლოკი, თ. ჰობსი, ჰელვეციუსი;

„ჰუმანურობისა და სიმართლის კრიტერიუმი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და იგი ყოფნის თვითმიზანია, ადამიანის შეგნებული სიყვარულია ადამიანისადმი; სადაც არ არის სიყვარული, იქ არ არის სიმართლე და ჭეშმარიტება" — (ფოიერბახი).

ჰეგელი აღნიშნავდა, რომ თავისუფლება არის გაცნობიერებული აუცილებლობა", მაგრამ გაცნობიერებული აუცილებლობა ერთი პიროვნების დონეზე არ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლებად, რადგან თავისუფლების ყველა კოდექსი უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოების საერთო ინტერესებიდან;

გენიალურმა ვაჟამ თავისუფლების ფილოსოფია ოთხ სტროფში ჩაატია:

„როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა,
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნორმალური და ჯანმრთელი ადამიანთა ქცევის ეთიკა და მოქმედება, ცხოვრების წესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიური ცხოველმყოფელობის კანონზომიერებას, როგორც სოციალური კანონმდებლობის საფუძველს.

ამრიგად, დემოკრატია არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალია და როგორც უნდა ისე მოიქცეს, რადგან სამყაროში და სოციალურ სფეროში აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს; დემოკრატია და თავისუფლება კანონის შესაბამისობაა, მისი შესრულებაა, რაც სინდისის, ღირსების და სიჯანსაღის გამოხატულებაა და განპირობებულია ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ინდივიდუალური ფიზიოლოგიური, სივრცობრივი პოზიციურობით, რომელსაც სათანადო ჰომეოსტატური და ეკოლოგიური საფუძველი გააჩნია;

სიჯანსაღის სივრცობრივ პოზიციაში ადამიანი გრძნობს სიმხნევეს, სიდარბაისლეს, ღირსეულობას, სიხარულს, ბედნიერების ზომიერ სიამაყეს. სოციალურ სფეროში ასეთი პიროვნება ზოგად აღიარებას გრძნობს, რაც მის სულიერსა და ფიზიკურ სიჯანსაღეს კიდევ უფრო აძლიერებს. ხოლო სოციალური სფეროს კანონზომიერების უგულველყოფას გარემოსა და ადამიანთა მიმართებაში უზნეობად და სიმდაბლის ცნებად მიიჩნევენ. ფაქტობრივად კი იგი ორგანიზმის ცხოველმყოფელობის, ანუ სიცოცხლის კანონზომიერების ხელოვნური დამახინჯებაა და ინდივიდუმის ორგანიზმის სტრუქტურების ხელოვნური სივრცობრივ-პოზიციურობის დეფორმაციაა, ანუ **ადამიანი უზნეო მოქმედებით თვით ქმნის**

საკუთარი ფსიქოფიზიკური სტრუქტურების პათოლოგიის ჩამოყალიბების ჰომეოსტაზურ საფუძველს, რომელიც შემდგომში სტაბილური, ფსიქოლოგიური განწყობის, ანუ რეფლექსის სახით ყალიბდება და პიროვნება მიჰყავს ფიზიკურსა და ფსიქიკურ დაავადებამდე; ეს ფაქტორი, როგორც დაავადების ჩამოყალიბების შინაგანი პროცესი, რომელიც თვით პიროვნების ქცევითაა გამოწვეული (შეიძლება იგი იყოს გარეგანი ზემოქმედებით), მედიცინაში ჯერჯერობით არ არის აღიარებული და გაცნობიერებული, როგორც დაავადებათა პროფილაქტიკის და არიდების პრობლემა.

სოციალური კანონმდებლობის უხეში დარღვევა, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურების არასამართლებრივ მოქმედებაში გამოიხატება, ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური, კანონიერი ნების საწინააღმდეგო მოქმედება გენოციდის ფაქტორია, რომელიც ხელოვნურად ამახინჯებს სრულიად ჯანსაღი ადამიანების ფსიქოფიზიკური სტრუქტურების დრო-სივრცობრივ-პოზიციურობას და იგი სხვადასხვა ფორმის დაავადებათა ჩამოყალიბების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **დაავადების არიდებისა და პროფილაქტიკის მეთოდოლოგიაში უნდა იქნას შეტანილი სოციალური კანონმდებლობის, ანუ დემოკრატიული თავისუფლების დამახინჯების ფაქტების გათვალისწინება, როგორც დაავადების და სიკვდილიანობის მატების — გენოციდის ფაქტორი. ასევე პიროვნებათა არაფიზიოლოგიური, არაკანონზომიერი ყოფაცხოვრება და მოქმედება საკუთარი ორგანიზმის დაავადების საწინდარია.**

§5. ადამიანზე უარყოფითი ენერგოინფორმაციული ზემოქმედების გენოციდის ფორმები

ადამიანის ორგანიზმში ყოველდღიურად აქვს ადგილი უარყოფით ინფორმაციულ ზემოქმედებას — სოციალური, ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური, ეკოლოგიური, ფსიქოლოგიური სტრესის სახით. ერთჯერადი, ერთი სახის უარყოფითი ინფორმაციული ზემოქმედება ფსიქოფიზიკური სტრუქტურების მუტაცია მასტიმ-

ულირებლად ითვლება და ევოლუციური განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია. ხოლო კომპლექსური, ინფორმაციული, ეკოლოგიური, სოციალური, ბიოლოგიური და სხვა სახის ერთდროული უარყოფითი ინფორმაციების კომბინაცია ორგანიზმის სტრუქტურაში და უჯრედებში გამოუსწორებელ ორგანულ ცვლილებებს იწვევს, ხოლო ქრონიკული კომპლექსური სტრესი ინვევს როგორც ნერვულ, ისევე ფიზიკური სტრუქტურების დაზიანებას, უჯრედთა ინვოლუციას და მის ადგილას შემაერთებელი ქსოვილის განვითარებას. **ამიტომ მთელი რიგი ქრონიკული და მწვავე დაავადებები სხვადასხვა სახის უარყოფითი ინფორმაციით გამოწვეული უჯრედების დაზიანების შედეგია, მათ შორის სიბერე და სიბერის დაავადებები და სხვა.** საზოგადოებაში ამ ფაქტორს ბანალურად აღიქვამენ და არ ხდება იმის გაცნობიერება, რომ სხვადასხვა სოციალური, ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ფარმაკოლოგიური უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორები დაავადებათა განვითარების და ნაადრევი სიბერის მექანიზმში წამყვან როლს ასრულებს.

საზოგადოებაში გენოციდი ცნობილია როგორც ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, მასიური ხოცვა-ჟლეტა. გენოციდი ზოგადი ცნებაა და არსებობს მისი სხვადასხვა ფორმები, რომელსაც იწვევს ადამიანის ორგანიზმის ფსიქოფიზიკურ სტრუქტურებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ფიზიკური და ინფორმაციული ზემოქმედება. კერძოდ, არსებობს ინფორმაციული, ფიზიკური, ბიოლოგიური, სოციალური, რეკრეაციული, ქიმიური, ფარმაკოლოგიური, გეოფიზიკური და გეოქიმიური, ეკოლოგიური და სხვა მწვავე და ქრონიკული გენოციდის ფაქტორები.

ინფორმაციული გენოციდის სახეები შეიძლება იყოს: რადიო, ტელევიზია, კინო, მუსიკა, პრესა, ლიტერატურა, თეატრი, სექტები და ადამიანთა უშუალო უკანონო დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ზემოქმედება მეტყველებითი ურთიერთობა; ფიზიკური – ადამიანზე სხვადასხვა სახის ფიზიკურ ზემოქმედებათა ფორმები – ბიოლოგიური და ქიმიური გენოციდი – ფალსიფიცირებული კვების პროდუქტები (რაზედაც არაერთხელ იყო გაეროს სასურსათო კომისიის განცხადებები), არამეცნიერულ საფუძველზე გამოყენებული ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენების პირდაპირი და არაპირდაპირი მოქმედება.

სოციალური გენოციდი: ძალადობა, უკანონობა, ეგოიზმი, შიში, სილატაკე, მონური ფსიქოლოგია და მართვის სისტემაში გაბატონებული უხეში თვითმარქვია პიროვნებათა უზურპაციული თვითნებობა; მატერიალური დოვლათის არაკანონიერი განაწილება და მითვისება ერთეულ პიროვნებათა მიერ და სხვა სოციალური უსამართლობა. რეკრეციული გენოციდი: ზონის, ქალაქის, უბნის, სახლის, ბინის, ჰაერის და წყლის, ნიადაგის ჰიგიენური და რეკრეაციული ნორმების დარღვევა, ვიბრაცია, ხმაური.

ფარმაკოლოგიური: ნამლების გვერდითი მოქმედება (ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებულია ნამლების გვერდითი მოქმედების 13 კლასი. მათ შორის ტერატოგენური, ონკოგენური და სხვა).

გეოფიზიკური და გეოქიმიური: სხვადასხვა ანომალიური ზონები, რადიოაქტიური, ქიმიური, ელექტრული, მაგნიტური ზემოქმედების დედამიწის ქანების განლაგებასთან დაკავშირებით, მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა და სხვა.

ეკოლოგიური: პლანეტის ზოგადი ეკოლოგიური დაზიანების შედეგად.

ინფორმაციული გენოციდი, დღეს ფართოდ არის გამოყენებული საქართველოში ეროვნული სულიერების წინააღმდეგ. რომლის შესახებ მოგვყავს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო"-ში გამოქვეყნებული მასალები.

გენოციდი ადამიანის ორგანიზმზე პირდაპირი და არაპირდაპირი, შინაგანი და გარეგანი ინფორმაციული ზემოქმედებაა, რომელიც იწვევს ფსიქოფიზიკურ სტრუქტურებზე სივრცობრივ დეფორმაციას, ჰომეოსტაზის დარღვევას, რომელიც სხვადასხვა ფორმის პათოლოგიური მდგომარეობის საფუძველია.

§6. საქართველოში ინფორმაციული გენოციდის ანალიზი და მისი შედეგების აღკვეთის გზები

დღეს ქვეყანაში უკიდურესად მძიმე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა გვაქვს. მისი „გენეტიკური საფუძველი" წინასწარ ითვალისწინებს ეროვნული ფსიქოლოგიისა და მსოფლმხედველობის შეცვლას, დეგრადაციას და დაქუცმაცებას სხვადასხვა პოლიტიკური, რელიგიური, ნაციო-

ნალური, ეკონომიკური, კუთხური დაჯგუფებების, პარტიების, მიმდინარეობების, კასტების, სექტების, კლანების შექმნით. „ამ საქმეში ჩართულია ქართული და არაქართული გვარსახელებით და არაქართული დვრიტის და მსოფლმხედველობის ემისრები, რომლებიც წამყვან თანამდებობრივ და უნყებრივ შენაერთებს ხელმძღვანელობენ" (გაზეთი „ლიტ. საქართველო", 2000 ნ. 7,16,19,20,23,24 ,27,28,29). მათი მოქმედების პროგრამა ითვალისწინებს ეროვნული ფსიქოლოგიისა და მსოფლმხედველობის შეცვლას ე.წ. „დემოკრატიზაციის" ყალბი ფორმებით; სარწმუნოების, ენის, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის, ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების, ფოლკლორის და ეროვნული სულიერების დევალვაციას, პრესის, ტელევიზიის, რადიოს, კინოს და სხვა მასიური ზემოქმედების საშუალებებით. ასევე უცხოური სულისკვეთების – მუსიკის, ცეკვების, სექტების, სექსუალური მანიაკების, ჰომოსექსუალიზმის და პორნოგრაფიული ლიტერატურისა და სხვა ინფორმაციული საშუალებებით; ქვეყანაში გამეფებული ქაოსის, სიღარიბის, უმწეობის, უსამართლობის და სახელმწიფო მმართველ წრეებში ჩამოყალიბებული გაურკვევლობისა და წინააღმდეგობების პირობებში შექმნილია ეროვნულ ფსიქოლოგიაზე ზემოქმედების ნოყიერი ნიადაგი; სწორედ ამ შექმნილი სიტუაციის ფონზე ფაქტობრივად ისინი ადვილად მართავენ ადამიანის ცნობიერებასა და აზროვნებას, ცვლიან ხალხის, საზოგადოების, ერის ფსიქოლოგიასა და მსოფლმხედველობას და უნერგავენ არაქართულ მენტალიტეტს და გაუკუღმართებულ ცნობიერებას. თითქოს გამოსავალი იმაშია, რომ იყვნენ მშიერები, უმუშევრები, ღატაკები, უმწეონი, სექტანტები, ჰომოსექსუალისტები, მილიონერები და მილიარდერები, მკვლელები და მანიაკები.

ამ მიმართულებამ და ფსიქოლოგიამ ფეხი გაიდგა ბავშვებსა და ახალგაზრდებში (სარგებლობენ იმით, რომ დღეს სახელმწიფოს არა აქვს ჩამოყალიბებული მომავლის და დღევანდელი დღის მიმართულების თეორიული საფუძველი – პროგრამა, კერძოდ, რა გზით მივდივართ, სად მივდივართ, რას ვაკეთებთ ან რა უნდა გავაკეთოთ).

ამის საუკეთესო ნიადაგი ასევე არის ის, რომ დღეს გაჩანაგებულია მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, კურორტები, კულტურა, მეცნიერება, მიჭყლეტილია ინტელიგენცია და ერის

ინტელექტუალური სფერო. ფაქტობრივად დაწიხლულია ადამიანთა უფლებების დაცვის ცნობიერება და ამ დროს საზღვარგარეთ გაედინება ქვეყნის სტრატეგიული მატერიალური საფუძველი, შავი და ფერადი ლითონები, ხელოვნების ნიმუშები. ქვეყნიდან მიედინება ქართველობა, ნიჭიერი ახალგაზრდობა. იყიდება მორალი და ღირსება. ფული გახდა ღმერთი, ხოლო ღმერთსა და ქრისტიანობას გამოაცალეს საფუძველი ათასგვარი რელიგიური სექტების, ათასი ჯურის ანომალური და ამორალური მოქმედების ფსევდორელიგიური სნავლებით, რომელიც ძირფესვიანად ანგრევს, ასნეულებს ადამიანის ფსიქოლოგიას „აქცევს მას უსამშობლო, უმეგობრო, უსიყვარულო და უმომავლო ფიტულად" (გ. ბენაშვილი – „ლიტ. საქართველო" № 20, 2000 წ.).

ამის თვალსაჩინო დემონსტრაციაა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ერის მატერიალური, სულიერი მდგომარეობის, დინამიკის მრუდის კატასტროფული, არნახული სიჩქარის დაცემის ტენდენცია და დეგრადაცია.

პარადოქსია, მაგრამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოს თითქოს მთელი მსოფლიო ეხმარება, სისტემატურად მოედინება სხვადასხვა რანგის ჩინოსნები, პოლიტიკური ლიდერები, ბოსები, ემისრები, მილიონერები და მილიარდერები, ეხმარებიან საქართველოს მატერიალური და ჰუმანიტარული დახმარებების სხვადასხვა ფორმებით, პროექტებით, პროგრამებით, ვალუტით, კრედიტებით, საკვები პროდუქტებით, წამლებით, აპარატურა-მოწყობილობებით. მაგრამ დღემდე არავინ არ იცის (ყოველ შემთხვევაში ფართო საზოგადოებამ) რამდენი მილიონი და მილიარდი შემოვიდა საქართველოში და რაში იხარჯება ან ვისთვის იხარჯება, რა გაკეთდა? ფაქტობრივად ამ ფონზე ერის ეკონომიკური და მატერიალური დონე კატასტროფულად ეცემა. მათ შორის სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროები: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მეცნიერება, სამხედრო ძლიერება, ჯანდაცვა, საკურორტო საქმიანობა.

ისმება ლოგიკური კითხვა: **ამდენი მატერიალური, ეკონომიკური და სულიერი დახმარება რომ არ ჰქონოდა საქართველოს, მისი მატერიალური და მორალური მდგომარეობა უფრო დაბალი იქნებოდა, ვიდრე დღესაა? ფაქტი კი ის არის, რომ მიუხედავად ასეთი დიდი დახმარებისა, ერის**

მატერიალური და მორალური მდგომარეობა კანონზომიერი დაცემის მრუდით ხასიათდება.

ზემომოყვანილ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" და სხვა პრესის მონაცემებში მოცემულია დღეს საქართველოს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი. კერძოდ, დღეს სხვადასხვა უარყოფითი ინფორმაციული ზემოქმედებებით საზოგადოებაში მძვინვარებს **შიშის, უნდობლობის, უიმედობის, უმწეობის, უსამართლობის, უკანონობისა და განუკითხაობის სინდრომი. ანუ ეროვნული არასრულფასოვნების სინდრომი** და იგი, როგორც უარყოფითი ინფორმაციული ზემოქმედება, ადამიანის ფსიქოფიზიკურ სტრუქტურებზე გენოციდური ზემოქმედების ფაქტორია, ხოლო გენოციდის ზემოქმედებით ადამიანი თვით ხდება გენოციდის ინფორმაციის „გენერატორი", ე.ი. საზოგადოება ორმხრივი გენოციდური ინფორმაციის ზემოქმედებაშია. რადგან ყოველივე ეს მიმდინარეობს მძიმე სოციალურ პირობებში, საკვები პროდუქტების და სამომხმარებლო საგნების მასიური ფალსიფიკაციის ფონზე, **საზოგადოებაში ყალიბდება უპასუხისმგებლობის, ეგოიზმის, სიძულვილის ფსიქოლოგია და პიროვნება კარგავს საკუთარი მოქმედების კონტროლს, ანუ ორგანიზმის თვითმართვის დაუძლურების გამო პიროვნება ხდება უპასუხისმგებლო, ვერ აკონტროლებს ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სფეროების მოქმედებასა და ფუნქციონირებას. ამის გამო ორგანიზმის შინაგანსა და გარეგან სტრუქტურებში ყალიბდება ქაოსი, ანუ ორგანიზმის შინაგანი ბრძოლა, აგონია, ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სფეროებს შორის ურთიერთობა დეფორმირებულია, სტრუქტურების რაოდენობა-თვისებრიობა, დრო-სივრცობრივ-პოზიციურობა, მისი განზომილებები და ჰომეოსტაზური საფუძველი შეცვლილია,** რომელიც მოქმედებს გარემოსა და პიროვნებებზე უარყოფითად, ანუ როგორც აღინიშნა, ასეთი პიროვნება თვით ხდება გენოციდური ინფორმაციის ბაზა, ანუ აქტიური გენოციდის ფაქტორი. ამრიგად, ინფორმაციული გენოციდი მემკვიდრეობითი არასრულფასოვნების დაავადებების, სიკვდილიანობის მატების, მკვლელობის, თვითმკვლელობისა

და სხვა ბოროტების საფუძველია. ინფორმაციული გენოციდის პროფილაქტიკა მედიცინაში სტრატეგიული მნიშვნელობის პრობლემაა.

ინფორმაციული გენოციდი, როგორც ცნობიერებისა და აზროვნების შედეგი, პროგრესულად ვითარდება და თუ არ მოხდება მისი შეჩერება, ის უდიდეს ბიოლოგიურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ძვრებს გამოიწვევს (ისტორიაში ცნობილია უარყოფითი კომპლექსური ინფორმაციული ზემოქმედებით ფსიქოფიზიკური სტრუქტურების დეგრადაციის გამო ეროვნული სულიერების დაუძლურების საფუძველზე ადამიანთა მასიური ფიზიკური გენოციდი. უძველესი ტომები, რომლებიც გადაშენდნენ და დღეს არ დარჩა მემკვიდრეობა: ეტრუსკების, სკვითების და სხვების გადაშენების ისტორიულ მიზეზებს თუ გავითვალისწინებთ, იგი მოხდა არა მათი ფიზიკური განადგურებით, არამედ ფიზიკური განადგურების შიშისა და სხვა კომპლექსური, გენოციდური ინფორმაციების ზემოქმედებით).

უკანასკნელ წლებში საქართველოში, როგორც ჰუმანიტარული დახმარების სახით, ასევე სხვადასხვა **კომერციული კლანების მიერ შემოდიოდა და შემოდის ვადაგასული და ფალსიფიცირებული წამლები და საკვები პროდუქტები, სასმელები, სასოფლო სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და კოსმეტიკური საშუალებები, საწვავი და სხვა, რომლებიც ჰიგიენური ნორმებით დაუშვებელია გამოყენებისათვის, როგორც მწვავე ბიოლოგიური გენოციდის ფაქტორები. ამის შესახებ არაერთხელ იყო გაეროს სპეციალური განცხადებები, წერილები და გაფრთხილებები.**

დღეს მასიური ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით ადამიანთა გარკვეული ჯგუფებში სისტემატურად მიმდინარეობს საზოგადოების არაჯანსაღი ინფორმაციული გენოციდური ზემოქმედება იმის შესახებ, რომ საქართველოში ზენიტშია უსამართლობა, უკანონობა, ძალადობა, მომხვეჭელობა, კორუფცია, შიმშილი, ქურდობა, ამორალური მდგომარეობა, რაც სახელმწიფოს მართვის სისტემაში გამეფებული არაკომპეტენტურობის, უპასუხისმგებლობის და ეგოიზმის შედეგების ფინალია. ამიტომ საზოგადოება ფაქტობრივად იმყოფება ტოტალურ, უარყოფით ინფორმაციულ ზემოქმედებაში. ხოლო

თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი ტოტალური უარყოფითი ინფორმაციული ზემოქმედება მიმდინარეობს მოსახლეობის ფიზიკური გაუსაძლისობის ფონზე: შიმშილი, უმუშევრობა, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, ფალსიფიცირებული საკვები პროდუქტები, სასმელები, წამლები და სხვა, საზოგადოება ფსიქოფიზიკური სფეროების ტოტალური გენოციდური ზემოქმედების ფაქტორების ზეწოლაში იმყოფება.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე სიმართლეს შეეფერება, მსგავსი მასიური უარყოფითი ინფორმაციები ვერც მდგომარეობას გამოასწორებს და საზოგადოებისათვის მძიმე, უარყოფით ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას წარმოადგენს, რომელიც უკუმოქმედებით ხასიათდება და შექმნილია მანკიერი წრე, უარყოფითი ინფორმაციის დრეიფი, რომელიც იწვევს ადამიანთა ფსიქოფიზიკური სტრუქტურების დეფორმაციას, ანუ გენოციდურ ზემოქმედებას ადამიანზე.

ამიტომ დღეს საქართველოში ჯანდაცვის სისტემის და თითოეული მოქალაქის, საზოგადოებისა და სახელმწიფო სტრუქტურების პირველი რიგის ამოცანაა – უარყოფითი ინფორმაციული ზემოქმედების და ფალსიფიცირებული საკვები პროდუქტების, სასმელების, წამლების, კოსმეტიკური საშუალებების აღკვეთა. ქვეყნის აღორძინების საქმეში იგი ეროვნული სულიერებისა და ფიზიკური გადარჩენის პრობლემაა.

დღეს აუცილებელია შევაჩეროთ და შევამსუბუქოთ საზოგადოებაზე უარყოფითი ინფორმაციული ზემოქმედების ფაქტორების აქტივობა. მიზანშეწონილად მიმაჩნია შეიქმნას ინფორმაციული დაწესებულებათა და სტრუქტურების საკორდინაციო ეროვნული საბჭო, საქართველოს პრეზიდენტის დამტკიცებული დებულებით; ტელე-რადიო კორესპოდენტები, დიქტორები და ჟურნალისტები, რომელთაც უშუალოდ უხდებათ პროგრამების შედგენა და საზოგადოებრიობასთან კონტაქტი, განსაკუთრებულ შერჩევას საჭიროებს: სპეციალობის კვალიფიკაციის გარდა, ფსიქოლოგიურისა და სოციალურ-ეროვნული მსოფლმხედველობის საკითხების ღრმად ცოდნის მიხედვით საჭიროა მათი სერთიფიკაცია და

ლიცენზირება. ასევე მათი დიქცია, „ჰაბიტუსი", გარეგნობა, ჩაცმულობა და პიროვნებათა ბიოლოგიურ-ფსიქიკური მონაცემებიც უნდა შეეფარდებოდეს იმ დანიშნულებას რომელსაც ადამიანთა სულიერი სფეროს შეხებასთან აქვს საქმე. ზოგიერთი დიქტორების და კორესპოდენტების ქცევის, ჩაცმულობის და მეტყველების ფორმები არც ეთიკურია და არც ეროვნული, არც ინტერნაციონალური და ნაციონალური. ეროვნული სულიერების აღდგენისა და საზოგადოებაში იმედისა და მომავლის პერსპექტივის დამკვიდრებას დღეს ერის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და იგი არ უნდა გავიგოთ როგორც ვიწრო ნაციონალური ცნება (ჭეშმარიტი ნაციონალური ღირსების დემონსტრაცია ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიზმის საფუძველია). არ გვინდა ვიხმაროთ სიტყვა ცენზურა. მაგრამ არ შეიძლება საზოგადოებას მივაწოდოთ ყალბი და არამეცნიერული, არაეროვნული მენტალიტეტის, არაეთიკური ინფორმაციები. როდესაც საზოგადოებაში მძვინვარებს შიმშილის და უმწეობის ფსიქოლოგია და ქართველი კაცი დაზიანებულია სულიერად და ფიზიკურად, მასიური ინფორმაციის საშუალებები გამაჯანსაღებელი ზემოქმედებით უნდა ხასიათდებოდეს და პურის ძებნის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ სულიერი შიმშილი ერის გენოციდის ფაქტორია. საზოგადოებამ და მასმედიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ წინ აღუდგეთ უარყოფითი ინფორმაციების ზემოქმედებას ადამიანის ფსიქიკაზე.

საქართველოს მოსახლეობა უნდა იცნობდეს მსოფლიოს ხალხების ერებისა და სახელმწიფოებების ცხოვრებისა და ადათ-წესების თავისებურებებს. მაგრამ ამერიკული ან სხვა სახელმწიფოთა ცხოვრების წესის დამკვიდრების პროპაგანდა ასევე ცალკეული კლანებისა და სექტების ამორალური და არაკომპეტენტური პირადი ცხოვრების ამსახველი სხვადასხვა იაფფასიანი პროგრამების პოპულარიზაციას არ უნდა ეთმობოდეს განსაკუთრებული ყურადღება, როგორც ეს დღეს აღინიშნება.

რადიო, ტელევიზია, პრესის ძირითადი მიმართულებები უნდა ემსახურებოდეს ეროვნული ღირებულებებისა და ჯანსაღი იმედიანი შემრიგებლური ურთიერთობის ჩამოყ-

ალიბებას. არ არის ალბათ საჭირო ცალკეული ავანტიურისტების, ყაჩაღების სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებების მანიაკალური ამბიციურობისა და თვითნებობის დემონსტრაცია. არც თუ ისე იშვიათად ზოგჯერ გადმოცემებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მკვლელობებს, უკიდურეს ბოროტებათა ამსახველ ფილმებს და ფსიქიკურად შეშლილ პათოლოგიურ მანიაკალურ ადამიანთა მოქმედებისა და მათი გამოსვლების განხილვას, რომელსაც ახალგაზრდა თაობა ცხოვრების წესად იღებს.

იმისათვის, რომ მოხდეს ეროვნული ღირებულებების დამკვიდრება, ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას და მისი დევალვირებული რეპუტაციის აღდგენას. როდესაც საზოგადოება და პროფესიონალი ხედავს, რომ პროფესიას, კვალიფიკაციას და ცოდნას ღირებულება არ აქვს და იქ, სადაც სპეციალისტს და კვალიფიციური პროფესიონალის მოვალეობას ასრულებს შემთხვევითი, გაუნათლებელი, არაპროფესიონალი და უცოდინარი პიროვნება, იგი სწორედ გენოციდის ფაქტორია იმ ადამიანისთვის, რომლებმაც მთელი სიცოცხლე სპეციალობისა და კვალიფიკაციის ცოდნის ამაღლებას შესწირა, ხოლო ამის გამო ახალგაზრდობას ეკარგება სწავლის სურვილი. „თითქმის სრულიად მოისპო განათლება, რაც ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ჭარბი ოდენობით გამოიხატება. თითქმის აღარ არსებობს სერიოზული სპეციალობები“ (ჯემალ რატიანი, – „ლიტერატურული საქართველო“, № 36, 2000 წ.)

ადამიანების შეფასება უნდა ხდებოდეს მისი პროფესიონალური კვალიფიკაციით, ცოდნით, შრომისადმი ერთგულებით და ეროვნული, საერთაშორისო ღირებულებებით, პირადი ადამიანური ღირსებებით და არა მისი თანამდებობრივი, მატერიალური, ნათესაური და ძმაბიჭური მდგომარეობით. ნათესაობას და მეგობრობას პირადი ხარკი სჭირდება და არა სახელმწიფოსა და საზოგადოების ხარჯზე. პიროვნება, რომელიც პირად ინტერესებს სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა აყენებს, არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს სტრუქტურებში, რადგან იგი ეგოიზმით დაავადებულია და მკურნალობას საჭიროებს.

განსაკუთრებით მტკივნეულად იღებს საზოგადოება მთავრობისა და პარლამენტის ზოგიერთ წარმომადგენელთა ამბიციურობას, უცოდინარობას, უკულტურობას, ჩაცმულობას და ცრუ ინტელეგენტობას, ამპარტავნობას და გულცივობას.. პარლამენტისა და მთავრობის წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ იზოლირებული საზოგადოებისაგან, როგორც უმაღლესი კასტა. კერძოდ, პარლამენტი და მთავრობა თუ ხალხის მსახურია, მათი სამუშაო დროის ნახევარი უნდა ხმარდებოდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებსა და მოსახლეობის, დაწესებულებების, კოლექტივების მუშაობის გაცნობიერებას მათი ჭირ-ვარამის გაზიარებასა და დახმარებას.

ჯერ კიდევ ციცერონი აღნიშნავდა, რომ „მთავრობამ უნდა დაიცვას ღარიბი ადამიანების ინტერესები". ჯერჯერობით ამ ეშალონებში სუფევს კლანური მედიდურობის სულისკვეთება და ძმაბიჭური მონოპოლია, პერიფერიული, გეოგრაფიულ ზონებთან პროვინციული მიდგომის ფსიქოლოგია. საზოგადოებაში დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს პარლამენტსა და მთავრობაში მიილტვიან პიროვნებები, რომლებიც პირად გამდიდრებაზე უფრო „მოღვაწეობენ", ვიდრე, სახელმწიფოს და ხალხის კეთილდღეობისათვის, ე.ი. ხალხია მათი მსახური და არა ისინი — ხალხის. პარლამენტარებმა უნდა ისწავლონ ქცევის წესები, არ შეიძლება ტელევიზიით გადმოიცეს ზოგიერთი თავშეუკავებელი ემოციური დრამატიზმის მომენტები, როგორც იგი დღეს ხდება. პარლამენტარი უნდა იყოს კულტურის, ინტელიგენტობისა და ჭეშმარიტი ეროვნული სულისკვეთების პიროვნება, რათა აღდგენილი იქნას მათი დევალვირებული რეპუტაცია. საერთაშო-რისო კანონმდებლობიდან გამომდინარე, საზოგადოებას მიაჩნია, რომ მთავრობასა და პარლამენტში უნდა იყოს ყველაზე ღირსეული პიროვნებები, რომელთაც მინდობილი აქვთ ხალხის ბედ-იღბალი. ამიტომაც, პარლამენტართა და მთავრობის წევრების არაკომპეტენტურობა მძიმე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე; აქედან კი პარლამენტისა და მთავრობის რეპუტაციაზე, საზოგადოების ფსიქოლოგიურ განწყობაზე. ტყის მასიური უკონტროლო,

შეუზღუდველი გაჩეხვა, რაც დღეს საქართველოში ხდება რეგიონალურ ეკოლოგიურ კატასტროფას, დაავადებათა მატებასა და დემოგრაფიულ მაჩვენებლების გაუარესებას უმზადებს ქვეყანას (ხისტი და მინერალური წყლების შემცირება, კლიმატის შეცვლა, ქარიშხალი, ტროპიკული წვიმები, გვალვა, ფაუნის განადგურება, მოსავლის რაოდენობისა და ხარისხის შემცირება). მთავრობის მიერ მისი შემწყნარებლობა დანაშაულად მიმაჩნია დღევანდელი და მომავალი თაობის წინაშე. ყოველივე ზემოაღნიშნული ინფორმაციული გენოციდის ერთ-ერთი ფორმაა.

ქართული კაპიტალიზმი მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიაში უნიკალური გამოვლინებაა. კერძოდ, კაპიტალისტის და მილიონერის პროფესიონალური ღირსება იმაში გამოიხატება, რომ ის თავის მოღვაწეობას იწყებს საკუთარი შესაძლებლობის წვრილი ბიზნესიდან და გარკვეული წლების განმავლობაში (საშუალოდ 10-15 წელი) ხდება მილიონერი, ხოლო ქართველი მილიონერები, მათ შორის ქართველი მილიონერების ქონება, არა მათი ნიჭის დამსახურებაა, არამედ მთავრობის ხელშეწყობით ხალხის მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათისა და სიმდიდრის ქურდობისა და მიტაცება-მითვისების შედეგია. როდესაც 2-4 წლის განმავლობაში ერთი პიროვნება ხდება მილიონერი, ხოლო მეორე ქუჩის მათხოვარი, ეს არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება.

დღეს საქართველოში ჭეშმარიტი ინტელიგენცია — ერის ინტელექტი და აკადემიური სამყარო — მიჭყლეტილია, გაუფასურებული და დაწიხლული ასეთი ცრუ მილიონერების მიერ, ვინც არასწორი, არაპატიოსანი გზით გახდა უდიდესი ქონების მფლობელი; მათ შორის ნაკლებადაა ისეთი პიროვნებები, რომლებიც დაიკვეხნიან თავისი ბიზნესმენური ნიჭითა და უნარით (როგორც ბიზნესმენი თოფაძე და სხვები) ჰქონდეთ მოპოვებული სიმდიდრე. ამრიგად, ქართველ ბიზნესმენთა და მილიონერთა საქმიანობა, ანუ ქართული კაპიტალიზმი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს და მომავალი თაობა მას თავის ადგილს მიუჩენს, ჩვენ კი ვიხილავთ მას, როგორც უარყოფითი ინფორმაციული ზემოქმედების ფაქტორს, ადამიანებსა და

ახალგაზრდა თაობის ცნობიერებაზე არაჯანსაღი ზემოქმედების ფაქტორს, რომლის ფონზე შეუძლებელია ეროვნული სულიერების აღდგენა, საზოგადოების გაჯანსაღება და სამედიცინო დახმარების სრულყოფილი ეფექტურობის მიღება.

P.S. ქვეყანას ვერც კულტურა და ვერც მრეწველობა ვერ გადაარჩენს. ქვეყანას გადაარჩენს ბრძნული, ეროვნული აზროვნების ბაზაზე ჩამოყალიბებული სახალხო მეურნეობისა და კულტურის კანონზომიერი, ერთობლივი განვითარების დოქტრინა და მისი სახალხო განხილვით დაზუსტებული ყველა დარგის კონკრეტული შემოქმედებითი პროგრამა, კერძოდ, ვინ რა უნდა აკეთოს სიმართლის, ანუ კანონმდებლობის დაცვის საფუძველზე, როგორც ქვეყნის ყველა მოქალაქის ცხოვრების პროგრამა. კანონის უზენაესობის დამკვიდრების გარეშე ქვეყნის დანგრევა შეიძლება, აშენება კი არა.

§7. კომპლექსური გენოციდის პროფილაქტიკა, როგორც გაჯანსაღების და ეროვნული სულიერების აღდგენის ფაქტორი

30 საუკუნეზე მეტია, რაც არსებობს ქართული ერი და მისი სახელმწიფოებრიობა და მისი გენი არ გადაგვარებულა ისე, როგორც დღეს. საქართველო ყველა ერებისაგან გამოირჩეოდა იმით, რომ ქართული დიასპორა მცირე კუნძულების სახით გამოიყურებოდა მსოფლიოს მიგრაციულ და ემიგრაციულ სამყაროში. დღეს კი ქართული მიგრაცია საოცარი სისწრაფით მიმდინარეობს ახალგაზრდა თაობის ხარჯზე, მაშინ როცა საქართველოში შობადობის კოეფიციენტი კატასტროფულად ეცემა და კომპლექსური გენოციდური ინფორმაცია სულიერ და ფიზიკურ დეგრადაციას უქადის ეროვნულ ღირებულებებს.

იმისათვის, რომ აღდგეს ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის მენტალიტეტი, ქვეყანა რომ გამოვიდეს სულიერი და ფიზიკური დეპრესიის მდგომარეობიდან, საჭიროა: **ერის სულიერი და ფიზიკური აღორძინება; პირველ რიგში საჭიროა აღდგეს ადამიანთა „დეფორმირებული“ ფსიქოლოგიური განწყობა, ანუ დეფორმირებული ფსიქოფიზიკური სტრუქტურები, ადამიანთა შორის, მთავრობას, პარლამენტს და ხალხს შორის „ჩატეხილი**

ხიდი". მხოლოდ ამით შეიძლება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის ჭეშმარიტი ეროვნული ღირსებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება, ანუ ჯანსაღი ეროვნული და საერთაშორისო მსოფლმხედველობა, რომელიც საუკუნეებიდან მომდინარეობს და ქვეყნის სიძლიერის მთავარი ღერძია; უნდა აღვადგინოთ ქართული დიდბუნებოვნება, სხვა ერების და სახელმწიფოთა ღირსებისა და ადათ-წესების პატივისცემა და სოლიდარობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს საქართველოში ეროვნული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, ადათ-წესების, ფოლკლორის უგულვებელყოფას და პროამერიკული ან სხვა ქვეყნის ცხოვრების წესით შეცვლას. დაუშვებლად მიმაჩნია ზოგიერთი პოლიტიკური და სხვა სფეროს პიროვნებათა პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში მეზობელი ქვეყნებისა და, მათ შორის, რუსი ხალხის მაკომპრომენტებელი გამოსვლები, რომელიც ბუმერანგად გვიბრუნდება.

ეროვნული ღირსების მაკომპრომენტებელი იყო აფხაზეთის ომი და ომის დროს რადიოსა და სატელევიზიო რეკლამათა კორიანტელი, მილიონერთა აგარაკებსა და კურორტებზე გართობის, დასვენების და დროს გატარების პროპაგანდაზე, რომელიც საზოგადოებას უიმედობისა და უპასუხისმგებლობის ფსიქოლოგიას უნერგავდა.

საქართველოს, როგორც თვითმყოფადი უძველესი ინტერნაციონალური და ჰუმანური სახელმწიფოს კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა, ზნე-ჩვეულებები და ფოლკლორი ყველაზე ახლოსაა საერთო საკაცობრიო იდეალებთან, ე.ი. სამყაროს უზენაეს კანონზომიერებასთან და მისი დახვეწა, აღმავლობა ქვეყნის საერთაშორისო აღიარების კიდევ ერთი საფუძველია. ამავე დროს იგი შერყეული ეროვნული ღირებულებების აღდგენა და ამაღლება იქნება (ქართველობა და კავკასიელობა ღირსებად მიმაჩნია და არა ცრუ „ევროპელობა" და „ამერიკელობა").

საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, რომელსაც არასოდეს არ ჰქონია სხვა ერების დამპყრობლური პოლიტიკა და ამ მხრივ ჩვენ ყველაზე უცოდველი ერი ვართ. თუმცა ჩვენი ეს უნიკალური თვისება არ დაფასდა და საქართველოს ტერიტორიების ნაწილი – არა მარტო აფხაზეთი და სამაჩ-

აბლო — ჯერ კიდევ მიტაცებულია. სახელმწიფომ, მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური განვითარების პროგრამა (დოქტრინა), მიმართულება, მიზანი. ქვეყნის ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს სად მივდივართ, რა გზით მივდივართ და რა ამოცანა დგას თითოეული მათგანის წინაშე. სახელმწიფოს აღორძინების დოქტრინა უნდა იყოს კანონის დაცვის, სამართლიანობის აღდგენის და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შინაგანი წესი. იგი უნდა გახდეს ინფორმაციულ საშუალებათა და ყველა უწყების პროგრამა და სახელმძღვანელო.

ადამიანი მიზანდასახული აზროვნებით ხასიათდება; ამიტომ როდესაც წინასწარ გაცნობიერებულია მიზნის, იდეის შესრულების პროგრამა, მაშინ მისი შესრულება გაადვილებულია, რადგან ფსიქოფიზიკური სტრუქტურების განწყობას მიზნის შესრულებისათვის მთელი ორგანიზმის სტაბილურ-ფუნდამენტური, ფიზიოლოგიური ჰომეოსტაზი უძევს საფუძვლად. იდეის ხორცშესხმა შინაგანი მოთხოვნილებისა და მოწოდების საფუძველზე სრულდება; იგი, როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ფუნქციის განხორციელება, სიამოვნებას, სიხარულს და სიმშვიდეს სიცოცხლის სრულფასოვნებას ანიჭებს პიროვნებას; იდეის შესრულების პროგრამის წინასწარი გაცნობიერება ორგანიზმის თვითრეგულაციის იერარქიული მართვის დომინანტური ფაქტორი ხდება და ამუხრუჭებს შინაგანი და გარეგანი უარყოფითი ინფორმაციების ზემოქმედებას. იდეის პროგრამით გაცნობიერებული, მიზნობრივად შემართებული საზოგადოება ყველა პრობლემას ადვილად წყვეტს და იგი გენოციდის პროფილაქტიკის ანუ გაჯანსაღების ღონისძიებაცაა.

§8. ეროვნული ადათ-წესები და სახალხო დღესასწაულები, როგორც გაჯანსაღების ენერგოინფორმაციული (ანტიგენოციდური) ფაქტორი

ეროვნული ადათ-წესების, დღესასწაულების, ფოლკლორის რიტუალის შესრულებას ჩვენ ვიხილავთ არა როგორც გართობის ფორმას (სიტყვა „გართობა“ სიზარმაცის სინდრომია), არამედ

როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერი გაჯანსაღების, კომპლექსური ზემოქმედების ფაქტორს. როდესაც ადამიანი ზეიმობს, მღერის, ცეკვავს, ასრულებს რაიმე სადღესასწაულო რიტუალს, მისი ფსიქოფიზიკური სტრუქტურები ახალ სივრცობრივ-პოზიციურობაში გადადის და მას ახალი ენერგია ეუფლება. ამ დროს ყველა უჯრედებსა და სტრუქტურებში და მთელ ორგანიზმში გააქტიურებული და გაძლიერებულია ენერგია-ინფორმაციის შემოდინება-გადინება და ყველა უჯრედი და სტრუქტურა ფუნქციონირებს ოპტიმალურად, ორგანიზმი იწმინდება უარყოფითი ენერგოინფორმაციებისაგან. ადამიანს ეუფლება ფსიქოფიზიკური სტრუქტურების შინაგანი და გარეგანი თავისუფლება, კეთილი ბუნებაგანწყობილება, უძლიერდება შრომის უნარი, სიყვარულისა და სიკეთის გრძნობა, იბადება ახალი შემოქმედებითი ალღო და უძლიერდება დაავადების წინააღმდეგობის ანტიგენოციდური უნარიანობა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საჭმლის მიღების პროცესში მონაწილეობას ღებულობს ყველა გრძნობათა ორგანო და მთელი ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურები, რარიგ ღარიბი სუფრაც არ უნდა იყოს, კვების რიტუალის შესრულებას და კულტურას უდიდესი გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ ამ პროცესში ორგანიზმის ყველა ორგანოსისტემას და მომნელებელ ორგანოს ოპტიმალური განწყობა ეუფლება და ენერგოინფორმაციის ცვლა გაძლიერებულია და კუჭი, გული, ტვინი და ორგანიზმის ყველა ორგანო-სისტემები ერთად სხედან სუფრასთან, როგორც „კეთილი მეგობრები" და ყველა უჯრედი და ქსოვილი შინაგანსა და გარეგან თავისუფლების ან სტაციონარულ სივრცობრივ-პოზიციაშია, ორგანიზმში აღდგენითი პროცესები გააქტიურებულია და თვითრეგულაცია სრულყოფილად მიმდინარეობს. კვების აქტის დამთავრებისას ორგანიზმი საერთო მოდუნების, დასვენებისა და დამშვიდების ფაზაში გადადის და ინტელექტუალური და ფიზიკური აქტივობა ქვეითდება.

კვების რიტუალის კულტურა გულისხმობს ოპტიმალურად კეთილგანწყობილ სადღესასწაულო გარემოს შექმნას ოჯახის, საზოგადოებრივი დანესებულებისა და ან ბუნების პირობებში. ყოველივე ეს განსაკუთრებით აუცილებელია იმ პერიოდში, როდესაც ხალხს მატერიალურად და სულიერად უჭირს. იგი ყვე-

ლასათვის მისაწვდომი, უნივერსალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ენერგოინფორმაციული ზემოქმედების ფაქტორია.

ქართული სუფრა, როგორც უძველესი ეროვნული ძეგლი, ხალხური სიბრძნის უნიკალური მოვლენაა; იგი ცნობიერებისა და აზროვნების განვითარების, სწავლების, გაჯანსაღების, გაკეთილშობილების, დავაჟკაცების, პატრიოტიზმის, მეგობრობის და ჭეშმარიტი ქართველობის ფაქტორია. საჭიროა მისი დანიშნულების აღდგენა და იგი უნდა გახდეს ზეიმის, სიმღერის, ცეკვის, პოეზიის, მჭევრმეტყველების, დღესასწაულის, ბედნიერების, სწავლის, აღზრდის და ეროვნული სულიერების ჩამოყალიბების სკოლა და არა ლოთობისა და ღორმუცელობისა.

საკვები პროდუქტების და სასმელების მასიურმა ფალსიფიკაციამ გამოიწვია ქართული სუფრის დანიშნულების დევალვაცია, შეცვალა ადამიანთა ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ნორმალური დრო-სივრცობრივ-პოზიციურობა და ფსიქოლოგია, რამაც გამოიწვია ეროვნული ადათ-წესების დევალვაცია და ფალსიფიკაცია.

ადამიანი და ცხოველები ერთი და იგივე შემადგენლობის საკვებ პროდუქტებს ღებულობენ. ადამიანმა გააუმჯობესა და გააკეთილშობილა საკვები პროდუქტების მიღების ფორმა, გააჰუმანურა იგი, შემოიღო ადამიანური ღირსებისათვის შესაბამისი საკვების მიღების რიტუალი, როგორც ზეიმისა და ტკბობის რიტუალის სუფრა. რადგან საჭმლის მიღების პროცესში უშუალოდ მონაწილეობს მთელი ორგანიზმი და მისი ყველა გრძნობათა ორგანო. ბუნებრივია, რომ კვების რიტუალი ორგანიზმის ყველა უჯრედის ზეიმისა და დღესასწაულის რიტუალია, რომლის გაცნობიერებით ცივილიზებული ადამიანი განსხვავდება მისი პირველყოფილი წინაპრებისაგან.

საზოგადოებამ უნდა გაიცნობიეროს კვების რიტუალის უდიდესი მნიშვნელობა, როგორც კულტურისა და ეთიკის საწყისი და საფუძველი და ისიც, რომ ჩვენ გვინდა თუ არა, გაჯანსაღება და გაკეთილშობილება, საჭმლის მიღების რიტუალის კულტურით იწყება.

ადამიანს შეუძლია იშიმშილოს 40-50 დღემდე, მაგრამ ის შიმშილისგან არ იღუპება (იღუპება შიმშილის საშიშროების ფსიქოფიზიკური სტრესით).

ქართველი კაცის ძირითადი საკვები იყო და არის პური და ღვინო. „ზომიერად მიღებული ღვინო ძალიანა ჰრგებს ადამიანსა, ამღერებს და აღონიერებს ძარღვებს მოქმედებისათვის, ადამიანის აგებულებას, კუჭსა ჰშველის კარგად მოხარშვას და მონელებას საჭმლისას და ყოველ ამით აძლიერებს ძალასა საცხოვრისასა" (ილია ჭავჭავაძე).

ნატურალური ღვინო რაციონალური კვების ერთ-ერთი კომპონენტია და ალკოჰოლიზმის სანინააღმდეგო ფაქტორია. მისი დამზადების ტექნოლოგია და შენახვა უდიდესი ხელოვნებაა. ნიადაგის შერჩევა, დამუშავება, ვაზის დარგვა, გახარება, გაზრდა, მოვლა, მკურნალობა, გასხლვა, ყურძნის კრეფვის დროის შერჩევა, ღვინის დაყენება, მისი კონდიციამდე მიყვანა, შენახვა და დალევის კულტურა – არა მარტო ფიზიკური და ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობა და კულტურაა, არამედ უდიდესი ხელოვნება და მეცნიერებაა (ვაზის მოვლა, გაზრდა, გახარება ქართველმა კაცმა შვილის გაზრდის რანგში აიყვანა). ჭეშმარიტი მევენახე-მეღვინე მუშაკაცი, აგრონომიცაა, ტექნოლოგიც, ბიოლოგიც, დეგუსტატორიც და მისი ცნობიერება, ფსიქოლოგია, მსოფლმხედველობა, აზროვნების კულტურა განსხვავდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგის მუშაკაცის ფსიქოლოგიისაგან. არასწორი ტექნოლოგიითა და ფალსიფიკაციით ღვინოში აქტიური ბიოლოგიური სტრუქტურები დეგრადაციას განიცდის და იგი ორგანიზმზე მავნე მოქმედების ფაქტორი ხდება.

ნატურალური საკვები პროდუქტები და სასმელები ნატურალური ღვინო, კონიაკი, არაყი, სამკურნალო გამაჯანსაღებელი თვისებებით ხასიათდება იმ პრინციპით, რომ „ყველაფერი წამალია, ყველაფერი საწამლავია". „დოზა განაპირობებს წამლობის და საწამლავობის ზღვარს" (პარაცელსი). დღეს ქვეყანაში ალკოჰოლიზმი დღითიდღე მატულობს და იგი დეგრადაციისა და გენოციდის ფაქტორია, რაც საგანგაშოა.

აუცილებელია კვების პროდუქტების, ღვინის და არაალკოჰოლური სასმელების ფალსიფიკაციის სანინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. იგი უდიდესი სახელმწიფოებრივი პრობლემაა. **უნდა გავიცნობიეროთ, რომ ფალსიფიცირებული საკვები პროდუქტები, მათ შორის ღვინო, ალკოჰოლური**

და არაალკოჰოლური სასმელები, ერის ფსიქოფიზიკური გენოციდის ფაქტორია.

ჩვენი აზრით საჭიროა ეროვნული მსოფლმხედველობის, კულტურის, ენის, ფოლკლორის, ლიტერატურის, ხელოვნების, კვების რიტუალის, ადათ-წესების, საჭმლის მომზადების ტექნოლოგიის, ოჯახის შექმნის, სექსუალური კულტურის, პირადი და სოციალური ჰიგიენის, ფიზიკური და ინტელექტუალური შრომის, კულტურის სწავლება და ქართული ინტელექტუალური სიბრძნის საფუძველზე ადამიანთა სულიერი და ფიზიკური აღზრდა გაჯანსაღების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, მისი საჯარო განხილვა და გავრცელება სკოლამდელი, სკოლის, სასწავლებლების და სამკურნალო-საპროფილაქტიკო დაწესებულებათა მეთოდურ სახელმძღვანელოდ.

ასეთი დანიშნულების ერთადერთი კერა შექმნილი იყო საბაზო სანატორიუმ „ლიკანში" ე.წ. სადიაგნოსტიკო, სამკურნალო, სამეცნიერო-სასწავლო საპროფილაქ-ტიკო-სარეაბილიტაციო და გაჯანსაღების ეროვნული სკოლა-უნივერსიტეტის ფორმირებით. მკურნალობა-დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკა-რეაბილიტაციის პარალელურად ტარდებოდა ადამიანთა მორალურ-ზნეობრივი აღზრდის ეროვნული კულტურისა და ღირსების, ცხოვრების ჯანსაღი წესების, ხელოვნების ლიტერატურის, ფოლკლორის, ეროვნული ადათ-წესების, სხვადასხვა პროფესიული სპეციალობის, ჰუმანიტარული და ტექნიკური მეცნიერების, ხელოვნების (ხატვა, ძერწვა, ქანდაკება, კერვა, ქარგვა, ქსოვა), მსოფლიო ხალხთა კულტურის, ფილოსოფიის, მუსიკის და სხვათა გაცნობიერება და სწავლება. ამ მიზნით ტარდებოდა სხვადასხვა საჯარო ღონისძიებები: სამეცნიერო, პრაქტიკული, სიმპოზიუმები, კონფერენციები, დისკუსიები, თემატიკური საღამოები, სემინარები, მოკლევადიანი კურსები, იუბილეები, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, საჯარო განხილვები, კამათი, კინოფილმებისა და ფერადი სლაიდების დემონსტრაცია, ლექცია, საუბრები, განსჯა ადამიანთა და ახალგაზრდა თაობის აღზრდის სხვადასხვა ეფექტური საშუალებების ჩატარებით. ამ ღონისძიებებში ერთობლივად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ეროვნების თანამშრომლები და პაციენტები. იგი ემსახურებოდა 1200 სტაციონარულ ავადმყოფს და 880 თანამშრომელს და მსუ-

რველებს სხვადასხვა სამედიცინო და სხვა დანესებულებებიდან. ამ ღონისძიებებზე ხდებოდა ადამიანის და მისი ყველა გრძნობათა ორგანოების გაჯანსაღებისა და ფიზიოლოგიური პარამეტრების აღდგენა, ანუ ეს იყო გაჯანსაღებისა და ადამიანთა სოციალური სფეროს კანონზომიერებათა სწავლა (რომელიც აუცილებელია ღირსეული, განათლებული და ჯანსაღი მოქალაქისა და პიროვნების ჩამოყალიბებისათვის).

ყოველი ზემოაღნიშნულის გაცნობიერებისათვის „სკოლა–უნივერსიტეტის" პროგრამა შედგენილი იყო ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების გაჯანსაღებისა და გაკეთილშობილების მეცნიერულ საფუძველზე. მისი დანიშნულება იყო მკურნალობის პროცესში სანატორიუმში ეგოიზმის სინდრომისა და სხვა დაავადებათა მკურნალობა პროფილაქტიკისა და ადამიანთა გაპუმანურების, გაკეთილშობილების, გაცივილიზირების ღონისძიება. იგი ფუნქციონირებდა 1948 წლიდან, როგორც სადიაგნოსტიკო-სამკურნალო-სამეცნიერო-სასწავლო სკოლა– უნივერსიტეტი. ენთუზიასტთა მიერ მატერიალური, ინტელექტუალური ძალებით შექმნილი ორგანიზაცია, სტატუსის მინიჭების ნაცვლად, დარბეულ იქნა. მისი აღდგენა ეროვნული მნიშვნელობის საქმედ მიგვაჩნია.

§9. გარემოს როლი ადამიანთა ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში და მისი გამაჯანსაღებელი მოქმედების მექანიზმი

როგორც მეოთხე თავში განვიხილეთ, რამდენად მრავალფეროვანი და მრავალგანზომილებიანია გარემო – ბუნება, ლანდშაფტი, რელიეფი (დაბლობები, მთა-გორები, ალპური ზონები, ზღვები, მთები, ტბები, მდინარეები დედამიწის ქანების არქიტექტონიკა, გეოქიმიური სტრუქტურა და შემადგენლობა) – იმდენად მრავალფეროვანია კლიმატური ზონები და რეგიონები, მეტეოროლოგიური ფაქტორები, მზის რადიაცია და ელექტრომაგნიტური ტალღების პარამეტრები, ცხოველთა და მცენარეთა სახეობები, ყვავილები და სხვა (სასოფლო-სამეურნეო კულტურები), იმდენად მრავალფეროვანია ბუნების სილამაზე, მშვენიერება, ფერები, ბგერები, არომატული კომპონენტები, მათი რაოდენობა-თვისებრიობა და გარემოს ენერგოინფორმაციული

ზემოქმედება ადამიანებზე. რომელიც, როგორც ევოლუციური განვითარების საფუძველი აყალიბებს სხვადასხვა ფსიქოფიზიკური სტრუქტურების პიროვნებებსა და პოპულაციებს (სხვადასხვა ემოციების, ტემპერამენტის, გარეგნობის, სულიერი სამყაროს ადამიანთა ჯგუფებს) და იმდენად მრავალფეროვნად მიმდინარეობს მათი ევოლუციური განვითარება, ფსიქოლოგია, მსოფლმხედველობა, ინტელექტუალური დონე, მეტყველების ფორმები, ადათ-წესები, ხელოვნება და სხვა.

მუსიკა, ცეკვა, ფოლკლორი გარემოს ზემოქმედების აზროვნებითი წარმოსახვის რთული ფორმებია; კერძოდ, მელოდია გარემოს ბგერების განვითარებული წარმოსახვის რთული აზროვნების პროცესია, რომელიც ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობით რეალიზდება; ასევე რეალიზდება ცეკვა მელოდიის წარმოსახვაა ფსიქოფიზიკური სტრუქტურების მოძრაობის ფორმებით, გრაციით. რამდენად რთული მოძრაობებით ანუ რამდენად მრავალსახეობის ფიზიკური სტრუქტურების მონაწილეობით და დრო-სივრცობრივი პოზიციურობის მოძრაობის სიხშირის განზომილებებით სრულდება იგი, იმდენად რთული აზროვნების პროცესია და იმდენად მდიდარია მისი დადებითი ზემოქმედება გარემოზე და ცოცხალ არსებებზე და მისი გამაჯანსაღებელი, გამაბედნიერებელი მოქმედება პიროვნების ფსიქოემოციურ სფეროზე და იმდენად ნაკლებია გენოციდური ინფორმაციების ზემოქმედება პიროვნებაზე, რაც სიჯანსაღის საფუძველია.

რამდენად მრავალფეროვანი და მრავალგანზომილებიანია მელოდია, იმდენად მრავალფეროვანია ბგერების აღქმის აზროვნების განვითარების და წარმოსახვის ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობა, ანუ რამდენად რთული და მრავალფეროვანია მუსიკალური ბგერები, იმდენად მრავალგანზომილებიანია მისი შესრულების დიაპაზონი და ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სივრცობრივი პოზიციურობა; სიმღერა და ცეკვა, **როგორც ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთიანი შემოქმედება, რთული აზროვნებითი მეტყველებაა, რთულ მოძრაობის ფორმებში** და მისი დიფერენცირებული წარმოსახვისათვის საჭიროა ფართე დიაპაზონის ცნობიერება, აზროვნება და ფიზიკური სტრუქტურების რთული მოძრაობები. ყოველივე ეს **ადამიანის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ინფორმაციული განვით-**

არების საფუძველია და ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებში აზროვნების, კულტურის, მუსიკალურობის, ლიტერატურის, ხელოვნების, ფოლკლორის და სულიერი სამყაროს მრავალფეროვნების ჩამოყალიბების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგებია ასე ერთსულოვნად რატომ აღიქმება სხვადასხვა ეროვნების, ფსიქოფიზიკური და ინტელექტუალური დონის ადამიანთა საზოგადოებაში ქართული კულტურა, ქორეოგრაფიული და პოლიფონიური სიმღერა, ფოლკლორი, ადათ-წესები, ხელოვნება, ლიტერატურა და სხვა. **ჩვენი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული კულტურა, ხალხური სიმღერა, ცეკვა, ფოლკლორი, ადათ-წესები, ხელოვნება და ლიტერატურა ყველაზე ახლოსაა საერთო საკაცობრიო მსოფლმხედველობით იდეალებთან.** ალბათ, საჭიროა ქართული ეროვნული ქორეოგრაფიისა და პოლიფონიური სიმღერის, ფოლკლორის, ლიტერატურის, ხელოვნების, პოეზიისა და ადათ-წესების, გენეტიკური ჩამოყალიბების თეორიული საფუძვლის მეცნიერული შესწავლა.

ჩვენ ამ საკითხს ვიხილავთ, **როგორც ადამიანთა გამაჯანსაღებელი ზემოქმედების ფაქტორებს, ანუ მრავალფაქტორიანი და უნივერსალური სამკურნალო საპროფილაქტიკო ზემოქმედების საშუალებას, ანუ ზოგადი მოქმედების სამკურნალო ფაქტორს, რომელიც ყველა გრძნობათა ორგანოებზე, მოძრაობის ყველა ფორმებზე მოქმედებს და არა აქვს გვერდითი მოქმედება.** მისი მოქმედების მექანიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც ადამიანის ფსიქოფიზიკურ სტრუქტურებზე რთული ენერგოინფორმაციული ზემოქმედება ფერების, ბგერების და სხვა ფაქტორების სახით, რომელსაც ფიზიკური და ფსიქიკური სტრუქტურები გადაყავს მრავალგანზომილებიან ვირტუალურ ფაზაში რხევათა ამპლიტუდის დიდი დიაპაზონით, რთული მოძრაობის დრო-სივრცობრივ-პოზიციურობის პარამეტრებზე. მისი დრეიფი ორგანიზმის ყველა უჯრედსა და სტრუქტურებზე იმდენად ძლიერი მოქმედებით ხასიათდება, რომ აქტიურდება ენერგოინფორმაციის შემოდინება-გადინება. იგი, როგორც ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ემოციური, ფიზიკური ტრენინგი, ააქტიურებს ორგანიზმის თვითწმენდას, უარყოფითი ენერგოინფორმაციისაგან და ორგანიზმი ღებულობს ახალი გან-

ზომილების ცნობიერებას. ცნობიერება აზროვნების პოლიგონია, ხოლო აზროვნების განვითარება, როგორც ორგანიზმის თვითმართვის მთავარი „კოორდინატორი", თვითრეგულაციის გაძლიერების გზით იწვევს ორგანიზმის გაჯანსაღებას.

§10. კომპლექსური გენოციდური ფაქტორები და ჰეროსტრატები – კურორტის მართვის სისტემაში

რადგან წინამდებარე შრომა შესრულებულია კურორტ ბორჯომში ჩვენი სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის პერიოდში დაგროვილი ფაქტებისა და მასალების ინტერპრეტაციის საფუძველზე, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მოკლედ წარმოგვედგინა ბორჯომის საბაზო სანატორიუმ „ლიკანის" უკანასკნელი პერიოდის მართვისა და სამედიცინო მუშაობის მოკლე ანალიზი, როგორც ადამიანთა ფსიქოფიზიკურ სტრუქტურებზე გენოციდური მოქმედების ფაქტორი.

საკურორტო საქმიანობა ყველაზე მგრძნობიარე სფეროა, რომლის „ჯადოსნურ" სარკეში კარგად ირეკლება ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალური, ეკონომიური და სულიერი მდგომარეობა. ქვეყნის უწყებებისა და დაწესებულებათა მართვის კულტურა, კვალიფიკაცია და მსოფლმხედველობა.

საბაზო სანატორიუმ „ლიკანის" კოლექტივისადმი რესპუბლიკური და ბორჯომის კურორტის საბჭოში მოკალათებული ეგოისტური სინდრომის ადამიანთა უზურპაციული და ნეგატიური დამოკიდებულების, თვითნებობისა და ძალმომრეობის შედეგად განითესა კვალიფიციური სპეციალისტები, ფეხქვეშ გაითელა ეროვნული სულიერების მნიშვნელობის წამოწყებები და მომავლის პერსპექტივები; პიროვნებები, ვინც ამ ბოროტებას ჩადიოდა, ერის და სახელმწიფოს მტრებად მესახება; თუგინდ ის ფაქტი, მაშინ როცა სამეცნიერო და სამედიცინო მომსახურეობისა და სამეურნეო, ეკონომიური მონაცემებით საბაზო სანატორიუმი ლიკანი ყოველწლიურად გამარჯვებული გამოდიოდა საკავშირი და რესპუბლიკურ სოც.შეჯიბრებებში და ე.წ. საკავშირო დათვალიერების კომისიის შეჯამებით ყოველწლიურად ღებულობდა საპრიზო ადგილებს და ჯილდოებს (გარდამავალ დროშას, დიპლომს, სიგელს, ფულად პრემიებსა და სხვა წახალისებე-

ბს), მის ორგანიზატორს — მთავარ ექიმს უსაფუძვლოდ 7 სასტიკი საყვედური, უნდობლობა (ყველა სახის ნომენკლატურული სასჯელი) ჰქონდა გამოცხადებული და უსაფუძვლოდ სამჯერ იყო განთავისუფლებული თანამდებობიდან, პირველად დიეტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მეთოდური ცენტრის ჩამოყალიბებისათვის, მეორედ 1989 ნ. როცა არსებული კანონმდებლობის საფუძველზე სანატორიუმის კოლექტივი გამოვიდა ბორჯომის კურორტთა დაქვემდებარებიდან, შეიქმნა დამოუკიდებელი სამეურნეო ანგარიშიანი სააქციონერო, საარენდო ფირმა „ლიკანი" ენთუზიასტთა მიერ შექმნილ სადიაგნოსტიკო-სამკურნალო, სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის სამეცნიერო სტატუსის მინიჭების მიზნით, მესამედ კი 1993 ნ. ლტოლვილთა განსახლების ოპტიმალური ვარიანტის ნერილობითი წინადადებისათვის.

მართვის სისტემაში ეგოიზმის, ძალადობის, უკანონობის, უზურპაციისა და ამბიციოზის, დევნის, არაკომპეტენტურობისა და არაპროლფესიონალიზმის ეტალონია პროფსაბჭოს კურორტთა მართვის სისტემებში მოკალათებული თვითნებობისა და უსამართლობის მაფიოზური სტრუქტურები, რომელმაც გაჩანაგებამდე მიიყვანა საქართველოს კურორტები — ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის სფერო, კერძოდ, კურორტი ბორჯომი და საბაზო სანატორიუმი „ლიკანი". ფაქტების დამადასტურებელი მოკლე აღწერილობა თან ერთვის, ხოლო მასალები ინახება საბაზო სანატორიუმ „ლიკანში". აქვე მოგვყავს ქართველი „ჰეროსტრატების შემოქმედების" კონკრეტული ფაქტები სანატორიუმის კოლექტივის მიმართ (იხ. დანართი I,II,III,IV,V).

I. გააუქმეს:

1. *თერაპიული, კლინიკური განყოფილება 150 საწოლზე.*
2. *ქირურგიული-კლინიკური განყოფილება 50 საწოლზე.*
3. *საოპერაციო და მისი შტატი.*
4. *ექსპერიმენტული, ფიზიოლოგიური ლაბორატორია (შექმნა პროფ. ა. ბაკურაძემ).*
5. *ჰისტომორფოლოგიური და ულტრა-სტრუქტურის გამოკვლევის ლაბორატორია, რომელიც შეიქმნა და ფუნქციონირებდა ენთუზიასტთა შემოქმედებით*

6. 1978 წ. გასტროფიბროსკოპისტის, დუოდენოსკოპისტის და კოლონოსკოპისტის შტატი (1967 წელს შეიქმნა და ფუნქციონირებდა 1976 წლამდე ენთუზიაზმზე).
7. საბაზო სანატორიუმის ორგმეთოდმუშაობის შტატი (3 ექიმი, 2 მედდა).
8. დიეტოლოგიის სასწავლო-მეთოდური ცენტრი.
9. მაღალკვალიფიციური კონსულტანტების, 8 პროფესორისა და ვიწროსპეციალობის კონსულტანტთა (ოტოლარინგოლოგიის, გინეკოლოგიის, ნერვოპათოლოგიის, ქირურგიის, ოკულისტის და სხვა) ფინანსირება. (ფინანსირება ხდებოდა სანატორიუმის მოგების ფონდიდან).
10. ე.დვალიშვილის ინიციატივით შექმნილი სპეციალიზებული დიაბეტური განყოფილების შტატი.
11. I საძილე კორპუსის, სადაც ერთდროულად მკურნალობდა 380 ავადმყოფი უფროსი ექთნის, დიასახლისის და დიეტექთნის შტატები, მაშინ, როცა 100-200 საწოლზე ყველა სანატორიუმი დაკომპლექტებული იყო ამ თანამდებობებით.
12. კურორტოლოგიის ინსტიტუტის გასტროენტეროლოგიური სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი.
13. „გაუზბაკის" ფირმასთან მთავარი ექიმის ინიციატივით დადებული ხელშეკრულება სანატორიუმის ტერიტორიაზე 12 კოტეჯის ჩადგმის შესახებ.
14. სააქციონერო-საარენდო ფირმა „ლიკანი" (რომლის მუშაობის პერიოდში თანამშრომელთა ხელფასი გადიდდა სამჯერ).
15. გაცვლითი ტურიზმის ხელშეკრულება საზღვარგარეთის ქვეყნებთან: იუგოსლავია, ავსტრია და ბულგარეთი, რუმინეთი.
16. 27 წლის ფუნქციონირების შემდეგ სტატუსის მინიჭების ნაცვლად დაარბიეს ენთუზიასტთა მიერ შექმნილი უნიკალური სადიაგნოსტიკო-სამკურნალო, სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი, სკოლა-უნივერსიტეტი.

II აიკრძალა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

1. გასტრობიოფსიის და ულტრასტრუქტურის გამოკვლევის მეთოდი, ჰისტომორფოლოგიური დიაგნოსტიკა, რომელიც 1966 წელს ენთუზიაზმზე შეიქმნა და ფუნქციონირებდა.

2. კუჭის, 12 გოჯას და ნაწლავების უწყვეტი მორწყვა-გამორეცხვის საკუთარი მეთოდი, რომელიც უსასყიდლოდ ემსახურებოდა ავადმყოფებს. (საკუთარი გამოგონება).
3. ენდოსკოპიური გამოკვლევა, ცისტოსკოპია, გასტროსკოპია, კოლენოსკოპია, ეზოფაგოგასტროფიბროსკოპია — რომელიც 1967 წლიდან ენთუზიაზმზე შეიქმნა და ფუნქციონირებდა. გაუქმდა საქკურსაბჭოში ე.წ. „შავი პოლკოვნიკების" მუშაობის პერიოდში ვალერიან ვადაჭკორიას მიერ.
4. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფასიანი სამედიცინო მომსახურეობა (გ. ლოთუაშვილის განკარგულებით).
5. ცენტრკურსაბჭოს და პროფსაბჭოს დადგენილების საფუძველზე სამედიცინო კოოპერატივის შექმნა „სანატორიუმ ლიკანი"-ს ბაზაზე.
6. სანატორიუმის X სამეც. პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება 1990 წ.
7. სააქციონერო-საარენდო ფირმა „ლიკანის" მუშაობა.

III ძალადობით, უკანონოდ ჩამოერთვა სანატორიუმს საკუთრება და გადაეცა სხვადასხვა დაწესებულებებს და პიროვნებებს.

1. კლუბის მშენებლობაში უხეში დარღვევების გამო ნალექებით ზიანდებოდა დარბაზები და შენობა. მთავარი ექიმის ინიციატივით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. ჩხეიძის მიერ კლუბის გადასახურავად გამოყოფილი 50 ტ. თუნუქი მიითვისა ბორჯომკურსაბჭომ, კლუბი კი ინგრევა.
2. 1500 მ² სათბურის, ბარდიურების და ტერიტორიის განათების დანადგარები გადმოგვცა საკავშირო ჩარხმშენებლობის სამინისტრომ ოდესის ცენტროლიტის ქარხნიდან რომლის დამონტაჟება აეკრძალა სანატორიუმს (გადაეცა სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანს", სადაც დამონტაჟდა ბარდიურები, სასათბურე და ტერიტორიის განათება).
3. კოლექტივის ინიციატივით მიზნობრივად გამოყოფილი უნგრული რადიო-იზოტოპური გამოკვლევის დანადგარი. გადასცეს ცენტრალურ რესპუბლიკურ საავადმყოფოს 1967 წ. (საქკურსაბჭო).

4. ავტობაზა და მისი შენობა-ნაგებობები, ტერიტორია. (ბორჯომკურსაბჭო).
5. სანატორიუმის კოლექტივის წერილობითი მოთხოვნა: სანატორიუმის ტერიტორიიდან ავტობაზის, სამშენებლო ორგანიზაციების და ბენზინის საცავების გატანის შესახებ, როგორც ეკოლოგიური და ეპიდემიოლოგიური წესებით აკრძალული იყო /1979 წლიდან/, 1989 წელს მიღწეული იქნა სანატორიუმის ტერიტორიიდან ავტობაზის გადატანა (სოფელ ლარებში) და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების (სოფელ დვირში). ბორჯომკურსაბჭოს განკარგულებით 3 თვის შემდეგ ისევ დააბრუნეს სანატორიუმის ტერიტორიაზე (შენობა-დანადგარები გაიყიდა კერძო პირებზე), სადაც დღემდე ფუნქციონირებს სადურგლო, ავტოსარემონტო, მინერალური წყლის ჩამომსხმელი და სხვა საამქროები, ფლობენ სანატორიუმის ტერიტორიას, სანატორიუმი კი იხდის მიწის გადასახადს.
6. „მორო ზოვის" წყალსადენი, რომელიც დღემდე სანატორიუმის ბალანსზე ირიცხება და უსასყიდლოდ სარგებლობს კოოპერატიული სახლი (ბორჯომკურსაბჭოს მხარდაჭერით).
7. საბაზო სანატორიუმის მთავარ ექიმს ემსახურებოდა 25 წლის ამორტიზირებული ავტომანქანა. მთავარ ექიმის ინიციატივით ცენტრკურსაბჭოს მიერ მიზნობრივად სანატორიუმის ბალანსზე გამოყოფილი ავტომანქანა — „ნივა" ჩამოერთვა და გაიყიდა კერძო პირზე.
8. ექიმთა საბინაო ფონდი 25 ბინა.
9. ორანჟერეა, მისი ტერიტორია, შენობა-დანადგარები. (ბორჯომკურსაბჭომ მიითვისა).
10. მთავარი ექიმის ინიციატივით მიზნობრივად გამოყოფილი ექოკამერა საქკურსაბჭომ გადასცა კურორტის პოლიკლინიკას, ხოლო მიზნობრივად გამოყოფილი დუოდენოსკოპი — თბილისის საავადმყოფოს /ცეკას ჩარევით დაგვიბრუნეს/.

IV უარყოფილი, იგნორირებული იქნა უკანონოდ, უსაფუძვლოდ.

1. საკუთარი ხარჯით (68 ათასი მანეთი) შექმნილი უნიკალური სადიაგნოსტიკო-სამკურნალო-სარეაბილიტაციო, სამ-

ეცნიერო სასწავლო ცენტრის (8 ლაბორატორია, 24 სადიაგნოსტიკო, 42 სამკურნალო კაბინეტი). სტატუსის მინიჭებისათვის არაერთგზის წარდგენილი მასალები უარყოფილი იყო, მაშინ, როცა პროფსაბჭოს სანატორიუმების ბაზაზე ფუნქციონირებდა სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები ბათუმში, გაგრაში, წყალტუბოში, ლიტვაში, ლატვიაში, ვორონეჟში, სარატოვში, ნოვოსიბირსკში და სხვაგან, ხოლო ოდესის სანატორიუმ „ლერმონტოვსკაიას" ბაზაზე 30 წელია უკრაინის კურორტოლოგიის ინსტიტუტი.

ა) სამკურნალო, სარეაბილიტაციო, სამეცნიერო განყოფილების შექმნის მინისტრთა საბჭოს დადგენილება. გამოყოფილი იყო 370 ათასი მანეთი თბილისის თერაპიის ინსტიტუტის ანგარიშზე.

ბ) მინისტრთა საბჭოს და ცკ-ას ერთობლივი დადგენილება 690-1976 წ. დამოუკიდებელ სამედიცინო დაწესებულების შექმნის შესახებ.

გ) კურორტის საკვლეო-სამეცნიერო ლაბორატორიის /ნილკ/ შექმნის წინადადება.

დ) უწყებათაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული გაერთიანების /მონპო/ შექმნის წინადადება.

ე) სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის /1983 წ-დან/ არაერთი მოთხოვნა არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. სადიაგნოსტიკო-სამკურნალო-სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის სტატუსის მინიჭებისათვის.

ვ) მართვის სტრუქტურის შეცვლის რამდენიმე ვარიანტი: სამედიცინო-სამეცნიერო-სასწავლო კომპლექსი „ლიკანი" სამედიცინო-სამეცნიერო-სამეურნეო გაერთიანება და სხვა.

ზ) გამოთვლითი ცენტრის და ტექნოლოგიური საამქროს საერთო, საკურორტო სამსახურში ჩაყენების ღონისძიება.

თ) გამოთვლითი ცენტრის, ინჟინერ-პროგრამისტის შტატის შემოღება (უმაღლესი კვალიფიკაციის ინჟინერ-პროგრამისტი გაფორმებული იყო დამლაგებლის თანამდებობაზე).

2. ცეკასა და უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის გატაწყვეტილებით სანატორიუმი დაჯილდოვდა შრომის ნითელი დროშის

ორდენით, მაგრამ კურორტთა მართვის საბჭოს მესვეურებმა ჩაშალეს სანატორიუმის 50 წლისათვის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიება. მასალები მთავარი ექიმის მიერ შეგროვილი იყო ომის პერიოდის თანამშრომლების, სანატორიუმის მშენებლობის მთავარი ინჟინრის ტამარინის, ლენინგრადის სახელმწიფო არქივების და თავდაცვის სამინისტროს მუზეუმიდან.

3. კოლექტივის დეკლარაცია კურორტთა მართვის სტრუქტურის შეცვლის შესახებ.
4. სანატორიუმის განვითარების პერსპექტიული გეგმა.
5. ექოდიაგნოსტიკის მეთოდის ასათვისებლად ექიმის სამუშაო ადგილზე გაგზავნა. იძულებული ვიყავით საკუთარი ხარჯით გაგვეგზავნა ექიმი მოსკოვში.
6. ექოსკოპიის საშტატო ერთეულის გამოყოფა. კაბინეტი 5 წელი მუშაობდა ექიმის შტატის გარეშე.
7. კვების ტექნოლოგიური საამქროს ტექნოლოგიის შტატის დამტკიცება სანატორიუმის არსებული საშტატო ერთეულებიდან.
8. იმუნოლოგიური ლაბორატორიის, შიდსის ლაბორატორიის შტატით დაკომპლექტება (ლაბორატორიები შექმნილი იყო მოსკოველი კოლეგების დახმარებით).
9. საბაზო სანატორიუმში საქმის მწარმოებლის შტატის გამოყოფა. 1200 ავადმყოფსა და 700-ზე მეტ თანამშრომელს ემსახურებოდა ერთი მდივან-მემანქანე, ისევე, როგორც 100 კაციან სანატორიუმში.
10. სამედიცინო ფორმებისა და ბლანკების ცენტრალიზებული დაბეჭდვა.
11. საბაზო სანატორიუმის შექმნილი ემბლემით ფერადი საკურორტო წიგნაკების დაბეჭდვა.
12. პროფესიის მიხედვით სპეცტანსაცმლის შეკერვა — შემუშავებული დიზაინის წარდგენით.
13. პატენტმცოდნის საშტატო ერთეულის გამოყოფა.
14. სანატორიუმში ახლადდამთავრებულ ექიმთა ინტერნატურის გადაწყვეტი-ლების პრაქტიკული რეალიზაცია.
15. საკავშირო გამოფენაზე „ექსპონატთა "გაფორმების ფინანსირება. სანატორიუმმა თავისი ძალებით წარადგინა საკავშირო

გამოფენაზე ექსპონატები, დაჯილდოვდა ორი ოქროს მედლით, მაგრამ მედლის მიღებაზე რესპუბლიკურმა საბჭომ მინდობილობა არ გასცა, დღემდე მედლება არ არის გადმოცემული.

16. *სამეცნიერო ფორუმებზე მიწვევაზე მივლინება /აქედან სამჯერ საზღვარგარეთ/.*
17. *რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის პროგრამიდან, საქკურსაბჭომ ამოიღო „ლიკანი"-ს ექიმთა 16 მოხსენება. 1989 წ. პროგრამაში დარჩა 11 მომხსენებელი და კონფერენცია არ შედგა.*
18. *ხელშეკრულება ცენტრალურ საბჭოსთან, ახალი ტიპის გამოთვლითი მანქანის დამონტაჟების შესახებ. გამოყოფილი თანხა /40000 მანეთი/ მიითვისეს.*
19. *ფიზიკის ინსტიტუტთან სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლების გაფართოების ღონისძიების პროგრამა /1968/.*
20. *სანატორიუმის ინიციატივით 1971 წელს მოწვეული იქნა გასტროენტეროლოგთა საკავშირო კონფერენცია ლიკანში. დაიბეჭდა პროგრამა. კურსაბჭომ კურორტოლოგიის ინსტიტუტთან ერთად „შეთქმულება" მოაწყვეს და ჩაშალეს კონფერენცია. გადატანილ იქნა 1972 წელს, ჩატარდა ბორჯომში და არა ლიკანში.*
21. *კვალიფიკაციის კურსებზე ანდროლოგიაში, მოსკოვში — ექიმის მივლინება 2 თვით. ექიმი გაიგზავნა საკუთარი ხარჯით.*
22. *მერძევეობის ფერმის შექმნა (საქპროფსაბჭომ — თ. მოსაშვილმა — გამოყო თანხა საძროხის მშენებლობისა და ძროხების შესასყიდლათ — (ესტონეთიდან); ბორჯომის რაიაღმასკომის მიერ გამოიყო — (პროკურორ გ. გოგოლაძის ინიციატივით), ტერიტორია. ადგილობრივ კურორტსამმართველოს კატეგორიული წინააღმდეგობა გამოიწვია.*
23. *საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის (პრეზიდენტის ხელმოწერით) გადაწყვეტილება სანატორიუმში შექმნილი სამეცნიერო-სასწავლო ფილმების სერიული ნარმოების შესახებ.*
24. *ექიმთა მორიგეობის ფინანსირება. საბაზო სანატორიუმის 3 საძილე და 2 სამკურნალო კორპუსში ერთი მორიგე ექიმი მორიგეობდა.*

25. მო. ექიმის ტრანსპორტით მიმაგრება (საბაზო სანატორიუმის მთ. ექიმს ემსახურებოდა 25 ნლის ამორტიზებული ავტომანქანა).
26. ტექნოლოგიური საამქროს სპეც. მანქანის გამოყოფა /ნახევარფაბრიკატების გადატანა კვების ბლოკებში ხდებოდა ღია სატვირთო მანქანით, სანიტარული ნორმების უხეში დარღვევით/.
27. კოლექტივისათვის საფინანსო-სამეურნეო გეგმის შედგენის და დამტკიცების უფლება და მთავარი ექიმისათვის კადრების შერჩევის უფლება.

V. საამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ან არ დაიწყეს, ან დაიწყეს და არ დაამთავრეს.

1. მაცივრის მშენებლობა. (დაიწყო და არ დამთავრდა).
2. მეოთხე წყალსადენის მშენებლობა. (დაიწყო და არ დამთავრდა).
3. ტერენკურის მშენებლობა. (დაიწყო და არ დამთავრდა).
4. წყალსადენის ფილტრის მშენებლობა; /სანატორიუმი ღებულობს ჭუჭყიან წყალს/ (დაიწყო და არ დამთავრდა).
5. ტერიტორიის შელობვა. (დაიწყო და არ დამთავრდა).
6. ბასეინ-გრადილნიის მშენებლობა. (დაიწყო და არ დამთავრდა).
7. ტერიტორიის ღვარსაშვების და განათების მშენებლობა (დაიწყო და არ დამთავრდა).
8. „ლიკანი"-ს მიკრორაიონის სპორტმოედნის მშენებლობის პროექტი შედგა, გამოიყო თანხა. დაიწყო, არ დამთავრდა.
9. საქვაბის სამაზუთეს სათადარიგო კვების მშენებლობა. (დაიწყო და არ დამთავრდა).
10. აეროსოლარიუმის მშენებლობა. პროექტი შედგენილი იყო (არ დაწყებულა).
11. ბალნეო-სამკურნალოს შენობის გადახურვა. შენობა ირღვევა ნალექებით.
12. სანატორიუმში მიმდინარე და კაპ.რემონტის სამუშაოების შესრულების კონტროლის უფლება.

13. კლუბის სცენის ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოების, სანატორიუმის ამორტიზირებული ელექტრო-მეურნეობის, თბონერტილების რეკონსტრუქციის და 55 წლის ამორტიზებული წყალ-კანალიზაციის მეურნეობის რეკონსტრუქცია. (პროექტები შედგენილი იყო) სამუშაოები არ დაწყებულა.
14. გარე საკანალიზაციო (საკოლექტორო) გამნმენდი ნაგებობების მშენებლობა. (დაიწყო, არ დამთავრდა).
15. სახანძროს – წყალგაყვანილობის აღდგენა. (არ დაწყებულა). მილგაყვანილობის არასწორი ტექნოლოგიის გამო, სანატორიუმი დაზიანებულ მინერალურ წყალს ღებულობდა.
16. გაზსადენი მაგისტრალის ხაზის გადატანა. სამკურნალო კორპუსის კედელთანაა გაზსადენის მაგისტრალური მილი, რაც ტექნიკურად დაუშვებელია.
17. 10 წელია სანატორიუმის ტერიტორიაზე სამრეცხაო აშენდა, სამრეცხაოს დანადგარები დამონტაჟდა, გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტია“-ში, რომ სამრეცხაო მუშაობს, სამრეცხაოს კი – არ უმუშავია და კურორტის სანატორიუმები ხაშურში ატარებენ სარეცხს, ხოლო სანატორიუმ „ლიკანის“ 55 წლის ამორტიზირებული სამრეცხაო – ავარიულ მდგომარეობაშია და მისი კაპიტალური რემონტი უარყოფილი იქნა.
18. პირველი კორპუსის სარეკონსტრუქციო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა გააკეთა მთავარ ექიმმა, მანვე – საქ.კურპროექტის ინსტიტუტს გადაუხადა პროექტის ღირებულება – 47 ათასი მანეთი, ხოლო სარეკონსტრუქციო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა – ბორჯომკურ.საბჭოს თავმჯდომარემ. 1989 წელს რეკონსტრუქცია უნდა დამთავრებულიყო, დღემდე არაა დამთავრებული, გაიყიდა საგზურები, ჩამოვიდა ავადმყოფები 1990 წ., სანატორიუმის ადმინისტრაციამ მიმართა საკ.პროფსაბჭოს რათა ამოეღოთ გაყიდული საგზურები. მშენებლობის მიმდინარეობა და უხელფასო შვებულებაში გაშვებული თანამშრომელთა ბედი ერთხელაც არ ყოფილა კურ.საბჭოს მსჯელობის საგანი. მაშინ, როცა ხელშეკრულებაში შეტანილია პუნქტი: „ყოველი კვარტლის ბოლოს უნდა ჩატარდეს კურორტთა საბჭოების, სანატორიუმის და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წარმომადგენლობასთან ერთად მშენებლობის მიმდინარეობის შემოწმება და აქტის შედგ-

ენა" (სანატორიუმის დირექციას აქვს შედგენილი აქტები მშენებლობის ვადის და საპროექტო დარღვევის შესახებ").

1989 წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხარჯზე მთავარი ექიმი მივლინებული იყო უნგრეთში, რეკონსტრუქციაში დაყენებული პირველი კორპუსის 250 ადგილზე დიზაინის შერჩევის და საძილე ოთახების, ინტერიერების, სამკურნალო-სადიაგნოსტიკო კაბინეტების, სპეც-ტანსაცმელის და სხვა აუცილებელ მოწყობილობათა დამზადებისათვის. ეს მისია შესრულებული იყო თანამედროვე დიზაინის მოთხოვნილებათა დონეზე და სანატორიუმისათვის დამზადდა ავეჯი, საწოლები, ლოგინები, ფარდები, სანტექნიკური მოწყობილობები და სხვა შემოტანილი იყო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ჩვენი არაერთგზის თხოვნისა კურორტთა მართვის მესვეურებთან, შემოგვეტანა იგი სანატორიუმში რაზედაც ქარხნის ადმინისტრაცია თანახმა იყო, უყურადღებობის მსხვერპლი გახდა.

ზემოაღნიშნული საკითხების დამადასტურებელი საბუთები ინახება სანატორიუმში. დადასტურებულია ხუთ გვერდზე საბაზო სანატორიუმ „ლიკანი"-ს შრომითი კოლექტივის საერთო კრების მიერ 14.12.90 წ. ოქმი № 8. პროფკომიტეტის და სანატორიუმის ბეჭედდასმული.

ამ საკითხს ჩვენ ვიხილავთ როგორც მართვის სისტემაში ეგოისტური სინდრომის ადამიანთა ფსიქოფიზიკური სტრუქტურების პათოლოგიას, რომელიც საჭიროებს მკურნალობას. ამავე დროს პროფსაბჭოს საკურორტო სისტემაში სადიზმით, ამბიციოზით და ეგოიზმის პათოლოგიური სინდრომით შეპყრობილი პიროვნებათა თვითნებობამ, **კურორტები და საბაზო სანატორიუმი „ლიკანი" დეგრადაციამდე მიიყვანა და იგი საჭიროებს სპეციალურ შესწავლას, როგორც ეროვნული სულიერების ჩაქოლვის და ანტიეროვნული მიზანდასახული მოქმედება (იგი უნდა იცოდეს მომავალმა თაობამ).**

** სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების კონტროლის უფლება ჩამოართვეს მთავარ ექიმს. კურსაბჭოში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლებიც თვით ინყებდნენ სამუშაოებს და თვითვე ღებულობდნენ სანატორიუმის ადმინისტრაციის მონაწილეობის გარეშე.*

საბაზო სანატორიუმი „ლიკანი", როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის ნამყვანი სამედიცინო, სამეცნიერო, სასწავლო პედაგოგიური დაწესებულება იყო საქართველოსა და საბჭოეთის კურორტებზე, მისი დარბევა, გაჩანაგება, გაქურდვა, განიავება ისე „კანონზომიერად" მიმდინარეობდა, რომ იგი არ შეიძლება არ ყოფილიყო წინასწარ დაგეგმილი ქვეყნის შინაგანი და გარეგანი მტრების მიერ. თუ გავითვალისწინებთ, რომ კურორტი ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული სფეროა, ხოლო საბაზო სანატორიუმ „ლიკანის" სამკურნალო-სამეცნიერო-სასწავლო კომპლექსის, როგორც ერის გაჯანსაღების უნიკალური ადგილის გაპარტახებამ, გამოუსწორებელი ტოტალური, ეკოლოგიური, მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, საზოგადოებას და ბორჯომის რეგიონს.

დღეს არავის არ აინტერესებს იმ ადამიანთა ბედი, რომლებიც (პიკის პერიოდში 880 კაცს შეადგენდა) მინიმალური ანაზღაურების და ყოფაცხოვრების **პირობებში ცხოვრობდნენ და ასრულებდნენ უდიდეს ეროვნულ საპასუხისმგებლო საქმეს. თუ გავიცნობიერებთ, რომ კურორტზე ჩამოსული ადამიანი, რომელიც ფიზიკურად გაჯანსაღებული და ჯანსაღი ინფორმაციით ბრუნდება საცხოვრებელ ადგილას, იგი ასეულობით და ათასობით ადამიანებს განაწყობს დადებითად რესპუბლიკის ეროვნულ ღირებულებებზე, სახელმწიფოს მართვისა და სამედიცინო მომსახურეობის შესახებ.**

კურორტთა მართვის სისტემაში ეგოიზმით და სადიზმით შეპყრობილი პიროვნებათა უპასუხისმგებლობისა და თვითნებობის **გამო, ყოველგვარი სამართლებრივი გარანტიების გარეშე წაართვეს კოლექტივს სამუშაო საშუალებები და ადგილები, ძალადობით შემოასახლეს ლტოლვილები და ლტოლვილებად გახადეს და ქუჩაში აღმოჩდნენ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი თანამშრომლები (რომლებმაც თავისი საკუთარი ძალებით შე**ქმნეს საბაზო სანატორიუმი „ლიკანი", როგორც მაღალი კვალიფიკაციის სადიაგნოსტიკო, სამკურნალო, სამეცნიერო-სასწავლო და ეროვნულ ღირებულებათა მნიშვნელობის უნიკალური დაწესებულება) და მე-9 წელია ლტოლვილებზე უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან. მათ შორის ბევრი დაიღუპა, მრავალი მძიმე დაავადებებითაა შეპყრობილი და ნაწილი კი უმწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

თუ ლტოლვილთა შენახვა არ შეუძლია სახელმწიფოს, მაშინ ქვეყნის ყველა უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯზე ე.ნ. ლტოლვილთა ფონდის შექმნით (რაც ჩვენ შევთავაზეთ წერილობით მაღალ ეშელონებში) უნდა ხდებოდეს და არა გაანადგურონ ცალკეული დაწესებულებები და უმწეო გახადონ ათასამდე ადამიანი. ყოველივე ეს წმინდა ნყლის კომპლექსური გენოციდია და სახელმწიფოს უკანონობის უპრეცენდენტო მაგალითია.

საბაზო სანატორიუმი პიონერი იყო ლტოლვილთა მიღებასა და ზრუნვაზე, 1991 წელს ჩვენი ინიციატივით ჩამოვიყვანეთ და შევასახლეთ სამაჩაბლოს ლტოლვილები მეორე საძილე კორპუსში და იგი შევსებული იქნა აფხაზეთის ლტოლვილებით. ამავე დროს ჩვენ მივმართეთ სახელმწიფო სტრუქტურებს ლტოლვილთა განსახლების ოპტიმალური ვარიანტი, რომლითაც შენარჩუნებული იქნებოდა კურორტი ბორჯომი და ლიკანი, ხოლო ლტოლვილებს ექნებოდათ ნორმალური ცხოვრებისა და მუშაობის საშუალება (იხ. დანართი 1).

(დანართი 1)

საქკურსაბჭოს თავ-რეს
გ. ლოთუაშვილს

ბორჯომის რაიონის გამგებელს
ბ-ნ ჯ. კურტანიძეს
ბორჯომ კურორტის გაერთიანების
*მთ.ექიმს ქ-ნ **მ. სტაყაძეს***

მოგახსენებთ, რომ პირველად ბორჯომში ლტოლვილები მიღებული იყო სანატორიუმ „ლიკანში" მე-II საძილე კორპუსში და იგი შევსებული იყო აფხა ზეთის ლტოლვილებით. მე-III კორპუსი ამჯერად დაკავებულია ავადმყოფებით, ამავე დროს საჭიროებს გათბობის სისტემის აღდგენას და გადახურვას (სახურავი გადახდილია ქარისაგან).

თქვენი მოთხოვნა, რომ მე-III კორპუსშიც შესახლდეს ლტოლვილები, ეს იმას ნიშნავს, რომ საბა ზო სანატორიუმი, როგორც სამკურნალო დაწესებულება, მთლიანად გაუქმდება, მაშინ საჭიროა წინასწარ გაირკვეს თანამშრომელთა ბედი. ამავე დროს ბორჯომში პანსიონატი: „პლატო", „კომპოზიტორთა სახლი", ტურბა ზა „პლატო", სანატორიუმები „ფირუზა", „ბორჯომი", „მტკვარი", „ბორჯომი-ლიკანი", „სამხედრო" სანატორიუმი, ასევე ცემის, ახალდაბის, პლატოს, ნაღვერის და ბაკურიანის გამაჯანს-

აღებელი, ტურისტული და სპორტული ბაზები, ბანაკები, პანსიონატები არ ფუნქციონირებენ და დღემდე ლტოლვილი არ მიულიათ. ხოლო სოფელ „გუჯერეთში“ და „მიტარბში“ ახლახან მიტოვებული კეთილმოწყობილი სახლები, სამეურნეო ნაგებობები და კომუნიკაციები, რომლებიც მზადყოფნაშია ოპტიმალური საცხოვრებელი პირობებით, საუკეთესო ვარიანტია ლტოლვილების შესახლებისათვის და მეძროხეობის, მეფუტკრეობის და სხვა მეურნეობების აღორძინებისათვის. ამავე დროს ამ ზონის კლიმატი ისე აუცილებელია აფხაზეთის რეგიონის ლტოლვილებისათვის, რომელთა შორის ბევრია შეპყრობილი სასუნთქი გზების დაავადებით. ამრიგად, შენარჩუნებული იქნება სამკურნალო საპროფილაქტიკო დაწესებულებები—სანატორიუმები და ლტოლვილებს ექნებათ ნორმალური ცხოვრებისა და მუშაობის პირობები.

ვითვალისწინებთ იმას, რომ სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებაში არაა მითითებული გაუქმდეს სამკურნალო დაწესებულებები, მით უმეტეს საბაზო სანატორიუმი. კოლექტივის სახელით მოვითხოვ ოფიციალურ წერილობით განკარგულებას მასზედ, რომ ზემოაღნიშნული პირობების მიუხედავად თქვენ თუ შეასახლებთ ლტოლვილებს მე-III საძილე კორპუსში, რომელიც გამოიწვევს საბაზო სანატორიუმის, როგორც სადიაგნოსტიკო-სამკურნალო-სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულების გაუქმებას და თანამშრომლები დარჩება უმუშევარი, რაც დანაშაულად მიმაჩნია.

საბაზო სანატორიუმ „ლიკანი“-ს
მთავარი ექიმი: ე. დვალიშვილი *გას.№407; 02.10.93 წ.*

(ექვსი დღის შემდეგ განმეორებით იქნა წერილი გაგზავნილი, დღემდე არც წერილის პასუხია და არც რაიმე სამართლებრივი გარანტია).

მაგრამ ჩვენს ოპტიმალური ვარიანტის რაციონალურ წინადადებაზე მათ ძალადობით უპასუხეს და სამუშაოდან დათხოვნის მუქარით, სულმდაბლური, ყალბი პროვოკაციული ცილისწამებით შეურაცხყოფა მიაყენეს კოლექტივს, მთავარი ექიმი კი სამუშაოდან დაითხოვეს და ორი წლის განმავლობაში რიგით ექიმად მუშაობისა და ტერიტორიაზე შემოსვლის უფლებაც არ მისცეს, ამ პერიოდში გააპარტახეს, გაძარცვეს, მოიპარეს და მინასთან გაა-

სწორეს სანატორიუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტყე-პარკი და უნიკალური თახამედროვე დონისა და აღჭურვილობის სადიაგნოსტიკო, სამკურნალო, სამეცნიერო, სასწავლო სკოლა-უნივერსიტეტის კაბინეტ-ლაბორატორიები და დანადგარები.

სახელმწიფომ კი დღემდე ყოველგვარი სამართლებრივი, საგარანტიო წერილობითი დადასტურების გარეშე მრომით კოლექტივს წაართვა სამუშაო საშუალებები და ადგილები და კომუნალურ მომსახურეობის თანხების გარეშე მიტოვებულია თანამშრომლები და უმძიმეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ამ ბოროტების ჩამდენი ჰეროსტრატები **დღესაც დაუსჯელი, გამდიდრებული და გამედიდურებული ეწევიან თავის უზურპაციულ „შემოქმედებას“ და სახელმწიფოში ისინი პრივილეგიურ მდგომარეობაშია, რაც უკანონობის ციტადელია და საკუთარი ხალხის გენოციდის ფაქტორია, ხოლო ეროვნული სულიერების მაღალი დონის პროფესიონალიზმის, მეცნიერების, მედიცინის დანგრევა განადგურება, გაქურდვა ბარბაროსების უკიდურესი გამოვლინებაა. სწორედ ასეთებზე უთქვამს აკაკის: „ფურთხის ღირსი ხარ შენ – საქართველოვ“**

ზემოაღნიშნული ფაქტები უთვალსაჩინოესი დემონსტრაციაა ალტრუიზმისა და ეგოიზმის, ანუ სიკეთისა და ბოროტების სოციალური დაპირისპირებისა. ადამიანები, რომლებიც ნეგატიურად არიან განწყობილნი პროგრესისა და შემოქმედებითი საქმიანობისადმი, მით უფრო სამედიცინო სფეროში, საზოგადოების პოტენციალურ მტრებად მიმაჩნია. ყოველივე ეს უფრო დაწვრილებით გაანალიზებას მოითხოვს, როგორც მიზანდასახული და წინასწარ დაგეგმარებული ბოროტი ზრახვების რეალიზაცია, როგორც საზოგადოების, ერის და სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება და როგორც ეგოისტური სინდრომის ადამიანთა „შემოქმედება“.

აქსიომაა, რომ სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მუშაკები – სამედიცინო პერსონალი საზოგადოებაში ჰუმანიზმისა და კეთილშობილების, სიკეთის, უშიშარი მებრძოლი პიროვნებები უნდა იყვნენ. მედიცინა და მედიცინის მუშაკები საერთო საკაცობრიო ჰუმანურ სპეციალობად ითვლე-

ბოდა და ითვლება. და თუ საზოგადოება და სახელმწიფო ვერ შეძლებს, რომ სამედიცინო დაწესებულებებში მოღვაწეობდნენ სიკეთითა და შემოქმედებით აღჭურვილი პიროვნებები, პროფესიონალური კვალიფიკაციისა და ზოგადი ერუდიციის, საერთოდ საკაცობრიო ეთიკისა და საერთაშორისო და ეროვნული თვისებების მქონე პიროვნებები, მაშინ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ეფექტურობაზე ზედმეტია ლაპარაკი. ამ პრობლემის გაცნობიერება თანამედროვე და მომავალი თაობისათვის იმდენად აუცილებელია, რამდენადაც აუცილებელი და გარდაუვალია პროგრესი მედიცინაში. საზოგადოების ფართე წრეებში სამედიცინო პერსონალი აღიარებულია, როგორც მოქალაქეობრივი და პროფესიონალური კულტურის ეტალონი.

ჯანდაცვის მთავარი IV სამმართველოს სანატორიუმ „ბორჯომი-ლიკანში" (ბოლო წლებში პრეზიდენტის რეზიდენცია) ყოფილი მთავარი კონსულტანტის მიერ 1975-1976 **წ. შექმნილი იყო საერთაშორისო სტანდარტების სადიაგნოსტიკო-სამკურნალო გასტროენტეროლოგიური განყოფილება. განხორციელდა ახალი ეფექტური სამკურნალო-სადიაგნოსტიკო მეთოდების და 16 გამოგონებების დანერგვა, რომელიც ქვეყნის წამყვან კლინიკებსაც კი არ გააჩნდათ. ერთდროულად კაბინეტებში გადაყვანილი იქნა სანატორიუმ „ლიკანის" 6 კვალიფიცირებული მედ.მუშაკი. დიაგნოსტიკა-მკურნალობის ამ მეთოდების ახალი სტრატეგიის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე საბჭოთა სახელმწიფოს ჯანდაცვის IV მთავარ სამმართველოს სისტემის ისტორიაში პირველად მომზადდა და ჩატარდა I სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია და გამოიცა კონფერენციის მასალების ("ბორჯომ-ლიკანის" ექიმთა) შრომათა კრებული.** ხოლო ორი წლის შემდეგ II სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. ყველა ამ ღონისძიებათა ავტორი და ორგანიზატორი **„ღირსეულად დააფასა" სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანის" ადმინისტრაციამ და სამედიცინო კოლექტივმა, სახელდობრ:** დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შედეგად საქართველოში გამოცხადდა გამოგონებათა საკუთრების კანონმდებლობა. პირველად გაცემული იქნა საქართველოს რესპუბლიკის პატენტი. მათ შორის ორი პატენტი იმ 16 გამოგონებათა შორის, რომელიც

დანერგილი იყო სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანში", ჩვენ გვეკუთვნოდა (დანერგვის თარიღები და ობიექტურობა დაფიქსირებულია ხელშეკრულებებში სანატორიუმის მთავარი ექიმის იოსელიანის ხელის მოწერითა და მრგვალი ბეჭდით დამოწმებული, რომლის ერთი ეგზემპლიარი ინახება გამოგონებათა ავტორთან, მეორე – სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანში").

ამ კანონმდებლობის საფუძველზე პატენტის ავტორმა და მესაკუთრემ მოითხოვა საავტორო უფლებები მხოლოდ ორ პატენტირებულ სისტემაზე, რომელსაც მოჰყვა ისეთი ბატალიები, რომელიც ერთ-ერთი მიზეზი გახდა პატენტის მესაკუთრის ძირითად სამუშაოდან უსაფუძვლო დათხოვნისა (ორი წლის განმავლობაში) (იხ. დანართი 1 და 2), ხოლო სისტემებით უკანონო სარგებლობა გაგრძელდა.

დანართი 1

სანატორიუმ „ბორჯომი-ლიკანი"
*მთ. ექიმს **პ. იოსელიანს.***
ასლი: საბა ზო სანატორიუმ „ლიკანის"
*მთ. ექიმს ბ-ნ **ე. დვალიშვილს***

ბორჯომის რაიონის სასამართლო გიგ ზავნით სააღსრულებლო ფურცელს ამავე სასამართლოს ა+წლის 11 სექტემბრის № 2+127 გადაწყვეტილებიდან გამომდინარე და სასამართლო გაფრთხილებთ აეკრძალოს სანატორიუმ „ბორჯომი-ლიკანის" ადმინისტრაციას მოსარჩელეების საავტორო უფლებით კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის ამორეცხვის გამოგონებით და მკურნალობის მეთოდის გამოყენებით მოსახლეობის მიერ სათანადო ლიცენზიის გაცემამდე, რაც აღნიშნული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე პირი აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით.

მოსამართლე: /ა. კვირკველია/
აღმასრულებელი: /მ. მეყანწიშვილი/ შემ. № 166; 01.10.96 წ.

დანართი 2.

ბორჯომის სასამართლოს
თავმჯდომარეს ბ-ნ. ე. ნოზაძეს

ბატონო თავმჯდომარე, სასამართლოს გადაწყვეტილება №2+127-S-იმის შესახებ, რომ მოახდინონ დემონტაჟი სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანში", ჩემი საკუთარი გამოგონების შესახებ, ვერ დასრულდა გადაწყვეტილებისამებრ.

ყველა „რეზერვები" მოქალაქეობრივი, კაცური, კოლეგიალური, მეზობლური, სიტყვიერი და წერილობითი ფორმებით ამოიწურა უშედეგოდ, ისე რომ წერილებზე პასუხიც კი ვერ მივიღეთ.

გთხოვთ დამეხმაროთ თქვენი წარმომადგენლის თანდასწრებით მოვახდინოთ დემონტაჟი იმ სისტემებზე, რომლებიც ჩემი საკუთრებაა და დღემდე ფლობენ უკანონოდ.

თან ერთვის, სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანის" მთავარი ექიმის სახელზე ჩვენი წერილების 5 გვერდი.

პატივისცემით სს „სანატორიუმ ლიკანი"-ს
დირექტორი: ე. დვალიშვილი *გას. №05; 20.01.98 წ.*

დღემდე, მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა არ შეასრულეს სისტემის დემონტაჟი და გრძელდება სისტემის ექსპლუატაცია, ხოლო მესაკუთრე იხდის პატენტის საფასურს. გავკადნიერდი და სახელმწიფო კანცელარიაში — სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურში ორჯერ შევაწუხე ბ-ნი სულიკო ბარდაველიძე, მესამეჯერ ბ-ნი ირაკლი ანდრიაძე განცხადებებითა და 1996 წ. სასამართლოს გადაწყვეტილების წარდგენით სისტემის დემონტაჟის შესახებ, მაგრამ, დაპირება არ შესრულდა;

ეს ფაქტი უფრო საგანგაშოა მორალურ ასპექტში ვიდრე ეკონომიკურში, რადგან ხდება პრეზიდენტის რეზიდენციაში „თეთრხალათიანი კოლეგების" ინიციატივით. ქურდი და ყაჩაღი ფარულად მოგპარავს ან წაგართმევს ნივთს, ფულს ქონებას, პლაგიატი კი ძალადობით დღისით, მზისით გართმევს შენი სულის, სისხლისა და ნიჭის ნაყოფს — პირმშოს, რომელსაც შვილივით ზრდი, ეფერები და შეგყავს საზ-

ოგადოების სამსახურში (ფაქტობრივად ეს მკვლელობაა); ასეთი ეგოისტური სინდრომის – ჰიპოკრატეს ფიცის გამტეხ – ადამიანებს, რომლებმაც ფეხქვეშ გათელეს ადამიანის უფლება, პიროვნების ღირსება, ეროვნული სულიერება, კანონის უზენაესობა, სახელმწიფოს კონსტიტუცია და საერთაშორისო სამართალი, შეიძლება ანდო ყველაზე ძვირფასი და სათუთი. ადამიანის სიცოცხლე? ეს თვითონ მკითხველმა განსაჯოს.

ზემოაღნიშნული არის ეგოისტური სინდრომის პათოლოგია – თვითნებობის, უკანონობის, უზურპაციის, ბოროტების, ამბიციურობის, სიცრუის, ძალადობის, მონური ფსიქოლოგიის დამკვიდრების, კორუფციისა და ვოლუნტარიზმის ქრონიკული მაგალითი (ეს უსაზიზღრესი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს ეგოისტური სინდრომის მკურნალობის უდიდეს მნიშვნელობას, როგორც საზოგადოების გაჯანსაღების სახელმწიფოებრივ პრობლემას).

ბუნებრივია იბადება მეტად საგანგაშო კითხვა. თუ პრეზიდენტის რეზიდენციაში ვერ შევქმნით ეროვნული სულისკვეთების და ღირსების ადამიანთა გარემოს, მაშინ საიდან დავიწყოთ ეროვნული სულიერების აღორძინება და ქვეყნის გადარჩენა?!... საკითხავი აი ეს არის...?!

§11 HOMO SAPIENS, HOMO DEI, HOMO HOMINI LUPUS EST

სამყარო, როგორც ერთიანი ცოცხალი სისტემისა და მისი შემადგენელი ნაწილების, ასევე ადამიანისა და ყველა ბიოლოგიური სისტემების ევოლუციური განვითარება, უზენაესი კანონების შესაბამისად, სამყაროს ერთიანი გენეტიკური კოდის – კონსტანტის (სამყაროს შიფრის) „ოქროს კვეთისა" და იერარქიული საფეხურის შესაბამისად, მათემატიკური პროგრამის სიზუსტით მიმდინარეობს. ამ უნიკალურ ჰარმონიულ ურთიერთობაში არ არსებობს „ეგოიზმი", „შური", „სიცრუე", „უკანონობა", „სიყალბე", „ტყუილი", „სიძულვილი", „კორუფცია", „ვოლუნტარიზმი".

ადამიანი, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილი და სიცოცხლის შედეგრი დედამინაზე, თავისი შემადგენელი ნაწილების თვისებრიობა-რაოდენობის ფუნქციური მოთხოვნილების შესა-

ბამისად აერთიანებს სამყაროს შემადგენელი ნაწილების მოდელებს, მოვლენებს, ფუნქციებს, პროცესებს და ორგანიზმის ცხოველმყოფელობის თვითმართვა ეფუძნება სამყაროს უზენაეს ანუ გლობალურ კანონზომიერებებს; ამრიგად, **ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა სამყაროს მოდელია.**

სამყაროს გლობალური კანონზომიერება — უზენაესი კანონები — გამოიხატება მისი შემადგენელი ნაწილების სხვადასხვა რაოდენობა-თვისებრიობის მრავალგანზომილებიანი, მრავალსაფეხურიანი, მრავალეტაპიანი, მრავალშრიანი, ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობით გამონვეული მოვლენებისა და პროცესების მექანიზმის მათემატიკური ფორმულით, რომლის გაცნობიერება, გაგება, გლობალური ცნობიერებაა.

ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმი, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილი, გლობალური ცნობიერებისა და აზროვნების გენეტიკური კოდით ხასიათდება და მისი შემადგენელ სტრუქტურათა ფუნქციონირება სამყაროს უზენაესი კანონების შესაბამისად მიმდინარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტად ჯანმრთელი ადამიანის — homo sapiens-ის — ორგანიზმის ფუნქციონირებაში არ შეიძლება იყოს „ეგოიზმი", „შური", „ტყუილი", „სიხარბე", „სიძულვილი", „უსამართლობა", „ბოროტება", „კორუფცია", „ვოლუნტარიზმი" და ევოლუციური განვითარების გარკვეულ ეტაპზე იგი დაეუფლება გლობალურ ცნობიერებასა და აზროვნებას და გახდება homo dei სამყაროს ჭეშმარიტი მოდელი. ასეთი კეთილი, ანუ ღვთისნიერი ადამიანი საზოგადოებაში აღიარებულია, როგორც ალტრუისტი, ხოლო მისი ალტერნატივია ეგოისტი.

homo sapiens შეიძლება იყოს ალტრუისტი, homo dei და ეგოისტი. ჯერ კიდევ — ძვ.წ.აღ. III-II საუკუნის მიჯნაზე რომაელმა კომედიოგრაფმა პლავტუსმა ეგოისტი „მონათლა", როგორც „homo homini lupus est", ადამიანი, რომელიც ადამიანისთვის მგელია; მაგრამ მგელი მგელს არ ჭამს, კაციჭამია ადამიანი კი ცნობილია, როგორც კანიბალი.

უძველესი დროიდან საზოგადოებაში აღიარებული იყო კეთილი და ბოროტი ადამიანები — ალტრუისტი და ეგოისტი და დღესაც იგი უდიდესი ბიოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პრობლემაა. ჩვენ მას ვიხილავთ სამედიცინო

ასპექტში; რადგან ეგოისტური სინდრომის ადამიანები პოტენციური ბოროტების „ბაზაა“ და საზოგადოების გენოციდის ზემოქმედებით ხასიათდებიან და საჭიროებენ მკურნალობას. კერძოდ, ჩვენი პრაქტიკული და კვლევითი მუშაობის მონაცემებით დადგინდა, რომ ეგოისტისა და ალტრუისტის ფსიქოფიზიკური სტრუქტურები სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობით ხასიათდება, ანუ მათი აზროვნების სტრუქტურა და მიმართულება განსხვავებულია და სიცოცხლის პირველ პერიოდში ყალიბდება.

ამ პრობლემებზე მრავალი წლის მუშაობიდან გამომდინარე მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეგოისტისა და ალტრუისტის დადგენა შესაძლებელია ვერბალური და არავერბალური ტესტირებით. გარეგნობით, მეტყველებით და მოქმედებით ისინი მკვეთრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, ზოგჯერ ეგოისტი, როგორც მიზანმიმართული ჩამოყალიბებული პიროვნება, ხასიათდება კორექტულობით, თავაზიანობით, კეთილგონიერებით, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითია.

ფაქტობრივად კი ალტრუისტი და ეგოისტი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჰაბიტუსით, გრაციით, მეტყველებით და სხვა გარეგანი და შინაგანი თვისებებით. ალტრუისტი უზენაესი კანონების საფუძველზე ჩამოყალიბებული სიმართლის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების პიროვნებაა და ორგანიზმის ფუნქციური მოძრაობის, ანუ აზროვნების პროცესს სტაბილური, სტაციონარული, ჰომეოსტატიურ-ეკოლოგიური სივრცობრივი წონასწორობა უძევს საფუძვლად.

ალტრუისტი გულწრფელობით, გულუბრყვილობით, სიკეთით, მაღალი ზნეობით, მორალით, სიყვარულისა და სიმართლის რაინდული თვისებებით ხასიათდება, რომელიც ვერ ჩაიდენს უზნეობას, ბოროტებას. გარემოსა და ადამიანთა ურთიერთობაში თავის პირად ინტერესებს ყოველთვის უფარდებს საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესებს, ხასიათდება ჭეშმარიტი პატრიოტიზმით, ამაღლებული შემოქმედებითი ცნობიერებით და ყოველივე ეს არამოჩვენებითია, მისი მოქმედება ყოველთვის სამართლიანი, ამაღლებული ზნეობისა და პირდაპირობის მორალის შედეგია. იგი შეუპოვარი და უკომპრომისოა ყოველგვარ უსამართლობასა და უზნეობაზე. სიმართლისათვის აქტიური მებრძოლი

პიროვნებაა. ანუ იგი უზენაესი კანონების რეალიზაციის თვისებებით ხასიათდება.

მოპირისპირე, ანუ ეგოისტის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სივრცობრივი პოზიციურობა და ჰომეოსტაზისი დეფორმირებულია და იგი უზენაესი კანონების სანინააღმდეგო მდგომარეობაა. ეგოისტური პიროვნებები ბოროტების საწყისებით ხასიათდებიან. ისინი თავის პირად ინტერესებს საზოგადოების, ქვეყნის და გარემოს ინტერესებზე მაღლა აყენებენ. ანგარიშს უწევენ პიროვნებას, რომელზედაც მათი კარიერაა დამოკიდებული. ხასიათდებიან თვალთმაქცობით, სიცრუით, მოჩვენებითი კეთილსინდისიერებით, უდიდესი დიპლომატიურობით, კარიერისტობით, უზურპაციით, ამბიციურობით, კორუფციითა და ვოლუნტარიზმით, ფამილიარობით შენიღბული, მლიქვნელობით, სიყალბის უსამართლობის მიდრეკილებით, ფარული, დამალული, არაგულწრფელი აზროვნებითა და ცნობიერების გამო ისინი გაორებული პიროვნებებია.

ეგოიზმი და ალტრუიზმი შეფარდებითი ცნებაა და ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ხასიათდება ეგოისტის და ალტრუისტის თვისებებით. არსებობს **ეგოიზმის ბოროტი და კეთილი ფორმები;** ეგოიზმი, **რომელიც გამოიხატება პიროვნების პირადი ადამიანური, კეთილშობილური სურვილების განხორციელებაში,** რომელიც არ არის შენიღბული და დამალული, საზოგადოების, ქვეყნის ინტერესებისა და სიმართლისათვის შეუპოვარი და შემართებული, მაღალი ზნეობის მებრძოლი ადამიანი (საზოგადოებასა და გარემოსთან ურთიერთობაში, რომ იყო სრულყოფილი პიროვნება, უნდა ზრუნავდე ჯანმრთელობაზე, ფიზიკურსა და ინტელექტუალურ განვითარებაზე, სიკეთის იდეების განხორციელებაზე, რომელსაც საზოგადოებისათვის მოაქვს სიკეთე და ბედნიერება). იგი არ მალავს სიყვარულს კარგის მიმართ და სიძულვილს ცუდისა და უზნეობისადმი. პირად წარმატებებს იგი აკეთებს ცივილიზებული მეთოდებით და არა სხვა ადამიანთა დაკნინების ხარჯზე. მისი ზრუნვა საზოგადოებისა და პიროვნებათა მიმართ, სამშობლოსადმი გულწრფელობა, ერთგულება, პატრიოტიზმი კეთილი ეგოიზმის ფენომენია.

ეგოიზმით დაავადების გავრცელებას რომ შევებრძოლოთ, რომელიც დღეს ზენიტშია ჩვენს ქვეყანაში, საჭიროა ყველა ცი-

ვილიზებული, ზნეობრივად ამაღლებული ალტრუისტული ღირებულების ადამიანი თავის ღირსებასა და პირად ინტერესებს, იდეებს, მოწოდებას უნდა იცავდეს საზოგადოების წინაშე ღიად. ისე, როგორც სამეცნიერო ნოდების მინიჭების პაექრობა ან სპორტული შეჯიბრების დროს ხდება, როცა დამარცხებული სპორტსმენი პირველად ულოცავს გამარჯვებას თავის მეტოქეს.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 2000 წლის ყველა ნომერში გამოკვეთილია ის აზრი, რომ: „10 წლის წინ ყველა თანაბარი უფლებისა და ქონების მფლობელ საზოგადოებაში უეცრად ჩამოყალიბდა კატასტროფულად განსხვავებული საზოგადოებრიობის ორი საპირისპირო – უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფები: უმრავლესობა – შიმშილის, სილატაკის, უმწეობის უფსკრულის წინაშე მდგარი და უმცირესობა – უკანონოდ, უდიდესი სიმდიდრის ხელში ჩაგდებით მე-9 ზეცამდე ამაღლებული. აქ კარგად იკვეთება ალტრუიზმი და ეგოიზმი და არა „ჭკვიანები" და „უჭკუოები", როგორც ეგოისტებს მიაჩნიათ.

საერთაშორისო პარადოქსულ ფსიქოლოგიად მიმაჩნია ის, რომ მსოფლიოს ისტორიაში ეგოიზმით შეპყრობილი პიროვნებები, სახელმწიფოები და ერები პირადი ეგოისტური, ბოროტი სურვილების დასაკმაყოფილებლად ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ცივილიზაციის მონაპოვარს, კაცობრიობის მიერ შექმნილ სულიერ ღირებულებებს და ღმერთის მიერ შექმნილ კეთილ ადამიანებს, ბავშვებს, ქალებს, უმწეო მოხუცებსა და ავადმყოფებს. უდაბნოდ გადააქციეს პლანეტის ნახევარზე მეტი, პირისაგან მიწისა აღგავეს აუარებელი ტომები, ერები და სახელმწიფოები, ხოლო კაცობრიობა მათ ტაშს უკრავს და მათ სახელებს დიდებით მოსავენ, როგორც ეპოქის გმირებს; ყოველივე ეს ადამიანთა პათოლოგიური ფსიქოლოგიის შედეგია.

ასეთ პათოლოგიური ფსიქოლოგიის ადამიანებზე უთქვამს პლუტარქს „არ არსებობს ადამიანზე უმძვინვარესი მხეცი".

ყოველივე ზემოაღნიშნულის სანყისი, საფუძველი არის ადამიანის ბოროტი აზროვნება და ცნობიერება. აქ ისმის კითხვა: როგორ შეიძლება ადამიანის გაკეთილშობილება, გაჰუმანურება, რომ იგი შეეფარდებოდეს სამყაროს უზენაესი კანონების ჭეშმარიტ მოდელს – homo dei?!

ეგოიზმისა და ბოროტი ზრახვების აზროვნებისა და ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების აღკვეთა შესაძლებელია სახელმწიფოში იმ შემთხვევაში, როცა არსებობს კანონის უზენაესობა, მისი შესრულება და ბავშვობის ასაკიდან ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და სწავლის ბრძნული პროგრამა და მისი რეალიზაცია. იგი ქვეყნის მართვის კარდინალური პრობლემების დედაბოძია. ხოლო სახელმწიფოს მართვის საბოლოო შედეგების შეფასების უტყუარი კრიტერიუმი — უკანონობის, უსამართლობის, კრიმინალიზმის, ბოროტების (როგორც გენოციდის ფაქტორის), დაავადებისა და სიკვდილიანობის შემცირებასა და დემოგრაფიულ მაჩვენებლებში გამოიხატება.

§12. სიკეთისა და ბოროტების იდეის ჩამოყალიბების რეალიზაციის მექანიზმი და ჰომეოსტაზი

ორგანიზმის ჰომეოსტაზური ანუ ეკოლოგიური ნონასწორობის დეტერმინაცია ფსიქოფიზიკურ სფეროთა შინაგანი და გარეგანი „თავისუფლების" მდგომარეობაა, ანუ იგი ორგანიზმის ფუნქციური მოძრაობის რიტმის შეკავების, ორგანიზმის ყველა სტრუქტურათა სიმშვიდის ფაზა — „სტაციონარული"— სივცობრივი პოზიციურობაა. მიზნობრივი აზროვნების იდეის ჩამოყალიბებისა და შესრულების პროცესში ადამიანის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების (მთელი ორგანიზმის) სივრცობრივი პოზიციურობა „დეფორმირებულია", ანუ ფუნქციური მოძრაობის აქტიურ მდგომარეობაშია. იდეის შესრულების შემდეგ ფსიქოფიზიკური სტრუქტურები უბრუნდება საწყის-სტაციონარულ სივრცობრივ-პოზიციურობას, ანუ შეკავების მდგომარეობას, რომლის შემდეგ ისევ ხდება მორიგი აღგზნება ანუ სტაციონარული და არასტაციონარული სივრცობრივი პოზიციურობის პერიოდების, ციკლებისა და რიტმების ცვალებადობა.

როდესაც იდეა არ სრულდება, იგი უკუმოქმედებით ხასიათდება და ორგანიზმში იდეის დომინანტური დრეიფი გრძელდება ფსიქიკურიდან ფიზიკურ სფეროში და პირიქით, რომელიც მრავალეტაპიანი, მრავალსაფეხურიანი უკუმოქმედების გამო (მთელი ორგანიზმი მობილიზებულია იდეის შესრულების ინფორმაციული განწყობით) პიროვნებაზე ძლიერი იმპერატიული — იძულებით

ზემოქმედებით ხასიათდება. სანამ არ მოხდება მისი რეალიზაცია — შესრულება — ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურები, ფუნქციური განწყობის აღგზნებადობის გამო, ორგანიზმში გრძელდება ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სივრცობრივი დეფორმაცია (შინაგანი და გარეგანი ჰომეოსტაზური და ეკოლოგიური წონასწორობის დეფორმაცია). ამავე დროს იდეის შესრულების ზემოქმედებითი დაძაბულობისა და დაჭიმულობის გამო პიროვნება ორგანიზმის შესაძლებლობის „ტოტალურ მობილიზაციის" გზით ცდილობს მიზნის შესრულებას. იდეის შესრულება ათავისუფლებს ორგანიზმს და მის სტრუქტურებს დეფორმირებული იძულებითი სივრცობრივი პოზიციურობის ზემოქმედებისაგან და ორგანიზმში დგება წონასწორობა ანუ შინაგანი და გარეგანი თავისუფლება, ჰომეოსტაზურ-ეკოლოგიური წონასწორობა, — სიამოვნება, კმაყოფილება, სიმშვიდე, ბედნიერება (იდეის ლეგალიზაცია მისი მეტყველებითი ან სხვა ფორმებით გამოხატვა ათავისუფლებს პიროვნებას იდეის შეუსრულებლობის ნნეხისაგან).

იდეით ორგანიზმის სტრუქტურების ტოტალური გაცნობიერება იმას ნიშნავს, რომ პიროვნების ფსიქოფიზიკური სტრუქტურების განწყობა იდეის შესრულებისათვის „ნნეხის ქვეშ" აყენებს პიროვნებას და მის ჰომეოსტაზურ წონასწორობასა და აზროვნების მიზნობრივი და მიმართულებრივი რეალიზაცია გარდუვალი ხდება.

აზროვნება მიზნობრივ — მიმართულეობრივი და განვითარებადია; იგი უკუსვლით არ ხასიათდება, მხოლოდ ერთი მიმართულებით მიმდინარეობს, ამიტომ იდეის შესრულების შთაგონებითი ზემოქმედება აღწევს ფსიქოფიზიკური სტრუქტურების განწყობის დომინანტის პოზიციას და „ექაჩება" პიროვნებას მისი პრაქტიკული შესრულებისაკენ; თერმოდინამიკის კანონებიდან გამომდინარე, იდეის შეუსრულებლობა, როგორც სიჭარბის ფენომენი, თუ არ გამოვიდა ორგანიზმიდან — თუ არ მოხდა მისი რეალიზაცია, მაშინ იგი პათოლოგიური პროცესის საფუძველი ხდება. ამიტომ იდეის მიზნის შეუსრულებლობის აქტი ძლიერი მართვის ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმზე. აქ უნდა განვიხილოთ სიკეთისა და ბოროტების იდეის შესრულების მექანიზმი.

ცნობილია, რომ სიკეთის იდეის შესრულება საზოგადოების სასარგებლო მნიშვნელობისაა და მისი გადაწყვეტა ალტრუისტის

მიერ ცივილიზებული გზების გამოძებნით სრულდება. კერძოდ ალტრუისტი გამარჯვების იდეით დარწმუნებული შეპყრობილია შემოქმედებითი შემართებით. იგი მაღლდება ხელოვნებამდე და იდეის განხორციელება სრულდება ცივილიზებულად. ხოლო ბოროტების იდეის შესრულების აქტი ძლიერ მართვით ზემოქმედებას ახდენს ეგოიზმით შეპყრობილ პიროვნებაზე; პიროვნება მას ვერ ამუხრუჭებს და მას ეუფლება იმდენად ძლიერი ეგოისტური განწყობა (ეგოისტური ფსიქოფიზიკური განწყობის დროს (მიზნობრივი იდეის შესრულების გარდა) მუხრუჭდება რაციონალური აზროვნება), რომ იძულებულია ყველაფერი გააკეთოს იდეის შესრულებისათვის. იგი ხდება ფანატიკოსი, მოძალადე, დესპოტი, შეუპოვარი, ამბიციური და ბოროტი და მისი ფსიქოფიზიკური განწყობა კულმინაციას აღწევს. პიროვნება ვერ იმორჩილებს ეგოისტურ „მე"-ს და მიზნის, იდეის შესრულების მართვის ზემოქმედებას ექვემდებარება ცნობიერად და ქვეცნობიერად. ამიტომაც იგი მოჩვენებითი „თვალთმაქცი-ბრძენი" ხდება; იდეის შესრულების მოთხოვნა უფრო და უფრო მეტ ხარისხს იძენს და მისი შესრულების გზებისა და ხერხების გამოძებნისათვის ყველა სახის ბოროტებაზე მიდის; იგი ხდება მონარქი, დესპოტი და ფიზიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალური ზემოქმედების გზით, საზოგადოებაში იპყრობს რაც შეიძლება მეტ პოზიციურობას (ერთი პიროვნების განდიდება, გამდიდრება, ძალაუფლება ართმევს სხვა ადამიანებს იგივეს, რასაც თვითონ იხვეჭს). ამიტომ ყველა დესპოტი და მონარქი ადამიანებზე ძლიერი ზემოქმედებით ხასიათდება და ახერხებს საზოგადოების აზროვნებისა და ცნობიერების დაპყრობას (ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა ხერხებით და მეთოდებით) საზოგადოების ფსიქოლოგიისა და მსოფლმხედველობის შეცვლას, რომელსაც ორგანიზმის ჰომეოსტაზიური მდგომარეობის შეცვლა უძევს საფუძვლად, ამიტომაა რომ საზოგადოება „თვითონ ქმნის" კერპებს, დესპოტებს, ავტორიტებს, მონარქებს, პრეზიდენტებს, ბელადებს და მისი გავლენის, ანუ მისი ცნობიერებისა და აზროვნების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც ფსიქიკური, ისევე მთელი ორგანიზმი იძულებით ჰომეოსტაზურ, ანუ იძულებით სივრცობრივ-დეფორმაციის მდგომარეობაშია.

ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც დგება თვითმარქვია ავტორიტეტების გვერდით, ხდება თანამოაზრე და თანამებრძოლი. იქმნება კლანები, კასტები, პოლიტიკური, კრიმინალური, ავანტიურისტული, ლეგალური და არალეგალური დაჯგუფებები, მაფიები, სექტები, პარტიები და სხვა კონფესიები; მათი ლიდერები, ბელადები, დიქტატები, მონარქები, ძალაუნებრივ ხდებიან ბოროტის შემოქმედნი და მათი ეგოისტური მიზნის შესრულების მსხვერპლი ხდება ყველა და ყველაფერი და საზოგადოებაში იგი ბუნებრივ პროცესად და მოვლენად გარდაიქმნება. ამიტომ გარკვეული ეტაპის შემდეგ მათი ზემოქმედება კანონის „რანგს" იძენს და ადამიანთა ძირითადი მასა ძალადობის ზემოქმედების ზეწოლაში აღმოჩნდება. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში ყალიბდება სხვადასხვა მიმდინარეობის ანტაგონისტური ჯგუფები და პარტიები, ხდება საზოგადოებაში დაპირისპირება და აქედან გამომდინარე ლოკალური და გლობალური კატაკლიზმები, უსამართლობა, ერთი ჯგუფის ბატონობა მეორე ჯგუფზე, მონური ფსიქოლოგიის დამკვიდრება, შეტაკებები, ყაჩაღობა, ტერაქტები, ომები, ადამიანთა მასიური ხოცვა-ჟლეტა, საზოგადოების მატერიალური და კულტურული მონაპოვარის განადგურება და შიშითა და ძალადობით გამოწვეული უარყოფითი ინფორმაციის გენოციდური ზემოქმედება ადამიანებზე მუტაციის საფუძველი ხდება.

ფსიქოფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ყველა ორგანო-სისტემა: თავი, გული, ფილტვები, კუჭი, ღვიძლი, ნაწლავები, თირკმელები, კუნთები, ძვლები და ყველა უჯრედი უზენაესი კანონების თანახმად ურთიერთსოლიდარულად და ურთიერთშეთანხმებულად ფუნქციონირებს და სიმართლის, სიყვარულის, სილამაზის, სიკეთის ცნობიერებაში გამოიხატება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფსიქოფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანის ცნობიერება და აზროვნება სიკეთის, კეთილშობილების, სინდისის, სიყვარულის, ჰუმანურობის ბაზაა, ანუ ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურები ფიზიოლოგიურ წონასწორობაშია და პიროვნება დადებითი ზემოქმედებით ხასიათდება გარემოსა და საზოგადოებაზე, რომელსაც აქვს ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ჰომეოსტაზური და ეკოლოგიური საფუძველი.

§13. ეგოისტური სინდრომის პიროვნება მართვის სისტემაში

მართვის პროცესი სამყაროში, ასევე ბიოლოგიურსა და სოციალურ სფეროში აზროვნების ფუნქციაზეა დამოკიდებული. ამიტომ **არარაციონალური მართვის მიზეზები აზროვნების სფეროს დარღვევებში უნდა ვეძებოთ, ანუ მართვის არასრულფასოვნება აზროვნების არასრულფასოვნებაა, იგი ეგოიზმის სინდრომი და გენოციდის ფაქტორია.**

ეგოიზმი, როგორც სამყაროს უზენაესი კანონების საწინააღმდეგო მოქმედება, პათოლოგიური მოვლენაა და ორგანიზმის დეტერმინისტული ფსიქოფიზიკური სტრუქტურების რაოდენობრიობა-თვისებრიობის სივრცობრივი პოზიციურობის დეფორმაცია, დარღვევაა; გარკვეულ პერიოდში იგი მიმდინარეობს როგორც არამანიფესტირებული დაავადება, შემდგომში კი თანდათან გადადის მანიფესტირებულ დაავადებაში. შური, ამბიციურობა, უზურპაცია, სიხარბე, კარიერიზმი, სიძულვილი, ბოროტება, უსინდისობა, ცბიერება, სულმდაბლობა, თაღლითობა ეგოიზმის სხვადასხვა ფორმებია. თუმცა საზოგადოებაში მას ჩვეულებრივ ბანალურ მოვლენად მიიჩნევენ, მაგრამ იგი პათოლოგიური პროცესია და, როგორც დაავადება, მკურნალობას საჭიროებს.

ამბიციოზი, როგორც ეგოიზმის ერთ-ერთი ფორმა, გადაჭარბებული პატივმოყვარეობაა; ამბიციურობა უზურპაციული მოქმედების საფუძველია. იგი თავისი ეგოისტური სურვილის დასაკმაყოფილებლად ყველაფერზე მიდის. კარიერიზმი, როგორც ეგოიზმის ერთ-ერთი ფორმა, ყოველთვის ისწრაფვის დაუქვემდებაროს საზოგადოება თავის კარიერისტულ ინტერესებს. იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს სხვა ადამიანთა აზრს, გარდა იმ პიროვნებისა, ვიზედაც დამოკიდებულია მისი კარიერის ბედი.

განსაკუთრებით სახიფათოა ასეთი პიროვნებები თანამდებობაზე, რომელზედაც ისინი განსაკუთრებული მიდრეკილებით ხასიათდებიან, რათა მიაღწიონ საკუთარი ეგოისტური ზრახვების განხორციელებას არაკომპეტენტური და არასამართლებრივი გზით; მათი მართვის „ძირითადი კულტურა“ შიშია და ძალადობა, მოჩვენებითი სიბრძნე და სიყალბე, ფამილარობა, დიპლომატია და შენიღბული ბოროტება.

მართვის ასეთ ფორმებს არავითარი სიკეთე და პროგრესი არ მოაქვს, გარდა ამბიციური პიროვნების პირადი ინტერესების შესრულებისა. ამავე დროს ასეთი პიროვნებები ვერასოდეს ვერ მაღლდებიან პროფესიონალურ და ადამიანურ, კეთილშობილურ, ჰუმანურ კომპეტენტურობამდე. ამბიციური და უზურპაციული მართვის ლიდერები ქამელეონურ თვისებებს, მოჩვენებით კეთილშობილებას და ყოვლისმცოდნე ბრძენი ხელმძღვანელის რეპუტაციას უნერგავს ადამიანებს, რათა გარდაქმნას ისინი რობოტებად. ამიტომ ასეთ პირობებში რიგითი პიროვნებების მუშაობა ბიუროკრატიულ ზღვარს ვერ სცილდება და არ არის შემოქმედებითი, რომლის გამო მათი მუშაობის პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური კოეფიციენტი მინიმალურია. ასეთ პირობებში პროგრესულად მოაზროვნე სპეციალისტები და პიროვნებები დევნის მსხვერპლი ხდებიან და მართვის მაგისტრალურ მიმართულებას ადამიანთა მოთვინიერება წარმოადგენს. მმართველობა მიმდინარეობს თვინიერი „იდიოტების" ხარჯზე, რომლებიც ასე ძლიერ უყვართ უზურპატორებს შემოიკრიბონ თავის მარჯვენა და მარცხენა საიმედო „კაცებად", „სპეციალისტებად". ყოველივე ეს იწვევს არაპროფესიონალი და არაკვალიფიცირებული სპეციალისტების გამრავლებას და თანდათანობით იდევნება სიმართლის ფენომენი, რაციონალური აზროვნება და პროფესიონალიზმი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სფეროებიდან, რაც ტოტალური გენოციდის ფაქტორია. **ამიტომ მართვის სისტემაში ეგოიზმით დაავადებული პიროვნებები საზიანოა სოციალურად, ფსიქოლოგიურად, ეკონომიკურად და სტრატეგიულად, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, ასევე ცალკეული პიროვნებებისათვის.**

სახელმწიფოს მართვის ფორმასა და კვალიფიკაციაზე დამოკიდებულია საზოგადოების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, ბედნიერება, დაავადებათა, სიკვდილიანობის, შობადობის დემოგრაფიული ინდექსი.

მართვის არასრულფასოვნება არაპირდაპირი, ტოტალური გენოციდის ფაქტორია; იგი გამოწვეულია უსამართლობის, ძალადობის, შიშის, სიძულვილის, ბოროტების, უზურპაციის, თვითნებობის, ზემოქმედებით და ადამიანთა ორგანიზმში ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ეკოლოგიური და ჰომეოს-

ტაზური წონასწორობა დარღვეულია. სახელდობრ ფსიქოფიზიკური სტრუქტურების დეფორმაციის გამო ორგანიზმში ადგილი აქვს სტრუქტურათა ანატომიურ, მორფოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, ტოპოგრაფიულ, სივრცობრივ პოზიციურობის დარღვევას. ორგანიზმში ყალიბდება მანკიერი ნრე, უარყოფითი ინფორმაციული სტრუქტურების დრეიფი, რომელიც არღვევს ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მართვას; ორგანიზმში ყალიბდება ქაოსი, სიჭარბისა და დეფიციტის ფენომენი, როგორც დაავადებათა განვითარების ბაზა და ამიტომ სრულიად უდანაშაულო და პატიოსანი ადამიანი ეგოისტური სინდრომის არსებობის მსხვერპლი ხდება.

უკანასკნელ წლებში საქართველოში მძვინვარებს ეგოისტური სინდრომის ყველაზე მახინჯი ფორმა სახელმწიფო მართვის სისტემებში და აქედან ყველა სფეროში, ქართველთა სხვადასხვა ჯგუფებსა და პიროვნებებს შორის ცრუკაცური, ავადმყოფური, ქუჩური, კასტობრივი დაპირისპირება; უნიჭო, უქნარა, უნარმოკლებული, ზარმაცი და ავანტიურისტების აღზევება და ნიჭიერი, უნარიანი, პატიოსანი, საქმიანი და შემოქმედებითი ადამიანების დევნა-დაკნინება, მათზე ფსიქოფიზიკური ზეწოლა. უსამართლობის და ბოროტების ეს ფორმა დამანგრეველად მოქმედებს საზოგადოების ფსიქოლოგიაზე, ყალიბდება უიმედობის, ნიჰილიზმის, უპასუხისმგებლობის, ეროვნულ ღირსებათა დევალვაციის, ეროვნული სულიერების დამღუპველი მსოფლმხედველობა, კრიმინალიზმი და ანტისაზოგადოებრივი ჯგუფებისა და კლანების ჩამოყალიბება. იგი მომავალის ინტელექტუალურ, გენეტიკურ ფონდს განთესვას უქადის და ერის თვითმკვლელობის სინდრომია.

მიზანშეწონილია შეიქმნას ნიჭიერი ახალგაზრდობის დაცვის საზოგადოება, როგორც მომავალი საქართველოს ინტელექტუალური ფონდის შენარჩუნებისა და განვითარების რეზერვი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების, უწყებების, სახელმწიფოს მართვის სისტემის გაუმჯობესებას და მისი ახალი ცივილიზებული ფორმების შემოღებას უდიდესი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს, როგორც მოსახლეობის გაჯანსაღების და სიცოცხლის გახანგრძლივების, დავადებათა და სიკვდილიანობის შემცირების ფაქტორს.

§14. ეგოისტური სინდრომის მოქმედების მექანიზმი

როგორც აღვნიშნეთ, მართვის სისტემაში ეგოისტური პიროვნების მოქმედებას გარემომცველი ადამიანები აღიქვამენ ცნობიერად და ქვეცნობიერად და ამ ინფორმაციის ზემოქმედების პირობებში საქმისადმი მათ ფსიქოფიზიკურ განწყობას არა აქვს ზოგადი ჰომეოსტატური სტაბილური ფუნდამენტი და მოვალეობის შესრულების ფიზიკური სტრუქტურების ფუნქციური მოძრაობის არასრულფასოვნების გამო შრომითი საქმიანობა არაეფექტურია.

ასევე არასტაბილურობითა და არასრულფასოვნებით ხასიათდება შრომითი საქმიანობა **და თუ კოლექტივში მუშაობენ ეგოისტური სინდრომის** —ბოროტებისა და სიძულვილის—ადამიანები, რომლებსაც კოლექტივის მუშაობაში შეაქვთ უარყოფითი მუხტი, ისინი მუდმივი დაპირისპირებითა და ვინმესადმი ან რამესადმი სიძულვილით არიან შეპყრობილნი. ისინი დეფორმირებული ფსიქოფიზიკური სტრუქტურებით ხასიათდებიან და მათი შინაგანი მოთხოვნილებაა სიძულვილის ობიექტებისა და სუბიექტების გამოძებნა (რომელსაც ისინი ადვილად პოულობენ), რომ ავნონ საქმით, სიტყვით, მოქმედებით, რადგან ეს მათ უდიდეს შინაგან თავისუფლებას, სიამოვნებას და ბედნიერებას ანიჭებს;

იმის გამო, რომ ასეთი პიროვნებების ფსიქოფიზიკური სტრუქტურები და ორგანიზმის თვითრეგულაციის მართვის სისტემა დეფორმირებულ მდგომარეობაშია, ისინი გარკვეული პერიოდის შემდეგ ყალიბდებიან ნერვასტენიული და ფსიქასტენიური სინდრომის პიროვნებებად და გამუდმებული ეგოისტური ცნობიერება მათში ორგანულ დაავადებათა საფუძველი ხდება. ამავე დროს ფსიქოფიზიკური სტრუქტურების დეფორმაციის გამო შინაგანი და გარეგანი ინფორმაციის აღქმა დაქვეითებული აქვთ, რომლის გამო გარკვეულ გართულებამდე დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს.

ეგოიზმის სინდრომით დაავადებული პიროვნებები სიძულვილისა და შურის შინაგანი მოთხოვნილების გამო ძალაუნებრივად ხელოვნურად აზიანებენ როგორც სიძულვილის სუბიექტებს და ობიექტებს, ასევე საკუთარ ორგანიზმსა და მათში უფრო ხშირად

ვხვდებით ნაადრევი სიბერის კომპლექსს: კლიმაქსს, ჰიპერტონიას, ფსიქასტენიას, ათეროსკლეროზს, სიმსივნურ დაავადებებს და სხვა.

ზემოაღნიშნულის მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს: პიროვნების ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სივრცობრივი დეფორმაცია სტაბილურ ხასიათს ღებულობს და ყალიბდება პათოლოგიური დეფორმაცია. ირღვევა ფიზიკურ და ფსიქიკურ სტრუქტურათა შორის წონასწორობა და თვითრეგულაციის მართვა, რასაც მოჰყვება ენერგოინფორმაციის შემოდინება-გადინების დარღვევა. ორგანიზმში ყალიბდება სიჭარბე და დეფიციტი, როგორც დაავადების საფუძველი. ამ ფონზე, როგორც აღვნიშნეთ, დაავადება ფარული პერიოდის ხანგრძლივობით ხასიათდება, რადგან შინაგანი და გარეგანი ინფორმაციის აღქმა დაქვეითებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეგოიზმის სინდრომის მკურნალება საზოგადოების გაჯანსაღებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების ღონისძიებაა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამედიცინო დახმარების ნომენკლატურულ მეთოდოლოგიაში.

§15. ეგოიზმის სინდრომის მკურნალობის შესახებ

ფსიქოფიზიკური სტრუქტურის ფუნქციის შესრულებას განსაკუთრებული ფორმა, კონფიგურაცია და განზომილებები აქვს. როდესაც პიროვნება ლაპარაკობს ან მოძრაობს, სიტყვის სტრუქტურას, ანუ აზროვნების ასლს აქვს სივრცობრივი პოზიციურობა და განზომილებები, რომელიც ვლინდება ტალღური გამოსხივების ფერებით, ბგერებით, არომატული კომპონენტებითა და ელემენტარული ნანილაკების სხვადასხვა რაოდენობა-თვისებრიობის ფორმებში, ჰოლოგრამებში. მისი პირდაპირი და არაპირდაპირი დისტანციური რეგისტრაციით შეიძლება გადავიყვანოთ იგი სხვადასხვა სასურველ ფორმებში. მისი რეგისტრაცია და სამკურნალო ინფორმაციის გადაცემა ხდება სპეციალური პროგრამების ხელსაწყოთი (რომელიც ანარმოებს დიაგნოსტიკური და სამკურნალო ინფორმაციების შეყვანა-გამოყვანას). ეს კი საშუალებას გვაძლევს, უზენაესი კანონების შესაბამისად, ინფორმაციული

ზემოქმედებითი პროგრამით აღვადგინოთ ფსიქოფიზიკური სტ-რუქტურების სტაციონარული, სივრცობრივი პოზიციურობა, ანუ აღვადგინოთ თვითრეგულაციის ფიზიოლოგიური ჰომეოსტაზი და ენერგია, ინფორმაციის შემოდინება-გადინების ნონასწორობა, ორგანიზმის ყველა სტრუქტურათა ურთიერთშეთანხმებული და ურთიერთსოლიდარული ფუნქციონირება.

თუ ორგანიზმის ყველა სტრუქტურის ფუნქციონირებას გადავიყვანთ სტაციონარულ სივრცობრივ-პოზიციურობაში, რომელიც თვით ადამიანის ნებისყოფაზეცაა დამოკიდებული, მაშინ ყველა ადამიანი იცხოვრებდა უზენაესი კანონების შესაბამისად და სოციალურ სფეროში არ იქნებოდა ეგოიზმი, შური, სიცრუე, ბოროტება. ადამიანი იქნება ჯანმრთელი, ბედნიერი, უდიდესი შემოქმედებითი უნარიანობით, რაც ჯანმრთელი შთამომავლობის გენეტიკური საფუძველია. ჯერჯერობით კი ეგოიზმის სინდრომის ადამიანები დიდ ზიანს აყენებენ კაცობრიობას (ანუ ადამიანები ერთმანეთს უმოკლებენ სიცოცხლესა და ბედნიერებას).

საბაზო სანატორიუმ „ლიკანში“ 1972 წელს დამუშავდა, მოხდა აპრობირება და გამოიცა მეთოდური წერილის სახით ეგოიზმის, როგორც პათოლოგიური მდგომარეობის მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდი და მართვის სისტემაში ახალი ორგანიზაციული ფორმების პრაქტიკული რეალიზაცია (ე.დ.). გამოქვეყნდა მართვის 28 ახალი ორგანიზაციული ფორმა, რომლებიც რეგისტრირებულია მინისტრთა კაბინეტთან არსებული პატენტებისა და გამოგონების ექსპერტიზის ინსტიტუტში. მასში ჩამოყალიბებულია (საერთაშორისო კონვენციიდან გამომდინარე) ადამიანთა ფსიქოფიზიკური მდგომარეობის დადგენის მეთოდები და პარამეტრები. რომელიც ორი ეტაპისაგან შედგება: ანონიმური და არაანონიმური რეგიონალური საექიმო კომისიების მიერ გაცემული დასკვნები თანამდებობაზე ასარჩევი ან დასანიშნი პირების ფსიქოფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არაკანონიერია; იგი უნდა ტარდებოდეს ჯანდაცვის სამინისტროსთან შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ, რომელშიც უნდა შედიოდნენ სხვადასხვა სპეციალობის პროფესიონალები, ჯანსაღი ფსიქოფიზიკური სტრუქტურების პიროვნებები, — ექიმები, ფსიქოლოგები, მართვისა და მეცნიერე-

ბის დამსახურებული მოღვაწეები და პედაგოგები). კომისიის მუშაობა ტარდება კოდირებული ტესტებით და პროგრამებით.

ადამიანთა სხვადასხვა ფსიქოლოგიური და მსოფლმხედველობითი ჯგუფების შესწავლას ჩვენ ვანარმოებდით ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკითა და ტესტირებით, პირადი მიღების, საქმიანი ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრებით. მეთოდიკას გაცნობიერებული ადამიანები მართვის პიროვნებებთან ორჯერ შეხვედრის შემდეგ ერთი და იგივე ინფორმაციას იძლევიან. მრავალი წლის მეცნიერული მონაცემების შეჯერება ხდებოდა პრაქტიკული დაკვირვებებით, როგორც სანატორიუმში შემოსულ ავადმყოფთა კონტინგენტზე, ასევე თანამშრომლებზე, კურორტთა მართვის ადმინისტრაციულ მუშაკებზე და პარტიულსა და სახელმწიფო-ადმინისტრაციული ორგანოების სხვადასხვა იერარქიულ საფეხურებზე, სკოლისა და ბავშვთა ბაღის ასაკის კონტინგენტზე.

ჩვენს მიერ შესწავლილი ადამიანთა ჯგუფები დაყოფილი იყო ასაკის, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის და სხვა სოციალურ-ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით: სოფლის, ქალაქის მაცხოვრებლები, სოციალურად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, პედაგოგები, ექიმები, მუშები, დიასახლისები, ადმინისტრაციული მუშაკები და ბავშვები სკოლამდელი ასაკის, სკოლის, პირველი კლასიდან საშუალო განათლების მიღებამდე, (რომლებთანაც გვქონდა ურთიერთობა საცხოვრებელი რეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე). ამ მონაცემებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ ადამიანთა სხვადასხვა ფსიქოფიზიკური ჯგუფებისა და პიროვნებების ჩამოყალიბება ხდება როგორც გენეტიკურად, ასევე დაბადებიდან სიცოცხლის პირველ პერიოდში სოციალური გარემოს ინფორმაციული ზემოქმედებით. თეორიული მოსაზრებები დადასტურებული იქნა პრაქტიკულად კონკრეტულ პიროვნებებსა და ჯგუფებში, რომლებთანაც ჩვენ გვქონდა უშუალო ჰორიზონტალური და ვერტიკალური ურთიერთობა. დადგინდა, რომ პიროვნებები, რომლებიც ხასიათდებიან ალტრუიზმით, კეთილშობილებით, სიმართლის, სიკეთის, პატრიოტიზმის, ადამიანთა სიქველით, ეროვნული პასუხისმგებლობით სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულით და სწორი მსოფლმხედველობით, მკვეთრად განსხვავდებიან ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სივ-

რცობრივი პოზიციურობით ანტაგონისტური ჯგუფებისაგან, რომლებიც ხასიათდებოდნენ ეგოიზმით, უზურპაციით, ამბიციურობით და სიძულვილით, სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოვალეობისადმი არასინდისიერი დამოკიდებულებით, კორუფციის და ვოლუნტარიზმის თვისებებით.

მრავალი წლის მეცნიერული დაკვირვებებიდან გამომდინარე (ფსიქოფიზიკური სტრუქტურების პათოლოგიურ სივრცობრივ პოზიციურობის მიხედვით) პიროვნებები რომლებიც ხასიათდებიან ეგოიზმით და მისი ფორმებით-ამბიციურობით, უზურპაციული გამოვლინებებით საჭიროებენ სპეციალურ მკურნალობასა და გაჯანსაღებას პროფილაქტიკური და სამკურნალო ინფორმაციული, ფიზიკური ფაქტორებით, მედიკამენტოზური, ფსიქოთერაპიული, რელიგიური და სხვა კომპლექსური ზემოქმედებით და იგი იმდენად შედეგიანია, რამდენადაც იწყება ახალგაზრდა ასაკში (ასაკის მატებასთან ეგოისტური სინდრომი მატების ტენდენციით ხასიათდება)

შემუშავებული იქნა ადამიანთა დეფორმირებული ფსიქოფიზიკური სტრუქტურების „ნიველირების", გაწონასწორების, ანუ გაჯანსაღების, გაკეთილშობილების, გაჰუმანურებისა და გაცივილიზირების სპეციალური მეთოდიკები, რომელიც შეტანილი იყო ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო-სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის სკოლა უნივერსიტეტის პროგრამაში. ამ მონაცემების საფუძველზე გარდაიქმნა სანატორიუმ „ლიკანის" მართვის ფორმები, რომლის განხორციელებით სანატორიუმში არ იყო თანამშრომელთა მოხსნის შემთხვევა დირექტორის მიერ.

ის მუშაკი, რომელიც ვერ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას, მასთან ტარდებოდა სპეციალური მუშაობა. ამისათვის ჩამოყალიბებული იყო კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესწავლის მუდმივმოქმედი სემინარები (ექიმებთან, მედდებთან, მზარეულებთან, სანიტრებთან, ტექნიკურ მუშაკებთან და სხვ. სამუშაოდან მოუწყვეტლივ), საზოგადოებრივ საწყისებზე. თანამშრომელი, რომელიც მაინც არღვევდა შრომის კანონმდებლობას, ხდებოდა მასთან ინდივიდუალური მუშაობა და სხვადასხვა ადმინისტრაციული ცივილიზებული მეთოდების გამოყენებით სიტყვიერი და

ნერილობითი საყვედური, მატერიალური სანქციები. თუ ეს ხერხები არ იყო ეფექტური, ასეთ პიროვნებებთან ხდებოდა პერსონალური მუშაობა, როგორც დირექტორის, ასევე პროფდაჯგუფებების განყოფილების და პროფკომიტეტის გაერთიანებული საბჭოების მიერ და პიროვნება თანდათან რწმუნდებოდა თავის შეცდომებსა და არასრულფასოვან შრომით საქმიანობაში და თვითშეგნებით, თვითშთაგონებით მაღლდებოდა მისი პასუხისმგებლობა, ანდა ნერდა განცხადებას სამუშაოდან წასვლაზე.

ასეთი მეთოდით დაწესებულების მართვის დროს თანამშრომელის ფსიქოფიზიკური მდგომარეობა ნონასწორობაშია და მოხსნილი აქვს მართვის ეგოისტური ფორმის ინფორმაციული გენოციდის უარყოფითი ზემოქმედება, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველია. შრომის ნაყოფიერების ეფექტურობის შეფასებას ჩვენ ვაწარმოებდით „ცსუ"-ს მონაცემების სტანდარტებით შრომის არაპირდაპირი ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტის (ე. დვალიშვილი 1984 წ.) გამოანგარიშებით. არაპირდაპირი და პირდაპირი ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტის მიხედვით თანამშრომელი ღებულობდა მოგების 18-30 %-მდე.

ჩვენი მრავალი წლის ორგანიზაციული, ადმინისტრაციული, სამედიცინო პრაქტიკული და სამეცნიერო-სასწავლო მუშაობის ობიექტური ანალიზიდან გამომდინარე ეგოიზმის სინდრომის მკურნალება რეალურია.

§16. აზროვნების ლეგალიზაციის მექანიზმის შესახებ

ბიოლოგიური ორგანიზმის ცხოველმყოფელობა შინაგან და გარეგან გარემოდან ენერგოინფორმაციის შემოდინებით იწყება და ფუნქციურ მოძრაობაში გამოიხატება, ხოლო ფუნქციური მოძრაობა ბგერებით, ფერებით, ელემენტარული ნაწილაკებით და არომატული კომპონენტების გამოდინებით (მანიფესტაციით) ე.წ. გარეგანი პულსირებადი ელექტრული ველის სახით ვლინდება; ეს პროცესები, როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის აზროვნებითი თვითრეგულაცია, უდიდესი სიჩქარით ვრცელდება და მრავალსაფეხურიანი მოვლენაა; მის გარკვეულ ეტაპებსა

და საფეხურებზე მიმდინარეობს ბიოქიმიური, ბიოფიზიკური, მექანიკური, აკუსტიკური, ოპტიკური, ელექტრომაგნიტური, კვანტური, გრავიტაციული, პლაზმური, ფერმენტაციული, ჰორმონული, თერმოდინამიკური, ჰიდროდინამიკური და სხვა ფსიქო-ენერგეტიკული ინფორმაციული პროცესები. ორგანიზმის ცხოველმყოფელობის თვითრეგულაცია, როგორც აზროვნებითი მართვის პროცესი, სტრუქტურათა და უჯრედთა ირგვლივ ქმნის ველს, რომელთა ერთიანობა წარმოადგენს ორგანიზმის გარეგან ერთიან პულსირებად ფიზიკურ სტრუქტურას — ელექტრულ ველს ე.წ. ბიოველს, როგორც ენერგოინფორმაციის გადინების „კოორდინატორს". მასში ასახულია ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობა — ინფორმაციულობა ანუ „ცნობიერების" ჰოლოგრამა, რომელიც ფაქტობრივად მოფუნქციონირე სტრუქტურების, უჯრედების „ტალღობრივი გამოსხივების" ანარეკლია. მხედველობისათვის ამ უხილავი კონფიგურაციის სტრუქტურების რეგისტრაცია შესაძლებელია გრაფიკულად, ფოტოგრაფიულად, ოპტიკურად, ქრომატოგრაფიულად, ჰოლოგრაფიულად, აკუსტიკურ — ჰოლოგრაფიულად და სხვა სახესა და ფორმებში, რომელშიც ასახულია ორგანიზმის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობის ინფორმაცია.

დაავადება — უჯრედის გენეტიკური ინფორმაციის „ცნობიერების"შეცვლა— დამახინჯებაა და უჯრედი ფუნქციონირებს შეცვლილი გენეტიკური პროგრამით, ანუ ფიზიოლოგიური ფუნქციური მოძრაობის დარღვევით (დეფორმაციით), რომელიც აისახება ელექტროველსა და ჰოლოგრამაში და ვლინდება ფერების, ბგერების, არომატული კომპონენტებისა და ელემენტარული ნაწილაკების სახით. მეტყველება, როგორც ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობით აზროვნების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, ისევე, როგორც სიტყვა მარტივი და რთული ბგერებისაგან შედგება (ჰიპერბგერა, ულტრაბგერა, ინფრაბგერა). თუ ცალკეულ ბგერას მიუსადაგებთ სათანადო კოდს, შეგვიძლია ბგერების გაშიფრვა და მისი გადაყვანა სხვადასხვა ფიზიკურ სახესა და ფორმაში და იგი შეიძლება მოვისმინოთ და დავინახოთ მოცულობით ფორმაში; ასევე შესაძლებელია ფერის დაშლა და მისი გადაყვანა სხვადასხვა მოცულობით ფორმაში.

მეტყველება ბგერებით აზროვნების გამოხატვაა და ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობით სრულდება. მეტყველება მარტივი და რთული ბგერებისაგან შედგება (ადამიანმა მეტყველება გარემოს ბგერების იმიტაციით აითვისა), მისი დაშლა და კოდირება (მოწოდებული თ. ბერიანიძის მიერ) დიდ პრაქტიკულ პერსპექტივას მოიცავს.

სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ყველა საგანს, პროცესსა და ობიექტს ერთი და იგივე სიმბოლური ფორმებით აღიქვამს და შემდეგ ხდება მისი ტრანსფორმა-ცია, კოდირება და სასურველი მეტყველებითი ენის შესატყვისი ბგერებში გამოხატვა.

ისევე, როგორც მხედველობის, სმენის, ყნოსვის გემოვნების, გრძნობათა რეცეპტორე-ბის ინფორმაციის „ტრანსფორმაცია" ხდება მეტყველებასა და მოძრაობის სხვადასხვა ფორმაში, ასევე შესაძლებელია ყველა სახის ბგერითი მეტყველების გადაყვანა სხვადასხვა ფიზიკურ ფორმაში და ერთდროულად მისი დანახვა და მოსმენა **(ყველა ბიოლოგი-ური სტრუქტურა ხასიათდება მიკრო, მაკრო, ულტრა, ინფრა ბგერითი მეტყველებით).**

ცნობილია, რომ ცალკეულ პიროვნებათა აზროვნებისა და მეტყველების სტრუქტურები განუმეორებელი სივრცობრივი გეომეტრიული ფორმისა და კონფიგურაციის სხვადასხვა განზომილებებით ხასიათდება, ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ფუნქციონირება და მისი რაოდენობრიობის სხვადასხვა სივრცობრივი პოზიციურობა ელექტრულ ველსა და ჰოლოგრამაში გამოიხატება და იგი ორგანიზმის ცხოველმყოფელობითი მოძრაობის ალგორითმია; მასში იკვეთება აზროვნებითი ქცევის ყველა ნიუანსი; ამავე დროს ამ ინფორმაციით გაცნობიერებულია მთელი ორგანიზმის სტრუქტურები და პიროვნება საკუთარ მეტყველებისა და აზროვნების ინფორმაციის ზემოქმედებაშია და იგი ფსიქოფიზიკური სტრუქტურების შესატყვისი ფორმის სივრცობრივი პოზიციურობით გამოიხატება **(აზროვნების სტრუქტურა ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ფუნქციური მდგომარეობის მოდელია. აზროვნება მოძრაობაში გამოიხატება, მოძრაობა — აზროვნებაში).** მისი რეგისტრაცია ანუ ორგანიზმის ცხოველმყოფელობის რეგისტრაცია, როგორც ცნობიერებისა და აზროვნების ანარეკლი, ასლი შესაძლებელია პირდაპირ კონტაქტურად და დისტანციურად.

§17. საჭიროა თუ არა აზროვნების ლეგალიზაცია

კეთილ ნების და ღირსეული ადამიანი, ვინც საზოგადოებისა და ქვეყნის სამსახურში დგას თავისი ცოდნით, შრომითა და კომპეტენტურობით, სიკეთის, კეთილდღეობის, ბედნიერებისა და მშვენიერების სამსახურს ეწევა, ყოველთვის ჰქონდა, აქვს და ექნება უდიდესი სურვილი თავისი შემოქმედებითი საქმიანობის მაქსიმალური ლეგალიზაციის, დემოსტრაციისა და რეალიზაციისა. არ არსებობს ისეთი პროფესიისა და სპეციალობის პიროვნება, რომელიც არ ოცნებობდეს საკუთარი შესაძლებლობების (იდეის) მაქსიმალურ ლეგალიზაციაზე, აღიარებაზე (სიტყვით, წერით, ტელევიზიით, რადიოთი, ფიზიკური შესრულებით). იგი ადამიანის აუცილებელი შინაგანი მოთხოვნილებაა. ამიტომ ხელოვანი, შემოქმედი, მწერალი, მეცნიერი, ინჟინერი, ექიმი, პოეტი, კომპოზიტორი, მასწავლებელი, ლექტორი, მუშა, გლეხი, ფერმერი და ყველა კეთილ ნების პიროვნება, რომელიც საზოგადოების, ხალხის და სახელმწიფოს, სიკეთესა და კეთილდღეობას ემსახურება, უდიდესი შინაგანი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებით არის განწყობილი მისი შემოქმედებითი აზროვნების ლეგალიზაციის განხორციელებისათვის; ხოლო მისი განხორციელება და ლეგალიზაცია თვით პიროვნებას უდიდეს შინაგანსა და გარეგან თავისუფლებას, კმაყოფილებას, ბედნიერებას, სიმშვიდეს, სიხარულსა და ჯანმრთელობას ანიჭებს.

ბოროტი ზრახვების, კრიმინალიზმის, სიცრუის, ტყუილის, სიძულვილის სოციალურ-პოლიტიკური ავანტიურის, კორუფციის და სხვა ეგოისტური მიზნების აზროვნების იდეის ლეგალიზაცია პიროვნებას არ შეუძლია, რადგან მისი ლეგალიზაციას — საზოგადოებრივ აღიარებას — მოჰყვება იდეის შესრულების კრახი. ამიტომ ბოროტი ზრახვების პიროვნებებს სჭირდებათ აზროვნების იდეის კონსპირაცია.

როგორც აღვნიშნეთ, აზროვნების პროცესი მრავალსაფეხურიანი და მრავალეტაპიანია; როგორც ბოროტების, ასევე სიკეთის იდეის ჩამოყალიბება ხდება ფსიქიკურ სფეროში, შემდგომ ეტაპზე აზროვნების იდეით ხდება ფუნქციის შესრულების ფიზიკური სტრუქტურების გაცნობიერება ანუ ფუნქციის შესრულების ფიზიკური სტრუქტურების სივრცობრივი პოზიციურობის ჩამოყ-

ალიბება — ფსიქოფიზიკური განწყობა, რომელიც ვრცელდება მთელ ორგანიზმში და იდეის შესრულების მოთხოვნა, როგორც დომინანტური ფაქტორი, ინვევს შინაგანსა და გარეგან ტოტალურ ზემოქმედებასა და მთელი ორგანიზმის ფიზიოლოგიური ჰომეოსტატური პროცესების მოქცევას იდეის შესრულების იძულებით მდგომარეობაში — „ჰომეოსტაზურ დეფორმაციაში"; იდეის შესრულების ფსიქოფიზიკური განწყობა ძლიერ ზემოქმედებას ახდენს პიროვნებაზე და იგი ამუხრუჭებს მის ცნობიერების დიაპაზონს (გარდა ამ ერთი მიზნობრივი იდეისა) და მთელი ორგანიზმი ტოტალურად მობილიზებულია იდეის შესრულების განწყობით. პიროვნება რომ განთავისუფლდეს ამ მუხრუჭებისაგან, საჭიროა იდეის რეალიზაცია ან ლეგალიზაცია, რასაც მოჰყვება შინაგანი და გარეგანი „თავისუფლება"(*), ბედნიერება, სიმხნევე, სიმშვიდე და კმაყოფილების გრძნობა. რაც დეფორმირებული ჰომეოსტაზის წონასწორობის აღდგენაზე მიუთითებს. მაგრამ რადგან „ბოროტების იდეის" ლეგალიზაცია პიროვნებას არ შეუძლია,მას ერთადერთი გზა რჩება მისი შესრულებისა და რეალიზაციისათვის, რომ განთავისუფლდეს იდეის შესრულების ზემოქმედების მუხრუჭებისაგან.

ამრიგად, იდეის შესრულება, იქნება იგი სიკეთის თუ ბოროტების, დაკავშირებულია მთელი ორგანიზმის სტრუქტურების ინფორმაციულ გაცნობიერებასთან, რომლის საფუძველზე ყალიბდება იდეის შესრულების ფსიქოფიზიკური განწყობა და ფუნქციური მოძრაობის სტრუქტურების სივრცობრივი პოზიციურობა. სტრუქტურების სივრცობრივი დეფორმაცია აწუხებს, აწვალებს, ტანჯავს პიროვნებას, ხოლო მისი ლეგალიზაცია ან ფიზიკური შესრულება ხსნის მის ფსიქოფიზიკურ განწყობას და ხდება ჰომეოსტატური წონასწორობის აღდგენა, რაც პიროვნებას სიამოვნებას, ბედნიერებას, სიმშვიდეს, შინაგანსა და გარეგან ეკოლოგიურ წონასწორობას, „თავისუფლებას" ანიჭებს. ბოროტი

(*) შინაგანი და გარეგანი „თავისუფლება" არის სოციალური, ბიოლოგიური, ფიზიკური, ფსიქიკური, ნეიროპორმონალური ჰომეოსტაზი. ანუ შინაგანი და გარეგანი ეკოლოგიური წონასწორობა ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სტაციონარულ-ფიზიოლოგიური მდგომარეობა, როგორც ჯანმრთელი ორგანიზმის ცხოველმყოფელობა, რომელიც სამყაროს უზენაეს კანონებს ეფუძნება.

ზრახვების რეგისტრაცია და ლეგალიზაცია პიროვნებას ათავისუფლებს იდეის შესრულების მუხრუჭებისაგან (იგი იკურნება).

სიკეთისა და ბოროტების, აზროვნების სტრუქტურები განსხვავდება, როგორც ფსიქოფიზიკური სტრუქტურების სივრცობრივი განზომილებებით და კონფიგურაციით, ისევე მისი სტრუქტურული შემადგენლობით და ჰოლოგრამებით.

ცნობილია, რომ ცალკეული პიროვნებები, მათი აზროვნების სტრუქტურები და ჰოლოგრამები არა მარტო განუმეორებელი სივრცობრივი პოზიციურობის კონფიგურაციითა და განზომილებით, არამედ განუმეორებელი გენეტიკური კოდითაც ხასიათდება. ორგანიზმის ცხოველმყოფელობის თვითრეგულაცია, როგორც აზროვნების სტრუქტურების რეგისტრაცია, შესაძლებელია დისტანციურად, აკუსტიკურად, ოპტიკურად, ჰოლოგრაფიულად, ფოტოგრაფიულად, რადიოგრაფიურად, აკუსტიკურ – ჰოლოგრაფიულად, ანუ შეიძლება მისი მოსმენა და მოცულობითი „დანახვა".

აზროვნებისა და ცნობიერების რეგისტრაცია და ლეგალიზაცია, კერძოდ ბოროტი ზრახვების დისტანციური რეგისტრაცია და მისი ლეგალიზაცია ტელევიზიით და სხვა მასიური ინფორმაციის საშუალებებით უდიდესი ღირებულების და მნიშვნელობის საკითხია, რომელიც რადიკალურ ძვრებს შეიტანს საზოგადოების მსოფლმხედველობასა და ფსიქოლოგიაში, დაავადებათა, დიაგნოსტიკა-მკურნალობასა და სიცოცხლის გახანგრძლივების საქმეში. ამავე დროს იგი ყველა სახის ბოროტი ზრახვების (კრიმინალიზმის, ავანტიურიზმის, კორუფციის, ვოლუნტარიზმის, ეგოიზმის, სიძულვილის, ნაციონალური დაპირისპირების, გლობალური და ლოკალური ომების, ცივილიზაციის მონაპოვარის ნგრევისა და განადგურების) და ცივილიზირებული საზოგადოებისათვის მიუღებელი მოქმედების აღკვეთის რეალური საშუალებაა. იგი ერთადერთი გზაა ადამიანთა საზოგადოების ცივილიზირებული, ჰუმანური ურთიერთობისა და ჭეშმარიტი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, სადაც ადამიანი განთავისუფლდება შიშის, ბოროტების და სხვა უარყოფითი ანტროპოგენური და ეკოლოგიური ფაქტორებისაგან, რომელიც ამუხრუჭებს ადამიანთა ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობას. ამ მუხრუჭების მოხსნა მისცემს დასაბამს უნივერსალურ აზროვნებასა და ცნობიერების განვითარებას.

ადამიანებს ჩამოუყალიბდებათ სიკეთის, ბედნიერების, სიხარულის, კეთილდღეობის მოთხოვნილება და საკუთარი აზროვნების, ცნობიერების, მსოფლმხედველობის და ფსიქოფიზიკური შესაძლებლობის შესაბამისი საქმიანობით უდიდეს შემოქმედებით ბედნიერებას მიაღწევენ. საზოგადოებაში არაიძულებითი ურთიერთკონტროლი გახდება ადამიანთა ჰარმონიული განვითარების საფუძველი, ცხოვრების ბედნიერების საზომი და პიროვნების უფლების დაცვის უნივერსალური კანონი. ასეთ პირობებში საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მართვა და ეკოლოგიური ნონასწორობის შენარჩუნება შესაძლებელია ლეგალიზებული იდეებით კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით.

§18. არის თუ არა აზროვნების ლეგალიზაცია ადამიანის უფლებათა შეზღუდვა?

როგორც ცნობილია, ადამიანის ძირითადი დანიშნულება იყო და არის ჰუმანურობა და როგორც ადამიანთან, ისე გარე სამყაროსთან ცივილიზებული ურთიერთობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მოქმედების ყველა ფორმა უნდა გამომდინარეობდეს მისი ძირითადი დანიშნულების — სიკეთის, ჰუმანურობისა და კეთილშობილების — პრინციპებიდან, რომლის თანახმად, ადამიანს დამალული აზრები და იდეები არ შეიძლება ჰქონდეს. მრავალი ათასი წელია რაც არსებობს ადამიანთა ურთიერთობის სახელმწიფოებრივი ფორმები და დღესაც XXI საუკუნის მიჯნაზე არ მოხდა ადამიანთა გაკეთილშობილება და ჭეშმარიტი ჰუმანური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება და დღესაც ყველაზე აგრესიული მხეცები იმდენ ზიანს არ აყენებენ კაცობრიობასა და ბუნებას, როგორც ერთი ბოროტი ადამიანი.

ადამიანმა, როგორც სიცოცხლის განვითარების უმაღლესი საფეხურის არსებამ (homo sapiens), თავისი შემოქმედებითა და ცივილიზებული მოქმედებით უდიდესი ბედნიერება მოუტანა საზოგადოებას. მაგრამ გარკვეული ჯგუფის ადამიანები თავისი ეგოისტური მიზნებისათვის ანადგურებდნენ და დღესაც ანადგურებენ ცივილიზაციის მონაპოვარს, შედევრებს, ფლორას და ფაუნას; ანადგურებენ და ხოცავენ თავისი გენისა და ჯიშის

მოდგმას, ომებითა და ძალადობით იპყრობენ და იმონებენ თავისი მოდგმის სრულიად უდანაშაულო ერებსა და სახელმწიფოებს.

დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ჯიშის ან კლასის ცხოველი, რომელიც კლავს და ანადგურებს, ჭამს თავისი ჯიშის სახეობას. ხოლო ადამიანები კი ყველა ცოცხალ არსებას ხოცავს, კლავს, ჭამს (კანიბალიზმი) და ანადგურებს. კაცობრიობა აუარებელი უბედურებების მომსწრეა, რომელსაც ბოროტი ადამიანები აკეთებენ.

თუ კაცობრიობამ ვერ შეძლო ზნეობრივი გაკეთილშობილება, ჭეშმარიტი „გაადამიანება", „გაჰუმანურება", ეგოიზმის, ბოროტების, შურის, სიძულვილის, მავნე და არაჰუმანური, როგორც ბუნებასა და სამყაროს ერთიანი უნივერსალური კანონზომიერების საწინააღმდეგო მოქმედება, ბოროტების მოთოკვა, მაშინ კაცობრიობა მალე აღმოჩნდება კატასტროფის წინაშე; ადამიანები, რომლებიც „გაჟღენთილია" მავნე და ბოროტი იდეების ინფორმაციით, კაცობრიობისათვის გენეტიკურად საშიშია. ამიტომ საჭიროა მათი გარდაქმნა, გაკეთილშობილება, ბოროტების, ეგოიზმის იდეის ინფორმაციისაგან განთავისუფლება. დღეს საზოგადოებაში პარადოქსული ცნობიერება დომინირებს. იმპერატორებს, ხელმწიფეებს, მეფეებს, ვინც მეტი ადამიანები ამოჟლიტა და აღგავა პირისაგან მიწისა, ერები, ტომები, სახელმწიფოები ლეგენდებს უქმნიან და ქადაგებენ მათ გენიალობასა და სიმამაცეზე.

ერთ დროს აყვავებული აფრიკა უდაბნოდ გადააქციეს. გოთებმა სკვითების უძლიერესი სახელმწიფო და რომაელებმა ეტრუსკები მიწისაგან აღგავეს, დღეს დედამიწაზე ომებისა და ეგოისტურ პიროვნებათა ბოროტი ანტროპოგენური მოქმედების შედეგად 50-%-ზე მეტი ტყეები გაჩეხილია პლანეტაზე. სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ურჩხული თანდათანობით სპობს ფაუნისა და ფლორის უნიკალურ სახეებს და სხვა. საზოგადოება უნდა აღდგეს ასეთი ბოროტების წინააღმდეგ, რომ დაამტკიცოს თავისი ადამიანური მოწოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობას გარდაუვალი კატასტროფა ელოდება.

ბოროტების, მავნე იდეებისა და მოქმედების აღკვეთის თანამედროვე მეთოდები არარეალური და არაობიექტურია, გარდა პიროვნების აზროვნებისა და ცნობიერების პირდაპირი

კონტაქტური და დისტანციური რეგისტრაციისა და ლეგალიზაციისა; იგი არის ადამიანთა ცივილიზირებული ცნობიერებისა და აზროვნების, იდეებისა და მოქმედების ჩამოყალიბების მთავარი ბერკეტი და საზოგადოების ურთიერთკონტროლის, გაკეთილშობილების და ადამიანის უფლებათა დაცვის რეალური საშუალება.

§19. აზროვნების პირდაპირი კონტაქტური და დისტანციური რეგისტრაცია, როგორც ადამიანთა გაჯუმანურების, გაკეთილშობილების, გაცივილიზირების საშუალება

როგორც აღინიშნა, აზროვნება, როგორც უნივერსალური მოძრაობის ფორმა, ვექტორული, მიმართულებითი და პროგრესული პროცესია. ცნობიერებასა და აზროვნებას შორის არსებობს ურთიერთზემოქმედება. ადამიანთა ჯგუფებისა და პიროვნებების ფსიქოლოგია და მსოფლმხედველობა შინაგანი და გარეგანი გარემოს ინფორმაციული ზემოქმედებით ყალიბდება (იხ.თავი III). აზროვნებისა და ცნობიერების შეცვლა დაკავშირებულია მიზნობრივი გარემოს ან მიზნობრივ ინფორმაციულ ზემოქმედებასთან, ხოლო აზროვნებისა და ცნობიერების შეცვლით შესაძლებელია ადამიანის, პიროვნების გარდაქმნა უმძვინვარეს და საშიშ „ურჩხულად" ან უკეთილშობილეს ღმერთკაცად (homo dei).

ცხოველთა სამყაროში, ალბათ, არ არსებობს ისეთი პოპულაცია, რომელიც თავისი სახეობის პოპულაციას კლავდეს ან ჭამდეს, ხოლო კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ადამიანის მიერ ყველა სახის ბოროტების ჩადენა, მათ შორის კანიბალიზმი, რომლის საფუძველია პიროვნების ფსიქოფიზიკურ სტრუქტურებზე ინფორმაციული ზემოქმედებით ცნობიერებისა და აზროვნების გარკვეული მიმართულების ჩამოყალიბება. იგი ზოგჯერ შემთხვევითია, ზოგჯერ მიზნობრივ-მიმართულებითი გარემოს ან ადამიანთა მიერ ადამიანებზე სხვადასხვა სახის ინფორმაციული ზემოქმედებით.

ადამიანის აზროვნებასა და ცნობიერებას ყოველთვის ამუხრუჭებდა და ამუხრუჭებს, აკნინებს სოციალური უსამართლობა, მონური ფსიქოლოგია, ეკონომიკური სიდუხჭირე, ძალადობა, ბოროტება,

ამბიციურობა, კრიმინალური საშიშროება, მართვის სისტემაში არსებული უხეში ადმინისტრატორობა (უვიცობა, ამბიციოზი, ძალადობა და თვითნებობა), ერთის მიერ მეორის ექსპლუატაცია, რომლის გამო ადამიანთა ფსიქოფიზიკური სტრუქტურები დეფორმირებულია, მისი ფსიქოფიზიკური შესაძლებლობები და აზროვნება დამუხრუჭებულია, ადამიანი თავისი ფსიქოფიზიკური შესაძლებლობების მხოლოდ 10-12%-ზე მეტს ვერ იყენებს, რაც დაავადებისა და სხვადასხვა სოციალური კატაკლიზმების საფუძველია. ადამიანები, არაცივილიზებული ფორმების ურთიერთზემოქმედების გამო, თვით აზიანებენ ერთმანეთს და უმოკლებენ სიცოცხლის ხანგრძლივობას, ამახინჯებენ სიცოცხლის მშვენიერებას და სილამაზეს. სნობი და უმეცარი ეგოისტი ადამიანები გენოციდური ზემოქმედების „გენერატორებია". ფაქტობრივად დღეს ცივილიზაცია იუვენალურ სტადიაშია; მომავალში ადამიანმა უნდა იპოვოს თავისი ადგილი, იცხოვროს და ჰარმონიულად განვითარდეს ბუნებასთან, და ცივილიზებულ სისტემასთან შეთანხმებული ურთიერთობით, როგორც ერთიანი ცოცხალი სისტემის შემადგენელმა ნაწილმა, სადაც არ იქნება ძალადობა, ეგოიზმი, ბოროტება, ცბიერება, უსამართლობა, სიძულვილი, ტყუილი, კორუფცია, ვოლუნტარიზმი (როგორც დეფორმირებული ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ინფორმაციული გადმონაშთი) და თითოეული ადამიანი გახდება სიკეთის, სიყვარულის, ბედნიერების შემოქმედი, რაც მიიყვანს საზოგადოებას ჭეშმარიტ ცივილიზაციამდე და ადამიანი დაეუფლება გლობალურ ცნობიერებას და აზროვნებას. შრომა გახდება ბედნიერების, სიჯანსაღისა და განვითარების საგანი.

ადამიანის ყველა სახის მოქმედების საფუძველი „პროგრამა" აზროვნებაა, ხოლო მისი კონტროლი ადამიანური ღირსებისა და ზნეობის საფუძველია. საზოგადოებასა და ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში ყოველთვის არის სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება.

ბოროტების საწყისი და წარმმართველი არის გარკვეული კატეგორიის ადამიანთა ეგოისტური ცნობიერება და აზროვნება, რომელიც მართვითი ზემოქმედებით ხასიათდება პიროვნებებსა და საზოგადოებაზე, ხდება ძალადობის საბაბი, მიზეზი და იარაღი. ამავე დროს იგი გენოციდის ფაქტორია, რომელიც აღწერილია წინა თავში.

იბადება კითხვა: რითი შეიძლება ადამიანის გაკეთილშობილება, გაჰუმანურება, „გაადამიანება", მისი განთავისუფლება, განკურნება ეგოისტური ზრახვებისაგან, რომ იგი გახდეს ღვთისნიერი, ალტრუისტი, homo dei, რომელიც ცივილიზაციის ძირითადი მოწოდებაა? რა ბერკეტია საჭირო იმისათვის რომ ადამიანი გახდეს მოსიყვარულე, კეთილშობილი, ჰუმანური და ათი მცნების „კავალერი", რომ ადამიანი არ მივიდეს პლანეტების კატასტროფამდე (ატომური, წყალბადის ბომბი, ფსიქოტრონული, სენსორული, ბაქტეროლოგიური, მიკროტალღოვანი, ბინარული, ბიოტოქსიური, ლაზერული და სხვა საშუალებებით), რომელიც უკვე რეალური ხდება?

ჩვენს მიერ შემუშავებულია მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის კომპლექსი, რომელიც მოიცავს, როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიკურ სტრუქტურებზე კომპლექსური, ინდივიდუალური ზემოქმედების მეთოდებს (ე.დ.). მაგრამ ეგოისტ, ამბიციურ, უზურპაციულ პიროვნებებს არა აქვთ სურვილი შეასრულონ მკურნალობის კურსი, ხოლო კეთილი და რაინდული თვისების ადამიანები მკურნალობის ამ სახეს არ საჭიროებენ.

ცალკეულ ინდივიდუუმთა ბოროტი ზრახვების, აზროვნებისა და ცნობიერების აღკვეთის ერთადერთი რეალური და ცივილიზებული გზა აზროვნებისა და ცნობიერების ლეგალიზაცია, **დისტანციური რეგისტრაცია და გლობალური ლეგალიზაციაა. იგი პიროვნებათა და საზოგადოების თვითკონტროლის, ურთიერთკონტროლის, ადამიანთა** ფსიქოლოგიის და მსოფლმხედველობის გაჰუმანურებისა და გაკეთილშობილების, გაცივილიზირების, მათი ურთიერთზრუნვისა და სოლიდარობის ბერკეტია (იხ. თავი 6.1.). ადამიანი დაეუფლება გლობალურ აზროვნებას და მსოფლმხედველობას, როგორც სიჯანსაღისა და სიცოცხლის გახანგრძლივების გლობალურ ცნობიერებას და ადამიანთა საზოგადოების ძირითადი მიზნის — ჭეშმარიტი ცივილიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

აზროვნების პირდაპირი კონტაქტური და დისტანციური რეგისტრაცია ლეგალურს გახდის ადამიანთა აზროვნებას; მოისპობა ეგოიზმი, ბოროტება, საიდუმლოება, ცბიერება, სიძულვილი, ძალადობა, ტყუილი, უსამართლობა, უარყოფითი ძრახვები, კრიმინალიზმი, კორუფცია, ვოლუნტარიზმი.

თითეული პიროვნება ეცდება აზროვნებდეს საზოგადოების ცივილიზირებული ინტერესებიდან გამომდინარე აბსოლუტური ჰუმანურობის სულისკვეთებით. ადამიანები აზროვნებით და მოქმედებით, როგორც სპორტში, შეეჯიბრებიან ერთმანეთს სიკეთის, კეთილდღეობის, ჰუმანურობის, ჭეშმარიტების, ღირსების, გულწრფელობის, გულკეთილობის და უნივერსალური სოლიდარობის სულისკვეთებით და საზოგადოებრივი ბედნიერება იქნება პირადი ბედნიერების საფუძველი. საზოგადოებაში დამკვიდრდება და ადამიანი დაეუფლება ურთიერთ და თვითკონტროლის, თვითგაკეთილშობილების რეალურ საშუალებებს და პიროვნებათა უფლებების დაცვას ძალადობის გარეშე.

ადამიანი დაეუფლება უნივერსალური და ოპტიმალური ფორმის აზროვნებას, გახდება გონებრივად სრულყოფილი, ფიზიკურად მოხდენილი, ესთეტიკურად განვითარებული, როგორც სრულყოფილ თაობათა ჩამოყალიბების საფუძველი.

ზემოაღნიშნულის პრაქტიკული განხორციელება რეალურია, რომელიც თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობის პირობებში უდიდეს ძვრებს შეიტანს ბიოლოგიაში, სოციოლოგიაში, ეკოლოგიასა და მედიცინაში; კერძოდ განხორციელდება ადრეული დიაგნოსტიკა-მკურნალობა უჯრედის დონეზე (რომელიც განხორციელდა მაღალი სიჩქარის კინომატოგრაფული მეთოდით ლიკანში 1972 წელს).

შესაძლებელი გახდება სადიაგნოსტიკო ინფორმაციის მიღება და სამკურნალო ინფორმაციის შეყვანა ერთი და იმავე ხელსაწყოთი (ამჯერად სადიაგნოსტიკო აპარატურა-ხელსაწყოები იძლევა საშუალებას მივიღოთ სტრუქტურის მხოლოდ დარღვეული ფუნქციური მოძრაობის ინფორმაცია და იგი არ გვაძლევს პათოგენეზის ინფორმაციას), პათოგენური აგენტის გენეტიკური ინფორმაციის რეგისტრაცია და მისი კორექტირება პათოგენეზური, სამკურნალო ინფორმაციული ფანტომების ზემოქმედებით.

დაზიანებული დეფორმირებული სტრუქტურების შეცვლა ენერგოინფორმაციული ჰოლოგრამების ფანტომებითა და თანდაყოლილი ან შეძენილი გენეტიკური ინფორმაციის კორექცია — ინფორმაციული — ქირურგიული, ინფორმაციული — ფარმაკოლოგიური და ინფორმაციული — გენეტიკური მეთოდებით.

სხვადასხვა მეტყველებითი ენის კოდირება და მისი გადაყვანა სასურველ ენაზე.

ბიოლოგიური სისტემების ბგერითი მეტყველების რეგისტრაცია და კოდირება ადამიანი გაიგებს ცხოველთა სამყაროს კანონზომიერებას, დაამყარებს მასთან მეტყველებით ურთიერთობას.

მაგრამ ცნობიერებისა და აზროვნების რეგისტრაცია, პირველ რიგში, დაავადებათა ნაადრევი დიაგნოსტიკის მეთოდია. დაავადების ინფორმაციის ჩამოყალიბება ყოველთვის ადრე ყალიბდება სტრუქტურაში, ვიდრე დაავადების განვითარება. იგი სტრუქტურაში სიჭარბისა და დეფიციტის ფენომენია, რომელიც იწვევს რაოდენობრიობისა და თვისებრიობის ცვლილებებს, მის სივრცობრივ-პოზიციურობის დეფორმაციას, რომელიც, პირველ რიგში, რეგისტრირდება ცნობიერებაში. ორგანიზმის ყველა სტრუქტურას, უჯრედს და წერტილს შორის არსებობს უნივერსალური ურთიერთინფორმაციული კავშირი, რომელსაც აკოორდინირებს ცენტრალური ნერვული სისტემის ძირითადი ფუნქცია, ცნობიერება და აზროვნება.

აზროვნების და ცნობიერების რეგისტრაციის ხელსაწყოები არ უნდა იყოს ვიღაცის და ვიღაცების მონოპოლია, როგორც ატომური და სხვა მასიური ხაცვა-ჟლეტის საშუალებები; იგი უნდა იყოს ლეგალიზებული, ყველასათვის ხელმისაწვდომი, როგორც დღეს ვიდეოკამერა, ტელეფონები, აუდიო ხელსაწყოები, რადიოსატელევიზიო დანადგარები და სხვა.

მაშინ მოხდება მისი გამოყენების რეალური ეფექტურობა, რომელიც ყველაზე დიდი აღმზრდელობითი მეთოდი იქნება ადამიანთა მიერ გლობალური ცნობიერების დაუფლების საქმეში და ადამიანი გახდება homo dei.

§20. მეექვსე თავის ლოგიკური ანალიზი

ადამიანის ყველა სახის საქმიანობას აზროვნების მატრიცა უძევს საფუძვლად. მიზნობრივი აზროვნება მიზნობრივი ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული სტრუქტურაა; ცნობიერება ანუ ინფორმაციულობა, როგორც სიკეთისა და ბოროტების ჩამოყალიბების საფუძველი, განპირობებულია, როგორც თანდაყოლილი, ისევე შეძენილი გარემოს ინფორმაციის.

მოაზროვნე ადამიანი – homo sapiens – თანდაყოლილი და შეძენილი თვისებების საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფსიქოლოგიისა და მსოფლმხედველობის სახით: ალტრუისტი-homo dei და ეგოისტი – homo homini lupus est. საზოგადოებაში ამ ორ ფსიქოლოგიურ დაჯგუფებას შორის არსებობდა და არსებობს დაპირისპირება ანუ კაცობრიობის ისტორია არის ბოროტებისა და სიკეთის შერკინების ისტორია. სამყარო ნგრევისა და შენების პოლიგონია, შემოქმედებითი პიროვნებები ქმნიან ადამიანთა ბედნიერებისა და ცივილიზაციის საფუძველს, ხოლო ეგოისტური სინდრომის ადამიანები ანგრევენ და ანადგურებენ მატერიალურ ღირებულებას, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, ერებსა და სახელმწიფოს.

ეგოისტური სინდრომის – ბოროტების, სიძულვილის და უსამართლობის გენოციდური ზემოქმედებით (შიში, ძალადობა, უსამართლობა, მონური ფსიქოლოგიის დამკვიდრება) კნინდება ადამიანის განვითარება და იგი დაავადების და სიკვდილიანობის მატების ფაქტორია. აქედან გამომდინარე, ეგოიზმის სინდრომის მკურნალობა, საზოგადოების გაჯანსაღების, გაკეთილშობილების ფაქტორია. ამრიგად, ადამიანთა გაკეთილშობილება, ეგოისტური სინდრომის პროფილაქტიკა-მკურნალობა, როგორც საზოგადოების გაჯანსაღებისა და ჯანსაღი თაობის ჩამოყალიბების საფუძველი, დამოკიდებულია მედიცინის განვითარებაზე, ხოლო მედიცინის განვითარებას ახალი დოქტრინა ითვალისწინებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის რენესანსს მედიცინის ძირითადი პრინციპების საფუძველზე

ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა მისი შემადგენელი ულტრა, მიკრო და მაკროსტრუქტურების სხვადასხვა რაოდენობა-თვისებრიობის გეომეტრიული ფორმისა და კონფიგურაციის სამგანზომილებიანი სტრუქტურების ურთიერთდაპირისპირებულთა მრავალსაფეხურიანი და მრავალშრიანი ენერგოინფორმაციული კავშირის ერთიანობაა; ცალკეული სტრუქტურები ხასიათდება სტაციონარული და ფუნქციური მოძრაობის ინდივიდუალური დიაპაზონით და დრო-სივრცობრივი პოზიციურობის რაოდენობრიობა-თვისებრიობითა და განზომილებებით და შესატყვისი (სტაციონარული და ფუნქციური მოძ-

რაობის) „ტალღობრივი გამოსხივების" ელექტრული ველის მოცულობითი გამოსახულებით — ჰოლოგრამებით.

ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ფუნქციური მოძრაობის შესრულება ფსიქიკურ სფეროში ჩამოყალიბებული იდეის სტრუქტურის შესაბამისად ანუ აზროვნების ცნობიერი და ქვეცნობიერი მართვითი ზემოქმედებით მიმდინარეობს.

პათოლოგიის დროს იცვლება, როგორც სტრუქტურის რაოდენობრიობა, ისევე მისი თვისებრიობა, ხდება ფიზიოლოგიურ-ფუნქციური მოძრაობის და დრო-სივრცობრივი პოზიციურობის დეფორმაცია-დამახინჯება. მისი რეგისტრაცია უჯრედის დონეზე ნაადრევი დიაგნოსტიკაა, ხოლო მისი კორეგირება შესატყვისი სამკურნალო ენერგოინფორმაციული ზემოქმედებით — ნაადრევი მკურნალობაა, შინაგანი ინფორმაციის მიღება-რეგისტრაცია და გარეგანი ენერგოინფორმაციის დოზირებული შეყვანა შესაძლებელია ერთი და იგივე ხელსაწყოთი (78).

რადგან ორგანიზმში ყველა სტრუქტურები ურთიერთსოლიდარობითა და ურთიერთზემოქმედებით ანუ ურთიერთდაპირისპირებული ერთიანობით ხასიათდებიან, ფუნქციური მოძრაობის ყველა ფორმებიც ასევე დაპირისპირებულთა მრავალსაფეხურიანი და მრავალშრიანი მოძრაობის ურთიერთობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი სახის ფუნქციური მოძრაობა დაკავშირებულია მეორე და მესამე სახის ფუნქციურ მოძრაობასთან, ანუ ორგანიზმში ყველა ფუნქციები და პროცესები ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებაშია. ხოლო სამკურნალო საშუალებები, რომელიც ერთ ფუნქციურ მოძრაობაზე მოქმედებს, სხვა ფორმის ფუნქციურ მოძრაობაზე ანტაგონისტური მოქმედებით, ანუ გვერდითი მოქმედებით ხასიათდება. ამდენად რამდენად ფართე სპექტრის მოქმედებისაა სამკურნალო საშუალება, იმდენად ნაკლები გვერდითი მოქმედებით ხასიათდება.

როგორც ცნობილია, მკურნალობის მეთოდიკა ითვალისწინებს სამკურნალო საშუალებების შეყვანას ენტერალური და პარენტერალური გზით. მაგრამ, როდესაც დაავადების გამომწვევი მიზეზი — სიჭარბეა, მაშინ ორგანიზმიდან ჭარბი რაოდენობის გამოყვანაა საჭირო, ხოლო დეფიციტის დროს — პირიქით.

რადგან პათოლოგიის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სიჭარბესა და დეფიციტთან და რადგან, ორგანიზმის ცხოველმყოფელ-

ობა მისი, შინაგანი და გარეგანი სფეროების ერთიანობა დაავადების ჩამოყალიბებასა და მის მკურნალობა-პროფილაქტიკაში მდგომარეობს, შინაგანი და გარეგანი გარემოს ზემოქმედებით მართვას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ორგანიზმის თვითმართვას ამ სფეროთა ენერგოინფორმაციული ზემოქმედება განაპირობებს ანუ ორგანიზმის სიჯანსაღე დამოკიდებულია შინაგანი და გარეგანი გარემოს თავისუფლებაზე ანუ შეფარდებით წონასწორობაზე. ანუ ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი ასიმეტრიული წონასწორობა ფსიქოფიზიკური სტრუქტურების წონასწორობას განაპირობებს. ამავე დროს ეს სფეროები ურთიერთზემოქმედებით ხასიათდება და იგი დიაგნოსტიკა-მკურნალობის საფუძველია.

შინაგანი და გარეგანი თავისუფლება ორგანიზმის შემადგენელი ყველა სტრუქტურის ერთიანი სტაციონარული, ფუნქციური მდგომარეობა ანუ სტაციონარული დრო-სივრცობრივი მდგომარეობაა.

ადამიანი მუდმივ იმყოფება შინაგანი და გარეგანი „ეკოლოგიურ და სოციალურ ზემოქმედებაში". როდესაც ადამიანი რაიმეს ან ვინმეს გავლენის ქვეშ იმყოფება, მისი ფსიქოფიზიკური სტრუქტურები დეფორმირებულ მდგომარეობაშია, რომელიც იწვევს თვითმართვის დეფორმაციას. თვითმართვის დეფორმაცია იწვევს ენერგოინფორმაციის შემოდინება-გადინების წონასწორობის დარღვევას, ანუ ეკოლოგიური და ჰომეოსტაზური წონასწორობის დარღვევას და ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი თავისუფლების დეფორმაციას, რომლის ბაზაზე ყალიბდება სიჭარბე და დეფიციტი, როგორც პათოლოგიის საფუძველი. ასეთივე ზემოქმედებით ხასიათდება ორგანიზმზე შინაგანი სფერო. იგი შეიძლება გამოწვეულ იქნას, როგორც ფსიქიკური, ასევე ფიზიკური სტრუქტურების სტაციონარული პოზიციურობის იძულებითი ან ხანგრძლივი ნებისმიერი შეცვლით, შინაგან და გარეგან მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობით, უარყოფითი ინფორმაციებით სხვადასხვა რაოდენობა თვისებრიობებით, საკვებით, ხანგრძლივი და ქრონიკული უძილობით, სტრესით, ფიზიკური გადატვირთვით და სხვა.

მკურნალობის და ადამიანთა გაჯანსაღების პრინციპები გამომდინარეობს ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი ასიმეტრიული

ანუ შეფარდებითი წონასწორობის ჩამოყალიბებაში და იგი ორგანიზმის თვითმართვის სრულყოფილებაში გამოიხატება. **აქედან გამომდინარე, ყველა სახის სადიაგნოსტიკო სამკურნალო და სოციალური ზემოქმედება უნდა გამომდინარეობდეს ორგანიზმის თვითმართვის ინდივიდუალური პრინციპების შესწავლითა გათვალისწინებით, როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ყველა სტრუქტურათა ერთობლივი, სოლიდარული აზროვნებითი მართვის ვერდიქტი, რომელიც უზენაესი კანონების შესატყვისად მიმდინარეობს.**

როდესაც ადამიანს ეძლევა **გარკვეული წინადადება მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, იგი იწვევს მისი შინაგანი სამყაროს ფსიქოფიზიკური სტრუქტურების დეფორმაციას. მკურნალობა ორგანიზმის გარეგანი მართვაა და თუ იგი არ არის შეთანხმებული ორგანიზმის ინდივიდუალური თვითმართვის** ცნობიერებასთან, მაშინ გარეგანი მართვა ორგანიზმის თვითმართვის დეფორმაციის საფუძველი, ანუ გვერდითი მოქმედების ფაქტორი ხდება. რადგან იგი ეწინააღმდეგება ორგანიზმის თვითმართვის პრინციპებს, ანუ იგი ორგანიზმის აზროვნებითი მართვის საწინააღმდეგო მოქმედებაა, იწვევს შინაგანი და გარეგანი თავისუფლების, როგორც სიჯანსაღის საფუძველის დარღვევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზმის თვითმართვის კანონზომიერება, როგორც სამყაროს უზენაესი კანონი, სიცოცხლის ცხოველმყოფელობას უძევს საფუძვლად და ამ კანონების შესაბამისად მიმდინარეობს ორგანიზმში ყველა პროცესი და მოვლენა (ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალური). ერთ სფეროში ამ კანონზომიერების დარღვევა ხასიათდება უკუმოქმედებით და სხვა სფეროებზე იწვევს ჰომეოსტაზური წონასწორობის დარღვევას, ანუ შინაგანი და გარეგანი თავისუფლების დარღვევას. **ადამიანის გაჯანსაღების, ანუ სამედიცინო დახმარების მეთოდოლოგია აერთიანებს ფიზიკური, ბიოლოგიური, სოციალური სფეროს მოვლენებსა და პროცესებს და ამ მოვლენებისა და პროცესების შემსწავლელ ყველა მეცნიერებას.** ამიტომ გვინდა ჩვენ თუ არა, თანამედროვე სამედიცინო დახმარების სტრუქტურები მცირე კუნძულია იმ დიდ ოკეანეში, რომელთანაც

დაკავშირებულია ადამიანის გაჯანსაღებისა და მკურნალობა-დიაგნოსტიკის პრობლემები. ამრიგად, მედიცინის ჭეშმარიტი გა-ნვითარება შესაძლებელია, თუ მთავრობა, საზოგადოება, თი-თოეული მოქალაქე გაიცნობიერებს ადამიანის ორგანიზმის ცხ-ოველმყოფელობის კანონზომიერებას, როგორც უზენაესი კანონ-ების ვერდიქტს, ანუ დაეუფლებიან გლობალურ ცნობიერებას, როგორც ჭეშმარიტი ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგად-ოების ჩამოყალიბების ცნობიერებას და ადამიანთა პირადი და საზოგადოებრივი ბედნიერების ფუნდამენტურ საფუძველს.

§21. პროგლემის ზოგადი განხილვა-განსჯა

მეცნიერება ჭეშმარიტების ძიებაა და მისი მიზანია მიუახლ-ოვდეს საკაცობრიო იდეალების ცნობიერებას — გლობალურ ცნ-ობიერებას.

ადამიანთა იდეალია პირადი ბედნიერება. ბედნიერება კი პიროვნების სულიერი და ფიზიკური (ფსიქოფიზიკური) მოთხ-ოვნილების დაკმაყოფილებაში ანუ ფუნქციის მოთხოვნილების შესრულებაში გამოიხატება. ბედნიერების ფუნდამენტური საფ-უძველი სიჯანსაღეა; სიჯანსაღე კი ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციათა სრულყოფილ შესრულებაში გამოიხატება. სამყაროში და სოციალურ სფეროში არ არსებობს ისეთი პროცესი, მოვლენა, სფერო, რომ არ იყოს გარკვეულ შეხებაში ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობასა და ფუნქციების შესრულებასთან ანუ ჯან-მრთელობასა და შემოქმედებასთან; ამდენად ადამიანის გაჯანს-აღებასა (სამედიცინო დახმარებას) და სიცოცხლის გახანგრძლი-ვებას უნდა ემსახურებოდეს ყველა მეცნიერება; ჭეშმარიტი მედიცინა, როგორც სინთეზური მეცნიერება, ყველა მეცნიერე-ბათა ერთიანობაა.

ყველა საგანი, მოვლენა, პროცესი, როგორც მეცნიერების შეს-წავლის ობიექტი ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციალურ სფეროში — ევოლუცია და ინვოლუცია, მათი ციკლურობა და რიტმი სამყ-აროს ერთიანი კონსტანტის — შიფრის ალგორითმით მიმდინარე-ობს და ამ ურთიერთდაპირისპირებულთა მრავალშრიან, მრავა-ლსაფეხურიან და მრავალეტაპიან ციკლურობასა და პერიოდულობაში ყველაფერს იერარქიული საფეხურის შესატყ-

ვისი რაოდენობრიობა-თვისებრიობა, ასტრონომიული დრო-სივრცობრივი პოზიციურობა და ინდივიდუალური განზომილებების გარეგანი ფორმის კონფიგურაცია გააჩნია, რომელშიც ისახება შინაგანი და გარეგანი ენერგოინფორმაცია და მოძრაობა; მის შემეცნებას, ანუ ჭეშმარიტების შემეცნებას შემოქმედებითი აზროვნების, სტრუქტურების განსაკუთრებული სივრცობრივი პოზიციურობის ვირტუალური ცნობიერება შეესადაგება.

თანამედროვე მეცნიერების მონაცემებიდან გამომდინარე, უსასრულო და მარადგანვითარებადი სამყაროს და მასში შემავალი ყველა ნაწილების, ასევე ადამიანის და ყველა ცოცხალი არსების ჩამოყალიბება, განვითარება და არსებობა განპირობებულია სამყაროს ერთიანი კანონზომიერებით — უზენაესი კანონებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა კანონი, თეორია და დებულება უნდა გამომდინარეობდეს უზენაესი კანონებიდან. სამყაროში ყველა მოვლენები, პროცესები, ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალური მიმდინარეობს უზენაესი კანონების შესაბამისად. ადამიანი ყოველთვის იმყოფება გარემოს ზემოქმედებაში. ხოლო სოციალურ სფეროში ვიღაცის იდეების, ცნებების (ხშირად ფსიქიკურად არასრულყოფილი პიროვნებების მიერ შექმნილი სექტების, კასტების, კლანებისა და პოლიტიკური მიმდინარეობის), ან რაღაცის ზემოქმედების გამო დაძაბულობის, შიშის იძულებით პოზიციურობაში ანუ ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ურთიერთობა დეფორმაციურ მდგომარეობაშია, რომელიც ამუხრუჭებს ორგანიზმის ცხოველმყოფელობას მის ევოლუციურ განვითარებას, სიცოცხლის ხანგრძლივობას და აზროვნებას. ამის გამო ადამიანი თავისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის მხოლოდ მინიმუმს იყენებს, მაშინ, როცა ადამიანის შესაძლებლობა უსასრულოა.

ისმება კითხვა: 1. რა იქნება, ან რა მოხდება, რომ ადამიანი არ იყოს არც ერთი დებულების, ცნებისა და თეორიის, კასტების, სექტების, კლანების ზეგავლენაში და იაზროვნოს თავისუფლად?

2. რა იქნება, რომ ადამიანთა ურთიერთობაში უზენაესი კანონების შესაბამისად იყოს ჭეშმარიტი, ადამიანური, ჰუმანური დამოკიდებულება?

ადამიანი, როგორც სამყაროს მოდელი, მისი შემადგენელი ფსიქოფიზიკური სფეროების სხვადასხვა პოლარობის ულტრა,

მიკრო, მაკროსტრუქტურათა და ფუნეციათა მრავალსაფეხურიანი, მრავალშრიანი და მრავალეტაპიანი ურთიერთდა-პირისპირებულთა სოლიდარული ასიმეტრიული წონასწორობის დინამიკური ჰარმონიულობის ერთიანობაა, რომელიც განაპირობებს ორგანიზმის ცხოველმყოფელობას, მის ფიზიკურსა და სულიერ არსებობას, რომლის მექანიზმი, ანუ სიცოცხლის ცხოველ-მყოფელობის მექანიზმი უზენაესი კანონების მოდელია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჯანმრთელ ადამიანის ორგანიზმში ყველა სასიცოცხლო პროცესი და ფუნქცია ურთიერთშეთანხმებული და სოლიდარულია (ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის) და იგი, როგორც სიმართლის ფენომენი, მათემატიკური სიზუსტის რაოდენობრიობა თვისებრიობით ხასიათდება.

მაშასადამე ადამიანი, სამყაროს მოდელია, სამყაროს მოდელი კი უზენაესი კანონების მოდელია და იგი ერთია ყველასათვის და ყველაფრისათვის, როგორც სამართლიანობის, სიცოცხლის, სიკეთის, სინდისის — ცნობიერების მათემატიკური ფორმულა და ყველა ბიოლოგიური სისტემების ცხოველმყოფელობის და ევოლუციური განვითარების ალგორითმია და იერარქიული საფეხურისა და ინდივიდუალური გენეტიკური კოდის დრო-სივრცობრივი პოზიციურობის დინამიკური დიაპაზონის ფარგლებში მიმდინარეობს, როგორც მრავალშრიანი, მრავალსაფეხურიანი, მრავალეტაპიანი და მრავალიარუსიანი ურთიერთდაპი-რისპრებულთა ასიმეტრიული წონასწორობის ერთიანობის ინდივიდუალური ერთეული.

როდესაც ორგანიზმში ყალიბდება დაავადება, ირღვევა უზენაესი კანონები; დაავადებული ორგანოს ფუნქცია არ ექვემდებარება ორგანიზმის სოლიდარული ერთიანობის „ვერდიქტს", ორგანიზმში ყალიბდება უსამართლობა, ეგოიზმი, თვითნებობა, სიცრუე, სიძულვილი, ამბიციოზი, კორუფცია, ვოლუნტარიზმი, ყალიბდება სიჭარბე და დეფიციტი, თვითრეგულაციის მოშლა, ენერგო-ინფორმაციის შემოდინება-გადინებისა და შინაგანი და გარეგანი ეკოლოგიური და ჰომეოსტაზური წონასწორობის დარღვევა, ბიოლოგიური თვითნმენდის დაქვეითება. თუ ცოცხალი სისტემა ვერ შეძლებს სასიცოცხლო პროცესების ფიზიოლოგიური წონასწორობის აღდგენას, აღნიშნული დარღვევები ვრცელდება სხვა ორგანოსისტემებში და ორგანიზმი იღუპება.

ასევე ეგოისტური სინდრომის პიროვნების განდიდება, ამბიციოზი, უზურპაცია, ძალადობა, კორუფცია და ვოლუნტარიზმი უპირისპირდება საზოგადოების საერთო ინტერესებს და იგი უსამართლობის ფენომენი და უზენაესი კანონების საწინააღმდეგო მოქმედებაა; ამ დროს სოციალური სფერო, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვა დაავადებულია და თუ არ მოხდება უზენაესი კანონების დარღვევის, ანუ სიმართლის აღდგენა-გამოსწორება, საზოგადოებრივი წყობა იშლება, ყოველივე ეს, როგორც უარყოფითი ინფორმაცია და გენოციდური ზემოქმედების ფაქტორი არღვევს ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის თვითრეგულაციის მართვას.

ეგოისტური (ბოროტების) სინდრომისა და გენოციდური ზემოქმედების პიროვნებების ზემოქმედებით კნინდება ადამიანის ფსიქოფიზიკური განვითარება და იგი დაავადების საფუძველია. ეგოისტური პიროვნების ფსიქოფიზიკური სტრუქტურები „პათოლოგიური" სივრცობრივი დეფორმაციით ხასიათდება. რომელსაც სათანადო ჰომეოსტაზური და ეკოლოგიური საფუძველი აქვს და იგი უკუმოქმედებით თვით ეგოისტური სინდრომის პიროვნების ფსიქოფიზიკური სტრუქტურების დაზიანებას იწვევს. იგი შეიძლება იყოს მანიფესტირებული ან არამანიფესტირებული პათოლოგიის ფორმა. ეგოისტური სინდრომის პიროვნებები განსაკუთრებით საშიშია საზოგადოების მართვის სისტემაში. **ეგოისტური სინდრომის როგორც თანდაყოლილი ან შეძენილი პათოლოგიური მდგომარეობის პრობლემა მოითხოვს სპეციალურ შესწავლას და დიაგნოსტიკა-მკურნალობის და პროფილაქტიკის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას** (შემუშავებულია მისი მკურნალობა-დიაგნოსტიკის მეთოდიკა).

ასეთივე პროცესები მიმდინარეობს ჩვენს პლანეტაზე ე.ნ. ანტროპოგენური ზემოქმედების გამო. ეგოისტური სინდრომის ადამიანის მიერ უზენაესი კანონების უგულველყოფის გამო ხდება ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა და სანამ პლანეტა ახერხებს ამ ეკოლოგიური პროცესების დარღვევის ნიველირებას და ნაწილობრივ აღდგენას, იგი ინარჩუნებს ეკოლოგიურ წონასწორობას, მაგრამ როდესაც ანტროპოგენური ზემოქმედების ხვედრითი წონა აღემატება დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობის აღ-

დგენის რეზერვს, მაშინ იგი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას.

დედამინის, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილის, ეკოლოგიური წონასწორობა, თუ მივა იმ დონემდე, რომ იგი სამყაროს წონასწორობის დარღვევას გამოიწვევს, მაშინ უზენაესი კანონების საფუძველზე სამყაროს სინგულარული ცენტრი მას გააწონასწორებს. სამყაროს სინგულარული ცენტრის კვანტურ-ევოლუციური განვითარება მასა-ენერგია-დროის და გრავიტონების უდიდესი ძალით შეჭმუხვნისა და ტემპერატურის დაწევით დიდდება ინფორმაციულობა და მატერიის განვითარება ტვინზე უფრო მაღალ დონეს აღწევს, რომელიც მართვითი ზემოქმედებით ხასიათდება (48,54,58,59).

საქართველოში დღეს ადგილი აქვს სოციალური სამყაროს უზენაესი კანონების დარღვევას — ეგოიზმს, სიყალბეს, სიცრუეს, უსამართლობას, ძალადობას, ძალმომრეობას, უკანონობას, ამბიციოზს, სიძულვილს, კორუფციას, ვოლუნტარიზმს. ფეხქვეშაა გათელილი ადამიანის უფლებათა იურიდიული და ქრისტიანული ცნება; ეგოისტური სინდრომის პიროვნებებს ქაოსი შეაქვთ საქართველოს სახელმწიფოებრივ წონასწორობაში; უკანონოდ ითვისებენ და ისაკუთრებენ საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს — პროფსაბჭოს კურორტებზეც — და თუ სახელმწიფო ვერ შეძლებს სამართლიანობის აღდგენას, მაშინ სოციალური კატაკლიზმები ანუ სოციალური და ბიოლოგიური ენტროპია გარდაუვალია. მაგრამ იგი როგორც ტოტალური გენოციდური ზემოქმედების ფაქტორი უდიდეს ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და დაავადებათა და სიკვდილიანობის მატების ფაქტორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დაავადებათა და სიკვდილიანობის დინამიკისა და საზოგადოების გაჯანსაღებისა და სამედიცინო დახმარების საფუძველია, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამედიცინო დახმარების მეთოდოლოგიაში.

თანამედროვე სოციოლოგების მეცნიერული მონაცემებით, კაპიტალიზმის არსებობის გარკვეული პერიოდის შემდეგ (სხვადასხვა ავტორების აზრით, 50-დან 150 წლამდე) ისევ სოციალი-

სტურ წყობაში გადაიზრდება, რადგან სამყაროს უზენაესი კანონზომიერების შესაბამისი ყველაზე ოპტიმალური საზოგადოებრივი წყობა სოციალური სამართლიანობის ფორმაციაა, როგორც საზოგადოების გაჯანსაღებისა და მომავალი ჯანსაღი და სრულყოფილი თაობის ჩამოყალიბების საფუძველი.

ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა სხვადასხვა ფუნქციების შესრულებაში გამოიხატება. ფუნქციის შესრულების ყველა ფორმას აქვს ე.წ. სტაციონარული შეფარდებით შესვენების და არასტაციონარული, აქტიური ფუნქციური მოძრაობის სივრცობრივი მდგომარეობა (პოზიციურობა). მაგრამ სტრუქტურათა და ფუნქციათა ე.წ. სტაციონარული სივრცობრივი პოზიციურობის დეტერმინიზმი შეფარდებითია — დინამიკურია და ინდივიდუალური— დინამიკური ზღვარით -"ზღურბლოვანი დიაპაზონით", ანუ ფუნქციური შესაძლებლობის ხარისხის ინდივიდუალური დინამიკური საზღვრებით ხასიათდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ სტრუქტურა სხვადასხვა ხარისხის ფუნქციური მოძრაობის შესრულების დროს სხვადასხვა ხარისხისა და განზომილების სივრცობრივი დეფორმაციის მდგომარეობაშია, რომელიც ფუნქციის შესრულების შემდეგ უბრუნდება სტაციონარულ სივრცობრივ-პოზიციურობის მდგომარეობას, **ამრიგად ფუნქციის შესრულების დინამიკური ზღვარი "ზღურბლოვანი დიაპაზონი" პიროვნების ინდივიდუალური ევოლუციური განვითარების კოდია.** იგი დაკავშირებულია მიკრო და მაკროსამყაროს გარდამავალ, შუალედურ, ვირტუალური ზონის ზღვართან.

რადგან ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა შემადგენელ სტრუქტურათა ფუნქციურ მოძრაობაში გამოიხატება. ფუნქციის შესრულება ორგანიზმის სასიცოცხლო მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს და მისი მექანიზმი ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთობლივი მოქმედებით ხორციელდება, კერძოდ შინაგანი და გარეგანი ინფორმაციების საფუძველზე ფსიქიკურ სფეროში ყალიბდება იდეის შესრულების მოდელი და პროგრამა, გადაეცემა იგი შესაბამის ფიზიკურ სტრუქტურას, ყალიბდება ფსიქოფიზიკური განწყობა, ანუ ფსიქოფიზიკური სტრუქტურების გაცნობიერება იდეის შესრულების პროგრამით და ფიზიკური სტრუქტურის დრო-სივრცობრივი პოზიციურობის ცვალებადო-

ბით — მოძრაობით სრულდება ფუნქცია. ე.ი. ფსიქიკურ სფეროში ფუნქციური მოძრაობის შესრულების იდეა, პროგრამა ყალიბდება ორგანიზმის ან ცალკეული სტრუქტურის ცხოველმყოფელობის მოთხოვნილების, ანუ ფუნქციათა შესრულების მოთხოვნილების ინფორმაციის საფუძველზე და სათანადო ფიზიკური სტრუქტურა ასრულებს ფუნქციას.

ამრიგად, ფსიქიკური სფერო, როგორც ორგანიზმის თვითმართვის ცენტრი, არის კოორდინატორი, იღებს ინფორმაციას ორგანიზმის სხვადასხვა სფეროების სტრუქტურებისაგან, ახდენს მის გაანალიზებას, რეაგირების პროგრამის შედგენასა და გადაცემას შესაბამისი ფიზიკური სფეროს სტრუქტურებში და ფიზიკური სტრუქტურა ასრულებს მოძრაობას ანუ ფუნქციას. რადგან ინფორმაციის მიღება, მისი ანალიზი, საპასუხო რეაქციის მოდელის შექმნა და გადაცემა შესაბამის სფეროებში ფუნქციური განწყობის ჩამოყალიბებისა და რეაგირებისათვის აზროვნების პროცესია, ფუნქციური მოძრაობა, ანუ ორგანიზმში ფუნქციათა შესრულება აზროვნების მოდელია. ამრიგად, ფსიქიკური სფერო აზროვნებით სხვადასხვა სტრუქტურების მოთხოვნილების ინფორმაციის საფუძველზე მართავს ორგანიზმის ცხოველმყოფელობას (თუ ცოცხალ არსებას გამოვუთიშავთ გრძნობათა ორგანოების რეცეპტორებს ან ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის გზებს, ფუნქცია არ სრულდება); მაგრამ იგი არ არის მბრძანებლური, რადგან იგი მხოლოდ ასრულებს და არეგულირებს ორგანიზმის მოთხოვნილებათა შესრულებას.

მაშასადამე, ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მართვა აზროვნების პროცესია, ხოლო აზროვნება ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთობლივი შემოქმედებაა. აზროვნებით ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მიზნობრივი მართვა არის ცნობიერი და ქვეცნობიერი (ავტომატური); მიზნობრივი ცნობიერი აზროვნებით შესაძლებელია ყველა ფუნქციათა მართვა, როგორც ფუნქციური მოძრაობის სრულყოფილი შესრულება, რომელიც, ამავე დროს, ქვეცნობიერი მართვის ტრენინგია და ქვეცნობიერი — ავტომატური მართვის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ფუნქციური მდგრადობის საფუძველია.

ადამიანის ორგანიზმისა და ბიოლოგიურ სისტემათა ცხოველმყოფელობის თვითმართვა, როგორც ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთიანი შემოქმედება, სამყაროს უზენაესი კანონების საფუძველზე მიმდინარეობს და იგი აერთიანებს სამყაროს გლობალური თვითმართვის პრინციპებს და იერარქიული პირამიდის შესაბამისად, ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ორგანიზმის ყველა სტრუქტურა ხასიათდება აზროვნებითა და ცნობიერებით. სიცოცხლის შენარჩუნების პირველი აუცილებელი პირობა იყო სხვადასხვა დანიშნულების ფუნქციების ჩამოყალიბება, მაგრამ ფუნქციათა შესრულების (მოძრაობის) დამთხვევა, რომ არ მომხდარიყო (რაც გამოიწვევდა ფუნქცათა პარალიზებას), საჭირო იყო თვითმართვის ცენტრის ჩამოყალიბება, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო ინფორმაციის მიღება და ორგანიზმის თვითრეგულაციის მართვა აზროვნებით. ე.ი. **აზროვნებისა და ცნობიერების პირველი დანიშნულება იყო სიცოცხლის შენარჩუნება, ანუ მისი რეგულაცია; ორგანიზმის თვითრეგულაციის მართვა, როგორც აზროვნებითი მართვის პროცესი, სხვადასხვა ხარისხის ინტენსივობის და ძალის, ფუნქციურ მოძრაობაში გამოიხატება. ადამიანის ყველა სახის საქმიანობას აზროვნების მატრიცა უძევს საფუძვლად. მიზნობრივი აზროვნება, მიზნობრივი ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული სტრუქტურაა; ცნობიერება ანუ ინფორმაციულობა (ცნებების (სულიერების) სფერო), როგორც სიკეთისა და ბოროტების ჩამოყალიბების საფუძველი, განპირობებულია, როგორც გენეტიკური, ისევე შეძენილი გარემოს ინფორმაციით.**

სამყაროში არ არსებობს სისტემა შინაგანი ან გარეგანი მართვის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის მართვის ხარისხი განისაზღვრება მისი მდგრადობისა და უსაფრთხოების გარანტიით და იგი არ არის დამოკიდებული სისტემის სიდიდეზე. ყველაზე მცირე სიდიდისა და რაოდენობის მიკროსკოპული ცოცხალი არსება — უჯრედი — საკუთარი ცხოველმყოფელობის მართვის უნივერსალური ფუნქციით ხასიათდება (სისტემა, რომელიც უმართავია თავისი რაოდენობა-თვისებრიობის გამო, ხდება თვითმართვადი).

ბიოლოგიური სისტემის მიკრო და მაკროსისტემები თვითმართვის ისეთი უნიკალური ფორმაა, რომელიც უნივერსალურად

სოლიდარულია ყველა მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთობაში; ხოლო მისი შესრულება შემადგენელი ნანილების ფუნქციურ მოძრაობაში გამოიხატება და, როგორც აღვნიშნეთ, იგი არაა მექანიკური და ბრძანებლური და როგორც მრავალსაფეხურიანი, მრავალიარუსიანი, მრავალეტაპიანი მართვის სისტემა აერთიანებს სამყაროში არსებულ ყველა მოვლენასა და პროცესს: მექანიკურ, ფიზიკურ, ოპტიკურ, აკუსტიკურ, კვანტურ, თერმოდინამიკურ, პლაზმურ, ჰიდროდინამიკურ, ფერმენტაციულ, ჰორმონალურ, ბიოქიმიურ, ბიოფიზიკურ, გრავიტაციულ, ფსიქოენერგეტიკულ და ენერგეტიულ-ინფორმაციულ სახეებსა და ფორმებს. სტრუქტურის რაოდენობა-თვისებრიობისა და ფუნქციური მოძრაობის შესრულების შესაძლებლობის მაკრო, მიკრო, ულტრა სახესა და ფორმებში. **ბიოლოგიური სისტემის თვითმართვის პრინციპების გადაყვანა კიბერნეტიკის ენაზე უდიდესი ტექნიკური რევოლუციის საფუძველია და მართვის სისტემა იმდენად სრულყოფილია, რამდენად მიახლოვებულია სიცოცხლის ცხოველმყოფელობის თვითმართვის პრინციპებთან.**

ამრიგად, ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის მართვის კანონზომიერება ანუ ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ბიოლოგიური კანონზომიერება მისი სოციალური კანონმდებლობის საფუძველია. **ადამიანის ბიოლოგიურ და სოციალურ ერთიანობას უზენაესი კანონები უძევს საფუძვლად და იგი ბიოლოგიურისა და სოციალური კანონზომიერების ერთიანობას ასაბუთებს და მომავალი ამ კანონზომიერებათა რეალიზაციის დღესასწაული იქნება.**

სოციალური სფერო უდიდესი ევოლუციური ზემოქმედების ფაქტორია და ადამიანთა სულიერი და ფიზიკური ანუ ფსიქოფიზიკური განვითარებისა და გაკეთილშობილების, ადამიანთა გაჰუმანურების და საზოგადოების გაჯანსაღების ჭეშმარიტი ობიექტური საფუძველი სოციალური სფეროა.

როგორც აღვნიშნეთ, ორგანიზმის თვითმართვა შინაგანი და გარეგანი ანუ ბიოლოგიური და სოციალური სფეროების ინფორმაციულობათა ერთიანობითაა განპირობებული. ფიზიკური და ფსიქიკური, ბიოლოგიური და სოციალური, შინაგანი და გარეგანი სფეროები, როგორც დაპირისპირებულთა ერთიან-

ობა, ურთიერთზემოქმედებით ხასიათდება. ანუ ფსიქიკურ სფეროზე შინაგანი და გარეგანი ინფორმაციების ზემოქმედებით ხდება ფიზიკური სფეროს სტრუქტურების დრო-სივრცობრივი დეფორმაცია და, პირიქით, ფიზიკური სფეროს სხვადასხვა ხარისხის ინფორმაციის საფუძველზე იცვლება ფსიქიკური სფეროს ფუნქციური მდგომარეობა. **ამრიგად, ორგანიზმის ცხოველმყოფელობა — ფსიქოფიზიკური — ბიოლოგიური და სოციალური ერთიანობა ურთიერთგანპირობებული და ურთიერთზემოქმედებითი სფეროებია.** ორგანიზმის ნორმალური ცხოველმყოფელობისათვის — სიჯანსაღისათვის — აუცილებელი პირობაა ბიოლოგიურისა და სოციალურის — (შინაგანი და გარეგანი სფეროების) — ურთიერთ-ასიმეტრიულ-დინამიკური წონასწორობა; ამ სფეროთა ევოლუცია და ინვოლუცია, დეგრადაცია და რენესანსი გენეტიკური და შეძენილი გარემოს ანუ სოციალურ სფეროს ინფორმაციაზეა დამოკიდებული და გენეტიკური ნიშანთვისებებიც სოციალური სფეროს მუტაციური ზემოქმედებით იცვლება.* რადგან ორგანიზმის ცხოველმყოფელობას და მის სიჯანსაღეს **შინაგან და გარეგან სფეროთა ინფორმაციულობა განაპირობებს სიჯანსაღესა და დაავადების ჩამოყალიბებას მკურნალობა-პროფილაქტიკის საქმეში შინაგან და გარეგან ინფორმაციულობის მართვას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.**

რადგან ორგანიზმის თვითმართვა ფსიქოფიზიკურ სფეროთა დინამიკურ ურთიერთწონასწორობაში გამოიხატება, ფსიქიკური პროცესების განხილვა ფიზიკურის გარეშე და, პირიქით, არამიზანშეწონილია როგორც მედიცინაში, ასევე სოციოლოგიაში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ფროიდიზმმა და ნეოფროიდიზმმა ბურუსი შეიტანა ფსიქოლოგიაში და მედიცინაში, რის გამოც მთელი რიგი სამედიცინო და სოციალური საკითხების შეფასება არაობიექტური და არარაციონალურია.

ამრიგად, ყველა სახის სადიაგნოსტიკო-სამკურნალო და სოციალური ზემოქმედება უნდა გამომდინარეობდეს ორგანიზმის თვითმართვის ინდივიდუალური პრინციპების შესწავლის გათვალისწინებით; პიროვნების სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება

---

* სოციალურ სფეროში იგულისხმება ადამიანის ურთიერთობა გარემოსთან.

(როგორც ორგანიზმის აზროვნებითი თვითმართვის საწინააღმდეგო მოქმედება) იწვევს ფსიქოფიზიკური სტრუქტურების დეფორმაციას, ანუ **მკურნალობა, როგორც ორგანიზმის გარეგანი მართვა თუ არ ეთანხმება ორგანიზმის ზოგადი თვითმართვის ცნობიერებას გვერდითი მოქმედებით ხასიათდება.**

ამრიგად, შინაგანი და გარეგანი, ბიოლოგიური და სოციალური ინფორმაციები (როგორც ევოლუციური განვითარების საფუძველი) **განაპირობებს ცნობიერებას** (ცნებების ანუ სულიერების სფეროს) **პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძველს, რომელიც მის მსოფლმხედველობაში გამოიხატება აზროვნებით და იგი ორგანიზმის თვითმართვის ალგორითმია.**

პათოლოგია არღვევს სტრუქტურისა და ფუნქციური მოძრაობის რაოდენობრიობა-თვისებრიობის სტაციონარულ და არასტაციონარულ ფიზიოლოგიურ მდგომარეობას და სტრუქტურა არასრულფასოვანად ასრულებს ფუნქციას, არ უბრუნდება სტაციონარულ პოზიციურობას, ანუ შეფარდებით შესვენების — შეკავების მდგომარეობას და იგი გამოიხატება სტრუქტურის ფუნქციური მოძრაობის „ტალღობრივი გამოსხივების" ანუ გარეგანი ელექტრული ველის, მისი რეგისტრაცია შესაძლებელია ელექტროგრაფიული, ჰოლოგრაფიული, ლაზერულ-კინემატოგრაფიული, სპექტროსკოპული და სხვა მეთოდებით, სივრცობრივი მოცულობითი გამოხატულებით — ჰოლოგრამით. რომელშიც ასახულია სტრუქტურის ფუნქციური მოძრაობის (ზღურბლოვანი დიაპაზონის საზღვრები) ხარისხი და იგი დაავადების ნაადრევი გამოვლინების სარკეა. ხოლო პათოლოგიური სტრუქტურის ფუნქციური მოძრაობის სივრცობრივი მდგომარეობის კორექცია ნაადრევი მკურნალობის დანიშნულებაა.

რადგან დაავადების დროს ირღვევა შინაგანი და გარეგანი თავისუფლება, ანუ ორგანიზმის ფსიქოფიზიკური სტრუქტურების დინამიკური წონასწორობა, ენერგოინფორმაციის შემოდინება-გადინების თანაფარდობა, ბიოლოგიური თვითწმენდა და ორგანიზმის თვითმართვის ფუნქცია გარკვეულ იერარქიულ დონეზე იგი გამოიხატება სტრუქტურის რაოდენობრიობა-თვისებრიობის და ფუნქციის სიჭარბითა და დეფიციტით, სტაციონარული დრო-სივრცობრივი პოზიციურობის ცთომით და ფუნქციური მოძრაობის დეფორმაციით; ანუ ადგილი აქვს სტრუ-

ქტურის სივრცობრივი პოზიციურობის დრეიფს ფსიქიკურ და ფიზიკურ სფეროთა შორის მინიმალური და მაქსიმალური დეტერმინისტული ფუნქციური შესაძლებლობის დიაპაზონის სივრცეში, დარღვეულია მისი დრო-სივრცობრივი პარამეტრები, ფუნქციური აქტიურობისა და შეკავების რიტმები და ფაზები და ფუნქცია არასრულფასოვანია, რომელიც ინვევს ორგანიზმის ცხოველმყოფელობის თვითრეგულაციისა და შინაგანი და გარეგანი თავისუფლების დარღვევას, არ ხდება ფუნქციური მოთხოვნილების დაკმაყოფილება; ფუნქციური მოძრაობის მოთხოვნილების შეუსრულებლობა კი პირობადებს სიჭარბესა და დეფიციტს, ბიოლოგიური თვითწმენდის დაქვეითებას და დომინანტური იდეის შეუსრულებლობის პროგრამა არ გამოდის ფსიქოფიზიკური სფეროებიდან, რომელიც აფერხებს მომდევნო სხვა ფუნქციათა შესრულებას და სტრუქტურები არც შეკავებისა და არც აქტივობის ფაზაშია, ანუ სტრუქტურის მოძრაობის დრეიფი გრძელდება შეკავებისა და აქტივობის შუალედში და შინაგანი და გარეგანი წონასწორობის დეფორმაციის გამო ფსიქოფიზიკური სტრუქტურები არ უბრუნდება სტაციონარულ დრო-სივრცობრივ პოზიციურობას, ფერხდება ფიზიოლოგიური პოტენციალების აღდგენა და ყალიბდება პათოლოგიური მდგომარეობა, ფსიქოფიზიკურ სტრუქტურათა ურთიერთობის დეფორმაცია — ორგანიზმის თვითმართვის ქაოსი და **დაავადების პირველი სიმპტომები ფუნქციური მოძრაობის შეუსრულებლობით ვლინდება.**

ამრიგად, მკურნალობის ძირითადი დანიშნულებაა დარღვეული ფუნქციური მოძრაობის ანუ ფუნქციური მოთხოვნილების შესრულება, როგორც ორგანიზმის სრულყოფილი ცხოველმყოფელობის მოთხოვნილების შესრულების აუცილებელი პირობა.

რადგან ორგანიზმის ცხოველმყოფელობა, როგორც თვითმართვადი ბიოლოგიური სისტემა, ულტრა, მიკრო, მაკროსტრუქტურების, ფუნქციებისა და პროცესების დაპირისპირებულთა მრავალშრიანი, მრავალსაფეხურიანი, მრავალეტაპიანი ასიმეტრიული წონასწორობის ანუ დინამიკური ჰარმონიის ანსამბლია და რადგან სამკურნალო საშუალებები — პრეპარატები (გარდა ზოგადი მოქმედების სამკურნალო საშუალებებისა) მხოლოდ

ერთ რომელიმე ფუნქციაზე მოქმედებს (ფუნქციურ მოძრაობაზე), მომიჯნავე ფუნქციაზე ანტაგონისტურ ზემოქმედებას ანუ გვერდით მოქმედებას იჩენს. სამკურნალო საშუალება რამდენად ფართე სპექტრისაა, იმდენად ნაკლები გვერდითი მოქმედებით ხასიათდება; ზოგადი მოქმედების სამკურნალო ფაქტორებისა და საშუალებათა უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ერთდროულად მოქმედებს მოძრაობის მრავალ ფორმებზე. **ამრიგად, სამკურნალო საშუალებათა მოქმედებისა და დაავადების განვითარების მექანიზმი მკურნალობა-დიაგნოსტიკის საფუძველია.**

როგორც ცნობილია, მკურნალობის მეთოდიკა ითვალისწინებს სამკურნალო საშუალებების შეყვანას ენტერალური და პარენტერალური გზით. მაგრამ, როდესაც დაავადების გამომწვევი მიზეზი — სიჭარბეა, მაშინ ორგანიზმიდან ჭარბი რაოდენობის გამოყვანაა საჭირო, ხოლო დეფიციტის დროს — პირიქით. ამავე დროს სამკურნალო საშუალებათა შეყვანა და გამოყვანა შესაძლებელია შინაგანი და გარეგანი სფეროების ყველა სტრუქტურებიდან და წერტილებიდან.

რადგან ფუნქციური მოძრაობა შინაგანი და გარეგანი ინფორმაციების საფუძველზე ორგანიზმის ცხოველმყოფელობის აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა და ორგანიზმის სიჯანსაღის საფუძველია, პაციენტი რა მძიმე მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, სარეანიმაციო საწოლშიც კი საჭიროებს გარკვეული ხარისხის ფუნქციური მოძრაობის შესრულებას. **ფუნქციური მოძრაობის შესრულების უგულველყოფა, ისევე როგორც მისი გადაჭარბება დეგრადაციის ანუ ინვოლუციის საფუძველია, ფუნქციური მოძრაობის სრულყოფილი შესრულება ორგანიზმის ყველა სფეროსათვის სასიცოცხლო მოთხოვნილების შესრულებაა და იგი ორგანიზმის თვითმართვის დაპირისპირებულთა ვირტუალურ ზონაში სტრუქტურის დომინანტურ პოზიციურობის ჩამოყალიბებას განაპირობებს, რაც ევოლუციური განვითარების საფუძველია. ამრიგად, დეგრადაცია და რენესანსი, ანუ რღვევა-დაშლა, აღდგენა-აღორძინება (სამყაროში მატერია-ენერგია-ინფორმაციის მუდმივი წრებრუნვა მიმდინარეობს) სამყაროს უზენაეს კანონთა ფორმებია (სოციალურ, ფიზიკურსა და ბიოლოგიურ**

სფეროში) და სიცოცხლის ცხოველმყოფელობის ძირითადი პრინციპია.

როგორც აღვნიშნეთ, ფუნქციური მოძრაობის ანუ ფუნქციის შესრულების დროს სტრუქტურა გამოდის სტაციონარულ დროსივრცობრივი პოზიციურობიდან და დეფორმაციულ მდგომარეობაშია და სტრუქტურის ფუნქციური დეფორმაციის დრეიფი გრძელდება მანამ, სანამ ფუნქცია არ შესრულდება; მხოლოდ **ფუნქციის სრულყოფილი შესრულების შემდეგ სტრუქტურა უბრუნდება სტაციონარულ დრო-სივრცობრივ პოზიციურობას, ანუ იხსნება სტრუქტურის და მისი მართვის ფსიქოფიზიკური სფეროს დეფორმაცია და ორგანიზმში ყალიბდება სიმშვიდე, კმაყოფილება, ბედნიერება, სრულყოფილება, სიმხნევე; მაშასადამე, დაავადებული ადამიანის ფუნქციური მოთხოვნილების შესრულება მინიმალური შესაძლებლობის ფარგლებშიც კი სამკურნალო ზემოქმედების აუცილებელი პირობაა.**

ამრიგად, **სადიაგნოსტიკო-სამკურნალო დაწესებულება უნდა აერთიანებდეს ორგანიზმის ფუნქციური მოთხოვნილების ინფორმაციულობისა და რეაგირების შესრულების ატრიბუტებს. ანუ თეორიული და პრაქტიკული მეცნიერების და ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტების ერთიანობას.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ ორგანიზმის ცხოველმყოფელობა ფსიქოფიზიკურ სტრუქტურათა და ფუნქციათა ერთობლივი შემოქმედებითი ერთიანობაა და რომ ორგანიზმს გააჩნია ინფორმაციის მიღებისა და რეაგირების ორმხრივი კავშირები ყველა შემადგენელ ნაწილებსა და სტრუქტურებთან, მისი თვითმართვა ურთულესი და უნივერსალური პროცესია. ამ ანსამბლეაში ყველა უჯრედი იერარქიული საფეხურისა და ფუნქციური დანიშნულების შესაბამის **ულტრააზროვნებითა და ცნობიერებით ხასიათდება. ანუ ყველა უჯრედი და სტრუქტურა ცოცხალი, მოაზროვნე ულტრა, მიკრო და მაკროსისტემებია** და მათ შორის არსებობს ორმხრივი ინფორმაციული აზროვნებითი კავშირები; ორგანიზმის სხეულის რომელიმე ნაწილზე არაადეკვატური (ნებისმიერი, შემთხვევითი ან ძალადობით მიყენებული) **ფსიქიკური ან ფიზიკური ზემოქმედება იწვევს ცნობიერ**

რეაქციას (როგორც ორგანიზმის ზოგადი სოლიდარული რეაქცია) და იგი პირველ რიგში პიროვნების ან მკურნალის მიზნობრივ, ცნობიერ თანაგრძნობას — მოფერებას, სიკეთეს, სიყვარულს, კეთილშობილურ ზემოქმედებას საჭიროებს (განსაკუთრებით ბავშვებში), რომელიც არ არის გათვალისწინებული მკურნალობის მეთოდოლოგიაში (მაგალითად, ტრამვის დროს მითითებულია -"ანესთეზია", „ჭრილობის დამუშავება", „ცივი საფენები", „კიდურის პოზიციურობის შეცვლა", „შეხვევა", „ნამლების მიღება", „სტერილური ნახვევი", „ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავება" და სხვა).

ამრიგად, ადამიანის გაჯანსაღების, ანუ სამედიცინო დახმარების მეთოდოლოგია აერთიანებს ორგანიზმის ფსიქოფიზიკური (ბიოლოგიური) და სოციალური სფეროს მოვლენებსა და პროცესებს და ამ მოვლენებისა და პროცესების შემსწავლელ ყველა მეცნიერებას. ამიტომ გვინდა ჩვენ თუ არა, თანამედროვე სამედიცინო დახმარების სტრუქტურები მცირე კუნძულია იმ დიდ ოკეანეში, რომელთანაც დაკავშირებულია ადამიანის გაჯანსაღებისა და მკურნალობა-დიაგნოსტიკის პრობლემები და მედიცინის ჭეშმარიტი განვითარება შესაძლებელია, თუ მთავრობა, საზოგადოება, თითოეული მოქალაქე გაიცნობიერებს ადამიანიის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ბიოლოგიურ და სოციალურ კანონზომიერებას — უზენაეს კანონებს (გლობალურ ცნობიერებას), როგორც ჭეშმარიტი ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების და საზოგადოების გაჯანსაღების ცნობიერებას.

დასკვნა

ადამიანის ორგანიზმი, როგორც ღია თვითმართვადი თერმოდინამიკური სისტემის გარე სამყაროსთან ორმხრივი ენერგოინფორმაციული კავშირების ერთიანობა, სიცოცხლის საფუძველია და აერთიანებს სამყაროს მოვლენებსა და პროცესებს შინაგანი და გარეგანი მოთხოვნილების შესაბამის რაოდენობა-თვისებრიობის (ულტრა, მიკრო და მაკრო) სახესა და ფორმებში. რამდენადაც ორგანიზმის თვითმართვის რიტმი ემთხვევა გარემოს მოვლენებისა და პროცესების ინფორმაციულობის რიტმებს, იმდენად სრულყოფილია მისი აზროვნება და სიცოცხლის თვითმართვა; ორგანიზმის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობა უნდა განვიხილოთ გარე სამყაროსთან ერთიანობასა და დინამიკურობაში;

სიცოცხლის თვითმართვა, მართვის ურთულესი, უნიკალური, უნივერსალური პროცესია, რომელიც შინაგანი — ბიოლოგიური და გარეგანი — სოციალური (სფეროს) გარემოს ინფორმაციულობაზეა დამოკიდებული (დიაგნოსტიკა-მკურნალობის სტრატეგიაც) და ამ პროცესში ყველა უჯრედი და სტრუქტურა იერარქიული საფეხურისა და ფუნქციური დანიშნულების შესაბამისი ულტრა, მიკრო და მაკროაზროვნებით, ინფორმაციის მიღების, გაცემისა და რეალიზაციის ცნობიერებით ხასიათდება.

ადამიანის ორგანიზმის თვითმართვის იერარქია, როგორც ფსიქოფიზიკური მიკრო და მაკროსტრუქტურების უპრეცედენტო სოლიდარობის და ერთიანობის უნივერსალური ფორმა, სამყაროს უზენაეს კანონებს ეფუძნება და უნივერსალურად დემოკრატიული ცივილიზებული სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველია, ანუ ადამიანის სასიცოცხლო პროცესთა კანონზომიერება მისი სოციალური კანონმდებლობის საფუძველი უნდა იყოს; უზენაესი კანონები სამყაროს შემადგენელი მოვლენების, პროცესების, საგნების ერთობლიობის და ურთიერთზემოქმედების კანონზომიერებაა, მისი შემეცნება კი გლობალური ცნობიერებაა.

გარე სამყაროსთან ორგანიზმის ერთიანობის „ჭიშკარი" მაკრო და მიკრო სამყაროს ურთიერთგარდამავალი, შუალედური, ვირ-

ტუალური ზონა (სიკვდილ-სიცოცხლის ჭიშკარი) გარემოს ცვალ-ებადობის მართვადი ზემოქმედების ზონაა და სამყაროს უზენა-ესი კანონების ევოლუციური განვითარების და ორგანიზმის ცხ-ოველმყოფელობის კანონზომიერებათა დაუფლების გასაღებია, სადაც მატერიის სხვადასხვა ფორმების ურთიერთგადასვლა აე-რთიანებს ორგანიზმში ენერგო-ინფორმაციის შემოდინება-გადი-ნების პროცესებს, მოვლენებს და რიტმებს და იგი სამედიცინო დახმარების ალგორითმია.

დეგრადაცია და რენესანსი, რღვევა-დაშლა, აღდგენა-აღორძი-ნება (სამყაროში მატერია-ენერგია-ინფორმაციის წრე-ბრუნვა მიმდინარეობს) უზენაესი კანონების ფორმებია და სიცოცხლის ცხოველმყოფელობის ძირითადი კანონზომიერებაა.

სიცოცხლის ჩასახვის პირველი აუცილებელი პირობა იყო სი-ცოცხლის შენარჩუნების ფუნქცია შინაგანი და გარეგანი ინფორმაციების მიღება, რეაგირება, ანუ აზროვნება. მაშასადამე, აზროვნების პირველი აუცილებელი დანიშნულება იყო სიცოცხ-ლის შენარჩუნება განვითარება და ევოლუცია, ე.ი. ევოლუციის, როგორც ფუნქციათა განვითარების საფუძველთა საფუძველი აზროვნებაა.

ორგანიზმში ინფორმაციის შემოდინებით ყალიბდება ცნობიე-რების, სულიერების, ცნებების სფერო, როგორც აზროვნების პოლიგონი (ე.ი. სული აზროვნებაა, აზროვნება სულია). გენი – ინდივიდის კოდის გენეტიკური ინფორმაციით კომპაქტურად და-ტვირთული მოაზროვნე სტრუქტურაა. სიცოცხლე – ბიოლოგიურ სტრუქტურაში ენერგოინფორმაციის შემოდინება-გადინების პროცესია (მისი შეწყვეტა სიცოცხლის შეწყვეტაა) და ფიზიკური სტრუქტურის მოძრაობით ფუნქციათა შესრულებაში გამოიხატ-ება. ფუნქცია აზროვნების მოდელია; ფუნქციის შესრულება ორგანიზმის ცხოველმყოფელობის – სიცოცხლის საფუძველია; ინსტინქტი მცდარი მცნებაა – იგი ცნობიერი და ქვეცნობიერი (ავტომატური) აზროვნების პროცესია; ბიოლოგიურ სისტე-მათა თვითრეგულაციის მართვა აზროვნების პროცესია; ყველა ბიოლოგიური სისტემა იერარქიული საფეხურის შეს-ატყვისი რაოდენობა-თვისებრიობის ფუნქციის დანიშნულე-ბისა და შესრულების შესაბამისი ცნობიერებითა და აზრ-ოვნებით ხასიათდება ანუ არსებობს „მაკრო“ ანუ ადამი-

ანური, „მიკრო“ ცხოველური და „ულტრა“-უჯრედული — აზროვნება, ცნობიერება და ბგერითი მეტყველება. აზროვნება ფსიქოფიზიკური სტრუქტურების ერთიანი შემოქმედებაა. ყველა ბიოლოგიურ არსებათა აზროვნება, მეტყველება, პირობითი და უპირობო რეფლექსები, პირველი და მეორე სასიგნალო სისტემა და ყველა სახის ფუნქციური მოძრაობის შესრულების მექანიზმი და არსი (გზა) იდენტურია; სიცოცხლე სამყაროს მოდელია დედამიწაზე; სამყაროს მოდელი უზენაესი კანონების მოდელია, ადამიანი უნივერსალური ცნობიერებისა და მეტყველების ფენომენია; ორგანიზმის თვითრეგულაციის მართვა მისი შემადგენელი სტრუქტურების ფუნქციური მოთხოვნილების საფუძველზე ხორციელდება აზროვნებით; სიცოცხლის ძირითადი თვისება აზროვნებაა; ყველა მოქმედება და ფუნქცია აზროვნებით იწყება და ფიზიკური სტრუქტურების მოძრაობით, ფუნქციათა შესრულებით ორგანიზმის ცხოველმყოფელობაში გამოიხატება.

დაავადება ფუნქციის შესრულების დარღვევაა, მკურნალობა — დარღვეული ფუნქციის აღდგენაა და როგორც ორგანიზმის გარეგანი მართვა, თუ არ ეთანხმება ორგანიზმის ინდივიდუალური თვითმართვის ცნობიერებას, გვერდითი მოქმედებით ხასიათდება.

გარემოს ზემოქმედება ყველა სტრუქტურების და უჯრედების ცნობიერ რეაქციას იწვევს; ყველა ორგანოსისტემა, სტრუქტურა, უჯრედი თვით პიროვნების და მკურნალის მიზნობრივ ცნობიერ თანაგრძნობას, მოფერებას, სიყვარულს და კეთილშობილურ დამოკიდებულებას საჭიროებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული მკურნალობის მეთოდიკაში (დამუშავებულია „მოფერებითი მასაჟის“ მეთოდოლოგიური საფუძველი და მეთოდიკა).

ადამიანის საქმიანობას მიზნობრივი აზროვნების მატრიცა უძევს საფუძვლად. მოაზროვნე ადამიანი — homo sapiens გენეტიკური და შეძენილი თვისებების საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ალტრუისტი — homo dei ან ეგოისტი -homo homini lupus est. ამ ორ ფსიქოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ ჯგუფებს შორის არსებობდა და არსებობს დაპირისპირება; კაცობრიობის ისტორია ბოროტებისა და სიკეთის შერკინების ისტორიაა, რომელიც ადამიანიდან გამომდინარეობს. ეგოისტური სინ-

დრომის — ბოროტების, სიძულვილის, უსამართლობის, მონური ფსიქოლოგიის დამკვიდრების პიროვნებებისა და მართვის სისტემის არასრულფასოვნების გენოციდური ზემოქმედებით კნინდება ადამიანთა (პირველ რიგში თვით მისი „შემოქმედი" — ეგოისტური სინდრომის პიროვნება) ფსიქოფიზიკური განვითარება და იგი დაავადებისა და სიკვდილიანობის მატების ფაქტორია; ეგოისტური სინდრომის მკურნალობა და სახელმწიფოში კანონის უზენაესობა საზოგადოების გაჯანსაღებისა და გაკეთილშობილების საფუძველია.

ორგანიზმის თვითრეგულაციის მართვის — აზროვნების პირდაპირი კონტაქტური და დისტანციური რეგისტრაცია ანუ აზროვნების ლეგალიზაცია უდიდეს გამაკეთილშობილებელ ზემოქმედებას მოახდენს საზოგადოებაზე, მოისპობა *ეგოიზმი, ბოროტება, სიძულვილი, ძალადობა, უსამართლობა (ადამიანები შეეჯიბრებიან ერთმანეთს სიკეთესა და სიყვარულში, კეთილი და სასარგებლო საქმის კეთებაში). იგი მისცემს დასაბამს ჭეშმარიტი ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბებას ანუ განხორციელდება ბიოლოგიური სისტემის მართვის კანონზომიერება სოციალური სფეროს (სახელმწიფოს) მართვაში და იგი სამედიცინო დახმარების და გაჯანსაღების გლობალური პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთი გზაა. არც ერთი უნიკალური მკურნალობის მეთოდები და სამკურნალო პრეპარატები ვერ გააჯანსაღებს საზოგადოებას სოციალური გარემოს გაუმჯობესებისა და „გაჯანსაღების" გარეშე.*

Эмануел Двалишвили

ЗАКОНОМЕРНОСТЬ ЖИЗНИ И ТЕОРЕТИЧЕСКИЕ И ПРАКТИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ МЕДИЦИНЫ

Резюме

Двусторонняя энергоинформационная связь с внешней средой является основой человеческого организма, как открытой термодинамической самоуправляемой системы и объединяет в себе явления и процессы внешней среды соответственно потребностям организма. Поэтому все физиологические и патологические процессы организма следует рассматривать в единстве и в динамике с внешней средой.

Иерархия самоуправления организма, как универсальная форма беспрецедентной солидарности и единства составляющих её микро-, макро-, психофизических структур, основана на верховных законах Вселений и представляет основу законодательства универсально-демократического цивилизованного государства.

Всеобщие законы – это закономерность единства и взаимодействие предметов, процессов и явлений Вселенной, а их осознание – глобальное сознание.

Единство организма с внешней средой осуществляется через виртуальную зону, между микро- и макромиром. Через эти ворота осуществляется приток и отток энергоинформации и сконцентрированы верховные законы Вселенной, эволюционного развития и жизнедеятельности организма. Следовательно, эти ворота являются ключом к познанию вышеуказанных процессов.

Деградация и ренессанс, разрушение и восстановление, как круговорот материи и энергоинформации – есть форма верховных законов основы жизни.

При зарождении жизни первым, необходимым условием её сохранения был прием внутренней и внешней информации и реагирование на неё, т.е. мышление. Таким образом, первоочередное, главное назначение мышления – это сохранение жизни и обеспечение эволюционного развития.

Самоуправление организма основано на информации внутренней (биологической) и внешней (социальной) среды (Под социальной средой подразумевается взаимоотношение организма с внешней средой – единой живой системой Вселенной). В процессе самоуправления организма каждая клетка и структура в зависимости от иерархического уровня и функционального назначения характеризуются (ультра, микро и макро) мышлением, т.е. сознанием приема, отдачи и реализации информации.

Приток энергоинформации в организм формирует сознание (духовную сферу), как основу мышления и разума, следовательно, духовная сфера – это полигон мышления.

Жизнь биологической системы – это процесс, притока и оттока энергоинфор-мации, при прекращении которой прекращается и жизнь. Фактически, жизнь опре-деляется выполнением функции, т.е. движением физических структур. Следова-тельно, функция – это модель мышления, а выполнение функции – основа жизни.

Инстинкт, в его традиционной трактовке, ошибочное понятие,т.к. это процесс мышления (сознательного и подсознательного).

Саморегуляция биологических структур – процесс мышления. В этом отношении все биологические системы, в соответствии со своим иерархическим уровнем и уровнем выполнения функции, характеризуются сознанием и мышлением, следовательно, есть «макро» человеческое, «микро» животное ультра клеточное сознание, мышление и звуковая речь. Мышление – единое творчество психофизических структур. Всем биологическим существам свойственны мышление, звуковая речь, условные и безусловные рефлексы, I и II сигнальные системы и идентичность механизма выполнения функциональных движений. Мышление – это основное свойство жизни, осуществляющее все формы действия и функции организма путём движения физических структур, выполнением функции, как основы жизнедеятельности. Жизнь на Земле – это модель Вселенной, а модель Вселенной – модель верховных законов. Саморегуляция живых систем осуществляется мышлением соответственно функциональным потребностям, составляющих органов и структур. Человек - феномен универсального сознания и звуковой речи.

В основе любой деятельности человека лежит матрица целенаправленного мышления. Из мыслящего человека (*homo sapiens*) на основе генетических и приобретенных свойств формируется альт-

руист (*homo dei*) или эгоист (*homo homini lupus est*), которые имеют соответствующую гомеостатическую основу. Между этими двумя психологическими типами всегда существовали и существуют противоречия. История человечества – это история противоборства добра и зла, исходящих из человека.Личность с эгоистическим синдромом (зло, ненависть, несправедливость, рабская психология, нарушение законности государственного правления) характеризуется геноцидным воздействием на людей, деградацией их психофизического развития (и самой эгоистической личности), являясь причиной заболеваний и повышения смертности. Лечение эгоистического синдрома и улучшение государственного управления (соблюдение законности) – основа оздоровления и облагораживания общества.

Заболевание вызывает нарушение какой-либо функции. Лечение – это восстановление нарушенной функции и, если этот механизм внешнего управления организмом не согласуется с сознанием индивидуального самоуправления организма, будет проявляться побочное действие. Любое внешнее и внутреннее воздействие на организм вызывает сознательную реакцию со стороны клеток, структур и систем органов. Поэтому со стороны личности и лечащего врача требуется целенаправленное, сознательное сочувствие, ласка, любовь и доброжелательное отношение, чему, почти не уделяется внимание в медицинских руководствах (разработана методика «ласкающего» массажа).

Легализация мышления (путём прямой контактной или дистанционной регистрации) будет способствовать облагораживанию общества (исчезнет эгоизм, зло, ненависть, насилие, беззаконие) и формированию истинного цивилизованного государства, применяющего принципы биологических закономерностей в управлении социально-государственной сферой. И это единственный путь решения глобальных проблем общества и, в том числе, в области медицины. Ни один из уникальных методов лечения, и ни одно лекарственное средство не оздоровит общество без оздоровления и улучшения социальной сферы.

Emanuel Dvalishvili

REGULARITY OF LIFE AND THEORETICAL AND PRACTICAL PROBLEMS OF MEDICINE

Summary

A bilateral energetic-informational link with the environment is the basis of the human organism, as of the open thermodynamic self-managing system an it encompasses in itself the events and processes of the outer medium in concord with the organism's demands. Therefore, all the physiological and pathological processes of the organism should be viewed as a unified entity in the dynamic relation with the environment.

The hierarchy of the organism's self-management, as a universal form of unprecedented solidarity and unity of its constituent micro-, macro-, and psychophysical structures, is based on the supreme Laws of the Universe and represent a foundation for the legislature of the universally democratic civilized state.

Universal Laws represent specificity of unity and interaction of the objects, processes, and events of the Universe, while their realization represents the global consciousness.

Unity of the organism with the environment is fulfilled via the virtual zone, between the micro- and macro-universe. Just through these very gates the inflow and outflow of the energetic information is executed, and here are concentrated the supreme Laws of the Universe, evolutionary development, and vital processes of the organism. Henceforth, these gates are the keys for cognition of the above processes.

Degrading and revival, decay and restoration, as the turnover of the matter and energetic information, — all are the from of supreme Laws of Life.

During origin of the life the first essential premise for its survival was perception of inner and outer information, and responding to it, i.e. thinking. Therefore, the first rate essence of thinking is maintenance of the

and provision for its evolutionary development.

The organism's self-regulation is based on the inner (biological) and outer (social) information. The social medium implies interaction of the organism with the environment — unified live system of the Universe. In a process of self-management of the organism, each cell and each structure, according to hierarchical level and functional essence, are characterized with (ultra-, micro-, and macro-) thinking, i.e. with assessment of acceptance, release, and realization of the information.

Inflow of the energetic information into the organism creates conscience (spiritual sphere), or basis for thinking and mind; thus, the spiritual sphere is a test-ground for thinking.

The life of biological system is a process of inflow and outflow of the biological information, cessation of which terminates the life. In fact, the life is determined by the functions realized, i.e. movement of the physical structures. Thus, a function is a model of thinking, while realization of the function is a basis of the life.

Instinct, in its traditional interpretation, is an erroneous concept, because it is a process of thinking (conscious and unconscious).

Self-regulation of the biological structures is a process of thinking. In this respect all biological systems, according to their hierarchical stage and level of the functions executed, are characterized with consciousness and thinking, therefor, there exists 'macro' human, 'micro' animal cellular consciousness, thinking, and acoustic speech. Thinking is a unified creation of the psychophysical structures. All the biological creatures are characterized with thinking, acoustic speech, conditional and unconditional reflexes, I and II signal systems, and the same mechanisms for execution of the functional movements. Thinking is an essential property of life, which governs all kinds of actions and functions of the organism via the motion of the physical strictures. The life on the Earth is a model of the Universe, while model of the Universe is a model of Supreme Laws. Thinking, according to the functional requirements of the constituent organs and structures fulfills self-regulation of the living systems. Human being is the phenomenon of consciousness and acoustic speech.

Within any action of the human there is a matrix of purposeful thinking. Out of the thinking human (Homo sapiens), on the basis of genetic and acquired traits, the altruistic (Homo dei) or egotistic (Homo homini lupus est) humans do emerge, which have respective homeostatic bases.

Between these two psychological types always where and still are the controversies. The history of mankind is a history of struggle between good and evil, which stem from the human. A person with egotistic syndrome (evil, hatred, injustice, slave psychology, violation of the state Laws) is characterized with genocide activities against other humans, degradation of psychophysical development (and of egotistic personality proper), which entails diseases and increased mortality. Treatment of the egotistic syndrome and improvement of the state management (Law abiding) — is a basis for the health and nobility of the society.

A disease results in disorder of certain function. Treatment is restoration of the altered function and, if the mechanism of the outer management of the organism does not conform to individual appraisal of the organism's self-regulation, the side effect will ensue. Any outer or inner influence of the organism results in conscious response of the cells, structures, and organ systems. Therefore, both an individual and physician must exert purposeful, conscious sympathy, tenderness, love, and goodwill, which are almost completely ignored in the medical handbooks (The method of caressing massage has been developed).

Legalization of thinking (through direct contact or remote recording) will promote nobility of the mankind (egotism, evil, hatred, violence, and lawlessness will disappear) and formation of the genuine civilized state, which will implement the principles of biological specificity in the management of the social-state sphere. This is the only means for the global problems of the society, the medicine included. No unique treatment method and no medicine will bring the health to the society, unless the social sphere is improved.

ლიტერატურა

1. **ს. ავალიანი** - მეცნიერების ფილოსოფიის შესავალი. თბ. 1991 წ.
2. **ს. ავალიანი** - მეცნიერების ბუნება და მისი სახოგადოებრივი დანიშნულება, თბ., 1986 წ.
3. **ს. ავალიანი** - ობიექტურის ცნების ონტოლოგიური სახრისი. იხ. კრ. "დიალექტიკა და ლოგიკა", თბ., 1987 წ;
4. **ს. ავალიანი** - მეცნიერული ონტოლოგიის ცნება, იხ. "ფილოსოფიური ძიებანი", თბ., 1997 წ.
5. **უ. გათრი** - ბერძენი ფილოსოფოსები, თბ., 1997 წ.
6. **რ. გახოკიძე** - ქიმიური პოლარიზაციის დიალექტიკა. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", თბ. 1997 წ.
7. **დ. გეგეშიძე** - მეოცე საუკუნის რელიგიური ფილოსოფია, იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", თბ. 1997 წ.
8. **ვ. ლენინი** - თხზ. ტ. 14, გვ. 333
9. **მ. მახარაძე** - რენესანსი და ჰუმანიზმი, იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", თბ. 1997 წ.
10. **მ. მამარდაშვილი** - ლექციები ფსიქოანალიზის შესახებ, თბ., 1998,
11. **გ. ჯიბლაძე** - ესთეტიკური თეორიის საკითხები, თბ., 1966 წ.
12. **ზ. ფანასკერტელი ციციშვილი** - სამკურნალო წიგნი "კარაბადინი" 1959 წ. გვ. 24,25,32,35,36,65
13. **ლ. ფოიერბახი** - ქრისტიანობის არსება, თბ., 1956 წ.
14. **Аристотель** - Метафизика. М. Л. 1976, 63,367.
15. **А.Н. Чанышев**, Аристотель - М. ,1981
16. **Астафьев Б.А.** - Теория единный живой вселенной. М., 1997.
17. **Блаватская Е.П.** - Тайная доктрина-синтез науки, религии и философии, Т. 1, Космогенезис Л. 1991 , С.УШ.6
18. Врачи-философы - М. 1990.
19. **Гаряев П.П.** - «Волновой геном» Імоногр.) , 300 с деп. в ВИНИТИ 15.12.1993 г. № 3092-1393.
20. **Гаряев П.П.** - 1991,1992, Геном как голографический компютер.
21. **Гегель** - Соч. Т.4 М. 1959 . 2 и 397.
22. **გ. ვეკუა** - მიზეზობრიობის პრობლემა ფილოსოფიასა და მედიცინაში."საქართველოს სამედიცინო მოამბე" 1982 წ.

23. **Двалишвили Э.С.** - К вопросу механизма действия лечебных факторов с точки зрения квантовой механики. Сборник науч. трудов, Всесаюзный конференции ВНОГ. Смоленск 1992 г. 40-46.
24. **Двалишвили Э.С.** - Пространственно - временние связи в медицине. «Материалы XXI науч. сесии ЦНИИГЭ» с участием зарубежных ученых. Москва. М.,1994 г. 19-24 .
25. **Демин В.Г.** - Судьба солнечной системы. Наука. М., 1969.
26. **Марков М.А.** - Будущее микрофизики . См: «Будущее науки». Международный сборник, вып. 7, Знание, М. 1974.
27. **Немировская Л.З.** - Философия. М. 1996 г.
28. **Платон** - Сочинения в 3-х томах М., 1968-1972 г.
29. **გ. ვეკუა** - მიზეზობრიობის პრობლემა მედიცინაში. ავტორეფერატი სადოქტორო დისერტაციისა 1975 წ.
30. **Фейербах Л.** – Избранние философские произведения. Т.I , М. 1955 г.
31. **Хайди Р.** - Поведение животных. «Синтез этиологии и сравнительной психологии», М. Мир 1975 г. ст.855.
32. **Цицерон** - М. I-2 Т. 1962.
33. **Чижевский А.А.** - Земное эхо солнечных бурь. М. 1976. 367.
34. **ეშ. გოუბარი** - Weltanschauung-ის კრიტიკული როლი. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი" III კრებული გვ. 10-17 1999 წ.
35. **ნ. კვარაცხელია** - სასწაული, ფენომენი რელიგიურ ცნობიერებაში, იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", კრებ. II 1998 წ. გვ. 285-291.
36. **ლ. ჯახაია** - თავისუფლება, როგორც გაცნობიერებული შესაძლებლობა. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", კრ.IV 2000 წ. გვ. 29-32
37. **თ. ბუაჩიძე** - წინააღმდეგობის ცნება ჰეგელის ფილოსოფიაში. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", კრებ. I 1997 წ. გვ. 136-142
38. **ბ. ლუტიძე** - საქართველოს მოსახლეობის კლასობრივი სტრუქტურის შეცვლა. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", კრ. I 1997 წ. გვ. 198-208
39. **ა. ბრეგაძე** - ადამიანის არსის პრობლემა. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი" კრ. I, 1997 წ., გვ. 263-274
40. **ა. გონაშვილი** - ადამიანის საზრისისა და მეთოდის პრობლემა. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", კრ. I 1997 წ., გვ. 281-294
41. **დ. გეგეშიძე** - II საუკუნის რელიგიური ფილოსოფია. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი" კრ. I 1997 წ. გვ. 296-309
42. **ვ. გაგოიძე** - "რომის კლუბი" და მისი ანთროპოლოგიური, ტექნოკრატიულ-ჰუმანისტური, სოციოლოგიური კონცეფცია. იხ.კრ.

"ფილოსოფიური ძიებანი", კრ. II 1998 წ. გვ. 174-189
43. **გ. ვეკუა** - მიზეზობრიობის პრობლემა მედიცინაში. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", კრ. IV 2000 წ. გვ. 96-111
44. **ე. დვალიშვილი** - ადამიანის ბიოენერგოინფორმაციის მართვისა და თვითმართვის პრობლემები. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", კრ. III 1999 წ. გვ. 209-220
45. **ე. დვალიშვილი** - სამყაროს უნიკერსალური კანონზომიერება და მედიცინა. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", კრ. III 1999 წ. გვ. 69-81
46. **ე. დვალიშვილი** - ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობის შესახებ. იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი",კრ. IV 2000 წ. გვ. 112-129
47. **მ. მახარაძე** - იხ.კრ. "ფილოსოფიური ძიებანი", III კრებული, 1999, გვ.103.
48. **Астафъев Б. А.** - Международная академия информатизаций, М. 1995,стр.19.
49. **Копылов И. П.** - Электромагнитная Вселенная М: МЭЙ 1995 ; 85г.
50. **Пригожин И. , Стенгерс И.** - Порядок из хаоса. М .: Прогресс 1986 г.
51. **Стекачев В. И.** - Как взрывали вселенную; Тула 1997 г. стр. 28
52. **Хэмонд П. Х.** - «Теория обратной связи и ее применения» М.: 1961 г
53. **Чижевски Л. А.** - Физические процессы исторического процесса, Калуга 1-ая гостиполитография, 1924 г. 72.
54. **Юзвишин И. Л.** - Информационология, М . 1997; стр. 18-34.
55. **Биология** - Руководство X- XI классов, М. 1998 г.
56. **Энциклопедический словарь,** М. 1989 г.
57. **Г. Грин У. Стаут Д. Тейлор** – Биология, том I-II-III М. 1990 г.
58. **Хэммонд П.Х.** – Теория обратной связи и ее применения, М. 1961 г.
59. **Арсеньв А.С.** – Глобальный кризис современности и Россия; Контингент 1992 г. № 3 132 ст.
60. **უცხო სიტყვათა ლექსიკონი** - თბილისი, 1989 წ.
61. **Гаряев П.П.** – Волновой геном, М. 1994 г.
62. **Астафьев Б.А.** – Эволуционно-генетическая теория паразитизма; «Успехи Петров О.Е. современной биологии», 1992 г.-112 2 – 163 –175 ст.
63. **Симпсон Дж.Г.** - Темпы и формы эволюции, – М. 1948 г. стр.359
64. **Стекачев В.И.** - Как взрывать Вселенную. Тула, 1997 г. стр. 28
65. **Анвазян С.М.** - Нуклеосинтез и спектралние классы звезд вопросы превращенный природе, сборник статьи, Ереван, Аястан 1971 г. ст. 27-46.
66. **Копылев И.П.** - Электромагнитная Вселенная. М. МЭИ 1995 г. ст 82.
67. **რ. გახოკიძე** - გზა ხსნისა, თბილისი, 1991 წ.
68. **ბჰაგვან შრი რაჯნიში** - ოშო - სექსიდან ზეცნობიერებამდე. თბილისი, 1996 წ.

69. ბპაგვან შრი რაჯნიში -სიცოცხლე, სიყვარული, სიცილი. თბილისი, 1996 წ.
70. **Таранов Н. С.** - Многоликая философия, I – II том, ИКФ «стаикер» 1998г.
71. **Астафьев Б. А.** - теория единой живой Вселенной Ізакона гипотеза), Москва, «информациология», 1997г. ст. 25-35
72. **Бабскин Е. Б. и другие.** - Физиология человека, М. 1966 г.
73. **Библия**
74. **Зедлаг У.** - Животный мир земли, «Мир» М. 1975 г.
75. **Двалишвили Э. С.** - Философские и логические аспекты механизма действия физических факторов. мат. международного форума «За духовное единство человечество». Сочи, 1991 г. ст .115-120
76. **Двалишвили Э. С.** - Квантовая механика и медицина. Заболевание органов пищеварения с точки зрения терапевта и хирурга. Программа и тезисы научно-практической конференции 8-9 сентября 1992 г . Донецк. с 93.
77. **Двалишвили Э. С.** - Опыт кинематографического исследования в кур. практике. Мат. конф. Методы исслед. и леч. аппарат система и ЭВМ в гастроэнтер. Железноводск - Ессентуки. 9-10 октября 1991 г. с 173-174.
78. **Двалишвили Э. С.** – Новые методы диагностики и санаторно-курортного лечения заболеваний органов пищеварения. Тбилиси 1988 г.
79. **Павлов И. П.** - Полное собрание сочинении. М.-Л. 1951 г. т. 172737 кн 172.
80. **Павлов И. П.** - Физиология пишеварения, М. 1952 г.
81. **Сеченов И. М.** - Избраннии произведения, М. 1952 г. т. 172.
82. **Сеченов И. М.** - Рефлекси головного мозга,.СПБ. – 1963 г.
83. **Врачи философы** - М. 1990 г.
84. **Г. Хакен** - Синергетика, МИР М. 1980.
85. **Г. Николос И. Пригожин** – Самоорганизация неравновесных системах. Мир. М. 1979.
86. **А. Н. Колмогоров, В. М. Тихомиров** – Энтропия и емкость множества в функциональных пространствах. «Успехи математических наук». 1959. т. XIV вып. 2
87. **Р. Браун** - Фазовые переходы. Мир. М. 1967
88. **Н.Винер** - Кибернетика или управление и связь в животном и машинах. Изд. третье под ред. А. Г.Поварова. Советское радио. М. 1968.
89. **И. Кант** - Критика чистого разума.

90. **И. Кант** - Критика практического разума.
91. **Н.Н. Моисеев** - Проблема возникновения системых свойств. «Вопрос философии»,1992-II
92. **Материалисты древней греции**, М. 1955 г.
93. **Философ. словарь**, М. 1980 г.
94. **Философ. энциклоп. словарь**, М. 1989 г.
95. **Ф. Браун** - Биологические ритмы. «Современная физиология животных». М. 1977. Т –2., с. 210-254
96. **А. Шилейко, Т. Шилейко** – Информация или интуиция. 2 М. 1983
97. **И. Оранский** - Природные лечебные факторы и биологические ритмы. М .М. 1988. с. 279
98. **В. И. Вернадский** – Окружающая среда и человек. М. 19 ст. 14
99. **Е. Сапорина** - Кибернетика внутри нас. М Г. 1962. ст. 5-6
100. **Л. Салдадзе** - Ибн Сина (Авицена) Ташкент, 1985.
101. **И .Новиков** - Куда течет река времени I М. МГ 1990
102. **В. Пекалис** - Твои возможности, человек М. 1975
103. **А.М. Уголев** - Теория адекватного питания. «Клиническая медицина» 1986. 3 ст. 15-26
104. **В.Л. Воронов** - Симфония разума. М., 1977, ст. 551-553
105. **Р. Размадзе** - Виртуальная философия. Тб. 1993
106. **Сократ** - М. 1977, (В.Нерсесянц).
107. **Г.И.Шипов** - 1993 г. «Теория физического вакуума. Новая парадигма». М. НТ-Центр. 362 С.
108. **С.Я.Чикин** - Врачи философы. М.М. 1990 г.
109. **В.Ф.Овчарова** -Современное состояние и перспектива развития исследований в области медицинской климатологии… «Вопросы курортологии» 1978 - № 6, с. 7-13
110. **Э.С.Двалишвили** - Интеграция науки с практикой и гастроентерологические аспекты на курорте. «Сов. проблемы г-э и гепатологии», 1988с. 231-232
111. **Э.С.Двалишвили** - Гастроэнтерологические аспекты гериатрии и геронтологии «Мат. I–съезда, I гастроэнтерологов». Эстонская ССР, Таллин, 1989, с. 57
112. **Э.С.Двалишвили** - Новые направления в диагностике и лечении гастроэнтерологических больных на курорте. IV- Всесауз.съезд гастроэнтнрологов, 17-20 октября 1990 г.т.II, с8617-6188
113. **ე.ს. დვალიშვილი** - საკურორტო დარგის პრობლემები და პერსპექტივები. "საქართველოს სამედიცინო მოამბე". 1993 წ. № 3, გვ.10-14

114. ე.ს. დვალიშვილი - დაავადებათა ეტიოპათოგენეზის შესახებ "საქართველოს სამედიცინო მოამბე" 1995 წ. №1 1, 2, 3 -გ 27-29
115. Э.С.Двалишвили - О статусе питания Іфилософский вопрос) «Росиинский журнал гастроентерологии и гепатологии колопроктологии» 1996 г Том VI №4 ст 17-18
116. Э.С.Двалишвили - Медицинская техника и психологическая установка личности.Тез. и рефераты докладов I Респ. научно-технич. совещания «Метрология-службам здоровья», Тбилиси, 1980 г. ст.99-101
117. Э.С.Двалишвили - К вопросу применения бальнеолечения в спортивной медицине Мат.I съезда по спортивной медицине и лечебной физкульт.Груз. ССР посвяш. 60-летию образов. СССР, 1982, с 126-128
118. Э.С.Двалишвили - Диагностика и лечение больных группы риска в условиях специализированного гастроэнтрологического санатория; Журн. «Вопросы курортологии» 1982, № 6, ст. 64-66
119. Э.С.Двалишвили - К вопросу онкопрофилактики в специализированных гастроэнтнрологических санаториях. Рукопись депонир, ВНИИМИ МЗ СССР, № 7299-84, М., 1983, с815
120. Э.С.Двалишвили - Динамика пищеварительного цикла желудка у язвенных больных при приеме минеральной воды.Материал к УШ всесоюзному съезду физиотерапевтов и курортологов (тезисы докладов) 25-28 октября, Сочи, 1983г. с. 269
121. Э.С.Двалишвили - Организация раннего выявления и профилактики онкологических заболеваний в специализированном гастроэнтрологическом санатории Там же, с. 455 .
122. Э.С.Двалишвили - Кинематография в ранней диагностике болезней пищеварительного тракта Третий Всесаюз. съезд гастроэнтнрологов Іматер. съезда) т. II. М-Л-д, 984 г. с. 267-268
123. Э.С.Двалишвили - К вопросу реабилитационного лечения больных специализированном гастроэнтерологическом санатории В кн. « Новое в диагностике лечении болезней желудка и 12-ти п. кишки» .сб. трудов. М. 1985г., с. 86-888
124. А.С. Лопатин – О проблеме побочного действия лекарств; жур. «Клинич. медиц.» 1993 г 10 ст.6-8.
125. Ю. Белоусов, А.Е. Холодов - Формакологические аспекты побочного действия лекарств; жур. «Кклин.мед» 1993 г, 10, ст.9-10.
126. П.А. Ангелуца – Лекарственные средства и порожение суставов; жур. «Клин.мед.» 1993 г. 10. ст. 12-17.

127. **Л.Н. Самуилова, Т.В. Табакова** – К вопросу о диагностике лекарствении. алергин.жур. «Клин.мед.» 1993 г. 10,ст.17-24.
128. **И.П.Залутаев** – Методические основы предупреждения побочного действия лекарств. жур. «Клин.медиц.» 1993г. 10,ст.27-31.
129. **Э.С.Двалишвили** – О диетическом лечении больных хроническом гиперацидным гастритом в условиях санатория. Автореферат канд. дисертации Тб. 1964 г
130. **Э.С.Двалишвили, В.Д.Доронин, О.Л.Колосова** – К вопросу поэтапного лечения больных язвенной болезни желудка и 12 п. кишки. Актуалние вопросы лечебно-профилактические помощи ученным. Киев, «Наукова душка» 1980 г. ст. 173-178.
131. **Васютин А.** – Конкретное, обстрактное и интуитивное. Ростов-на-Дону 1990г.
132. **Новиков Н.** – Куда течет река времени. М. 1990 г.
133. **Петров Эф.** – Эгоизм. М. 1969 г.
134. **რენანი. ე.** -ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ. 1990 წ.
135. **რენანი. ე.** - Сб. Современный детерминизм и наука. Новосибирск 1975 г.
136. **Спиркин А.Г.** – Сознание и самосознание. М. 1972 г.
137. **Калью П.И.** – Современные проблемы управления здровоохранениям медицины 1975 г.
138. **Ломов Б.Ф.** – Методологические и теоритеческие проблемы психологий. М. 1984 г.
139. **Ломов Б.Ф.** – Познание и общение. М. наука 1988 г.
140. **Акчурин И.А.** – Единства естетивно-научного знания. М. 1974 г.
141. **Кант И.** – Основоположение к метофизике нравов. М; 1912 г. стр. 58.
142. **Гельвеций** – О человеке его умственных способностьях и его воспитание. М; 1937 г, ст. 148.
143. **ЖЖ. Руссо** – Эмиль или о воспитание. М; 1911 г, ст. 45.
144. **ЖЖ. Руссо** – Об обшественном договоре. М; 1938 г, ст. 12.
145. **Локк Д.** – Мысли о воспитание и воспитание разума. СПБ 1907 г, ст. 54-55.
146. **Гоббс Г.** – Философские основание учения о гражданине. М; 1914г,ст.121.
147. **სერგი ავალიანი** - სიცოცხლის არსება, თბ. 2000.

ავტორის შესახებ

ემანუელ დვალიშვილი - საბაზო სანატორიუმ "ლიკანის" მთავარი ექიმი; მედიც. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უმაღლესი კატეგორიის თერაპევტი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიისა და საინჟინერო აკადემიის აკადემიკოსი. არის 191 გამოქვეყნებული შრომის ავტორი (მედიცინის, ტექნიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის საკითხებზე), 5 მონოგრაფიის, 29 გამოგონების, 168 რაც. ნინადადების, 18 მკურნალობისა და 24 დიაგნოსტიკის საკუთარი მეთოდის. მის მიერ შექმნილია 21 სამედიცინო აპარატურა და მოწყობილობა, 8 ახალი ლაბორატორია, 6 ახალი სამედიცინო განყოფილება, 21 სამკურნალო კვების მეთოდი, 7 სამეცნიერო-სასწავლო ფილმი, 28 მართვის ორგანიზაციული ფორმები. იგი 184 სამეცნიერო ფორუმის აქტიური მონაწილეა. შექმნა პირველი დიეტოლოგიური და ტექნოლოგიური სამეცნიერო-სასწავლო მეთოდური ცენტრი საქართველოში, პირველი გამოთვლითი ცენტრი კურორტებზე; 1964-68 წწ. რესპუბლიკაში პირველმა შემოიტანა და დანერგა კლინიკურ პრაქტიკაში "ლიკანში" დიაგნოსტიკის 18 ახალი (მათ შორის სიმსივნურ დაავადებათა ნაადრევი დიაგნოსტიკის) მეთოდი: ეზოფაგოსკოპია, რადიოტელემეტრია, გასტროფიბროსკოპია, მიზნობრივი: ბიოფსია, იონომეტრია, PH-მეტრია, თერმომეტრია, მიკროსკოპული ფოტო და "კინემატოგრაფია, ელექტროგასტროგრაფია, დუოდენოსკოპია, კოლონოსკოპია, ექოსკოპია, ლაზერები და ნახევარგამტარი (ფერადი) ლაზერები, კუჭ-ნაწლავის შიდა PH-მეტრია, PH-გრაფია და შიგთავსის ელექტრომეტრიული გამოკვლევა ელექტრონულ დანადგარზე, ჰისტომორფოლოგიური, ჰისტოქიმიური და ულტრასტრუქტურის გამოკვლევა, სპექტრომეტრია, რადიოტელემეტრია და სხვა. 1968 წ. დაამუშავა და დანერგა ერთდროული სინქრონული კომპლექსური გამოკვლევის სისტემა. 1970 წ. პირველად სამედიცინო პრაქტიკაში დაამუშავა და დანერგა ორგანოს შიდა

ლაზერულ-კინემატოგრაფიული, ჰოლოგრაფიული დიაგნოსტიკა და ორგანო-სისტემების ფუნქციონირების ფერებისა და ბგერების რეგისტრაცია მაღალი მგრძნობელობის ფერად კინო ფირზე (საკუთარი კონსტრუქციის მაღალი სიჩქარის 2000 კ/ს კინოკამერით), როგორც სიმსივნურ დაავადებათა ნაადრევი დიაგნოსტიკის მეთოდი.

1964-66 წ. ე. დვალიშვილმა საკუთარი ხარჯით სანატორიუმში ჩამოაყალიბა უმაღლესი კვალიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტების აღჭურვილობის სადიაგნოსტიკო-სამკურნალო-სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი, სკოლა-ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებდა 8 ლაბორატორიას, 24 სადიაგნოსტიკო და 42 სამკურნალო კაბინეტს. ამ ბაზაზე 1971 წლიდან ტარდებოდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსანტთა სტაციონარული ციკლი. ეს ცენტრი 27 წლის განმავლობაში ჯანდაცვის, მეცნიერების და კადრების მომზადების სამსახურში იდგა, მაგრამ, სამეცნიერო-სასწავლო სტატუსის მინიჭებისათვის ბრძოლაში პროფსაბჭოს კურორტებში ანტიეროვნული სულიერების პიროვნებებმა იგი მიწასთან გაასწორა, ხოლო თვით ავტორი უსაფუძვლოდ ორჯერ გაანთავისუფლა სამუშაოდან: 1990 წ. არსებული კანონმდებლობის საფუძველზე საარენდო სააქციონერო ფირმა "ლიკანის" შექმნისათვის (სანატორიუმი გამოვიდა ბორჯომის კურორტთა მართვის დაქვემდებარებიდან შექმნა დამოუკიდებელი სამეურნეო ანგარიშიანი სააქციონერო-საარენდო ფირმა "ლიკანი"), ჩამოყალიბებული სადიაგნოსტიკო, სამკურნალო,სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის სტატუსის მინიჭებისათვის და 1993 წ. ლტოლვილთა განსახლების ოპტიმალური ვარიანტის წამოყენებისათვის (იხ.6 თავი) და ორი წლის განმავლობაში (სანამ სასამართლომ არ აღადგინა) რიგით ექიმად მუშაობის უფლებაც კი არ მისცეს მის მიერ შექმნილ კაბინეტებსა და განყოფილებებში.

ე. დვალიშვილმა ჩამოაყალიბა საბაზო სანატორიუმი "ლიკანი", როგორც მაღალი კულტურისა და კვალიფიკაციის სამკურნალო სადიაგნოსტიკო სამეცნიერო სასწავლო ბაზა და როგორც ეროვნული კულტურისა და ტრადიციების გაცნობის ცენტრი. ამ ბაზაზე ახალი მეთოდების ასათვისებლად მივლინებული იყო 16 სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებათა მეცნიერ-მუშაკები და 79 სამედიცინო დაწესებულებათა სპეციალისტები საბჭოთა კავში-

რის სხვადასხვა ქალაქებიდან, 425 კურსანტმა აითვისა სპეციალიზაცია. ამ ბაზაზე ტარდებოდა რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებები, ხელოვნების, პოეზიის, მუსიკის, ფოლკლორის, ლიტერატურის, სპორტის (ორჯერ მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში), სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები და სხვა.

აკადემიკოს ე. დვალიშვილმა 1975-76 წ. IV მთ.სამმართველოს სანატორიუმ "ბორჯომ-ლიკანში" შექმნა სპეციალიზებული გასტროენტეროლოგიური განყოფილება, რომლის ერთი წლის მუშაობის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოამზადა და ჩაატარა პირველად IV მთ. სამმართველოს ისტორიაში ექიმთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია (იხ. Материалы I научной конференции врачей IV глав.управ.; Тбилиси 1977 г.*).*

ტექ. რედაქტორი ი.ხუციშვილი

შეკვ. № 3

ფასი სახელშეკრულებო

შ.პ.ს. „მერანი“-ის სტამბა, თბილისი, რუსთაველის პრ. №42
ტელ.: 93 29 96; 93 53 96
ელ. ფოსტა: merani3@geo.net.ge